დავით ჭაბუნია

# ჩამავალი მზის მელოდიები

პოეზია

წიგნი მეორე

## საით მიცურავ, მზეო?!

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2021

# საით მიცურავ, მზეო?!

„ვა, სოფელო, რაშიგან ხარ,
რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა!“
შ. რუსთაველი

**„Шуми, шуми, послушное ветрило,**
**Волнуйся подо мной, угрюмый океан.“**
**А. Пушкин**

„სამარეს ჩემსა რომ გარს ნისლი მოეცვას,
იგიცა შესწიროს ციაგმან ლურჯსა ცას!“
ნ. ბარათაშვილი

© დავით გაბუნია, 2021

გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4, ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-26-759-8



# წინათქმა

**პლანეტაზე** ადამიანის მოძრაობის ტრაექტორია დასაბამიდან დასასრულამდე, სიმბოლურად რომ წარმოვიდგინოთ, პარაბოლაზე გადის. ვინ იცის, თუ სად მოსწყდება ის ამ გზას. ამ მრუდწირის პირველ ნახევარს ის ოპტიმისტური აღმაფრენით გაივლის, ხოლო მეორე ნახევარს, უფრო მეტად პესიმისტურით. სამყაროში სიცოცხლის მამოძრავებელ ძალად, მხოლოდ მზე ითვლება. დედამიწაზე ყოველი არსი, დიდია თუ პატარა, მზის დაუშრეტელი ენერგიის წყალობით  ცოცხლობს და მოძრაობს!

ჩვენთვის არ არის ცნობილი თუ როგორ გრძნობს თავს ცხოველთა და მცენარეთა სამყარო, ყოველი მიკროორგანიზმი მზის ცხოველმყოფელ ძალას. როგორ ხვდებიან ისინი მზის ამოსვლას ცის თავანზე, ან როგორ ემშვიდობებიან შემოღამებით მზის გაუჩინარებას ჰორიზონტს მიღმა...

ყმაწვილობისას, დილით ადრე, ჩემს მონადირე ძაღლთან ერთად, ტყისკენ მივისწრაფოდი, რათა დავკვირვებოდი მზის ამონათების ჟამს თუ რა განწყობილება ისადგურებდა ცხოველთა და ფრინველთა სამყაროში. როგორც ცნობილია, ისინი ხმას არ იშურებენ და აღტაცებით ეგებებიან ამ საოცარ მოვლენას. მზე, რაც უფრო მაღლა მიიწევს ზენიტისკენ, მით უფრო აღფრთოვანებულნი არიან, ხოლო დღის მეორე ნახევარში, მზის პარაბოლაზე დაშვებისას, მათი ჟღურტული და ხმის ტემბრი საგრძნობლად იცვლება და, თან მეტად სევდიანი ხდება და ნაკლებად მიმზიდველი. მზე, რაც უფრო ჰორიზონტის ხაზს უახლოვდება, მით უფრო სიჩუმე იპყრობს სივრცეს და იდუმალი მოწყენილობა ეუფლება გარემოს.

ვინ იცის, თუ რამდენი მიფიქრია იმაზე, თუ რამდენად გა-

ნიცდიან მცენარეები და ფრინველები მზის გაუჩინარებას ჰორიზონტს მიღმა. იქნებ ჩვენსავით, ისინიც ელოდებიან, მზის დაბრუნეებას ცის თავანზე, მთელი თავისი სიდიადით!..

როგორც ცნობილია, ყველა სხეული – დიდია თუ პატარა, აშკარად რღვევადია! მის სილამაზეს და აღფრთოვანებას აქვს დასაწყისი და დასასრული, და გარკვეული დროის შემდეგ, მას ვერავითარი ძალა ვერ აღადგენს. ხოლო სულის შესახებ, გარკვევით ძნელია რაიმეს თქმა. ვინ იცის, სული იქნებ, ბუნების უკვდავი ნაწილია და ის პერმანენტულ განახლებას ემორჩილება?!

უკვე 85 წლის ვარ. ხვალ და ზეგ მეც დავემშვიდობები მშობლიურ სამყაროს. ჩემი სხეულიც დაიშლება მოლეკულებად და ისინიც პატარა აგურების სახით შეუერთდებიან სამყაროს მრავალფეროვან სივრცეს...

არ შეიძლება, არ დაეთანხმო დიდ რომაელს – მარკუს ავრელიუსს: „შენს თავს უყურე, როგორც მოკვდავს. თვალის დახამხამების უმალ იქნები ერთი პეშვი ფერფლი, ჩონჩხი! – თვით სახელიც გაქრება შენი, რადგან იგი ფერფლი და არარაობაა!“

აკი, დიდი შოთა რუსთაველიც გვაფრთხილებს – „ცდების და ცდების სიკვდილსა, ვინც არ მოელის წამისად“. ნუთუ დუმილს ვერ აცდებიან ჩემი ჩანგის მგზნებარე სიმებიც?!

ყმაწვილობიდან ხილულ ვარსკვლავთა სიმრავლით ვთვრებოდი, რომელიც ყველაზე უკეთ იგრძნობა სოფლის ცაზე. აქ, თითქოს, ისინი ვერ ეტევიან თავიანთ საზღვრებში და გარღვევით იმუქრებიან, რათა სინათლის უჩვეულო მეწყერით წალეკონ ერთიანად ყველაფერი!..

ადრე, უკიდურესად მაოცებდა გალაქტიკებში დაგროვილი უზარმაზარი ენერგია! ამჟამად მისი ახსნა არ არის ძნელი, ფარდობითობის თეორიის საფუძველზე.

ისმის კითხვა: – რა არის სული? – რა განაპირობებს მის განუწყვეტელ სწრაფვას? – ცხადია, ის მატერიის არცერთ სახეობას არ ეკუთნის. და თუ სული სხეულთან ერთად რღვევადია, მაშინ უაზრობაა უკვდავებაზე საუბარი!

ბაირონი ამბობს: „ო, თუკი სული, შორს მიღმა ცათა, კვლავ ინარჩუნებს თავის მეობას! ერთურთს ერწყმიან ისინი ნათლად და ტრფობის გრძნობენ მოუთმენლობას!.. მაშინ, ღირს სწრაფვა შორეულ ცისკენ, დაემსგავსება სიკვდილი სიზმარს და მწუხარებას დავტოვებ ცის ქვეშ, ჟამის მორევი ვერაფერს გვიზამს!“

იწურება ჩემი ცხოვრების ბოლო დღეები!.. სიცოცხლე უკვე სევდით იმოსება, დაკეცავს საგაზაფხულოდ გაშლილ იალქნებს, რომელიც რვა ათეულ წელზე მეტხანს ეზიდებოდა ჩემი სხეულის გაუმჭვირვალე, ვეებერთელა ჭურჭელს.

ამჟამად, მთელი გრძნობით ვაყურადებ, ჩამავალი მზის სევდიან მელოდიებს: „წავიდა ის დრო, ახლა უკვე ვერაფერს შევცვლით, წავიდა ის დრო, მზეს რომ თრთოლვა მოჰქონდა ჩვენთვის, წავიდა ის დრო, მთვარე შუქს რომ გვაღვრიდა ვერცხლის, წავიდა ის დრო, და შორეულ დინებას ერთვის... კვლავ მოვა ჟამი და ცა ღელვით მოიხსნის ნიღაბს, შეკრთება ქარით კიპარისთა მოლურჯო რიგი, ვიძინოთ მშვიდად ბედნიერი დღეების მიღმა... ვიძინით მშვიდად, სევდიანი დღეების იქით...“ დ. გაბუნია – „ეპიტაფია“.

ნუ მიწყენს მკითხველი, ჩემი ბოლო წლების ლექსები, რომ სევდით არის დამუხტული და, ისინი აღტაცებით არ სუნთქავენ, როგორც ვარდფურცლობის ჟამს. ამის მიზეზია ის,

რომ მიჭირს ძალიან დამშვიდობება ხილულ სამყაროსთან, რომელმაც ამდენი რამ შთამაგონა. იმ ბუნებასთან, რომელსაც ჩემს წრფელ სტრიქონებს ვუძღვნიდი ათეული წლების მანძილზე; ეს სრულებით არ ნიშნავს სიცოცხლის უარყოფას. სიცოცხლე ხომ საოცარი მოვლენაა, რომელსაც მთელი გულით ვუმღეროდი. ჩვენთვის უცნობია ის ძალა, რომელმაც წარმოშვა ის. სიცოცხლიდან მდუმარებაში გადასვლა, ეს უზარმზარი ტკივილია, მაგრამ მას ვერ გაექცევა ვერცერთი ცოცხალი არსება.

ბაირონმა, გენიალური სიტყვებით მიმართა განშორების ჟამს ანესლის მთას: „ანესლის მთაო, შენს ლურჯ კალთებს, ვიცი ვახსოვარ, გემშვიდობები უნაყოფოს, ზამთრის ქარიანს. მე ამ გულისთქმას შენ გიტოვებ მხოლოდ სახსოვრად, თუმც, მეგობარო, განშორებაც მიჭირს ძალიან!“

გოეთემ, როცა დაამთავრა თავისი გენიალური ქმნილება „ფაუსტი“, განაცხადა: „მწერალი, მხატვარი, კომპოზიტორი, ჩვეულებრივ კვდება, როცა თავის ამოცანას გადაწყვეტს, რათა, ადგილი დაუთმოს მომდევნო თაობებს.“

ჩემი და ჩემი მეუღლის ამ ქვეყნიდან განშორების შემდეგ, მინდა ჩვენს საფლავს ამშვენებდეს ეს სტრიქონები: „გაიყოლიეს სილაღე ტრფობის და მკერდს უშვერდნენ ქარებს მობერილს, დე, განისვენონ იმავე გრძნობით, როგორაც განვლეს წუთისოფელი!“

17.03.17
თბილისი

## დასრულდა გზები!

ვერ აისრულე, რაც გსურდა და რა უსაზღვროდ ეწამე?
საწუთროს გზები დასრულდა და
ცას ქარები წეწავენ!..
რა ვუყო ნაღველს ულმობელს, ამ ტკივილს რითი ვუშველო?!
გზა ვეღარ გადავულობე
ამ ზვირთებს, ბიჭო, უშენოდ!
არც გაზაფხული მახარებს, არც თოვლის თეთრი ფანტელი,
დამცქერის ზეცა მაღალი, ვით
შენი სულის ნათელი!..
ნუთუ, დასრულდა ოცნების – გზები მწვანე და ფრიალო?
სულო, სად გაიტყორცნები, –
საითკენ უნდა იარო?!
ვერ აისრულე, რაც გსურდა და რა უსაზღვროდ ეწამე?!
საწუთროს გზები დასრულდა
და ცას ქარები წეწავენ!..

09.06.93
სოხუმი

# მიჯინების თვე

განშორების ჟამი მოდის, ვერ ვიკავებთ ცრემლს!
მივდივართ და წუთისოფლის
მღვრიე ტალღა გვცემს!
მზე მაისის თუ გვათრობდა მოსეირნე წყვილს,
ახლა სული მწარედ ღელავს
და საშინლად წვიმს!..
მთვარისფერი მოსდებია მინდორ-ველს და მთებს
და მოსულა ტკივილებით
მიჯინების თვე!..
ის ტიროფი მდინარესთან რა საოცრად კრთის,
ჟამი გვიმზერს ალმაცერად,
როგორც ვეფხვი კლდის!
შემოდგომის ქარის ქრის და არხევს ყვითელ რტოს,
როგორ გვსურდა, მაგრამ ვეღარ
გავექეცით დროს!
საით მივალთ, რომელი გზით, ვესტუმრებით ვის?
სული ტირის უჩვეულოდ,
ჩუმად ცრემლსაც ღვრის!
მთავრისფერი მოსდებია მინდორ-ველს და მთებს
და მოსულა ტკივილებით
მიჯინების თვე!..

05.09.93
ბათუმი

## ყვავების ორკესტრი

დავდივარ მოსკოვის ქუჩებში, აქ ფოთოლცვენაა ხშირი,
დავდივარ მოსკოვის ქუჩებში, მზე
ღრუბლებს ეფარვის დილის!
დავდივარ მოსკოვის ქუჩებში, აქ გუშინ ვიღაცა მოკლეს!
დავდივარ მოსკოვის ქუჩებში
და ვისმენ ყვავების ორკესტრს...
დავდივარ მოსკოვის ქუჩებში და მამულს ვიხსენებ ღელვით!..
დავდივარ მოსკოვის ქუჩებში და
გული მემსხვრევა დევნილს!..
დავდივარ მოსკოვის ქუჩებში, აქ შემოდგომაა უკვე,
დავდივარ მოსკოვის ქუჩებში
და ვისმენ ყვავების ორკესტრს!..

26.09.97
მოსკოვი

## ჰამლეტი

ტერასზე მკაცრი ნაბიჯების ხმა, ისევ ისმის,
ზღვას ბებერ მხრებზე დასწოლია
მგლისფერი ნისლი!..
და ბნელ ღამეში მოაბიჯებს აჩრდილი მამის,
რა შემზარავად იზმორება
სხეული ღამის!..
ზვირთები ჯებირს ეხეთქება მღვრიე და შმაგი,
კაცი ბექობზე მოაბიჯებს
მდუმარე ბაგით!..
მოდის მრისხანედ, უდრტვინველად ბილიკზე ღამის,
მოსასხამივით მოიტოვა
ლანდები შავი!..
ბარბაცებს სივრცე უჩვეულო ტკივილით მთვრალი
და მისდევს პრინცი მამის აჩრდილს
ნაბიჯით ჩქარით!..
შედგა აჩრდილი კლდის კიჩოსთან და ისმის ფიცი,
ააცახცახა სულის ღელვამ
მდუმარე სივრცე!..
ხვალ და ზეგ იგი ბოროტებას ჩამოჰგლეჯს ნიღაბს,
რომ გაიწვიოს სივერაგე
სიბნელის მიღმა!..
თვალები პრინცის ამ უდაბურ სიბნელეს გახევს,
რომ სიმახინჯეს საკუთარი
აჩვენოს სახე!..

## საით მიეშურავ, მზეო?!

მამის სახელი, თურმე, ლაფში მოსვრილი გდია
და ემალება სამზეოზე მზის
შუქის ბრდღვიალს!..
დროთა კავშირი დარღვეულა, ამას რას ხედავს?!
მეუღლის სისხლით დასვრილია
მშობელი დედა!..
იგი მიიწევს და ჩირაღდნებს გზადაგზა ანთებს,
ჭეშმარიტებას, რომ გაუღოს
კარები ფართედ!..
მიერეკება ზღვის სივრცეში ფიქრების ლაშქარს
და რეკავს ბნელში სისხლიანი
ელვარე დაშნა!..
ო, ავკაცობავ!!! თვალებიდან იღვრება ცეცხლი
და მის ფეხთა ქვეშ განგმირული
ეცემა მხეცი!..
ზღვა კი დანიის ნაპირებთან ბობოქრობს ისევ
და ბებერ მხრებზე დასწოლია
მგლისფერი ნისლი!..

25.10.69
სოხუმი

# სიკვდილი

„ცდების და ცდების სიკვდილსა,
ვინც არ მოელის წამისად!“
**შოთა რუსთაველი**

სად დაგეწევა ვინ იცის, – ყეფით, ჩხავილით, ორანით,
მას არ აწუხებს სინდისი, არც სიბრძნე
და არც მორალი!
მოვა და მოულოდნელად ფრთებს დაგაფარებს ყიამეთს,
სადაც მიადგა, მან ყველგან –
თესა შხამი და სიავე!..
ის არის გულქვა ბატონი, რამდენიც გინდა ეფერე!
მას თვალები აქვს დემონის
და ორი კლანჭი ბებერი!
იგი უეცრად გეწევა, შენ ცაში ხარ თუ ხმელეთზე,
მოვა ზავთით და შხუილით,
ვეღარ იხილავ მერე მზეს!
მას ვერაფერი ვერ აკრთობს, არ ცნობს გზებსა და სადგურებს,
მოვა და თალხით დაგბურავს,
წამისად გაგანადგურებს!..
გამოხედვა აქვს დემონის და ფრთები კიდევ რამხელა!
გინდა გაიგო ვინ არის? –
სიკვდილი ჰქვია სახელად!..

03.11.2000
მოსკოვი

## ციცერონი

„ბედისწერა ყოვლისშემძლე არარაობაა,
მას, მის წინაშე ჩამუხლულები მიჰყავს,
ხოლო, ჩაუმუხლელებს მიათრევს.“
**სენეკა**

მარკუს ტულიუს! უღმერთობის სულაც არ მიკვირს!
როცა ამ მიწას ეუფლება
რუხი ქაოსი!..
ბრძენს და ოქროპირს თავზე უნდა ადგამდნენ გვირგვინს
და შენ ტახტრევნით
მიგიყვანეს სასაკლაოზე!..
უკანონობა, რადგან უკვე, კანონად იქცა,
ხმელეთს კი არა, წყალსაც უნდა
მოედოს ცეცხლი!..
რად არ გადიქცა ნამსხვრევებად ბებერი მიწა,
ო, როცა ქრისტე გაიყიდა
ოცდაათ ვერცხლად?!
რამსიშორიდან მოდის ახლა შენი ხმის ექო?
მაგრამ რად გინდა, – მიაყარე
კედელზე ცერცვი!..
რწმენის ზარებმა განუწყვეტლივ, რაც უნდა რეკონ,
ო, ამ მიწაზე ბოროტებას
ვერავინ შეცვლის!

მარკუს ტულიუს! უღმერთობის სულაც არ მიკვირს!
როცა ამ მიწას ეუფლება
რუხი ქაოსი!..
ბრძენს და ოქროპირს თავზე უნდა ადგამდნენ გვირგვინს
და შენ ტახტრევნით
მიგიყვანეს სასაკლაოზე!..

07.12.007
მოსკოვი

## ქალაქის სიკვდილი

ეძინა ქალაქს... მოწმენდილ ცაზე,
შორს, ვარსკვლავების სილურჯე ენთო!..
ეძინა ქალაქს და ნათურების ბრჭყვიალა შუქზე
ქუჩის საათი
ამსხვრევდა დუმილს!..
ეძინა ქალაქს, ო, ღრმა ძილით ეძინა ქალაქს!..
ხანდახან, მხოლოდ, სახურავებზე
გადარბოდა ფეხშიშველი ყვითელი ქარი...
ეძინა ქალაქს და ბავშვების რძიან ტუჩებზე,
როგორც აპრილში აფერთქებულ
ატმის კვირტებზე, მიირწეოდა
სინათლის სხივი...
ეძინა ქალაქს!.. ეძინა ქალაქს!.. და ამ დროს,
ამ დროს მხოლოდ, ო, მოტორების, მოტორების
მძლავრი გუგუნი ეზიდებოდა
სიკვდილის ტვირთს ათასტონიანს!..
და რკინის ფრთები შემზარავი მძლავრი შხუილით
ამსხვრევდა სივრცეს!
ამსხვრევდა სივრცეს!!
ამსხვრევდა სივრცეს!!!
ახლოვდებოდა უფრო და უფრო...
ეძინა ქალაქს და, მის თავზე ბრუნავდნენ უკვე
შემზარავი ტაიფუნები!..

განთიადისას, როდესაც მზის თეთრი ხომალდი
მოაწვა სივრცეს და გაარღვია ჟანგისფერი
ღრუბლების ფარდა, –
ნახა სიცოცხლე აზელილი ტალახში, შლამში!..
ეძინა ქალაქს! ყორნის ფრთებზე
ეძინა ქალაქს!!!

17.08.62
ბანძა

## სადაკო სასაკი

რა დარჩა? – მიწა და ცა გადარუჯული,
როდესაც ქალაქი დაფერფლა ურჯულომ!..
ნანგრევში ბობღავდი ორი წლის ასაკის, –
სადაკო სასაკი!
სადაკო სასაკი!
დაანთეს ველური ხანძარი სიკვდილის
და რამე იგრძენი? – უბრალოდ იტირე!
მაგ თოთო სხეულში რა ჭირი ჩასახლდა? –
სადაკო სასაკი!
სადაკო სასაკი!
სიკვდილმა სიცოცხლის ქალაქი მოშალა,
შენ, მაშინ ვერ იგრძენ პატარამ კოშმარი!..
ო, როგორ გაგწირეს ულმერთოდ ესოდენ!
შენ ტირი, შენ მოსთქვამ,
რომ ყველას ესმოდეს!..
სიცოცხლე შეგზარდა, იტანჯე რამდენი!..
გინდოდა აგენთო ათასი სანთელი!
ცის ლაჟვარდს წეროთა გუნდები გაკვრია,
მაგრამ მას, – კვლავ სამას
ოთხმოცი აკლია!
შენ ითვლი წეროებს და მზერა დაგღლია!
მე ვხედავ, მაგ თვალებს საოცრად ნაღვლიანს!
ო, წელი გავიდა რამდენი, მასაქეთ,
სადაკო სასაკი!
სადაკო სასაკი!

რა დარჩა? – მიწა და ცა გადარუჯული!..
როდესაც ქალაქი დაფერფლა ურჯულომ!..
ნანგრევში ბობღავდი ორი წლის ასაკის, –
სადაკო სასაკი!
სადაკო სასაკი!

06.08.77
სოხუმი

## გრანადის მახლობლად

გრანადის მახლობლად, გრანადის მახლობლად,
ესროლეს პოეტთა მეფეს!
გრანადის მახლობლად, ო, გვიან ღამემდე,
ისმოდა მთვრალების ყეფა!..
აგვისტოს ღამეა... ცა ანდალუზიის ქვითინებს
ობოლი ბავშვი!..
გრანადის მახლობლად
ფორთოხლის ბაღებში,
ტიროდა გიტარა ქარში!..
ბოშათა კარავში ღამეა აგვისტოს, შემოდის
შეშლილი მთვარე!..
და სივრცე ცრემლით და ქვითინით აივსო,
აოცებს ბიჭუნას თვალებს!..
გრანადის მახლობლად, ბავშვობის მინდორზე
ავარდა თოფების ბოლი,
ცა ანდალუზიის კივილით დაემხო და მთვარე
დაიმსხვრა ბროლის!..
გრანადის მახლობლად, გრანადის მახლობლად,
ყვითელი მდინარე ოხრავს!..
გრანადის მახლობლად, ბავშვობის მინდორზე, –
ესროლეს გარსია ლორკას!

02.10.82
სოხუმი

## არ მიეკაროს!

არ მიეკაროს სუნთქვა კვამლის მინდვრის შროშანებს,
არ გაირუჯოს ცის სიზმარი
ხანძრის ენებით!..
ყველა სანგარი ამოვავსოთ, ისე მოვშალოთ,
რომ არასოდეს განმეორდეს
ქვეყნად კოშმარი!..
და ვცეთ თაყვანი ცის სიმაღლეს, მზეს და განთიადს,
ხე ცხოვრებისა შრიალებდეს
მრავალშტოვანი!..
მიწა რა არის? – მზის გვირგვინის ლურჯი ტახტია
და სიყვარულის საიდუმლო
ვრცელი სავანე!..
სახსენებელი მოიშალოს თერმობირთვების,
რომ სიცოცხლეზე ღუღუნებდეს
ვარდიც სამარის!..
მზე ნებივრობდეს ცის თავანზე ოქროს თითება,
მხოლოდ სიყვარულს და
განთიადს ჩემი სალამი!..

22.06.79
სოხუმი

## ქამი მიდის, ლაურა!

არ შეწყვიტო ეგ სიმღერა, თორემ დარდი მერევა,
თუ შენ არა, საყვარულო,
ვინღა მომეფერება?
გაზაფხულის ცაზე ღამით ქარმა გადიხმაურა!..
ქამი მიდის, ქამი მიდის,
ქამი მიდის, ლაურა!..
ეს ბილიკი ერთად ვთელეთ, მთვარეც გავინაპირეთ,
გახსოვს, თეთრი იალქანებით
მოდიოდა აპრილი...
ნიავს ნისლი მიმოჰქონდა და მზეც მოგვესალამა,
ჭადრის ხიდან თეთრი ჩიტი
აკვნესებდა სალამურს!..
გახსოვს, ერთხანს, რომ შევჩერდით, ო, იმ ბაღის კარებთან,
და მებაღეს, ბავშვურ თრთოლვით,
ვუცქეროდით გარედან?
ის დრო გაქრა უგზო-უკვლოდ, ნეტავ, საით წავიდა?
გახსოვს, იმ დღეს აივნიდან
გეძახოდა მამიდა!..
არ შეწყვიტო ეგ სიმღერა, თორემ დარდი მერევა!..
თუ შენ არა, საყვარელო,
ვინღა მომეფერება?
გაზაფხულის ცაზე ღამით ქარმა გადიხმაურა?
ქამი მიდის, ქამი მიდის,
ქამი მიდის, ლაურა!..

12.06.89
სოხუმი

## რაა მიზანი?!

ცოცხლთა შორის თქვენ არა ხართ, მაგრამ სიზმარში,
ისევ მხარულით გადმოლახავთ
ბობოქარ ღეთას!..
ამ შეხვედრების მე არ ვიცი, რაა მიზანი?
და მთელი ღამე, მეგობრებო,
დავდივარ ერთად!..
ხან ხიდზე ვდგავარ მიყრდნობილნი მოაჯირს რკინის
და ჭაბუკური სისხლი, ისევ
აწყდება ვენას!..
ხან ზღვა ბობოქრობს უსაშველოდ და სივრცე კივის,
ხან ზღვაური ქრის და
ხან ქარი უბრავს ზენა!..
ხან ქუჩაბანდებს მივუყვებით, ხან კიდევ პროსპექტს,
ხან ქალებისკენ აღტაცებით
გაგვირბის მზერა!..
ო, სულებს ერთგულთ ერთურთისგან ვერავინ მოსხლეტს
და მივსდევთ ისევ ჭაბუკობის
ბილიკებს ფერადს!..
ხან ერთმანეთთან ძველებურად ლექსებით ვდაობთ,
ხან აფორიზმებს ვიშველიებთ,
ხან კიდევ იგავს!
კვლავ იბობოქრე, იბობოქრე, ცხოვრების ზღვაო!
და გადმოღვარე, გადმოღვარე,
რაცა დგას შიგან!..

# საით მიეშურები, მზეო?!

ხან ველოდებით, ზღვის ნაპირას, საყვარელ ქალებს,
აგერ მოდიან: ქეთი, ირმა,
                                        მეგი და თამარ!
ო, რა ლამაზად ხეივანში შემოდის მთვარე
და ტოვებს, სადღაც, სიშორეში
მთებსა და ტრამალს...
განთიადისას, როცა ფრთებს შლის შუქი ცხოველი,
ქრებით უეცრად, როგორც ცაზე
                                        მთიების წყება!..
ო, ისევ ხდებით უხილავი, მიუწვდომელი
და ჩემში მხოლოდ უდაბური
ტკივილი წვება!..
ცოცხალთა შორის თქვენ არა ხართ, მაგრამ სიზმარში
ისევ და ისევ, გადმოლახავთ
                                        ბობოქარ ლეთას!..
ამ შეხვედრების მე არ ვიცი, რაა მიზანი
და მთელი ღამე, მეგობრებო,
დავდივართ ერთად!..

04.10.09

მოსკოვი

## დაწყვიტე სიმები მხურვალე!..

**„Прощай, любовь, прощай...“**
**Далида**

კაიროს ღარიბულ კვარტალში დარბოდა პატარა გოგო!..
ცხოვრების მძიმე წიგნს გადავშლი...
და მიკვირს, საიდან, როგორ?!
ასეთი ხანძარი ჰანგების, ო, როგორ მოზღვავდა შენში?!
გოგონამ მოთხოვნით განგების
უმღერე სამყაროს შეშლილს!..
და ბოლოს მოგწყინდა საშინლად: ტრფიალიც, სიმღერაც, როკვაც!
ო, სული დაცხრა და დამშვიდდა, თუ იგი
ცხოვრებამ მოკლა?!
ცურავდი შენ ცეცხლში ტრფიალის და გული დაფერფლე ერთობ!..
მოგბეზრდა ცხოვრება ტიალი
და გასცდი საწუთროს ფერდობს...
დაწყვიტე სიმები მხურვალე მინებდი დუმილის კალთას!..
სიმღერით ცას გადაუარე... იელვე
სამოთხის კართან!..
მზე ტირის!.. ცრემლს ვეღარ იშორებს, და მთვარეც –
სევდა რომ ანდე!..
იწამე სიშორე, სიშორე...
და გაჰყევ შორეულ ლანდებს!..

28.08.07
მოსკოვი

## ბალადა მამა-შვილზე

**გიორგი და პაატა სააკაძეებს**

იმ ღამით ო, რა მძიმედ დუმდა სარდლის კარავი!..
შაჰის ბრძანება, როცა გასცდა
ყველა მოლოდინს!..
მამა–შვილს შორის თუ რა ითქვა, უწყის არავინ
და საიდუმლო, საიდუმლოდ
დარჩა ბოლომდის!..
ახმაურებდა ქარიშხალი ღამის კიდობანს
და ჩირაღდნების შუქზე ენთო
შაჰის პალატა...
სამჯერ აკოცა მამამ კართან შუბლზე პაატას
და ძეს უმრწემსს
სამუდამოდ დაემშვიდობა!
ეჩვენებოდა: ხან დიდგორი ხან ბასიანი!
და მასაც შესწევს ძალა
ერთობ გახდეს საჩინო!
თავის ბავშვობა მოაგონდა, დილა მზიანი,
როგორმე უნდა, რომ
მამული გადაარჩინოს!..
საქართველოში შაჰის ჯარით სარდალს მიმავალს,
ო, გული უკან, უცნაურად
ეზიდებოდა!..
მერე კი გზაზე ათასგვარმა ფიქრმა იმრავლა,
მაგრამ თამარი თავს დაადგა
სარდალს ზემოდან!..

ხვალ კი მარტყოფი უნდა იქცეს ხსნად და იმედად!
წაიჩურჩულა, რომ ყველა გზა
რომისკენ მიდის...
მერე წარსულზე უჩვეულო ფიქრებს მინებდა
და დასახევი არ დატოვა, –
არცერთი ხიდი!
იმ ღამით ო, რა მძიმედ დუმდა სარდლის კარავი!..
იგრაგნებოდა ღამის ფსკერზე
ძალა ბოროტი!..
მამა-შვილს შორის, თუ რა ითქვა, უწყის არავინ
და საიდუმლო, საიდუმლოდ
დარჩა ბოლომდის!..

30.08.93
ბათუმი

## მივდივარ

მე უკვე ვტოვებ მოსკოვს და მამულისკენ ვილტვი,
მან ერთიანად მოსპო
ჩემი გულიც და ფილტვიც!..
მესმის შორიდან წყევლა და, უკვე, თავზრუ მესხმის!
კვლავ დამიბრუნებს რწმენას
ის გამოხედვა მესხის!..
ისევ, ქრის ჟამი მკაცრი და კრემლს ძლიერად უტევს...
და უკვე ვტოვებ კაცი
ამ ყაჩაღების ბუდეს...

27.03.11
მოსკოვი

## ახლა, რა ვარ მე?

მე ამ მიწაზე მომიყვანა სიცოცხლის ღელვამ,
მოხეტიალეს ხეივანში მაწვიმს
და მათოვს...
ნახე, სივრცეებს უმოწყალოდ კვლავ სერავს ელვა
და მაინც, რწმენით მომავალზე,
დავდივარ მარტო...
ყმაწვილობიდან ვარდფურცლობის ფერებში მცურავს,
გვეფერებოდა ზღვის ნაპირას
მაისის ბრიზი,
ეს გული, ისევ დაატარებს შენს ლამაზ სურათს,
და ჩემი სულის სამუდამო ტკივილად დარჩი,
შენ იყავ ჩემთვის სათაყვანო ოცნება, ზიზი!
რას უცდი, ნისლო შემოდგომის, –
ერთობ დამბურე!
ახლა, რა ვარ მე? – დავემსგავსე უმწეო აჩრდილს,
დრო მიდის და ვგრძნობ
უშენობა მაუდაბურებს!..

20.04.00
სოხუმი

## სოფლის შარაზე

სოფლის შარაზე მიჭრიალებს ურემი ისევ
და მაგონდება შორეული
დღეების წყება...
მიერეკება ქარი ურჩი შავლეგა ნისლებს
და შეღამების იისფერი
საღამო წვება...
მიედინება ყველაფერი ჰორიზონტს იქით...
და იდუმალი თან დამყვება
შენი ხატება...
ირხევა, ისევ აწვართული ალვების რიგი
და სევდა სევდას, მეგობარო,
კვლავ ემატება!..

25.10.11
ბანძა

## სოხუმი. კურჩენკოს ბაღში

400 უმანკო ბავშვის უღვთოდ დაღვრილი სისხლი – ალ. ყაზბეგის სიტყვებით რომ ვთქვათ: „ცაში ღმერთს შესჩუხჩუხებს და სამართალს ითხოვს!!!“

ღმერთი არავის პატიობს სისხლს დაღვრილს ამდენ ბავშვის,
ის კოცონივით ანთია, დღესაც
კურჩენკოს ბაღში!!!
მიდის ცხოვრება თავის გზით, მისდევს სატანა კვალში!..
მინდორს ანათებს მკრთალი მზე,
სივრცე ხმაურობს ქარში!..
მზე ვერ აანთებს განთიადს და, ვერც იალქნებს გაშლის!
სად კოცონივით ანთია
სისხლი ოთხასი ბავშვის!!!

16.09.10
მოსკოვი

## მზე ჩადის მშვიდად

ისევ მოვიდა გაზაფხული და მწვანე მიდნვრებს,
რა სიხასხასე და რა ნედლი
სურნელი ახლავს!..

მზე ჩადის მშვიდად, შეღამების მოირღვა ბინდი,
მე მაგ ღიმილის და თვალების
მომინდა ნახვა!

და მოუთმენლად, შენთან უკვე შეხვედრას ველი,
შენი თვალების სილაჟვარდე
მოარღვევს სამანს!..

ცასა და მიწას საოცარი ეძლევა ფერი,
რომ მთვარის შუქი
სიყვარულით გვათოვოს ცამან!..

ზღვა რა სინაზით ათამაშებს ტალღების წყებას,
ნაპირთან უკვე, ეს რამდენი
ირხევა ნავი!..

ბაგეები კი ვერ მალავენ, ძვირფასო ვნებას
და ფეხაკრეფით მიმოდიან
ლანდები ღამის...

24.04.93
ბათუმი

## რადგან ვართ უიარაღო

დრომ ჩვენზე გადინადირა და ვერაფერი შევძელით,
რამდენი ცრემლი გვადინა, რამდენი
სისხლის მეწყერი!..
ის ველარ დავამუხრუჭეთ და ვერ ვუცვალეთ ვექტორი,
ვიდექით ხელ–ფეხ შეკრულნი
და საქმით უიმედონი!
თვრამეტი წელი გავიდა და გზას ამაოდ გავცქერით,
შეხედე, როგორ მომრავლდა –
მოღალატე და დამქცევი!
მამულის ყველა ჭრილობა არის გველ–შხამით მოწყლული
და უიმედოდ ქვითინებს სისხლით
და ცრემლით მორწყული!..
ნუთუ, საზღვარი არ უჩანს დაპირებებს და მოლოდინს?
ამხედრდი, სულო კეთილო,
სანამ დაგვლეწავს ბოროტი!
ხანაც „ისკანდერს“ გვიმიზნებს, ხანაც გვაშინებს
„ტოპოლით“,
რადგან ვართ უიარაღო
და ერი სულით ობოლი!

18.06.10
მოსკოვი

## ზღვის ლურჯი რხევა მეძახის

მზის მხურვალებით სიცოცხლე იწვის,
გატრუნულია ჩრდილები ხეთა,
მე მახსენდება შოვი და რიწა
და სურნელება
მშობლიურ მიწის!..
სივრცეს ედება უმწეო თვლემა,
სული ვერ უძლებს ოხვრას და ტკივილს!
მე კვლავ მეძახის ზღვის ლურჯი რხევა
და სანუკვარი
ჟღურტული წვიმის!..
მე ქუჩის მტვერში მივათრევ სხეულს,
უკვე, სავსე ვარ ყელამდე ბოღმით!..
ამ საუკუნეს ათასჯერ წყეულს
ჩემი ვეება
დარდებით მოვღლი!..
და მოგონება მწარე ფიქრს მისევს,
რად დამიმძიმეს სიცოცხლე წლებმა?
იმ ზღაპრულ მხარეს ვიხსენებ ისევ,
და ქროლვით ჩავლილ
დღეების წყებას!..

18.07.10
მოსკოვი

## ჩემი მდინარე

ჩემი მდინარე შრება ნიადაგ,
          იგი, ამაოდ, მოუხმობს ღრუბელს!
გადმოჰყურებენ მთები ზვიადად,
მაშინებს, რომ არ
გადიქცეს გუბედ!

მდუმარებს მკვდარი ჩრდილები ხეთა,
          ქარი ვერ არღვევს უდაბურ სამანს!
მზე ცაზე ცეცხლის ღვარებად ფეთქავს
და მოვარვარე
იღვრება ლავა!..

ბუგავს ხომალდის აზიდულ ანძებს
          და მისკენ ცხრავე უჭირავს თვალი...
ის მზის სამოსელს გაიხდის ტანზე
და გადაიცვამს
სამოსელს მთვარის!

ჩემი მდინარე შრება ნიადაგ,
          იგი, ამაოდ, მოუხმობს ღრუბელს!
გადმოჰყურებენ მთები ზვიადად,
მაშინებს, რომ არ
გადიქცეს გუბედ!

14.07.10
ბანძა

## გაშალეთ ფრთები!

ამ სულს მუსიკით  და რითმებით ვერ ამოწურავ,
შენ რომ გგონია,
                    მასზე უფრო ვრცელია იგი!..
მივდივარ გზაზე, ვაცქერდები უთვალავ სურათს,
ხან ბეთჰოვენი უკრავს და ხან,
ბახი და გრიგი!..
იარე მედგრად და, უთუოდ, გჯეროდეს ხვალის,
არ დაივიწყო არასოდეს
                              ბილიკი ძველი...
გაშალე ფრთები და სიცოცხლეს  აუბი მხარი,
რადგან მან გრძნობის
უჩვეულო მოგართვა ძღვენი!..

25.04.11
მოსკოვი

## გულს!

„ჯოჯოხეთის დამტეველო
პაწაწინა სამოთხევ!“
**შ. ნიშნიანიძე**

არ გაგცევიხარ არასოდეს ღელვას, კვეთებას,
იყავ ერთგული და
ბრძოლაში შეუპოვარი!..
საითაც მივალ მხოლოდ შენი ცეცხლი მედება,
მატარე ქვეყნად იმედებით, –
რწმენით მომავლის!..
იტვირთე სევდა და ტკივილი მთებისოდენა,
დღემდე ვერ შევძელ დამეწერა
შენზე ბალადა!
თუ ჩაიმუხლე, სადმე გზაზე მოულოდნელად,
არ ჩაგეთვლება, მეგობარო,
იგი ღალატად!

14.12.07

## ბუნება ფერს იცვლის

მივდივარ ფოთლებით დაფენილ ბილიკზე
და მხოლოდ იმ ლამაზ
　　　　　　　დღეებზე ვფიქრობ!..
დამცქერის სექტემბრის უხვი და თბილი მზე,
მაგრამ ის ტკივილებს
ვერაფრით მიქრობს!
ბუნება ფერს იცვლის, ფერადი ფოთლები
ქარს მიაქვს, და ვისმენ
　　　　　　　ხეების ქვითინს!..
მე ვდგავარ ჟამისგან ღრმად შენაშფოთები,
რომ სივრცეს ედება
ხავსი და ფითრი!..
მოვა დრო, მოისხამს ხეები სილურჯეს,
კვლავ იშრიალებენ
　　　　　　　სიცოცხლის წყურვილით!..
ვერაფერს დააკლებს მას ზამთრის სიურჩე
და სივრცეს აანთებს
მზე ოქროცურვილი!..

05.10.14
თბილისი

## საიდან მოდის?

აქ მზე ილვრება ოქტომბრის თვეში
და დგას ჩიტების ჟივჟივი ბაღში!..
კვლავ დაიბრუნეს ვარდებმა ეშხი
და შადრევნებთან
თამაშობს ბავშვი...
ისევ ფრთალურჯი ნიავი დაქრის
და ყვავილები სინაზით კრთიან!..
საიდან მოდის ეს ძალა, მარქვით,
შემოდგომაზე ო,
ასე გვიან?!

12.10.11
თბილისი

## ნამოსახლარი

სამასი წელი გავიდა, რაც ეს ამბავი მოხდა,
დაიქცა გლეხის სახლ-კარი
                    გარჯით ნაგები კოხტად!
და ხუთი შვილით მშობლები გზას გაუყენეს ღამის,
იხსენებს მთვარე ბებერი
ბავშვების მოთქმა-ბღავილს!..
და აქ თავადი დასახლდა, შემოიმტკიცა ეზო,
გაყიდა გლეხის ოჯახი
                    სრულიად უმიზეზოდ!
სამასი წელი გავიდა... იცვალა სოფლის რუკა,
და ის ოჯახი თავადის
ქცეულა ცეცხლის ლუკმად!..
სოფლად დაირხა თქმულება სიმამაცეზე გლეხის,
მას ტყვეობიდან გაქცეულს, –
                    ათას ჭირ-ვარამს შეხლილს,
დაუწვავს ო, ის ოჯახი, თუმც ნაკვალევი არ ჩანს!..
და ის სახლ-კარი დღემდე
ნამოსახლარად დარჩა!..

16.11.11

თბილისი

## რა იქნა? – მარქვი!

მე არასოდეს არ ვყოფილვარ ჟამის ნადავლი,
მუდამ ვებრძოდი ბოროტებას
სიტყვით და საქმით!..
ო, ის ღელვა და შემართება, მითხარ, სად არის,
და ის დღეები უჩველო,
რა იქნა? – მარქვი!
მე მეგობრების ვიწრო წრეში ვიდექ ამაყად,
ბევრი მათგანი უსათუოდ
მიყვარდა გრძნობით!
ჩემი ალვების ხეივანში მივალ ამაღამ,
რომ ერთხელ კიდევ მოვიგონო
დღეები ყრმობის!..

03.06.11
ბანძა

## დილით

მე აქ, ბექობზე ვდგავარ, ჩიტი ზის რტოზე მარტო,
დილის ნიავი ჩურჩულებს და მზის
ამოსვლას ვნატრობ!..
მე ჩანგით მკერდსმიდებულით, – ჩიტს კი უჭირავს სტვირი,
მინდვრად რხევაა ფერების,
ცა სიხარულით ტირის!..

20.04.11
ბანძა

# მაისის ღამით

მთვარის ჭილოფზე ვწევარ და ცის მეღვრება შუქი,
მთვარის ჭილოფზე ვწევარ,
ქრის სიო აბრეშუმის...
მთვარის ჭილოფზე ვწევარ, ცა არხევს სხივთა მეწყერს,
მთვარის ჭილოფზე ვწევარ
და ბედის ვარსკვლავს ვეძებ!..
მეხალისება ძლიერ  სივრცე ოცნებით მთვრალი
და სულის ვანი მევსება
თეთრი შრიალით მთვარის...
მაისის ღამე ირხევა... მეტეორები ქრიან,
ბუნების ამგვარ სიყვარულს
არ ვიცი თუ რა ჰქვია!

12.05.11
თბილისი

## იმ დღეთა გამო

ო, იქნებ ნანობ, ჩემო მერი, იმ დღეთა გამო?
მიდის დღეები – ქარვისფერი
ფოთლების ცვენით!..
აჰა, საცაა, მოვიშორებთ ხორციელ სამოსს,
მაგრამ სულიერ სილამაზეს
ვერ გავექცევით!
შორს, მოვიტოვეთ გაზაფხულის დღეები მწვანე,
იმძლავრა სევდამ და
ჩვენში ღრმად გაიდგა ფესვი!..
განშორებისას ავტირდებით ორივე მწარედ,
რადგან შარბათი სიყვარულის
ბოლომდე შევსვით!..

14.10.11
თბილისი

## მე შენ გეტრფოდი!

ო, ის დღეები ფერუცვლელად შემორჩა ხსოვნას,
მივდივარ გზაზე, მეგობარო,
არაფერს ვამბობ!
ის ჟამი აწი, ჩემთან უკვე, ვერასდროს მოვა
და სიშორიდან სიყვარულით
ვუგზავნი ამბორს!..
კვლავ იციმციმეთ, ვარსკვლავებო, და ცის სიღრმიდან
თამაშ-თამაშით მომაღვარეთ
სხივების ჩქერი!..
მე შენ გეტრფოდი, შორეული ცაო, სიყრმიდან
და მიზიდავდა უჩვეულო
სიმაღლე შენი!..

19.03.12
თბილისი

## სულო, რას უცდი?!

მესაიდუმლე ჩემი სულის შენა ხარ მხოლოდ,
ბევრჯერ სისხლისფრად შემიღებეს
სივრცე გაშლილი...
კვლავ სევდიანად აკვნესებს სიმს ჩიტების ქორო,
თუმც ვარსკვლავებთან საიდუმლო
შემრჩა კავშირი!..
ისევ მოდიან სიშორიდან ღრუბლები მარშით,
კვლავ ახლოვდება მეგობარო,
დელგმა და რისხვა!..
სულო, რას უცდი, იალქნები გაშალე ქარში
და ჭრილობიდან ღვართქაფებად
იდინოს სისხლმა!..

18.11.12
თბილისი

## სხვა რაღა დარჩა?!

თქვენი ყველა გზა კრემლისკენ მიდის,
 ამას არ უნდა ფიქრი და განსჯა!
თქვენი ყველა გზა კრემლისკენ მიდის,
და დაგიფასებთ
მოსკოვი გარჯას!..
ო, რა ფარული გაიდო ხიდი,
 ამას მიხვდება უთუოდ ბეციც!
თქვენი ყველა გზა კრემლისკენ მიდის,
რომ გახდეს იგი
მთავარი ღერძი!..
მოსწყდება ნაპირს ავიამზიდი,
 მოსკოვი, ისევ ამოგვდებს ლაგამს!
თქვენი ყველა გზა კრემლისკენ მიდის,
და თქვენი სწრაფვის
ეს არის საგა!..
იმღვრევა სივრცე ტკივილით დიდით
 და ეს სურს ყველა ავსა და ლაჩარს!
თქვენი ყველა გზა კრემლისკენ მიდის,
ისევ დიდგორი,
სხვა რაღა დარჩა?!

17.11.12

თბილისი

## მეგობარს

რა ადრე გაჰყევ, მეგობარო, დროის დინებას?
ბევრჯერ ეკვეთე დაუნდობლად
ქარს და ქარტეხილს...
უშენოდ მექცა ეს საწუთრო, ბიჭო, დილემად,
მოსწყდი ცხოვრებას, ვით კლდეს მედგარს
ერთი ნატეხი!
ჩემი ტკივილი და წამება ესმის არავის,
არ გიცხოვრია ქვეყანაზე,
ცახცახით, შიშით!
ველარ იშორებს სივრცე დღემდე ღრუბლის ქარავანს,
ისევ ბობოქრობს ქარიშხალში
უდაბნო ქვიშის!..

23.09.11
მოსკოვი

## რა რჩება უკან?

დრო განშორების მუსიკას უკრავს
და ჩამოდიან ფოთლები ღვარად...
ქრებიან, მაგრამ, რა რჩება უკან,
ო, ვარდფურცლობის
ნანატრი ხანა!..
მის დავიწყება არავის ძალუძს,
მე იმ დღეების ო, ახლაც ტყვე ვარ!..
ვისმენ სიმების სევდიან წკარუნს,
და მესმის ქარში
რტოების მსხვრევა!..

27.09.11
მოსკოვი

## პეპლების ტირილი

გავცქერ მინდორზე პეპლების ფარფატს,
თუმც ფრთების გაშლა – საოცრად უჭირთ!
ისინი ცოტას ცოცხლობენ, მაგრამ
ნურვის ჰგონია
რომ იყოს ფუჭი!..

მათ უყვართ მზე და ბალახზე ნამი
და ყვავილები ნუშის და ტყემლის!
როს განშორების მოდგება ჟამი,
დაეკიდებათ ღაწვებზე ცრემლი!..

24.10.11
თბილისი

# მოგონება

შენს ნატერფალს დავდივარ და ვეძებ,
მაგრამ იგი ვერ ვიპოვე, დაო!
იმ ყვავილნარს დაეუფლა ძეძვი,
მოგონება ჟამთან
ისევ დაობს!
იქ ხომ შენი სილამაზე ენთო –
გვირილების, ენძელების სახით!
ასე რატომ გამიხუნე, ღმერთო,
ეს ზღაპრული
მინდორი და ბაღი?!

19.11.12
ბანძა

## ᲐᲞᲠᲘᲚᲘᲡ ᲛᲖᲔ

ოთახს მივსებს კვლავ სხივები ცისკრის
და რტოებზე მიშრიალებს ქარი...
ჩემს ძარღვებში, ისევ, ფეთქავს სისხლი
და მეძახის აპრილის
მზე გარეთ!..
ბეღურები ჟივჟივებენ მინდვრად
და ბულბული გალობს ატმის რტოზე,
ჩიტუნებო, თქვენთან ყოფნა მინდა, –
თქვენს ჩანგის ხმას
ბევრჯერ ვემარტოვე!..
ამ გულისთქმას სიყვარულით გიმხელთ,
ეჰ, რამდენჯერ ცრემლი მომეძალა!
ჩუმი სევდა სულის სიმებს მირხევს,
და მომინდა თქვენთან
დავრჩე მარად!..

17.04.12
ბანძა

## შეველი ბაღში

შევედი ბაღში, ფოთოლცვენის იდგა რიალი,
იმზირებოდა ცა შორიდან
სევდანასვამი...
მიმოვდიოდი ხეივანში თვალცრემლიანი,
რუხი ღრუბლები მიდიოდნენ
ფრთების სავსავით...
ისხდნენ ჩიტები მოწყენილი გაძარცულ რტოზე,
ფოთლებდაფენილ ხეივანში
სიკვდილი იწვა...
და მე მდუმარედ ჩამოვჯექი ხის ბებერ მორზე,
და ნაღვლიანი გამოხედვა
ეფინა წიწვნარს!..

26.10.12
ვერის ბაღი

## შენ მაგონდები, დედა!

მივსდევ ბილიკებს ვიწროს და მაგონდები, დედა!
ხმა გაბზარული სევდით,
რამ უნდა დამავიწყოს?!
ტყის პირს ირხევა ნისლი, მზე შემოდგომის ფეთქავს,
მესმის შრიალი მისი,
შენ მაგონდები, დედა!
ჭის ოწინარი თეთრი, ისევ მდუმარებს, ვხედავ,
წყარო, ცას ისევ შესტრფის,
მუხა ქარს უტევს მედგრად!..
წავიდა ო, ის ჟამი ჩუმი თამაშით ფერთა,
შენ მთვარიანში ჩვენზე, რომ
ლოცულობდი, დედა!..
ო, როგორ მახსოვს შენი, – ის ბოლო გამოხედვა!
მერე, უეცრად დაგვშორდი
და გადაცურე ლეთა!..

17.10.12
ბანძა

## მომეფერე, შემოდგომის მზეო!

მომეფერე, შემოდგომის მზეო,
          მომაშორე მკრთალი ჩრდილი ხეთა!
მომეფერე, შემოდგომის მზეო,
სანამ გული
სიყვრულით ფეთქავს!..
მომეფერე, შემოდგომის მზეო,
          დამიბრუნე ცა მაისის სუფთა!.
მომეფერე, შემოდგომის მზეო,
მომაღვარე
ლაჟვარდების სუნთქვა!..
მომეფერე, შემოდგომის მზეო,
          აგერ, ჩემი ნაკადულიც მორბის...
მომეფერე შემოდგომის მზეო,
დამიბრუნე,
სილამაზე ყრმობის.

24.10.12
ბანძა

## ჩემო ლიანა!

ო, ის დღეები გაქრა უკვე, – არაფერს ნიშნავს
და მიილია სამუდამოდ,
ჩემო ლიანა!
მწვანე ნაპირზე დარჩა, მხოლოდ, ფერმკრთალი ქვიშა
და, ის ყვავილი
უიმედოდ თვალცრემლიანი!..
ო, ეს ტკივილი უსაშველო! – საიდან მოდის?
შეხედე, მინდვრის სილამაზეს
ქარით გათელილს!
ვის ვუცდით, ნეტავ, როცა აზრი არა აქვს ლოდინს,
და სამუდამოდ ჩაქრა
ო, ის წყვილი სანთელი!

25.10.11
თბილისი

## არ წყდება!

არ წყდება ქარის ზუზუნი, სტვენა
ამ გვიან ღამით ქუჩებში ზამთრის...
მთაწმინდის მთვარე საოცრად ღელავს
და მტკვარი კლდეებს
ეხლება ზავთით!..
შორს, მიცურავენ ფთილები ღრუბლის,
ცა მიცქერს ცრემლით სავსე თვალებით!..
დრო მიქრის, როგორც რაში უბელო,
და მოჩანს სივრცე
ფერნამკრთალები...

27.12.11
თბილისი

## დრო

ამაზე ურჩი თავნება, მე არაფერი ვიცი,
ის არც მზეს ინდობს, არც მთვარეს,
არც ვარსკვლავების ციმიცმს!
მთელი სამყარო ცახცახებს, მის მღვრიეფრთებქვეშ შიშით,
ის ზღვას და ხმელეთს აერთებს
და ოკეანეს ქვიშის!..
დასაბამიდან მიწაზე თემურ-ლენგივით დაძრწის,
ხან ანგრევს, ხანაც აშენებს,
ხანაც სისხლისზღვად აწვიმს!..
მას მუდამ მიეჩქარება, საით, არავინ იცის,
ის არც მზეს ინდობს, არც მთვარეს,
არც ვარსკვლავების ციმციმს!..

26.04.11
მოსკოვი

## ვდგავარ ბაღის კართან

ჩემს გულისთქმას ვერაფერი შველის,
ჩიტუნებო, თქვენი ჩანგის გარდა!
სად გამექცა ჩემი ყრმობის შველი
და უჩუმრად ვდგავარ
ბაღის კართან!..
დრო ძველი გზით მიდის, არსად უხვევს,
მინდორს მწვანე გაუშლია კალთა!..
წყაროც გარბის, სადღაც, მიჩუხჩუხებს
და ირხევა
გაზაფხულის ფარდა!..

21.04.12
ბანძა

## გული ისევ ხვნეშის!

მახსოვს, ტყის პირს ვსეირნობდით, ლელა!
და უეცრად წამოვიდა კოხი...
ლერწმის ტანი ამიკვნესა ქერა
და ცას მიწა
შეეგება ოხვრით!..
და მინდორი გაგვითეთრდა მწვანე,
ხოშკაკალა გვადნებოდა ხელში,
ყვავილნარიც აგვიტირა მწარედ
და ღრუბლები
მოცურავდა მრეში...
შენ გიხსენებ... გული ისევ ხვნეშის,
დავიწყებას მას ვერ მიაკარებ!
ქარს ხმაურით გადაჰქონდა ნეშო,
დრო რეკავდა
შემოდგომის ზარებს!..

29.10.12
ბანძა

# ᲘᲓᲒᲐ ᲤᲝᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲬᲧᲔᲠᲘ!..

გუშინ ჩემს ბაღში შევედი, – არსად ჩიტების სტვენა,
გუშინ ჩემს ბაღში შევედი
და იდგა ფოთოლცვენა...
ხელდაკრეფილი ვუსმენდი წყაროსთან ნისლის შიშინს
და ქრუანტელი მივლიდა
ფერიცვალების შიშით!..
იდგა ფოთლების მეწყერი... ოხვრა აღმოხდა ასკილს,
კრთოდა ცისფერი ყვავილი
ყელზე ცრემლების ნასკვით!..

04.10.11
ბანძა

## კვლავ ვიხსენებ!

მენატრება ო, ის ზღვა და სანაპირო,
ყრმობის წლები
მე აქ გავატარე!..
ცას და მიწას ვუსრულებდი დანაპირებს,
ზღვის სტიქიონს
ღელვაც გავატანე...
კვლავ ვიხსენებ იმ ბილიკებს, გზებს და შარას,
თუმცა, ჟამმა
დამილეწა ფრთები!
ყრმობის ხიდი ზღვაში ჩაიშალა
და ქვითინი
მიკლებს ტირიფების!..

17.11.12
თბილისი

## სოხუმი

ისევ ბობოქრობს ზღვა ამღვრეული,
ეხეთქებიან ჯებირს ზვირთები!..
ტანჯული, როგორც ქრისტეს სხეული,
დგახარ და კივი
განაფითრები!..
ისევ მოიწევს ძალა ვერაგი,
გვიმზერს თვალები დაუნდობელი!..
გაჟღენთილი გაქვს სისხლით პერანგი
და კვლავ უკუღმა
ბრუნავს სოფელი!..

26.10.12
თბილისი

## სიო გირხევდა დალალებს

შენი თვალების სინაზე აღარ მშორდება, მერი!
ო, ის დღეები, მახსოვს,
შენი ღიმილის ფერი!
ვარდ-ყვავილები, ძვირფასო, გიწვევდნენ საალერსოდ
და შენი ტრფობა ერთბაშად,
გულში რად ჩამეფესვა?!
ბუნების ფერიცვალება მაკრთობდა, მერე როგორ!
და ბაეები მხურვალე,
რამ დამავიწყოს, გოგო?!
დალალებს სიო გირხევდა, ვთრთოდით ზღვა სიხარულით,
შენ იყავ ყრმობის ზღაპარი
და აღმაფრენა სულის!..

16.10.12
თბილისი

## რა გემართება?!

ჟამი განგაშით მიემართება და, თან ყველაფერს ცვლის,
გულო, მითხარი რა გემართება,
მინდვრებს გავცქერი ცივს!..
ეს ღელე მიდის, სადღაც, შორეთში, მერე დაკარგავს კვალს,
არავინ უწყის ამ სამზეოზე,
თუ რა იქნება ხვალ!
უხმოდ მორჩილებს ფერიცვალებას ო, ეს მიწა და ცა,
სადმე გაქრება უმისამართოდ
მზე და პლანეტა ცხრა...
აქ ყველაფერი იცვლის ხატებას, – მუხაც და ატმის რტოც,
მერე ქცეული ნამსხვრევ-ნამსხვრევად
რღვევით გაჰყვება დროს!..

18.10.12
თბილისი

## ზღვას

მე მესმის ხშირად სიშორიდან შენი ძახილი,
ზღვაო მღელვარევ, სილაჟვარდევ
ჩემი დღეების!
და იცრემლება ჩამავალი მზე გადაღლილი,
გზაჯვარედინზე ვდგავარ
კაცი განახელები!..
იკლებს სივრცეებს უნაპირო შენი ზღვაური,
ოლეანდრების და პალმების
შრიალი მიწვევს!..
შენ ძველ ნაპირებს კვლავ აწყდები აურზაურით
და კოშმარული ზმანებებით
ივსება სივრცე!..

10.10.12
თბილისი

## მზე მიირხევა ფერმკრთალი...

ჩემს ალვებს ვეღარ ვივიწყებ, მათი შრიალი მესმის,
ისევ იქითკენ მივიწევ,
თუმც გული მწარედ კვნესის!..
მზე მიიწურა ზაფხულის, შემოდგომის მზეც ილევა,
ცა ნაღვლიანი მახურავს,
ალბათ, ხვალ გადაირევა!..
ღელე კვლავ მიედინება და ის ძველ ხმაზე დუდუნებს,
კვლავ მექცა ჟამი დილემად,
და დაემსგავსა უკუნეთს!
მზე მიირხევა ფერმკრთალი, გზას ვერ პოულობს ღრუბლებში
და ჩიტბატონა ქვითინებს,
ვერ უპოვია ნეგეში.

12.10.12
თბილისი

## მცხეთის ზარები

მცხეთის ზარების მწუხრის ხმა ისმის
და ამიზვირთდა გული მგზნებარი!..
ო, შენ ღრუბელო, ჩემს მზეს მაისის,
ასე რისხვად,
რად გადაეფარე?!
გავცქერ არმაზის მთვარეს სევდიანს,
ცაზე გამოჭრილს რომ ჰგავს ობელისკს!
ჩემი მამულის, ნუთუ ხვედრია,
რომ უტევს
ჟამი დაუნდობელი?!

04.06.10
თბილისი

## მეგობრობის სამკუთხედი

ჩემი ბიჭები გაწვნენ. გაფრენილ დღეებს ვნატრობ,
ო, რა სიმძიმე მაწევს,
დავხეტიალობ მარტო!..
სულში ტკივილი იჭრება, ჩემ წინ საღამო წვება,
მე თქვენს სახელებს, ბიჭებო,
ვერ მივცემ დავიწყებას!
დრომ სამკუთხედი დაშალა და ვიმზირები იქით,
ჩამოდის ფიფქთა ლაშქარი,
ირხევა ხეთა რიგი...
იგალობა და, გაფრინდა ო, ჩიტი ჩვენი ყრმობის,
მე კი ვიხსენებ იმ დღეებს და
გზას გავცქერი ყოფილს!..
ძველ ხეივანში დავდივარ, გაფრენილ დღეებს ვნატრობ,
ო, რა სიმძიმე მაწევს,
მოხეტიალეს მარტო!..

10.11.10
მოსკოვი

## წუთისოფელი

ო, რა ულმობლად ბრუნავს სოფელი,
მას შეაჩერებს ქვეყნად ვერავინ!
და მის ესოდენ დაუნდობლობას,
ვერ შველის ნიჩბის
მოსმა მენავის.
ის სიშორეში ხმაურით მიდის
და უმკლავდება ქარებს მობერილს!
მხარზე ვეება ჰკიდია ტვირთი
და მზერა უჩანს
დაუნდობელი!

12.12.12
თბილისი

## რა შემზარავად კივიან!..

ჩრდილოეთიდან მოვარდნენ, ისევ ტრამალის ქარები,
თქვენ სხვანაირად ფიქრობთ და
სულ სხვა ხმაზე ლოცულობთ!..
ჩემი ქვეყანა ტანჯული, საითკენ მიემართება,
ვდგავარ უზომოდ დაღლილი
და სევდით გარემოცული!
ჩემს მთა-ბარს ფერი ეცვალა, მოძალებია ნაღველი
და მას ესოდენ ნაწამებს,
უჭირს ტკივილის ტარება!
სხეული ერთობ მერღვევა, – ამდენი ტანჯვის მნახველი,
რა შემზარავად კივიან
მცხეთას და გელათს ზარები?!

12.10.12
თბილისი

# სარკმელს ცისკარი მოაწვა

სარკმელს ცისკარი მოაწვა და სულს იმედი მოჰფინა,
სარკმელს ცისკარი მოადგა
და ლექსი მაამბობინა!
სარკმელს ცისკარი მოაწვა და გედის ფრთები არხია,
სარკმელს ცისკარი მოაწვა
და ღამე შემომახია!..
სარკმელს ცისკარი მოადგა და შუქი უხვად მათოვა,
სარკმელს ცისკარი მოადგა
და ღამე გაამათხოვრა!

17.02.13
თბილისი

## წუთისოფლის კარუსელი

მახსენდება სტუდენტობის წლები,
შენი კაბა ბროწეულის ფერი!..
არ ნებდება ღელვა დავიწყებას
და ის ჟამი
ვნებით სავსე, მერი!
სიყვარული გამოვისხი ფრთებად,
თუმცა უკვე აღარავინ მელის!
სული, ისევ მოგონებით თბება
და ცხრა მინდორს
გადავსერავ, ფრენით...
ვიცი, იმ წლებს ვეღარ დავიბრუნებ
და ვერც იმ თმებს შემოვიხვევ ვნებით!..
წუთისოფლის კარუსელი ბრუნავს,
ხელმეორედ ვეღარ
ავინთები!
ჩაქრა ო, ის მეწამული სხივი
და მზის ჩასვლის მელოდიებს ვმღერი!..
დამიწყვიტა ჟამმა ყველა სიმი,
შერჩა ხსოვნას
ბროწეულისფერი!..

08.02.13
თბილისი

## ისევ იძახის – „ტიას!“

„ვა, სოფელო რაშიგან ხარ,
რას გვაბრუნებ, რა გზნე გჭირსა!“
შოთა რუსთაველი

მე სიკვდილს სამჯერ გადვურჩი, თითქმის ასპროცენტიანს,
არ ვიცი თუ რა დავარქვა, –
ამ წუთისოფლის ტრიალს!..
დანაღმულ გზებზე დავდივარ, სადაც ქარი ქრის ურჩი,
ხან ერთიანად დარდი ვარ,
ხან ნაზამთრალი ბუჩქი!
ხან ღვარებს ვერწყმი ფერების, ხან სიფერმკრთალეს ჟამის
და მომსდევს ჭექა-ქუხილით
ბედის ღრუბელი შავი...
რა ვუთხრა ასეთ განაჩენს, და ამგვარ ორომტრიალს?
თუმც, გაზაფხულის ჩიტუნა,
ისევ იძახის – „ტიას!“

06.03.13
თბილისი

## სასაფლაოზე

„მე კი ვფარავ, მაგრამ ჩემი
სატკივარი არა ჰფარავს!“
დ. გურამიშვილი

აქ განისვენებს: ნოდარი, თეა, იქ კი – გელა და ნათია!
ისევ მოვიდა მაისი, ცას გავცქერ
კალთამადლიანს.
ის ჟამი სწორუპოვარი ჩვენ სიყვარულით გავლიეთ,
გვსდევდა კვალდაკვალ მსტოვარი,
მაინც ვილხინეთ, დავლიეთ!..
მიგყვებათ დარდი ულევი, აქ დიდხანს დგომა მომინდა,
და მომაქვს თაიგულები, რასაც
ველოდი, მოვიდა!..
დუმილს არა ვარ ნაჩვევი, ვდგავარ და სევდა მერევა,
რა ვუყო დღეებს დარჩენილს,
როდესაც ცრემლის ღელე ვარ!..

01.03.13
თბილისი

## თქვენ მომძახოდით

მიჭირს სხეულის ტარება, ცხოვრება ისევ მიღრღნის,
სად გაქრა ის ნეტარება,
სულის, რომ სწვდება სიღრმეს!
ხან მზე მარხევდა აპრილის, ხან მთვარე სანაქებო
და ყმაწვილს მზისკენ გაფრენილს
თქვენ მომძახოდით, მთებო!..
დასრულდა ო, ის ზღაპარი და ჟამი საოცნებო,
ჩამიქრა სულის ლამპარი,
უკვე სიბნელე მეფობს!..

04.03.13

თბილისი

# ბევრი ვეომე

მივდივარ შენაშფოთები და ლექსებს ვამბობ ნაღვლიანს
და ქარმა ხმელი ფოთლები
ზედ თავზე გადამახია!
მივალ ბედისგან დასჯილი, გული ვერ უძლებს წამებას,
დრო მიტევს, ისევ ქაჯივით
და ღამე მომესალმება!
მე არ ვყოფილვარ ორგული, მხოლოდ სიყვარულს ვემონე,
ბევრი ვეომე, და მაინც
ვერ გავუმკლავდი დემონებს!

12.04.13

თბილისი

## მერცხლებს

თქვენი ჭიკჭიკი არ ისმის ჯერაც,
ცა თუმცა ზამთრის სამოსელს იცვლის!
მე თქვენი მოსვლის უთუოდ მჯერა
და ვუსმენ მინდვრად
ყვავილთა სიცილს!..
ცა არხევს აფრებს აპრილის ფერად
და გული, ისევ ჰპოულობს შვებას!
საიდან მოდის ეს აღმაფრენა,
რომ გაზაფხულმა
მოისხა ფრთებად!..

07.04.13
თბილისი

## ზღვასთან

აქ სიჩუმეა ახლა და ფოთოლცვენის ჩქამი,
აქ სიჩუმეა ახლა და
შემოდგომის ჟამი!..
აქ სიჩუმეა ახლა და ზღვა ირწევა ლურჯი,
აქ სიჩუმეა ახლა
და სულს საოცრად უჭირს!..
აქ სიჩუმეა ახლა და ხე ირხევა ალვის,
აქ სიჩუმეა ახლა,
ცვივა ფოთოლი ქარვის...
აქ სიჩუმეა ახლა და მზე დაისის ღუის,
აქ სიჩუმეა, მხოლოდ –
ხმა ისმის მოლაღურის!..
აქ სიჩუმეა ახლა, ბალახს ედება თრთვილი,
აქ სიჩუმეა ახლა,
მოდის სურნელი თივის...
აქ სიჩუმეა ახლა, ნისლი ქანაობს ზღვაზე,
ფერიცვალებას მიაქვს
ზღაპრული სილამაზე!..

13.06.23
ბათუმი

## უგალობე ფერიების მოსვლას!

ვარდფურცლობას უგალობე, ჩიტო,
თორემ ჟამი უიმედოდ მიდის!..
ვარდფურცლობას უგალობე, ჩიტო,
გამიფანტე
წუთისოფლის ბინდი!..
უგალობე ფერიების მოსვლას,
ფერთა თამაშს, ყოვლისშემძლე ეროსს!
უგალობე გაზაფხულის მოსვლას,
სევდამ გული, რომ
არ დაგვიბეროს!

06.04.13
თბილისი

## ვარდების წვიმაში...

ეგვიპტის დედოფალ კლეოპატრას
უყვარდა ნილოსზე ნავით სეირნობა
ვარდების წვიმაში.

ვარდების წვიმაში წყალზე, შენ დაცურავდი ნავით,
დღე არ გიყვარდა უქარო,
იალქნებს რომ ვერ ჭიმავს!
უსმენდი ქალი შორიდან, მხოლოდ ლომების ბღავილს,
ის ნავიც გაქრა უკვალოდ
და იმ ვარდების წვიმაც!..
მიდის გულცივად მდინარე, ნისლის ბლონდები აწევს,
მიედინება შორეთში... უკვე
ცივი და მკრთალი...
მხოლოდ ნაპირებს მთვლემარეს ცრემლი უსველებს ღაწვებს,
რომ იმ ლამაზი დღეების
არ ჩანს მცირედი კვალიც!

27.01.13
თბილისი

## მაიკო ორბელიანს

„შენ გაზრდას, მაიკო!“
ნ. ბარათაშვილი

შენ ირხეოდი გაზაფხულზე, როგორც რტო ნუშის,
ო, ღვთაებრივი სიელვარით,
ჩემო მაიკო!
მაგრამ ჭრილობა უკურნავი შემოგრჩა გულში
და შენი სულის სილამაზე,
სადღაც წაიღო!..
ამ სამზეოზე ყველაფერი მოდის დროებით,
შენი თვალების სილაჟვარდე
წამით აინთო!
შემორჩი ნაპირს უნაყოფოს განმარტოებით,
დროის კლანჭებმა ულმობელმა, –
არც შენ დაგინდო!
დრო იმ საოცარ ნაფეხურებს ვერასდროს წაშლის
და მტკვარი, ისევ
ძველებურად მიედინება...
პოეტი შენთან ჰპოულობდა სულიერ კავშირს,
როცა ცხოვრება საუკუნოდ
ექცა დილემად!..

მტკვრის პირას ახლაც მეჩვენება შენი ხატება,
მთაწმინდის მთვარე
                    სიყვარულით შეგხსნის საყელოს!
შენ აქ მოდიხარ, როცა ტატო მოგენატრება,
რომ ამ გენიას
სატკივარი გაუნახევრო!..

04.10.09
თბილისი

## საუბარი ყვავილებთან

„სამარეს ჩემსა როს გარს ნისლი მოეცვას,
იგიცა შესწიროს ციაგმან ლურჯსა ცას!..“
**ნ. ბარათაშვილი**

თქვენი ეშხით გამახარეთ, დღენი გამიხანგრძლივეთ,
როცა მოვკვდე, დამაღვარეთ,
თქვენი ცრემლით მაწვიმეთ!..
თქვენს მკლავებზე, დამაძინეთ, არ შემხედოთ ირიბად!
თქვენი თრთოლვით გამაცილეთ
ამ პატარა ბინიდან!..
იმ ასულის ქორფა თვალებს და თქვენს ალერსს მივენდე,
უკანასკნელ გზაზე თქვენი
ცრემლიც დამაიმედებს!..
ცისფერ ნისლთან დამაწყვილეთ, სული ცისკენ მიიწევს,
თქვენს კალთაში დამაწვინეთ
და ნუ გადამივიწყებთ!..
რომ ვფანტავდით გრძნობას ულევს, ის დღეები წავიდა!..
ჩემს საფლავთან იჩურჩულეთ,
სხვა სამოთხე არ მინდა!..

17.05.90
სოხუმი

## მშვიდობით, მერი!

ამ ბულბულის ხმას აწი უკვე ველარ მოვისმენთ,
ვერც აყვავებულ ბაღებს ვნახავთ,
ასე სანუკვარს!
შემოღამება შემოდგომის ბინდებს მოგვისევს
და გაზაფხული იმავ ხმაზე
ველარ დაუკრავს!..
და მთვარიანში ვერც ტირიფებს  ავეფარებით,
ვერც  სიმთა წკარუნს
უჩვეულოს მივაყურადებთ...
ვერც ვარსკვლავები შემოგვხედავს მწვანე თვალებით,
მშვიდობით, მერი,
ხელმეორე გაზაფხულამდე!..

20.06.81
სოხუმი

## იმ დღეთა გამო...

შევედი ბაღში და ხეები შემოგვხვდნენ თრთოლვით,
რტოები ოდნავ ირხეოდნენ
ყვავილთა თოვლით...
წამწამებს ცრემლი მისველებდა იმ დღეთა გამო,
ბაღი იცვამდა გაზაფხულის
ხასხასა სამოსს...
ჩემი ბავშვობა კარგად ახსოვს აქ ყოველ კუნჭულს,
დავდივარ ჩუმად, თითქოს, ვისმენ
შორეულ ჩურჩულს!..
იდუმალია კავშირები სულთა ერთობის,
გახსოვს ხავერდი გადვირბინეთ
ღელვით ფერდობის...
ცას კი ხატავდა გაზაფხულის მზე აკვარელით,
შენი თვალები იყო
თბილი და საყვარელი!
მზე აქ მივსებდა შინდისფერით ქათქათა თასებს...
და მის ჩასვლისას აქ შევხვდები
ტკივილით სავსე!..

14.04.2004
ბანძა

## მოცეკვავე გედი

ნინო ანანიაშვილს

ეამაყები სამშობლოს, მუდამ საქმით და ნიჭით,
შენს სიყვარულში მისდამი
არ გვეპარება იჭვი!
ისე ანთიხარ სცენაზე, როგორც კოცონი თეთრი
და სალოცავი ხატი ხარ
შენი სამშობლო-დედის!..
ნიჭი ხარ უზენაესი და სინარნარით სავსე,
შენით ხარობენ მთიები
საგანთიადო ცაზე!..
დიდი რუსთველის გორის ხარ, ქალი ამაყი გვარის!
თეთრი გედივით მფეთქავი
და ცეკვის ჯადოქარი!..

09.12.2000
მოსკოვი

## არ გაიკარო ნაღველი

იმ ნაფეხურებს გაჰყევი გამარჯვებულის დარად,
არ გაიკარო ნაღველი,
გქონდეს სიმხნევე ფარად!
იმ ნაფეხურებს გაჰყევი, არ გადუხვიო არსად,
ქარში გაიხსენ საყელო,
ვინმე, იმ მოყმის მსგავსად!
ვინც ხალიბური დალეწა ვეფხვს რომ ეკვეთა მედგრად,
ველზე თვითონაც დაეცა,
ვეფხვსაც უტირა დედა!

15.08.98
მოსკოვი

## შემოვრჩი მწუხრის ტრამალს

ვერ დავამშვიდე სული და ვერც სიმები ჩანგის,
წავიდა ჩემი სამი დრო და
გულზე გამკრა ჭანგი!
ვერ დავამშვიდე სული, სიმს ვერ შევძინე სხივი
და ჩემს გაძარცულ რტოზე
ზამთრის ჩიტუნა წივის!..

ვერ დავამშვიდე სული, ვისმენ ზარების კივილს,
ეს ხომ ტანჯვაა სრული,
რომ ვერ ვიშორებ ტკივილს!
მოღელავს დროის მდინარე და შორს ხმაურით მიდის,
და დასახევი უკან
ჩამიტყდა ყველა ხიდი!..
რამხელა სევდა დამაქვს, ზამთრის ქარები ქრიან,
ქვეყანად წამებას ამგვარს, –
ჩემი ცხოვრება ჰქვია!..

10.12.98
მოსკოვი

***

კვლავ ვღელავ მე შენს წინაშე, ოცნების რტო ვერ აყვავდა,
ცხოვრების ორომტრიალში,
                                        უეცრად შემომაღამდა!..
ვეღარ გავკაფე სავალი, ვერც ის ვარსკვლავი ვიხილე,
სადღაც თეთრონი ჭიხვინებს
და კივის ქარი ტრამალის!..

19.08.87
ბანძა

## ტოტებდახრილი

ვიდექი დიდხანს კუთხეში ბაღის
და ვიხსენებდი დღეებს გაფრენილს...
ჟამით მოქანცულს და ფიქრით დაღლილს,
ცა დამცქეროდა
ლურჯადნაფერი...

ვაყურადებდი ყვავილთა ჩურჩულს,
შორს, გამირბოდა მზერა მახვილი...
შემოღამების ცა იყო ლურჯი
და ვარსკვლავებით
ტოტებდახრილი...

24.03.11
მოსკოვი

## ჟამი მიდის

მე შორიდან კვლავ შენი ხმა მესმის,
ის დღეები, სადღაც მიაქვს ნიავს...
ჰა, საცაა ჟამი ისარს მესვრის
და მომარტყამს
ქერუბიმისფრთიანს!
ჟამი მიდის, რტოზე ჩიტი კვნესის
და გავცქერი ფოთოლცვენის რიალს...
მე შორიდან კვლავ შენი ხმა მესმის
და ცრემლს ვაღვრი
წუთისოფლის ტრიალს!..

17.10.11
თბილისი

# დედა

*აფხაზეთში დაღუპული*
*ოთხი შვილის დედას*

ო, ასე რატომ გისველდება ცრემლით ღაწვები,
ვინ დაგამდურა ამ ქვეყანას,
ღმერთის გაჩენილს?
შემოღამების, ისევ გიხმობს სევდა ნაძვების
და მთვარიანში მიირხევა
შენი აჩრდილი...
შენ უმღეროდი დასაბამით სიცოცხლეს „ნანას“,
ხარობდა გული მხოლოდ
მზის და მთვარის ნათებით!..
წაგართვა ოთხი სიყვარული ტყვიამ და დანამ,
უმისამართოდ მიხვალ,
სადღაც, მიილანდები!..

23.03.11
მოსკოვი

## მოზღვავდა ფერი ყვითელი...

ქარი კვლავ ღრუბლებს მიდენის,
მე ვდგავარ ჭიშკრის ზღურბლთან.
მოზღვავდა ფერი ყვითელი,
ცა გაქრა,
უკვე სუფთა...
მთა-ბარს კვლავ ფერი ეცვალა
წყარო შუქს ვეღარ იწოვს,
ქარმა ნიავი შესცვალა,
რომ ის დრო დაგვავიწყოს!

12.10.12
ბანძა

## ისევ მოზღვავდნენ ღრუბლები

სურთ დაგიმსხვრიონ მამულო, ბურჯები მტკიცედ ნაგები,
ნახე, მზე როგორ ცივდება,
ცვივა ფოთლების ლაშქარი...
სად გაქრა ზეცის სილურჯე ო, გუშინ, ასე ნაქები,
რატომ მოაწყდა ჩემ მინდვრებს
ქარი ურჩი და აშარი?!
რატომ მოჯარდნენ ღრუბლები ამ ჩემი ზეცის თავანზე,
უღელტეხილზე ნისლები,
ისევ გადმოსვლას აპირებს!..
მღვრიე დღეების სიმრავლე, ისევ ტკივილებს დამასევს
და სადმე, კლდეთა ბილიკზე
კვლავ სევდა გამინაპირებს...

11.10.92
თბილისი

## ზეიმობს ჩემი მამული!..

შენ, ნაზამთრალო ჩიტუნავ, რატომ არ მეპასუხები,
ფერებით შემოჩითულა
ჩემი ბავშვობის მინდვრები...
აპრილის ქარში ბექობზე, კვლავ შრიალებენ მუხები
და ყვავილებში დილის მზე
რა აღტაცებით ინთება!..
ისევ მიხმობენ შორიდან ჩემი ალვები შრიალა
და, ეს ფეხმარდი ბინული
მიდის ტალღების რიალით...
ცა რა სინაზით იღვრება და ქარი იქცა ნიავად,
ზეიმობს ჩემი მამული
ბევრჯერ ქცეული იავარ!...

13.04.12
ბანძა

## გაძარცულ რტოზე

გაძარცულ რტოზე ზის ჩიტუნა ნაფერმკრთალები,
ვის ელოდება, რას განიცდის,
                    არავინ უწყის!
გასცქერის სივრცეს ცრემლიანი მღვრიე თვალებით,
დღეს კი თებერვლის თორმეტია,
სხივებით ძუნწი!
ის დროის ათვლას ინსტინქტით ცდილობს,
უცხოა მისთვის – ჩვენეული
                    სისტემის არსი.
აჰა, ღამდება და ირხევა ნისლების რიდე
და ღრუბლის მორევს ფანტელებით
სავსე  აქვს კალთა...
საით გაფრინდეს, ვის ეახლოს? – ივსება სევდით,
ქარი ქრის ცივი და არ ხედავს
                    გარშემო მშველელს!
კვლავ ირევიან ხეივანში ფიფქები თეთრი,
და მიირხევა სიშორეში
ფერმკრთალი ღელე...

06.02.12
თბილისი

## გაზაფხულის მოლოდინში

მე გავცქერი მინდვრებსა და ხეივნებს
          და სიხარულს აღარა აქვს ზღვარი...
გაზაფხული, ისევ, მოდის ზეიმით
და შრიალებს
სააპრილო ქარი!
მოდი, მერი, ისევ გავისეირნოთ,
          მოვიგონოთ გარდასული ჟამი!..
კვლავ გავუყვეთ ყვავილების ხეივანს
და თეთრ ლანდებს
შევერიოთ ღამის...

05.04.12
თბილისი

## რა მოგაგონდა?

ჩვენ გავიხადეთ ზამთრის თბილი სამოსი ტანზე
და გაზაფხულის მოხასხასე
პერანგებს ვიცვამთ.
რა მოგაგონდა, სულო, მითხარ, ატირდი რაზე,
რა მოგაგონა ო, ასეთი
შორეულ რიცხვმა?!
რად დაგისველა უჩვეულოდ, თვალები ცრემლმა,
რად განარიდე მზერა, ერთობ,
ზეცას იღბლიანს?
რამ აგიჩქარა, საყვარელო, ეს გულის ცემა,
რატომ აკვნესდა გაზაფხულის
რტოზე ნიბლია?!

12.03.13
თბილისი

## მარი

ეს დღეები ასე, ნეტავ, საით ილტვის?!
რტოზე ზის და წივის
ზამთრის თეთრი ჩიტი!..
მოდის თოვლი უხვად და ეღვრება მინდორს...
სული მუდამ შენზე
მოგონებას ათხოვს!..
დეკემბერი გაქრა, იანვარიც მიდის,
თოვლმა გადაფარა
მინდორი და ხიდი!..
ჩემს წინ გაძარცული ხე ქანაობს შინდის...
რტოზე ზის  და წივის
ზამთრის თეთრი ჩიტი!

15.01.93
ბანძა

## მთვარე

ასე, ეს ვინ შეგაყვარა მთვარე
და მაისის ხეივანი ლურჯი!
ვარსკვლავები ცაზე მოელვარე,
მოგონებას ვეღარ
გადავურჩი!
ხსოვნას დღეთა ვეღარ განვერიდე,
ვერც წყლის პირას ჩამწკრივებულ ალვებს...
ბევრჯერ მთვარის შევარხიე რიდე
და არშიად
ლექსი შემოვავლე...
მე კი წავალ შორეული გზებით
მაგრამ სული დაბრუნდება ბევრჯერ!
მოგონების შემესხმება ფრთები,
რომ ხეივანს
სიყვარულის შევრჩე!..

15.05.11
ბანძა

## ქამი უკუღმა ტრიალებს

ისევ, გაზაფხულს მოველი და ისიც აღარ აყოვნებს,
მოვა და ამბავს მოვუთხრობ,
ვაჩვენებ მინდვრებს საყორნეს!
როგორ მოშალეს ქარებმა ბაღ-ვენახების სავანე,
აყვავებული მიდვრები
ერთბაშად გაატრამალეს...
ზამთრის ყინვა და ქარბუქი, შეხედე, როგორ მძვინვარებს,
ვერ გადაურჩნენ შეტევას
იალბუზიც და მყინვარიც!
აღარ დაინდეს ქარებმა, მოსრეს და გაატიალეს
და შიშით ზამთრის დღეების
ქამი უკუღმა ტრიალებს!..

18.02.13
თბილისი

## მოვიდა ჩემი ბავშვობის ნატვრა!

კვლავ სუსხიანი ქარი ქრის მარტის,
          თოვლს იფერთხავენ ხეები ტანზე...
მოვიდა ჩემი ბავშვობის ნატვრა,
რას დამჩხავიან
ყვავები თავზე?!
ზვირთები, ისევ მიდიან ზავთით,
          ვდგავარ ღელის პირს სიახლის მაცნე!
ტყე იხდის ტანზე სამოსელს ზამთრის
და უჩვეულო
სილურჯეს მაცმევს!..

02.03.13
ბანძა

## იმ ბაღში არც კი შევდივარ!

იმ ბაღში არც კი შევდივარ, როცა ვეწვევი სოფელს,
იმ ბაღში არც კი შევდივარ, რადგან სულს
სევდას მოჰფენს!
იმ ბაღში არც კი შევდივარ, ხსოვნა ამიკლებს, ვიცი!
იმ ბაღში არც კი შევდივარ,
თუმც იქ არავინ მიცდის!
იმ ბაღში არც კი შევდივარ, დგანან ხეები მკრთალი...
არ მინდა ვნახო უშენოდ
ო, ის ბილიკი მთვარის!
იმ ბაღში არც კი შევდივარ, თუმც გულს რამდენი უჭირს!
იმ ბაღში არც კი შევდივარ,
დრო შემრჩა მხოლოდ ურჩი!..

12.04.12
ბანძა

## ფერიცვალების ველი

ფერიცვალების ველზე ვდგავარ, სად ყველაფერი
იცრემლება და იცვლის
ფერებს დაუსაბამოდ...
შეხედე, ბაღში შემოდგომის ნიავი მღერის,
გვიახლოვდება, მეგობარო,
ბლანტი საღამო!..
დრო მიდის ღელვით და შენ უკვე ვერაფერს შველი!
მზე გაზაფხულის
სიშორეში ეშვება რიდით....
ფერიცვალების ჩვეულებრივ ირხევა ველი
და ჩვენში უკვე –
სატკივარი შემოდის დიდი!..

23.08.70
სოხუმი

# ჩამავალი მზის მელოდიები

ჩამავალი მზის მელოდიებს მივაყურადებ
და ჩემს ნაღვლიან გამოხედვას
არა აქვს ზღვარი!..
მე ყოველივე, უჩვეულოდ, მწვდება გულამდე,
ისევ აწყდება შეღამებას
ო, ის ხმა ზარის!..
როგორ მიშფოთებს სულის სიღრმეს ფარული განცდა,
რამდენი რამე ამაგლიჯეს
ხელიდან წლებმა?!
მზე ჩავიდა და ელვარება საგნების დაცხრა
და ცის სიღრმეში აციმციმდა
ვარსკვლავთა წყება...
ხეთა რტოებზე ფრინველები მდუმარედ სხედან
და რა ტკივილით გასცქერიან
მზის ჩასვლის ბილიკს...
ო, რა წუხილით დააბიჯებს ადგილის დედა
და მისი ცრემლის ეფინება
ყვავილებს თრთვილი...
ნიავი მინდვრის ეფერება ფოთლებს, ბალახებს,
აედევნება, ხანაც წყაროს
ბინდით შეფერილს...
გავცქერი მშვიდად ალვებს ტანადს და ლურჯ სანახებს
და შეირხევა მზის ხავერდში
მთვარე ბებერი...

28.10.12

ბანძა

# ზამთარი

მოგესალმები ზამთარო, კვლავ აღტაცებით ვინთები!
ჩემი ბავშვობის ზღაპარო, კვლავ შენში
გადავირთვები...
მოგესალმები ზამთარო, ბავშვობის წლების ღიმილით,
ოჩოფეხებზე შემდგარი, –
ღობეზე მამლის ყივილით...
დღეს თექვსმეტია დეკემბრის, ცა ფანტელებად ჩამოდის,
ქარმა უმტვრია ნეკნები
ბაღში ჩემს ხეებს სამოთხის,
სახლს ლოლოები ჰკიდია, ისმის ჩიტების წივილი,
ზამთარს არავის რიდი აქვს
და ქარი გარბის ხივილით...

16.12.12
ბანძა

## გარბის წყარო

გარბის წყარო და გზადაგზა ცისფერ ტალღებს არხევს
და კამკამით უწმინდესით
კვლავ აოცებს მნახველს!
ბავშვობიდან შევიყვარე ეს ხმა უტკბილესი
და ჩემს სულში მან გაიდგა
უკვდავების ფესვი!..
მაისია. ხეივანში ვუსმენ ქარის შრიალს,
ატმის რტოზე ზის
და გალობს, ჩემი მაფშალია!..
გახსოვს, ეს ხმა ჩვენ ორივეს გვიზიდავდა, ლია!
და ჰანგები სანატრელი
შორს მიჰქონდა ნიავს...

17.05.12
ბანძა

## ბავშვობის ზღაპარს დავშორდი!

მე შავ-თეთრ სიზმრებს კი არა, კვლავ ვხედავ სიზმრებს ფერადს,
რამხელა დამაქვს იარა
და უსაშველოდ ვღელავ!..
დავდივარ ბაღში ბავშვობის, ვკოცნი – ენძელას, ტიტას!
და როგორ ვწუხვარ ის ჟამი,
რომ, სადღაც გამიფრინდა!..
დავტოვე ჩემი მინდვრები და ხეივანი მთვარის
და გამეფანტა შუა გზაზე
შენი სინაზე, მარი!
მე გავხდი სულით ობოლი, უკვე არავის მჯერა!
ბავშვობის ზღაპარს დავშორდი,
ცრემლით ჩავაქრე კერა!..

03.04.12
ბანძა

# საით გამიფრინდა?

ჩემი ფრთები სამზეოზე იკეცება უკვე,
მივდივარ და ვეფერები
ხსოვნას უჩვეულოდ!..
მე იმ დღეებს სათაყვანოს სილამაზეს ვუქებ,
რაც კი გაქრა, მასზე აწი,
არ დაღონდე, გულო!
ხსოვნას ვანდე ყოველივე, რაც სიხარულს მგვრიდა,
ო, ის ჩიტი სიყვარულის, –
საით გამიფრინდა?
ჩემი ფრთების სიფერადე აღარ გაიშლება,
განცდილი და გაფრენილი
ვერ მომიტანს შვებას!

04.02.13

თბილისი

## მზე კი აღმართზე მოიწევს...

სარკმელს ცისკარი ფრთებს ახლის, მიწას კენკავენ მტრედები,
სარკმელს ცისკარი ფრთებს ახლის
და მარტის დილა თენდება...
სარკმელს ცისკარი ფრთებს ახლის, მესმის ხარირმის ყვირილი,
სარკმელს ცისკარი ფრთებს ახლის,
ბნელს არღვევს მამლის ყივილი...
მზე კი აღმართზე მოიწევს და უშენს ისრებს მწვერვალებს
და გული მიცემს ამაყად,
გული საოცრად მღელვარე!..
მზე კი აღმართზე მოიწევს, ისმის ჩიტების ჟივჟივი
და ხბო კუნტრუშებს მინდორზე,
აწყდება სივრცეს გიჟივით...

17.03.12
ბანძა

## ისევ, ქარი ქრის

მთვარე ირხევა ქარვისფერი ვეება ცაზე
და სულის სივრცეს საოცარი
სინაზით ავსებს!
არსად ღრუბელი მოყიალე და მოლასლასე,
მხოლოდ ვარსკვლავნი მთელი ღამე
მიშენენ ისრებს...
ქარი ქრის ისევ, და ხეივნებს სინაზეს ჰმატებს
და მთვარიანში მარტოდმარტო
დავეხეტები..
ვერ იქნა, ვეღარ ავისრულე, ძვირფასო, ნატვრა
და ირგვლივ დგანან ეს ალვები
როგორც მხედრები...

14.04.12
თბილისი

* * *

მივდივარ გზაზე, გული ღონდება,
ცა არხევს ნისლის მანდილს...
ჩემი ბავშვობა მიახლოვდება,
თუ ამ ბავშვობის ლანდი?!
ტოტზე ზის ჩიტი პატარა,
თითქოს უჭირავს სტვირი!
მე იმ დღეების ხსოვნას ვატარებ
და ხშირად
გულით ვტირი!..

10.04.12
ბანძა

## მომეახლე დღეო!

ერთხელ კიდევ, მომეახლე დღეო!
ამიყვავე სიყვარულით გული!
ერთხელ კიდევ, მომეახლე დღეო!
ერთხელ კიდევ
გამიღიმე, ლული!
ერთხელ კიდევ, მომეახლე დღეო!
და რტოები დამირხიე ატმის!
ერთხელ კიდევ, მომეახლე დღეო!
ერთხელ კიდევ
მომეფერე, ნატრი!
ერთხელ კიდევ, მომეახლე დღეო!
გამახარე მაფშალიას სტვენით!
ერთხელ კიდევ, მომეახლე დღეო!
ერთხელ კიდევ
მაკოცნიე, მერი!

17.10.12
თბილისი

## მომაგონე!

მომაგონე ჩემი მხარე და ამავსე ვნებით,
ერთხელ კიდევ გამახარე
ფანტელების რხევით...
მომაგონე, ის ბილიკი და ფერები შინდის
და დათოვლილ ხეებს ბაღის
თოვლი ფარავს მშვიდი...
მომაგონე, ის ტყეები ლურჯი მინდორ-ველით
და მინდორზე ბალახებში
გაქცეული შველი...
გულში, ისევ ტკივილები უსაშველო მივლის
და თვალებით ცრემლით სველით
გავცქერ ფიფქთა ლივლივს...

29.12.12
თბილისი

## ძველი ქუჩა

მე ამ ქუჩაზე დავდივარ მარტო,
          საით წავიდნენ ყრმობის ბიჭები?
მე ამ ქუჩაზე დავდივარ მარტო,
სად კეისრულად
დავაბიჯებდით...
იმ გაზაფხულის სილაღე მათრობს,
          შორით ყვირილი ისმის ირმების!
მე ამ ქუჩაზე დავდივარ მარტო
და ვერწყმი ხსოვნას
სულის სიმებით!..

30.12.12
თბილისი

# გულს!

არ შედრკე, გულო! გადაღლილო, ამდენი ბრძოლით!
ნუთუ, შეტევით აწი მამულს
ვერაფერს არგებ?!
დადევი ფიცი, შეასრულე პირწმინდად როლი,
როცა მამული დაგიმსგავსეს
კოშმარულ ნანგრევს!..
ურჩი სიმართლე მიახალე ეპოქას პირში!
თუმცა გზადაგზა გეხვეოდნენ
ყორნები გუნდად!..
შენ არ იცოდი და არც იცი რა არის შიში,
თუ დაეცემი, ბრძოლის ველზე, –
დაეცე უნდა!
დე, ყველამ ნახოს სისასტიკე ულმობელ ჟამის!
არ გიფიქრია, მეგობარო,
დახევა უკან!
დაუზოგავად, ბევრი გასვა ეპოქამ შხამი
და, აჰა, უკვე განშორების
მუსიკა უკრავს!..

20.11.09
მოსკოვი

## მზე გაზაფხულის!

მე ვარდფურცლობის მორევში ვცურავ
            და ოკეანე ირწევა ფერთა...
აქ მირიადი სიცოცხლე ფეთქავს
და ქმნის ბუნების
საოცარ სურათს!..
მზემ ოქროსფერი გაავლო ხნული,
            შენ იცრემლები, ძვირფასო, რაზე?
ცა მიწას ფერთა თამაშით ავსებს
და მიირხევა
მზე გაზაფხულის...

14.05.09

## რატომ შეწყვიტეს?

რატომ შეწყვიტეს ჟღერა სიმებმა?
ვიცი, ეს გული კვლავაც მოიწყენს!
რატომ შეწყვიტეს ჟღერა სიმებმა
და შემოდგომის
ნისლი მოიწევს!..
შორს, მოვიტოვე დრო ვარდფურცლობის
და სანუკვარი ფერების კრთომა!
ო, ისევ მზვერავს თვალი უცნობის
და ყვითელ აფრებს
შლის შემოდგომა!..

29.08.09
ბანძა

## იმღერე, გოგო!

იმღერე, გოგო! შენ ხომ გრძნობის ვეება ზღვა ხარ,
გისმენ და ამ გულს საოცარი
სინაზით ათრობ!..
შენ სხვა ხარ, კარგო, სხვა ეშხი და ღიმილი გახლავს
შეარხევ მაგ სულს და
ზღაპრული ჰანგები მათოვს!..
შენს სადღეგრძელოს მე ათასჯერ შევსვამდი თასით,
შენ ერთი მხიბლავ მთელი გრძნობით,
სულის ზიარო!..
იმღერე, გოგო! სილამაზის, რომ ვიგრძნო ფასი,
და სიყვარულის
უკვდავება გავიზიარო!..
იდუმალ სიმებს უჩვეულო ფერებით ქარგავ,
იმღერე, გოგო! ეს სიცოცხლე
შენით მზიანობს!..
რომ ტრფობის წყარო სიმღერაა, გახსოვდეს კარგად,
არ შეწყდეს იგი, გული
აღარ დამიზიანო!

12.05.2010
მოსკოვი

# პარალელი

იქ შემოდგომის ქარი ქრის, აქ სქლად დევს თოვლის საფარი...
იქ შემოდგომის ქარი ქრის,
ირხევა სივრცის ზღაპარი!..
აქ ცა ცახცახებს ღარიბი, ამაოდ გავცქერ სიმაღლეს!..
იქ შემოდგომის ქარის ქრის,
აქ თოვლს მუხლამდე მივარღვევ!..

14.10.09
მოსკოვი

## დიდ ამერიკელ პოლიტიკოსს

ქართველი ხალხის მეგობარ –
**ჯონ მაკეინს**

დიდ ამერიკელს მინდა ლექსით გაგესაუბრო,
გვაყურადებენ – მთაწმინდა
და სვეტიცხოველი!..
უკვე ეწვიე ცის ზღაპარში ღმერთის საუფლოს,
კაცი ბრძოლებით
მოუღლელი, დაუცხორმელი!..
მუდამ ებრძოდი პლანეტაზე ნგრევას, სიავეს,
შენ არ იცოდი თუ რა იყო
უკან დახევა!
გონებით ბრძენმა, მკერდიც ბევრჯერ მოიღიავე,
ამ შემართებამ შენ
სიცოცხლე გაგინახევრა!
„ქართველი ვარო“ – იძახოდი ცეცხლის მორევში,
უკიჟინებდი ოკუპანტებს –
ველურთ, გარეწართ!
კაცი შეტევას ვერ იქნა და ვეღარ მოეშვი,
ბომბდამშენებმა, როცა
ქართლი, ერთობ დალეწა!
დღეს შენ არა ხარ, ამერიკა ამაყობს შენით,
მაგ სიდიადეს, ათასობით წლები
ვერ მოშლის!
გონების ძალით, მტკიცე სულით მსოფლიოს შვენი
და უკვდავების სამუდამოდ
დაიდგი კოშკი!..

დიდ ამერიკელს მინდა ლექსით გაგესაუბრო,
გვაყურადებენ – მთაწმინდა
და სვეტიცხოველი!..
უკვე ეწვიე ცის ზღაპარში ღმერთის საუფლოს,
კაცი ბრძოლებით
მოუღლელი, დაუცხრომელი!..

14.04.03
მოსკოვი

## რატომ დადუმდა?!

რატომ დადუმდა ეს ჩემი ბაღი,
          აგვისტოს დამლევს, ნეტავ, ამგვარად?
და რტოებიდან ფერებს ვერ მაღვრის,
რაზე წუხს ასე
წყარო ანკარა?!
რად გაუხეშდა ფოთლები ხეთა?
          თუმც ცა დასცქერის ლურჯი და ღია!
და სიშორიდან მზე ისევ ფეთქავს,
მაგრამ ვარდები
არ უღიმიან!

27.08.09
ბანძა

## ვინ იცის?!

მე მიყვარს რხევა თეთრი ფიფქების,
          დღეები, ისევ მიდიან ქროლვით!..
ვინ იცის თუ რად გარდავიქმნებით,
იქნებ, ოდესმე, –
ფიფქებად თოვლის?!
ო, ისევ თეთრი  სიჩუმე წვება,
          ხეები  ზამთარს ხვდებიან  კრთომით!..
მე ბევრი რამე წამართვეს  წლებმა,
მაგრამ – ვერაფრით
ტრფიალი თოვლის!..

02.11.09
მოსკოვი

## ირხევა სივრცე

ლ. კაზარნოვსკაიას

შენ ფრთების სულაც არ გიჭირს გაშლა,
ირხევა სივრცე ფერადი წყობით!..
არ უწერია სიცოცხლეს დაშლა,
სანამ ფეთქავენ
დღეები გრძნობით!..
შენ მღერი და ჩანგს ბუნება უკრავს,
ირხევა სული ხასხასა ფრთებით!..
რჩება ლამაზი დღეები უკან,
როგორც მთიებით
ცა ანანთები...
და ფერებს, ისევ ცვლიან ფერები,
ირეკლავს ხსოვნის დღეებს თვალები!..
რჩება სიმღერა დაუბერები,
და ვარდფურცლობით
ცა ნამთვრალევი!

31.05.09
მოსკოვი

## შორს, სადღაც იქით...

შორს, სადღაც, იქით, მზე გადაღლილი ეშვება ზღვაზე,
მე გავცქერ სივრცეს და ჩუმად ვითვლი
მეწამულ ხაზებს...
ქვაფენილებზე სეირნობენ ლანდები მკრთალი,
შორს, სადღაც იქით, უსიერ ტყეებს
ტყვიისფერი დუმილი ავსებს...
და იკარგება ბინდში ბილიკი
ჩემი ბავშვობის
ცეროდენა ნაფეხურებით!..

26.09.67
სოხუმი

## დამთავრდა უკვე

ხელებს ვერასდროს ვერ გადავდებთ ერთმანეთს მხრებზე,
ვერ გაგვიღიმებს ძველებურად
მინდვრის ფერები!
ველარ ამოვჭრით იმ სახელებს ვერასდროს ხეზე,
რომელიც იყო ჩვენთვის
მუდამ მოსაფერები!..
მზეს გაზაფხულის გაეცვითა უდროოდ ფუნჯი,
ვერც იმ მდინარეს სიყვარულით
ველარ ჩავუვლით...
ცის უფსკრულებში გადაქანდა ის ზეცა ლურჯი,
დამთავრდა უკვე
ვარდფურცლობის დღესასწაული!..

04.11.09
მოსკოვი

## დრო, ამას გთხოვ!

დროო, ამას გთხოვ, მარტოობას არ შემაჩვიო,
და არ მატარო ბილიკებზე
წუხილით, ოხვრით!..
მე მინდა სული, ო, ეს სული გადავარჩინო,
თორემ ხორცს, რითი გადავარჩენ –
მოქანცულს, მოღლილს!
ამდენი ხანი, გული კივის ცეცხლის მოდებით,
მიწა მომირჩენს საბოლოოდ,
ალბათ, იარებს!..
გავითავისებ, სანამ დროა, დუმილს ლოდების,
რომ არ გამხადო
უიმედოდ მოხეტიალე!

27.11.09
მოსკოვი

## ორი ძმა

ვუძღვნი ჩემი მამიდაშვილების
ხსოვნას!

აქ განისვენებთ ორი ძმა ერთად
          და გხურავთ მიწის ლურჯი საბანი!..
ცა გაზაფხულის ო, ისევ ფეთქავს
და მწუხარების
ცრემლით ნაბანი!..
სივრცეში მთვარე ირხევა ქარვის
          და ვუცქერ ჟამით სიჩუმეს ნაქსოვს,
ასეთი ძმობა უნახავს არვის,
ამგვარი ძმობა
არავის ახსოვს!

14.09.2010
ბანძა

## საით წავიდე?

მე ბოროტება იმდენი ვნახე, რომ საუბარი
კეთილზე მიჭირს!
და მიკვირს, რომ არ
დავკარგე სახე, –
ცუდის და კარგის გარჩევის ნიჭი!
ო, არ მსურს, მაგრამ შემომრჩა დღემდე,
ხსოვნა იმ დღეთა
უზომოდ მკაცრი!..
ზვირთებს მღელვარეს ამაოდ ვენდე,
რომელიც უკვე ძალ-ღონეს მაცლის!
გზაჯვარედინზე, ვბარბაცებ კაცი, ცხოვრება, ისევ,
ულმობლად მიტევს!
საით წავიდე: მარჯვნივ,
თუ მარცხნივ? –
და ამ წამებას ვერ განვერიდე!

20.10.07
მოსკოვი

## შეჩერდა გული!

ლ-ს ხსოვნას

შენ ამდიდრებდი სოფლის ყოფას საქმით ულევით
და შენზე აუგს, მეგობარო
ვერავინ იტყვის!
იშვიათია, ალბათ, კაცი ნაღდი ბუნების,
რომ იყოს ასე განუყრელი
საქმით და სიტყვით!
შეჩერდა გული გადაღლილი უზომო განცდით,
ვერვინ გჯობნიდა ერთგულებით,
უზადო ნიჭით!
ყოფნა-არყოფნის ჩვეულებივ სამანებს გასცდი
და შერჩი ხსოვნას სამუდამოდ
მამაცი ბიჭი!..

## რას იზამ?!

გზა გასავლელი, დროო, აღარ დამივიწროვო!
ის არ მიქციო ქარაფებზე
მავალ ბილიკად!..
მე მზით გაბადრულ ამ პლანეტის ძუძუ მიწოვავს
და მაინც იგი ვერ ვაქციე
დღემდე ლირიკად!..
აქაც მინდორზე ჩემი ყრმობის კვიცი ჭიხვინებს,
საცრისოდენა თვალებს ახელს
ჟამითდაბმული!
ჩემი ცხოვრების გზაზე დღემდე მე რაც ვიხილე,
საით მივიქეც,
ყველგან ჩანდა
გზა უდაბური!..
კაცმა უბრალოდ ვერ მოვასწარ თვალის გახელაც,
ტურბულენტური მაწყდებოდა
მღვრიე დინება...
და დაგლეჯილი მეცვა ტანზე სივრცის ნახევი,
რას იზამ, როცა ბედისწერამ
ასე ინება?!

28.11.09
მოსკოვი

## ბრუნავს ღრუბელი

ო, წუხელ ღამით – ეს რამხელა თოვლი მოსულა!
გავცქერი გრძნობით და
ბავშვივით მაღელვებს იგი!
ბრუნავს ღრუბელი ცისთავანზე თოვლით ორსული,
იზრდება თეთრად შემოსული
ხეების რიგი...
დავდივარ მარტო... ფანტელებით სავსეა სივრცე,
რტოებზე მხოლოდ გარინდული
მტრედები სხედან...
ვიხსენებ წარსულს, და ის ჩემში ყრუ ტკივილს იწვევს,
რომ ჩემს მამულში
იცრემლება ადგილის დედა!..

21.11.09
მოსკოვი

## მიდის თავის გზით

სულის მემბრანას დრო მირხევს მკაცრად
და გულს აჩნია მწარე ნაისრი...
მე ყმაწვილობის მედება განცდა,
შუქს რომ მათოვდა
ზეცა მაისის!..
მე ფეხზე ოქროს ექვანი მება
და გავცქეროდი ფერებს აისის...
მე ვიცი, მხოლოდ, რომ ხსოვნა რჩება,
სხვა ყველაფერი
მიდის თავის გზით!..

02.12.09
მოსკოვი

## არ წამიშალოთ!

შორს გამიტაცეს ფიქრებმა, იმ დღეთა ხსოვნით ვინთები!..
არ წამიშალოთ, ფიფქებო,
ნაფეხურები ჩიტების!
შევდივარ ბაღში უჩუმრად და ცვივა თოვლის ყვავილი,
მესმის ფიფქების ჩურჩული –
ზეციდან გამოგზავნილი!..
და ტკივილს გაუნელებელს ვეღარ ვიშორებ თავიდან,
ო, ის მხედარი ჭენებით,
ნეტავი, საით წავიდა?
არ წამიშალოთ უღონო და ჟამთან შენაჭიდები,
ნაფეხურები ლამაზი
ჩემი პატარა ჩიტების!..

06.02.98
მოსკოვი

## ო, მზეო შემოდგომის!

აღარ დამინდო ამინდმა, კაცი – სხვა გზის და ტომის!
მე იმ ქალაქში რა მინდა, –
ნახვაც არ მინდა რომლის!
დრო მიდის, მიიგრაგნება, და აწმყოს ვუცქერ ზიზღით!
ყველგან გვამები ურიცხვი
და ნიაღვრები სისხლის!..
გულო, წინ, აღარ შეჩერდე! ვარ მუდამ ცერზე მდგომი!
და ერთხელ მაინც მეჩვენე,
ო, მზეო შემოდგომის!

30.11.09
მოსკოვი

## რამ შეაჩერა?!

ეს რა უეცრად დაგვშორდი, ბიჭო!
რამ შეაჩერა ეს გული ცხელი?!
უშენოდ ყოფნას, – არ ყოფნა მიჯობს,
რად დამიტბორე
თვალები ცრემლით?!
ეს რა უეცრად დაგვშორდი, ბიჭო!
რა ვუყო ამ სულს მძიმედ დაკოდილს!
ეს რა უეცრად დაგვშორდი, ბიჭო!
შენ პოეზიის
ნაღდი აკორდი!

12.12.09
მოსკოვი

## მიედინება ისევ

მიხმობს ცისფერი ტოტი და იქით მივისწრაფი,
კვლავ გაზაფხული მოდის,
ტურბულენტური ხაფით!..
ჟამი კვლავ ფიქრებს მისევს, ოთხმოც წელს დავამღერებ,
მიედინება, ისევ,
ჩემი ცხოვრების ღელე!..

17.04.10
თბილისი

## რა შორს გამიფრინდა?

ის დრო ჭაბუკობის, რა შორს გამიფრინდა?
ჩემში გარდასულის
მწარე კივილია!..
ყრმობის ბილიკები – ეს ვინ დამიბინდა?
ჟამი ვარდფურცლობის,
ისევ მიილია!..
დღეებს ყმაწვილობის მივსდევ ღობე-ღობე
და სულს უჩვეულო
სევდა მოერია!..
შეწყდა ჩიტუნების ხმები მოგალობე,
უკვე გული ჩემი –
სევდის მორევია!...
სივრცეს ნაფერმკრთალებს გავცქერ აივნიდან
არვინ მეფერება,
არვის ვეფერები!
ირგვლივ ყველაფერი, ისევ გაირინდა
მოჩანს ნაპრალები
ნისლით შეფერილი.
ვუკრავ ჩანგის სიმებს მარად გაუხუნარს,
ეს ვინ ამიმღვრია
ზეცა მოკრიალე?!
ამ მთას ვეებერთელას ნისლი დაუხურავს,
ჩემს წინ იზმორება
სევდის ოკეანე!..

ის დრო ჭაბუკობის, რა შორს გამიფრინდა?
ჩემში გარდასულის
მწარე კივილია!..
ყრმობის ბილიკები, ეს ვინ დამიბინდა?
ჟამი ვარდფურცლობის,
ისევ, მიილია!..

24.08.08
ბანძა

## მიიწურა საუკუნე

მიიწურა საუკუნე, სამოცდაცხრის გავხდი,
ჟამმა უკვე დამიმსხვრია
ჩემი ყრმობის ტახტი!
მიიწურა საუკუნე, გული მტკივა ძლიერ,
მიიწურა საუკუნე –
მაცლის შნოს და იერს!
გაზაფხულო, შენ მიდიხარ, ნუთუ, კვლავ ვერ მოხვალ?!
და დღეების გარდასულის მესმის მწარე ოხვრა!..
ამ სიხარულს ვხედავ უკვე ჟამი სახეს უცვლის,
მოადგება ჩემს კარიბჭეს,
ზამთრის ყინვა ურჩი!..

17.05.2000
თბილისი

## გაუფრთხილდი სამოთხეს მიწის!

ო, შენ რუსეთო! გაურფთხილდი სამოთხეს მიწის!
გაუმაძღარი ნუ ხარ მუდამ –
სისხლით და ხორცით!..
ამოიჭერი სხეულიდან მაგ სული ბილწი
და ნუ გახარებს, ასე უღვთოდ
ნგრევა და ხოცვა!
შენ მხოლოდ ძალით ზომავდი და ზომავ ყველაფერს!
და გზას წამების უნთებდი
და უნთებ ნათურებს!..
გახსოვდეს  მუდამ, განკითხვის დღე მოვა შენამდის
და შენს ოცნებას
დაუნდობლად გაანადგურებს!..
ო, გეშინოდეს საუკუნის მღვრიე მორევის,
დასაბამიდან სფინქსის ნიღაბს,
რომ ხარ ჩვეული!
საკუთარ სისხლში ჩაიხრჩობი, დაიტბორები,
გახდება ლუკმა ყვავ-ყორნების
შენი სხეული!..
ო, შენ რუსეთო! გაუფრთხილდი სამოთხეს მიწის!
გაუმაძღარი ნუ ხარ მუდამ –
სისხლით და ხორცით!..
ამოიჭერი სხეულიდან მაგ სული ბილწი
და ნუ გახარებს, ასე უღვთოდ
ნგრევა და ხოცვა!..

20.06.99
მოსკოვი

## როგორ გამძარცვეს წლებმა?!

შენი ლამაზი სული ღმერთს შევავედრე იმ დღეს,
მერე, გავხედე ყრმობის მწვანით
დაფარულ მინდვრებს...
ცის ციფერბლატზე ენთო ლურჯი ვარსკვლავი ორი,
სულში მირხევდა სიმებს
იდუმალება შორი!..
ვერ იშორებდა ხსოვნა გაფრენილ დღეთა წყებას,
ავტირდი, რომ უმოწყალოდ, –
ასე გამძარცვეს წლებმა!..

14.08.97
ბანძა

## გავცილდი ოთხმოცს

გავცქერი სივრცეს მომავლის, თუმცა არ მეიმედება,
ო, ის დღეები გაცურდა და
შორს გაფრინდნენ გედები...
მე ახლაც ვფიქრობ იმ დროზე, რომ გაჰყვა შუქი ციმციმით
და ამ ვარდების მინდორზე,
სად გაქრა შენი სიცილი?!
ამ ლურჯ ხეივანს მივყვები, მესმის ყვავილთა ჩურჩული,
მე შენზე დარდი მიმყვება,
და მიტევს ჟამის ურჩხული!
ამ ყვავილოვან მინდორზე მზეს კვლავ მოუნდა დაშვება
და შორეული დღეების
ნიავი მეთამაშება...
გავსცილდი ოთხმოც გაზაფხულს ო, ღმერთმა ასე ინება
და წუთისოფლის სიავე
მექცა დარდად და დილემად!..

12.05.14
თბილისი

## ო, როგორ მინდა!

მზემ აიფარა თავარამ ჭადრის რტოები ხშირი,
მე ვზივარ ბაღში, ჩიტუნების
                                        ჟღურტული მიწყდა!
წყლის შადრევნებს კი ეფერება დედა და შვილი
და უჩვეულო სიმხურვალეს
ირეკლავს მიწა...
მზე ჩამავალი უდარდელად კვლავ სხივებს ისვრის,
ო, როგორ მინდა შეჩერდეს
                                        და არხიოს კალთა...
სიღრმეში ბაღის ჩიტუნების ხმა, ისევ ისმის,
ო, ამ სამყაროს სიდიადეს,
ნეტავ, ვინ მართავს?!

29.07.14
თბილისი

## სამი ბულბული

ვანო სარაჯიშვილის, ზურაბ ანჯაფარიძის,
ჰამლეტ გონაშვილის მარადიულ ხსოვნას!

სამი ბულბული გალობდა აპრილში ატმის რტოზე,
ადრე გაფრინდნენ ისინი, –
წესით დადგენილ დროზე!
სამი ბულბული უმღერდა ღირსებას ცის და მიწის,
აქსოვდა ხმაში სამივე
ცის ხავერდოვან ციმციმს!..
სამი ბულბულის სიმღერა ათრობდა გულებს ტრფობით!
სამი ბულბულის გალობას,
ო, როგორ შევნატროდით!..
და უგალობდნენ ისინი ცას მარად შუქით მოსილს,
სამი ბულბული გალობდა
თუ სამი ანგელოზი?!
მერე კი, ჟამის ქარებმა ჩამოიქროლეს უნდოდ,
ო, ის ატმის რტო გაძარცვეს
და სივრცე გადახუნდა...
სამი ბულბული გალობდა აპრილში ატმის რტოზე,
ადრე გაფრინდნენ ისინი, –
წესით დადგენილ დროზე!..

15.10.96
თბილისი

## დრომ გაიტაცა

ო, ალბათ, ახლა გახსენდება იმ დღეთა წყება,
გევსება ცრემლით სევდიანი
ო, ის თვალები!
იმ ბილიკებზე დავიწყების ნისლები წვება
და შერჩა მთვარეს მხოლოდ
ვერხვი ფერნამკრთალები!..
დრომ რა უეცრად გაიტაცა ის სილამაზე
და განიძარცვა სილაჟვარდე
ნაზი რტოების!..
ხსოვნა იმ დღეთა უჩვეულო ტკივილით მავსებს
და ვხეტიალობ
ტრამალებში განმარტოებით...

11.08.09
მოსკოვი

## მზეჩამავალი მიღიმის

გავცქერ ბავშვობის მინდვრებს, გული ვეღარ გრძნობს შვებას!
მოგონებები მიტევს და
სევდა მეუფლება!..
მზეჩამავალი მიღიმის, გზაზე ნისლები წვება,
მე მესმის შენი ღიღინი, –
გაურბის დავიწყებას...
ისევ იყივლა მამალმა, დროის ვექტორი მიქრის,
გულმა დარდი ვერ დამალა,
ჟამმა დამღალა ფიქრით!..

02.06.14
თბილისი

## მიდის ყოველი

მე ამ მიწაზე ეჰ, რამდენი ვიხეტიალე,
მაგრამ თითებზე აღარ ვითვლი
                    დღეებს დარჩენილს.
ო, ეს პლანეტა ძველებურად, ისევ ტრიალებს
და განუწყვეტლივ ფერებს იცვლის
ნებით გამჩენის!
სიდან მოვდივართ, ან მივდივართ, ნეტავ, საითკენ?
არც მომავალი, არც წარსული,
                    არავინ უწყის!
იკივლებს ქარი და სიცოცხლეს ზვირთი დაითრევს
და ცვლიან ერთურთს ეს დღეები
კენტი და ლუწი...
მიდის ყოველი, თაობები ცვლიან თაობებს,
გარდასულ დღეთა სილამაზეს
                    ველარ ვიშორებთ!
ვერ გამიგია, დასაბამით რაზე დავობენ
და უსხეულო სული რატომ
ელტვის სიშორეს?

20.07.14
თბილისი

# ჩემს აივანთან ახლოს

ჩემს აივანთან ახლოს რტოზე ბულბული გალობს,
უსმენს ბებერი სახლი, შენ ხელს რად
უშლი, ქარო?
მზე გაზაფხულის ამოდის და ეფინება მინდორს,
ძვირფასო, ჩემთან წამოდი
და დუმილს განვერიდოთ!
მე ბავშვობიდან ვეტრფოდი ო, ამ ხმის სიდიადეს
და მის საოცარ მუსიკას
ეს ჩემი სული ვანდე!..
ეს ცა და მიწა ორივე მაგ ხმის სურნელით მათრობს
და ჯადოსნური ხმის ტემბრი
თითქოს ზეციდან მათოვს!..

17.05.14
თბილისი

## ბებერ ჭადართან

ბაღის სიღრმეში შადრევნების არის რიალი,
მე ხეივანში მიმოვდივარ
აუზთან ახლოს...
და ყვავილებში ვნებით სავსე ცეკვავს ნიავი,
ო, როგორ მინდა სიყვარულით
მათ მივეახლო!..
ცაზე გამოჩდნენ ვარსკვლავები ჯერ კანტიკუნტად
და სიხასხასით იმოსება
სამყარო ვრცელი...
მე ბავშვობიდან მათი თრთოლვა მიყვარდა მუდამ
და გავცქეროდი სილამაზეს
თვალებით სველით!..
ბებერ ჭადართან არის რხევა დაუსაბამო,
ისინი მუდამ გამოჩენას
მთვარის ელიან...
მე, აქ მოვდივარ შადრევნებთან ყოველ საღამოს
ბუნებას იგი
სამიჯნუროდ გაუჩენია!..

12.08.14
თბილისი

## მიდის დღეები აპრილის

ხეებს ყვავილი დასცვივდა, მინდვრად ბალახი ბიბინებს,
ხეებს ყვავილი დასცვივდა,
ნიავმა გადაირბინა...
ხეებს ყვავილი დასცვივდა და, სადღაც, მიაქვს დინებას,
ხეებს ყვავილი დასცვივდა,
ისმის ყვირილი ირმების!
მე ვერის ბაღში დავდივარ, კვლავ წყლის ჭავლები ციმციმებს,
მე ვერის ბაღში დავდივარ,
ვერ ვუძლებ ხსოვნის სიმძიმეს!
მიდის დღეები აპრილის და იადონის ხმა ისმის,
დროო იდინე, მაგრამ გთხოვ,
რომ არ წარმტაცო ხალისი!
ცა საზეიმოდ მორთულა, იცვლის სამოსელს აპრილი,
მინდვრები, მწვანე მინდვრები,
არ ჩანს სილურჯის ნაპირი...
მაისის მოსვლა მახარებს, რამდენ სიხარულს მომიტანს,
შენ გელოდები, ძვირფასო,
შენთან შეხვედრა მომინდა!..

27.04.14
თბილისი

## პირველი სიყვარული

ნაპირთან ახლოს ზღვა არწევდა ქათქათა ნავებს,
მოირწეოდა ნაპირისკენ
აფრა დაღლილი,
და ფერს იცვლიდა ვარდფურცლობის ლამაზი ღამე,
და იყო სულის
უჩვეულო გამოძახილი!..
და ტრფობის ამგვარ ნეტარებას ვერაფერს ვადრი,
მხოლოდ შენ ერთმა მომანიჭე
მაღალი გრძნობა!..
და, რა ერთბაშად გამიფანტე, ძვირფასო, დარდი,
გზას გვინათებდა მოციმციმე
ვარსკვლავთა წყობა...
ხსოვნას შემორჩი, საყვარელო, იმ ნეტარებით,
რომლის სადარი, ჩემს გრძნეულ სულს,
არ ახსოვს დღემდე!
და შუქს მაღვრიდა სილაჟვარდე შენი თვალების
და სიყვარულის მძლავრი ღელვით
ერთმანეთს ვენდეთ!..
იმ ნეტარების დავიწყება, ვეღარ შევძელი,
ის დარჩა ჩემთან
იდუმალი, განუყოფელი!..
იყავ ფაქიზი და ამავსე გრძნობის მეწყერით,
და შენს ხატებას ვეღარ
ვთმობდი შუქით მოფენილს!..
მას შემდეგ შევხვდი რამდენ ცირას და ქალბატონებს –

ნატოს და ირმას, ლალის, თეას,
ნონას, ძიძიას!
წიწვების ბაღში არაერთხელ დავიმარტოვე,
მაგრამ მსგავსი რამ ნეტარება,
მე არ მიგრძვნია!..
ნაპირთან ახლოს ზღვა არწევდა ქათქათა ნავებს,
მოირხეოდა ნაპირისკენ აფრა დაღლილი,
და ფერს იცვლიდა ვარფურცლობის ლამაზი ღამე,
და იყო სულის
უჩვეულო გამოძახილი...

28.05.2018
ბათუმი

## იმზირებიან სველი თვალებით...

მზე მოთენთილი ცის თავანზე მიიზმორება,
დაცხრა ჩიტების
                    ჟრიამული საგაზაფხულო!
მდინარის პირას ირხევიან ქარში წნორები,
ცას უხუნდება
სილაჟვარდე გადანახული!..
იმზირებიან ყვავილები სველი თვალებით
და მინდა მე მათ
                    მოვეფერო, მივეხალისო!
მოჩანს მინდვრები მზის ჩქერებით ნაფერმკრთალები
და მეშინია ცამ ზარები
რომ დაარისხოს!
მე მზის გადახრას ველოდები და შეღამების
ვუხმობ სინაზეს, რომ ფერები
                    თრთოლვით გამირთოს!..
ნიავმა ისევ იისფერი გაშალოს ფრთები
და ვევედრები სიყვარულით
სივრცე ამინთოს!..

12.06.14
თბილისი

## არ ვიცი, საით...

მიყვარს მუსიკა აპრილის წვიმის,
როცა ატამი და ნუში ყვავის!
რტოზე ობოლი ჩიტუნა წივის
და რა ატირებს
პატარა ყვავილს?
ვუცქერ ტალღების მოლურჯო ლივლივს,
ისევ დუმს ჩემ წინ კლდეები სალი!
გულში ფარული ტკივილი მივლის,
მივდივარ, მაგრამ
არ ვიცი, საით...

02.09.14
თბილისი

## უკვე ზამთარი მოდის

შენზე ფიქრებმა დამღალა, დავალ, არ ვიცი, რა ვქნა!
ხუნდება ჩემი ბაღნარი,
ო, ის ხატება გაქრა!..
მე თვალებიდან ცრემლი მდის, მაგრამ არ ვკარგავ რწმენას,
ჭკნება ყვავილი ველ-მინდვრის
და ვებრძვი ბედისწერას!..
გზაზე ნისლები მოხშირდა, უკვე ზამთარი მოდის
და უტევს ჟამის ქარიშხალს
მუხის ბებერი ტოტი!
აჰა, ტკივილმა მომშვილდა და ვებრძვი დემონს ოხერს
და ვიცი, ღელვა ვერ მოშლის,
ო, ამ სულს შეამბოხეს!

27.09.13
თბილისი

## ამ ხეივანში...

აქ დავდიოდით მე და შენ, ამ ხეივანში, მარი!
და სიხარულით ვხვდებოდით
ცაზე ამოსვლას მთვარის!..
დავდივარ ჟამით მოღლილი და სული სევდას იწოვს,
ის სილამაზე ზღაპრული
რამ უნდა დამივიწყოს?!
მტკვარი კვლავ მიექანება, ქრის შემოდგომის ქარი,
შორს, გაქრა ო, ის ზმანება
და სილამაზე, მარი!

09.09.14
თბილისი

## მე და ანა

ჩემს შვილიშვილს – **პატარა ანას**

ფანტელები ცვივა სიფრიფანა,
მზე ღრუბლიდან ტრფობით იცქირება...
და ფანჯრიდან ვუცქერთ მე და ანა –
ფიფქები რომ
ეცემა და დნება...
სივრცეს შუქი სააპრილო მოსავს,
ქარი არხევს ხეებს ნება-ნება...
გაზაფხულის გვიხარია მოსვლა,
მაგრამ თოვლის
წასვლაც გვენანება!

24.03.01
მოსკოვი

# თბილისში

ამდენ მათხოვარს თბილისში თავი, ვინ მოუყარა ერთად,
რომ უჭირთ მცირე ნატეხი ჭვავის, სიცოცხლე
ძლივსღა ფეთქავს!
ვუცქერ და მათი საცოდავობით გული აზვირთდა ერთობ!..
ნუთუ, მსხვერპლი ვართ არარაობის,
ამას, რას ვხედავ, ღმერთო!
არ ვიცი, საით მივექანებით, თამარის გზას რომ ავცდით,
დღეს წუთისოფლის გვიტევს ქარები –
უდაბური და მკაცრი?!

11.10.01
თბილისი

## ზღვა და სიყვარული

ჩვენი ცხოვრება დასაბამით ზღვას შეაბერდა,
ის გვიგრილებდა სისხლს მხურვალეს
და ტანს ოფლიანს.
და ბავშვობიდან ჩვენ მის ტალღებს ვუტევდით მედგრად,
და ზღვამ გვასწავლა
სიყვარულის ფილოსოფია!..
რამ დაგვავიწყოს საოცარი რხევა-შრიალი,,,
აქ ვენდობოდით ო, მე და შენ
გრძნობებს ვნებიანს!
მიირხეოდა ზღვის სივრცეში ლურჯი ნიავი
და, აქ ვხვდებოდით მზეს მაისის
ოქროსფრთებიანს!..
ახლა, რა ვართ ჩვენ? – იმ ცხოვრების მცირე ნაფოტი,
მაშინ, არც ვგრძნობდით, თუ დღეები
საით მიქრიან!
ჩვენი ცხოვრება, საყვარელო, ზღვას შეაბერდა,
თუმც სიბერეზე, მეგობარო,
არც გვიფიქრია!

07.08.14

თბილისი

## გამოჩნდა გზები მომავლის!

მიდის ცხოვრება რუსული ო, როგორც მღვრიე მდინარე,
მიდის ტალღებით მხტომარით,
ხან მოთენთილით, მძინარით!..
მზე გაზაფხულის ილიმის, ჩამოიშორა ტირანი,
და დარჩა მთელი ქვეყანა –
ნაელცინ-ნაპუტინარი...

19.04.02
მოსკოვი

## მოსპო და გაანიავა

მას ტექნიკასთან ბრძოლაში გამოეცალა ღონე,
გარბის და, სადღაც, ქვითინით
აეფარება ყორეს!..
ვერ შველის ის დედამიწას ფერთა მტევნების რხევით
ცახცახებს შიშით შემკრთალი, –
არ დარჩა დასახევი!
ამ საუკუნემ გუგუნით მთა-ბარი მოაოხრა
და ციდან ო, რა წამებით ისმის
კვნესა და ოხვრა!..
ურჩმა მორევმა შეტევით მიწა აქცია იავარ
და სიდიადე ბუნების
მოსპო და გაანიავა!..

24.05.2017
თბილისი

## შეღამება

დალალებზე ტირიფის ფარფატებდა ჩიტი...
შუქი კრთოდა ირიბი,
ფერი ჰქონდა შინდის.

ხიდზე ვიდექ, მდინარე ცის არხევდა სიმებს,
ირეკლავდა ჩინარი
ჩამავალ მზის სხივებს...
თვალით გავეთამაშე ჩქერებს მოკამკამეს,
ვერცხისფერი მანდილით
მოდიოდა ღამე...

12.12.97
მოსკოვი

## მას არ აშინებს...

ჩემი ეზოს წინ მაღლობზე ო, რა ამაყად დგას
და ახვევია ნისლები,
რუხი ნისლები გარსს...
მას არ აშინებს სიბერე, ტოტებს სულაც არ ხრის,
იცის შეტევა ძლიერი,
როცა ქარები ქრის!..
ის კი არაფერს არ ამბობს, ანდა რა უნდა თქვას,
როცა უშენენ ღრუბლები
სეტყვას კი არა – ქვას!...
ის რწმენით სავსე გაჰყურებს სივრცის შორეულ გზებს
და ელოდება აპრილის
ფერიცვალების მზეს!..

22.11.02
ბანძა

# ივლისი

ივლისის მზე ო, როგორ არ მიყვარს,
ძალზე მიჭირს მისი დავიწყება!
მოგონებას ზღვა კვლავ გამორიყავს,
იმ ლამაზი
შორეული წლების!..
ივლისის ცა მზის ხანძარში იწვის,
მხურვალებას ველარ უძლებს სივრცე!
ის დღეები მახსენდება მიწყივ,
გული, ისევ
მოგონებით მიცემს!..
მიწას ერთობ გაუყვითლდა კალთა
და ხავერდიც აღარ შერჩა ვიწრო!
გახუნებულ ბაღის ვდგავარ კართან,
სილაჟვარდეს მზე
წყალივით იწოვს!..

06.07.17
თბილისი

## დიალოგი სიკვდილთან

ჟამის სამი გავიარე ხიდი,
მეოთხეზე – გული რატომ კრთება?
ყველაფერი, ნუთუ ერთმხრივ მიდის,
ყველაფერი, ნუთუ
ბოლოს ქრება?!
ზვირთი, ისევ, ეხეთქება კიდეს,
ალბათ, ქარით სივრცე ჩაიხევა!..
ზამთარია, აღარ გაგიკვირდეს,
ამ ფიფქების
საოცარი რხევა!..
შენ სიკვდილო, რამდენი გაქვს ცოდვა
და ლანდების მოაცურებ წყებას...
ამ აღმართთან შეიცადე ცოტა,
პოეტი ვარ,
ნუღარ გავიწყდება!
გაზაფხულის მეხოტბე ვარ მარად,
ნუთუ, სიმი სიყვარულის წყდება?
იქნებ ლექსი გამომადგეს ფარად,
რომ გადურჩეს
სული დავიწყებას?!

ჩვენ ოდითგან გავჩენილვართ მტრებად,
          შენ ფერი გაქვს მეტად საზიზღარი!
ვიგერიებ შენს ურჩ შემოტევას
და ამ ჭიდილს
აღარა აქვს ზღვარი!..
ჟამის სამი გავიარე ხიდი,
          მეოთხეზე – გული რატომ კრთება?
ყველაფერი, ნუთუ ერთმხრივ მიდის,
ყველაფერი, ნუთუ
ბოლოს ქრება?!

23.10.93
ბათუმი

## ახალი წელი

ვეგებები ახალი წლის მოსვლას,
ძველი მიდის, სადღაც, უღიმღამოდ...
ვეგებები ახალი წლის მოსვლას
და ფიქრებით
იცრიცება ღამე...
ჩემს ბაღს თოვლის სამოსელი მოსავს,
მზე ამოდის ცაზე ოქროსფრთებას!..
ვეგებები ახალი წლის მოსვლას
განთიადზე ისმის
ძაღლის ყეფა!..
ვეგებები ახალი წლის მოსვლას,
ძველი მიდის ხაფით გადაღლილი...
ვეგებები ახალი წლის მოსვლას
და მამალი თეთრი,
ისევ ყივის!..

31.12.13
ბანძა

## ისევ უკრავს

ჩემს ლურჯ ცაზე კვლავ მერცხლები ქრიან,
ისევ უკრავს ქნარი ეოლოსის!..
ამ გულისთქმას, მითხარ, რაღა ჰქვია,
რომ უმღერის სივრცეს
მწვანედ მოსილს!..
მოზღვავებულ გრძნობას ველარ ვძლიე,
ისევ, გალობს გაზაფხულის ქარი...
ასე, რატომ მომენატრე ძლიერ,
როცა უკრავს
ეოლოსის ქნარი!..

15.04.13
თბილისი

## როდის უნდა დასრულდეს?!

ჟამს არ უყვარს მუდარა, სულს მთვლემარეს ამარცხებს,
ზღვა ღელავს და უთვალავ
ზვირთებს მოაბარბაცებს...
ცა სად გაქრა ლუჯთვალა და დღე რატომ ქვითინებს?
ეს რა გვიყო ურჯულომ,
სანამ უნდა ვითმინოთ?!
ვდგავარ, ღელვით გავცქერი ჰორიზონტზე დასულ მზეს,
ჟამი ნგრევის, დაცემის,
როდის უნდა დასრულდეს?!

24.09.93
სოხუმი

## საით წავიდეთ?

მ-ს

შენი ღირსების სიდიადეს ველარ აფასებს, –
თვით შენი ხალხის
                    უგუნური უმრავლესობა!
აწერენ ბოდვას, ამ ცხოვრების ცისფერ დაფაზე
და ბოროტება ჩაგვისახლეს
უკვე მეზობლად!..
საით წავიდეთ, ვის მივმართოთ, რომ სივერაგემ
გონიერების ყველა ზღვარი
                    ველარ მოშალოს!
ან შენს საოცარ ნაგებობებს, ისევ ანგრევენ
და, ლამის არის, სულის
მზერა დამიკოშმარონ!..
თავისუფლების კიდეგანი გაუდაბურდა,
ო, მაგრამ იქნებ, რწმენის
                    მცირე შუქი გადარჩეს!
კვლავ უბრუნდება ბოროტება თავის საბუდარს,
რა უნდა ვუთხრა უღმერთობის
ამგვარ განაჩენს!

09.01.13
თბილისი

## თბილისი

ჩემო თბილისო! გადმოგყურებ ნარიყალადან,
ათას ექვსასი წელი მიდის, რაც
დგახარ მყარად!..
ყველა გვირაბი ჯოჯოხეთის გამოიარე,
მაგრამ ვერა და ვერ მოგთხარა,
მაინც სიავემ!
შენ მოდიოდი უქარქაშო ხმლების კივილით,
როგორ გიჭირდა
დაჩეხილი ტანის ტარება?
აცახცახებდა ცას და მიწას შენი ტკივილი,
გადადიოდა სისხლი
გზებზე ნიაღვარებად!.
გამოიარე კოშმარები უდაბურების,
ადგილის დედის ცას იკლებდა
მოთქმა-გოდება1..
ვერ შეგიცვალეს ო, ვერც რწმენა და ვერც ბუნება,
კვლავაც არ ვიცი, სანუკვარო,
რა გელოდება!..

05.01.13
თბილისი

## მზე ღრუბლებში მიცურავს...

მზე ღრუბლებში მიცურავს, ველარ გამოარღვია,
მზე ღრუბლებში მიცურავს,
არხევს სიმებს ნაღვლიანს...
მზე ღრუბლებში მიცურავს, ოქროს ქვაბი გუგუნებს,
მზე ღრუბლებში მიცურავს,
ვეღარ არღვევს უკუნეთს!
მზე ღრუბლებში მიცურავს, ქარი უტევს ჭიუხებს,
მზე ღრუბლებში მიცურავს,
გაქრა სხივთა სიუხვე!
მზე ღრუბლებში მიცურავს, ვეღარ გამოარღვია,
მზე ღრუბლებში მიცურავს,
არხევს სიმებს ნაღვლიანს!..

10.01.13
თბილისი

## მოსკოვი – 2010

კვამლში ცურავენ მოედნები, ვრცელი ქუჩები,
საითაც წახვალ, იზმორება
კვამლი სვეტებად...
სიკვდილის შიშით დუმს ქალაქი განაყუჩები,
განწირული ხარ,
ნურაფერი გეიმედება!
გატრუნულია ყველაფერი, ბნელი თაღები
მოუცავს კვნესას,
უიმედო ოხვრა-გოდებას!..
მოფენილია სივრცე შავი ბაირაღებით,
გმინავს სიცოცხლე
და სიკვდილი გვიახლოვდება!.
კრემლის ბრძანებით, კრემაციის დიდი ქარხნები
მთელი სიმძლავრით გუგუნებენ...
სივრცე ბერდება!..
ფერფლი, ნაცარი უერთდება მდინარე მოსკოვს,
და მთვარე, სადღაც,
სიშორეში მიეხეტება...

06.01.13
მოსკოვი

## ვერ მოვიშორე

ო, როგორ მთენთავს ეს ღამე გრძელი
და ის უთვალავ სატკივარს მიჩენს!
ვერ მოვიშორე ჭრილობა ძველი
და დგომას უკვე
სარკმელთან ვირჩევ.
გავცქერ ვარსკვლავთა შორეულ ციმციმს,
რომელიც მუდამ ხილვებით მავსებს...
ეს გრძელი ღამე ო, როგორ მიმძიმს,
რომ შემზარავად
მაწვება თავზე!..
და მოლოდინში წრიალებს სული,
გარეთ ანძები ჭრიალებს ყინვის!..
ოთახში, ისევ, სიჩუმე სრული
და ვაყურადებ
მამლების ყივილს!..

15.01.13
ბანძა

# ზამთარი

ხის რტოზე ჩიტი ირხევა მკრთალი
          და მინდორს თოვლის შრიალი ფარავს...
და სივრცე თეთრი ფიფქებით მთვრალი
ელვრება ჩემი
ბავშვობის კარავს...
ჩიტს სურვილი აქვს გაექცეს ზამთარს,
          ყინვას და ნამქერს რომ გაერიდოს!
ხეები, ისევ, დაობენ ქართან
და ეფინება ფიფქები მინდორს...

17.01.13.
ბანძა

## ზარებო, დარეკეთ, დარეკეთ!

ღამეა... მე ვდგავარ ალვებთან, ნისლები ირხევა ახლოს,
გავცქერი ვარსკვლავთა სიმრავლეს
და ვეძებ იქ სამოსახლოს...
ადრეა ჯერ მთვარის ამოსვლა, ფიქრებმა გაშალეს ფრთები,
კვლავ დგანან ო, როგორ ამაყად
ეს ჩემი მაღალი მთები!..
ხილვებით, შორს მივექანები, ცახცახებს ვექტორი მზერის,
ო, სულო, კვლავ იქით ისწრაფე,
ფიქრებო, ო, ისევ ზევით!..
ვიღაცა მეძახის შორიდან, სულს მითბობს შენ ხმის ხემი,
სამყაროს სივრცეებს უსაზღვროს
სერავენ ფიქრები ჩემი!..
ბავშვობის მინდორზე დავდივარ, და სწრაფვას არ უჩანს ბოლო,
ჭრილობას სხივები მიხვევენ, რომ მორჩეს
ბოლოს და ბოლოს!
ზარებო, დარეკეთ! დარეკეთ! სივრცეთა ტრამალებს ვზვერავ,
ო, ჩემო ბავშვობის ვარსკვლავო,
კვლავ შენკენ გამირბის მზერა!..

20.01.13
ბანძა

## მიდიან წლები

მიდიან წლები დღის და ღამის მონაცვლეობით,
მიდიან წლები და მე უკვე
ტკივილს ვერ ვმალავ!
მიდიან წლები და გუგუნებს ქარი ხეობის,
მე შენთანა ვარ, მეგობარო,
მარად და მარად!..
მიდიან წლები, ბერდებიან ხეები ბაღში,
დროის ცვლილებას
სამზეოზე არა აქვს ზომა!..
ამ ვრცელ მინდორზე უზურნველად დავრბოდი ბავშვი
და, მერე გულით ვესწრაფოდი
მე შენთან რომანს!..
მიდიან წლები და სხვა სივრცე მიახლოვდება,
მიდიან წლები და მე ვეღარ
ვპოულობ ქომაგს!
მითხარი, სულო მეოცნებევ, რისთვის ღონდები,
რატომ დაგჩემდა უჩვეულო
შიში და კრთომა?!

12.01.13
ბანძა

## სიზმრებში

წარსულს სიზმრებით მე ყოველღამ ვუკავშირდები,
თუმცა იმ დღეებს
განვეშორე დიდი ხანია!
კვლავ მეჩვენება უჩვეულო რხევა შინდების,
და მიხარია!..
ო, ეს ჭალები სათაყვანო, ვრცელი მინდვრები,
მივდივარ, სადღაც,
ვეფერები ვარდებს ხალიანს!
მდინარის პირას ვჩერდები და გავირინდები,
და მიხარია!..
ჩემი ტყეების იდუმალი შრიალი მესმის,
ჩემი მინდორი, ჩემი სახლი,
ჩემი ნალია!
მე საოცარი სილაჟვარდე ბავშვობის შევსვი...
და მიხარია!..
კვლავ მეძახიან აწვართული ჩემი ალვები
და მწვანე ყანებს
სიყვარულით გავცქერ ქარიანს,
ჩემი ბავშვობის დღეებს სიზმრად მივესალმები,
და მიხარია!..

26.01.13

თბილისი

* * *

მე ჩემს მთაწმინდას გავცქერი, რომ არხევს ნისლის
მანდილს,
მე ჩემს მთაწმინდას გავცქერი
ბოლომდე სავსე დარდით!..
მე ჩემს მთაწმინდას გავცქერი და ვეფერები რიდით,
მე ჩემს მთაწმინდას გავცქერი
მუდამ ტკივილით დიდით!..
მე ჩემს მთაწმინდას გავცქერი, მოსილს ხავერდით მთვარის,
მე ჩემს მთაწმინდას გავცქერი,
და ჟღერს ეოლეს ქნარი!..

26.01.13
თბილისი

## მიდის საწუთრო რიალით!..

ეს ჩემი სიცოცხლის ზონარი გაწყდება საცაა, ვიცი!
და ჟამი, რაც უნდა ეცადოს,
მე შენს თავს ვერ დამავიწყებს!
კვლავ მიდის საწუთრო რიალით და სული ბობოქრობს მიწყივ,
და შემრჩა – თვალები წყლიანი
და სული უზომოდ ფიცხი!..
ამ დროის დინებას ულმობელს, რომ გსურდეს ვერაფრით შეცვლი,
რა შემრჩა? – სოფელი ტიალი,
რა შემრჩა? – ცხოვრება მდოვრე!
შეხედე, თანდათან, თანდათან, ო, როოგრ ილევა ცეცხლი,
შევერწყმი უსაზღვრო სტიქიონს...
შევერწყმი ბობოქარ მორევს!..

23.01.13
თბილისი

## ღმერთმა შეგინდოს!

*საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა,*
*მოსკოვში სტუმრობისას, რუსეთის პრეზიდენტს*
*დიდი ბრძენი უწოდა.*

შენ, რაც თქვი, უნეტარესო, ქვეყნის გამჩენმა უწყოდეს,
თემურ-ლენგს ამ საუკუნის,
შენ დიდი ბრძენი უწოდე!
შეცდომებს მოსდევს შეცდომა, მოსკოვს ეწვიე ამაოდ,
ო, მაგ თქმით მამულს შესცოდე,
ღმერთმა შეგინდოს, მამაო!

30.01.13
თბილისი

## როდისღა გადაცისკრავს?

ეს ღამეები ზამთრის მიიზმორება მძიმედ,
მე კი სარკმელთან მიმდგარი,
გავურბი ღამის სიზმარს...
და უთვალავი მთები, თითქოს, მიგზავნის იმედს
და ველოდები სივრცეს
როდისღა გადაცისკრავს!..
როგორ დამღალა ლოდინმა, ღამე ლოდივით მაწევს,
მე ველოდები განთიადს
და ქარი არხევს რტოებს...
მისდევს სტრიქონებს სტრიქონი, ცრემლით ვასველებ ნაწერს,
გარეთ გავდივარ და ღამეს,
ვით შავ მოსასხამს ვტოვებ...

28.01.13
თბილისი

## საქართველოს

შენი ამინდი იცვლება, როგორც დღეები მარტის,
ეს გული ჟამით მოღლილი
                    წამებას ვეღარ უძლებს!
ვხედავ, მიზანი რთულდება, ავცდით გზას უკვე მარტივს,
რუსეთს სურს გაგვითავისოს
და მოგვიშალოს ფუძე!
ისევ მოუხმობთ დიდგორს და ილესება ხმლები,
კვლავ ვდგავართ ფეხზე ამაყად
                    იმედით შემოქმედის!
რეკავს ზარები მამულის, ქრის ქარი განახლების
და წინ მიგვიძღვის მხედრულად
სახე ნათელი დედის!..

26.01.13
თბილისი

## მე აიეტის ქვეყნის შვილი ვარ!

მე აიეტის ქვეყნის შვილი ვარ,
მოველ მედეას ლოცვა-კურთხევით!..
მე აიეტის ქვეყნის შვილი ვარ
და გულზე მაწევს
დარდი უთქმელი!..
მე აიეტის ქვეყნის შვილი ვარ,
გავცქერ ამაყად ჩემს მთებს ნაზამთრალს...
მე აიეტის ქვეყნის შვილი ვარ,
მის მძლავრ
ფესვებზე ამონაზარდი!..
მე აიეტის ქვეყნის შვილი ვარ,
და ცის ლაჟვარდებს ვარჩევ ოცნებით!
მე იაეტის ქვეყნის შვილი ვარ
ჩემი წარსულით
განაოცები!
მე იაეტის ქვეყნის შვილი ვარ
და საოცრებას, ისევ, მოველი!..
მე იაეტის ქვეყნის შვილი ვარ
და, ისევ, მაწევს
სევდის მორევი!..

20.03.13
თბილისი

## მზე ჩადის...

მე განშორების ცრემლები დამდის, და სადღაც, ბილიკს
დავეძებ ქარში!
დაგლეჯილია ეს გული დარდით...
და, მაინც არ სწყვეტს
მიწასთან კავშირს!..
მე განშორების ტკივილი მაწევს, მიცვლის ნიადაგ
ფერსა და იერს!
მზე ჩადის, გზებზე საღამო გაწვა...
და შემოდგომის
ფერები მღვრიე...
მე განშორების სახმილით ვიწვი, სულმა არ იცის
რა არის მოღლა,
მოჩანს ცისფერი ბილიკი ვიწრო
და, ვიღაც ჩუმად
დადის და ოხრავს!..

02.09.93
ბათუმი

## მოსკოვის ცა

ერთი მერცხალიც ვერ ვნახე ამ წელს მოსკოვის ცაზე,
მე მენატრება ჩემი მზე,
ბაღი ჟღურტულით სავსე!..
სივრცეს ღრუბლებით მოქსოვილს ვუცქერ, ვერაფერს მაძლევს,
და ცა ვეება მოსკოვის
ქალაქს ტვირთივით აწევს!..

22.05.09
მოსკოვი

## მზე ეშვებოდა ზღვაზე

მეგობარ პოეტ – **ჯანო ჯანელიძეს**

ის მალავს რამდენ წუხილს და არც არაფერს ითხოვს!
მე ვნახე იგი წუხელ,
მზე რომ კარგავდა სითბოს!

მე ვნახე, იგი წუხელ, არ ახსენებდა წარსულს!
მე ვნახე იგი წუხელ
და კაცი ჰგავდა ჯვარცმულს!

მზე ეშვებოდა ზღვაზე და თვალს ახელდა ღამე...
იყო ტკივილით სავსე,
ვით ფოთოლცვენის ჟამი!..

27.10.75
სოხუმი

## კვლავ ფრთების გაშლა ინებე

ხარ ბედისწერით დაბმული და მაინც ცოცხლობ იმედით!
კვლავ მოჩანს გზა უდაბური, თუმც შუქი
ფეთქავს მცირედი!..
შენ ფრთების გაშლა ინებე... მზეს ელტვი იკაროსივით,
მიხვალ და მიეფინები,
ცა მოჩანს ნათელმოსილი!..
გზებზე ქარები რიალებს და ფრთებს უხეშად გახლიან,
გულს დემონები ტიალი
გიჩეხენ ჟამის მახვილით!..

10.10.75
ბანძა

## რა შორს გაცურდა?!

რა შორს გაცურდა ის ოქროს ხანა,
მივათრევ სხეულს
უზომოდ მოღლილს!..
უკვე ბოლომდე სავსე ვარ ბოღმით,
გაუმარგლავი, რომ
მრჩება ყანა!..
შორს, ველზე დარჩა ყივილი ხოხბის
და სატანჯველი
რამდენი მიმაქვს!..
ამ ჩემს ხეივანს ვსცილდები ოხვრით
და ყველა ძარღვი
ერთბაშად მტკივა!
მხრებზე მახურავს საღამო ნაბადს
და მომავლისგან
არაფერს ველი!
ნისლები შლიან ბინდისფერ ფაფარს
და მტკივა უკვე
სიმღერით ყელი!
რა შორს, გაცურდა ის ოქროს ხანა,
მივათრევ სხეულს
უზომოდ მოღლილს!..
უკვე ბოლომდე სავსე ვარ ბოღმით,
გაუმარგლავი, რომ
მრჩება ყანა!

27.10.09
ბანძა

## ლურჯი ზღაპარი

ბუნება, ისევ იწყებს გალობას
და ყვავილები ცვივა ფერადი...
მახსოვს, მე შენი უხვი წყალობა,
როცა ნიავი
დაუბერავდა.
ვინ გამიხუნა ეს ბილიკები,
თუმცა, ჭიკჭიკი ისმის ჩიტების!..
დრო მიდის და, თან მექილიკება,
მივალ უზომოდ
განაფიითრები!..
მე საოცრება ბევრი მინახავს,
ჟამმა, თუმც სევდა შემომაპარა!
ლექსო, შენ მაინც შემოინახე,
ო, იმ დღეების
ლურჯი ზღაპარი!

19.05.09
მოსკოვი

## სანამდის?!

სანამდის, სანამდის, სანამდის გაგრძელდეს
ამ სულის ღელვა და
ფარული მოტივი?!
მიდიან დღეები და უფრო გაძნელდა,
ძვირფასო, ლოდინი!..
ო, ნუთუ, ეს ასე ხდებოდა ოდითგან?
ქამის ცივ მკლავებზე
ცახცახებს ტოტები!..
ო, მოდის საღამო, ზღვის ღელვა მოდიდდა
და ღამე ეცემა
მიწაზე ლოდივით!..

01.10.69
სოხუმი

## მთვარით შენაფერი

გული ანთებული, ისევ გეფერება
          და სულს უანკარესს მუდამ ენატრები!..
შენი ჩამოქნილი ტანი მელანდება,
მთვარით ანარეკლი,
მთვარით შენაფერი!..
სულის ოკეანე ღელავს შეშლილივით,
          სულში ჩამეღვარა შუქი შენმიერი!..
როგორ გიფრთხილდები, როგორ მეშინია,
რომ არ გამეძარცვოს
ტოტი მშვენიერი!

29.08.69
სოხუმი

## არ დამიღონდე!

ის ჟამი უკვე ჩაბარდა წარსულს
და ახლა რისი იმედი მქონდეს?
ადგილის დედავ, არ დამიღონდე,
და იმ დღეების
ფერები მასვი!..
ის სილაჟვარდე, სად გაქრა სივრცის
და შემოდგომის მიგალობს ჩიტი!..
მივდივარ გზაზე... ვიღაცა მიცდის,
ვერ ვხვდები, სულო,
თუ საით ილტვი?!
უკვე ვშორდები მშობლიურ ხედებს
და უჩვეულო დუმილი მიპყრობს!
ოღონდ, იმ დღეთა ხსენება იყოს,
დროო, იქითკენ,
კვლავ მიმახედე!..

18.07.09
მოსკოვი

## ვიხსენებ წარსულს

დღეს კვირა დღეა, მაისის ათი,
და მე ქუჩაში
მივდივარ მარტო!..
მზემ, შორს გაჰფანტა ღრუბელი ზამთრის
და ჩემს მშობლიურ
სანახებს ვნატრობ!..
ვის, რად სჭირდება ცოდვა და მადლი,
ვიხსენებ კრწანისს!..
ვიხსენებ მარტყოფს!..
და ცას მოსკოვურს ფიქრებით ვბარდნი,
როცა ქუჩაში
მივდივარ მარტო!..

10.05,09
მოსკოვი

## სხვა არაფერი

გაზაფხულობით მომიტანეთ ფერები მინდვრის,
გადამაყარეთ გულზე თბილად
ცვარით ნაბანი...
მაისის ჩვიდმეტს გამირღვიეთ დუმილი დიდი
და მომაგონეთ შორეული
დღეთა ზღაპარი!..
მქონდა ღირსება ქვეყანაზე დაუძრახველი,
შესაბამისად ჟამის აღარ
მიცვლია ფერი!
მოდით, ახსენეთ, ძვირფასებო, ჩემი სახელი
ო, ეს მაქვს თხოვნა ერთადერთი, –
სხვა არაფერი!

06.09.12
თბილისი

## მზეჩამავალი...

ქარში ვფანტავდი ყვავილებს ფერადს,
ცაზე ვიჭერდი ფერებს უნაზესს!
შემოდიოდი ჩემში სიმღერად
და ცეცხლს მინთებდი
სულის ქურაზე!..
ქარმა დაფლითა აფრა მრავალი
და ბაგეებზე გაქრა ღიმილი!
შორს იწურება მზეჩამავალი...
მე შემრჩა ღელვა
და სიმძიმილი!

01.03.70
სოხუმი

## მოვღალეთ გზები ბრძოლებით

შეხედე, ციხის ქონგურებს, რა ტანჯვა გადავიტანეთ?!
და დღესაც კვნესის ჩონგური
და დღესაც ტირის გიტარა!..
მოვღალეთ გზები ბრძოლებით, კიოდა სისხლის მდინარე!..
და სივრცეს ვეფხვის ზოლიანს
ამსხვრევდა ხმა უჩინარი!..
მკვეთრად იცვლიდა ცა იერს და ღმერთსაც აღარ უკვირდა,
რომ ჩემს მყინვარს და იალბუზს
სდიოდათ სისხლი შუბლიდან!..
ზღვის ღელვას გავუთანაბრეთ კივილი სულის ქარების,
და აწყდებოდა ქარაფებს
რეკვა ვარსკვლავთა ზარების!..
შეხედე ციხის ქონგურებს, რა ტანჯვა გადავიტანეთ?!
და დღესაც კვნესის ჩონგური,
და დღესაც ტირის გიტარა!..

04.10.70
სოხუმი

## შემოვრჩი მინდვრებს

ნუთუ, იმ დღეებს ვერასოდეს ვერ დავიბრუნებ?
და ვერც იმ მინდვრებს ხავერდოვანს
შუქთა მოსევით...
დავდივარ ჩუმად და ნიადაგ განსჯას ვუნდები,
ნუთუ, იმ გვარად
ვერასოდეს შევიმოსები?
ჟამი ვერაგი შუბს მიმიზნებს გაქლენთილს შხამით
და უნდა შიშით
დამაჩოქოს, ამაცახცახოს!
ამოდის ცაზე ბედისწერის ვარსკვლავი ღამით
და სულს მოუნდა
გაზაფხულის სივრცეს გასძახოს!..
რომ მომაგონოს იმ დღეების ლუკჯი ზღაპარი,
ამივსოს სული – მოქღურტული,
ნაზი ფერებით!..
შემოვრჩი მინდვრებს, უიმედო, მიუსაფარი,
თუმც გული შემრჩა
სიყვარულით დაუბერები!..

02.09.12
ბანძა

# მოდის საღამო

საით მიდიან ეს ნისლები ასე ნაკადად?
ნიავს კვლავ მოაქვს შემოდგომის
ბაღის სურნელი!
ჩემი ცხოვრების ჰორიზონტი, ნუთუ დაქანდა?
მოდის საღამო –
ჩუმი სევდა განუკურნელი!..
მოდის საღამო, როგორც ლურჯი ტყეების ფიქრი
და მდინარეზე დაცხრილული
გავდივარ იჭვით!..
მოდის საღამო და ცისფერი მდინარის იქით,
ისმის სიმღერა შორეული, –
პატარა ბიჭის!..

29.08.56
ბანძა

## მიედინება მდინარე...

აურაცხელმა თაობებმა გადაიარეს,
ამ პლანეტაზე უჩვეულო
ღელვით, კვეთებით!..
მიიგრაგნება, სიშორეში მიდის მდინარე,
დაუცხრომელი ბობოქრობით,
მძლავრი შეტევით!..
მეც, ამ ვეება მდინარის ხომ ერთი ზვირთი ვარ,
ბრძოლით გადაღლილს,
მთვარე მადგამს თავზე ობელისკს...
ის მიდის მარად, სიშორეში მიიზვირთება,
ო, მუდამ მღვრიე
და ნიადაგ დაუნდობელი!..

03.09.12
თბილისი

## დაველოდები

კიდევ ცოტა ხანს მე შენს მოსვლას დაველოდები,
მოულოდნელი სიხარულით
ამავსებ, ვიცი!
იწვის ეს გული, მეგობარო, ცეცხლის მოდებით,
მერე გავყვები სიშორეში
ვარსკვლავთა ციმციმს.
ისევ ჭიხვინებს ჩემს მინდორზე ქურანა კვიცი
და ხვალინდელ დღის უჩვეულო
სიამეს მომგვრის!
გავცქერი სივრცეს ვარსკვლავიანს ო, როგორც მოგვი
და მოგონება მახალისებს
შორეულ რიცხვის!..

04.09.12
თბილისი

## შემომეშველე, ბერდედავ!

ძარღვებში სისხლი გახელდა, დრო რას არ გიზამს მოძალე!
გამომეღვიძა, რას ვხედავ,
გულს განმეწონა ბოძალი!
გადატყდა ტარი ანაზდად და შიგ ბუნიკი ბერდება,
ტკივილი გამიათასდა,
შემომეშველე, ბერდედავ!
როგორც სანთელი ჩამოვდნი, სიცოცხლე გამიტიალა,
სისხლი წვეთ-წვეთად ჩამომდის,
ნაკადულებად კი არა!
ტკივილმა უფრო იმატა, ცეცხლი მომედო ბრიალა,
ხან ლაწვებს ვარდი მიმადებს,
ხან მეფერება ხვიარა!..
მზე უკვე გადაიფერდა, ნიავმაც ჩამოიარა...
ვცოცხლობ მომავლის იმედით,
ლექსით ვიშუშებ იარას!..

14.09.57
ბანძა

## ასე, რად დუმან?

მე დღენიადაგ ჩემი ქვეყნის წყლულებზე ვფიქრობ,
მამულის ბჭესთან მეც დავდგები
ბებერი მკლავით!
სიტყვით ნათქვამი, უბოლოო ტკივილს ვერ მიქრობს,
ვიცი, ვერაფერს ვერ გავხდები
მარტოდენ კალმით!
ასე, რად დუმან მდინარის პირს ხეები ალვის,
მთვარიან ღამით მომლოდინე
ქარების ურჩის!
რა ნაღვლიანად გადმომყურებს ეს მთვარე ქარვის,
ვინ გამიხუნა ეს ჩემი ცა –
საოცრად ლურჯი?!

05.09.12
ბანძა

## Ო, ᲠᲝᲒᲝᲠ ᲛᲘᲜᲓᲐ!

ო, როგორ მინდა, რომ შევიჭრე ბობოქარ ზღვაში,
ამ ჩემი ნავით, – მივენდობი
გულსა და თვალებს...
შევებრძოლები მოტორტმანე ამ ქაოსს გაშლილს,
სანამდის იგი არ მომტაცებს
მზერიდან მთვარეს!
ო, როგორ მინდა დავამთავრო საწუთრო ბრძოლით,
მე კარგად ვიცი, რომ ცხოვრება
ჭიდილში იშვა!..
მსურს უდრტვინველად შევასრულო ეს ჩემი როლი,
თუ დავეცემი, მიმაბარეთ
ზღვის ამ ვრცელ ქვიშას!..

06.09.12
თბილისი

# მოგონება

*(თამაშის ფრაგმენტი)*

ბურთისკენ გავრბივართ ბიჭები,
ამ გაშლილ ხავერდზე მინდვრის...
ცენტრის ხაზს ჰა, გადავაბიჯეთ
და ისმის ძახილი – მიდი!..
ბურთისკენ გავრბივართ ბიჭები
და სწრაფვას არ უჩანს ზღვარი...
ეს ერთი ფინტებით გაიჭრა
და კარში დარტყმა
და – არის!..

28.08.12
ბანძა

## სიცოცხლე

სიკვდილს გაურბის იგი და დედამიწას ათბობს,
სიკვდილს გაურბის იგი,
მინდვრის სურნელი ათრობს!
სიკვდილს გაურბის იგი, არ უნდა თვალით ნახოს,
სიკვდილს გაურბის იგი, –
ამ წყეულ სამოსახლოს!
სიკვდილს გაურბის იგი, ცა უყვარს მოხასხასე,
უყვარს სიმაღლე მთების,
მზის მხურვალებით სავსე...
სიკვდილს გაურბის იგი, ეთაყვანება ფებოსს,
ის მუდამ ამსხვრევს დუმილს,
ფრთები აქვს სანაქებო!

31.08.12

თბილისი

## ჩამორბის წყარო

რა სიმაღლიდან ჩამორბის წყარო,
თითქოს კლდეს შეხსნა მძიმე ურდული.
ვარდ-ყვავილების სიმრავლით ხარობს
და სიშორეში
მიდის ქლურტულით...
რა სიმაღლიდან ჩამორბის წყარო
და ძალა სულაც აღარ ელევა!
მიდის გზადაგზა, სულაც არ ცხარობს
და განშორების
სევდა ერევა!..

01.09.12
წაღვერი

## რად გაიტრუნე, ბუნებავ?

რად გაიტრუნე, ბუნებავ, ფიქრს რად ეძლევი მტანჯველს,
რად გაიტრუნე, ბუნებავ,
გული რად გიწუხს გამრჯე!
რატომ ცახცახებ, ნიადაგ, ამ მზის ხანძრების შიშით?
რატომ ქვითინებ, ბეჩავო,
ვინ შემოგბედა ქიში?!
რად არ ქრის დილის ნიავი, ან წყარო რატომ ტირის,
ჟამს  მოაქვს მხოლოდ სიავე,
გაქრა ნიავი დილის!
რად გაიტრუნე, ბუნებავ, მზე ცაზე, როცა კივის,
მამალი შედგა ბექობზე
და გულსაკლავად ყივის!..

03.08.12
თბილისი

## ცას გავცქერ ლოცვით

ო, ცა ისევ შეიმოსა ღრუბლებით
და ნიავმა მთიდან ჩამოიქროლა...
ალვის ხეებს გრძნობით ვესაუბრები
და ჭიშკართან ბლავის
ხარი ნიკორა!..
ყველაფერი წვიმის მოსვლას ნატრულობს,
მერამდენედ ცას გავცქერი ლოცვით...
უკვე ვხედავ, ღრუბლის სივრცე მატულობს
და ყვავილებს სიო
გრძნობით კოცნის!.

05.04.12
ბანძა

## იციმციმეთ...

იციმციმეთ, ვარსკვლავებო ჩემო,
დამათოვეთ ლურჯი შუქი ციდან!..
იციმციმეთ, ვარსკვლავებო ჩემო,
იციმციმეთ, იციმციმეთ მშვიდად!..
იციმციმეთ, ვარსკვლავებო ჩემო,
ზღვის ნაპირზე ხავერდს მაფენს მთვარე,
იციმციმეთ, ვარსკვლავებო ჩემო,
ამიყვავეთ შუქით ჩემი მხარე!..
იციმციმეთ, ვარსკვლავებო ჩემო,
თქვენ ხართ ჩემი ოცნებების წყარო!..
იციმციმეთ, ვარსკვლავებო ჩემო,
ნუ ამავსებთ სევდით უმოწყალოდ!..

26.08.60
სოხუმი

## ᲛᲒᲚᲝᲕᲘᲐᲠᲔ ᲤᲔᲠᲔᲑᲘ

„გზა იყო უდაბური,
უსახო, უპირქუბო...“
**გ. ტაბიძე**

იყო საღამო უდაბური ლურჯი ფერების,
მიჰქონდათ კუბო... შემზარავი
იყო ზმანება!..
მიქროდნენ, სადღაც, გრიგალივით ლურჯა ცხენები...
რა უცნაური იყო შენი გარდაცვალება?!
მზემ მთებს შუბები შეალეწა გულის ფიცარზე
და დასასრული იგალობეს
მწუხრის ზარებმა!..
რა საოცრება იყო შენი მოსვლა მიწაზე,
რა უცნაური იყო
შენი გარდაცვალება?!
თითქოს ჩამოწვა გუმბათები კავკასიონის,
კიოდა ქარი,
ნუთუ, იგი არასდროს მოვა?
მიჰქონდათ მაღლა – მთაწმინდისკენ ერის დიდება
და იყო მხოლოდ
იდუმალი ფერების გლოვა!..

12.09,60
სოხუმი

## მზის ხანძარი

ამ წყეულ პაპანაქებას ო, როგორ ვუძლებთ მიკვირს,
ცა დამეფერფლა ნაქები
და ხეივნებიც ირგვლივ!..
მზემ მიწა გაინაპირა, უკვე ხანძარში ვიწვით,
გაქრა ტყეების ზღაპარი,
ცვივა ყვითელი წიწვი...
ისმის კვნესა და ქვითინი, უშრებათ ხეებს სისხლი,
იხოცებიან ფოთლები
და ცას გავცქერი ზიზღით!..
მზემ მინდორ-ველი გაცხრილა, სივრცე ცახცახებს შიშით
და წყლისკენ გარბის ყოველი,
როგორც ნახევრად გიჟი!..

28.07.12
თბილისი

## მე არაფერი არ მაწყდება!

მე ბევრი მახსოვს წელი ძვირფასი
და გულსატკენი კიდევ მრავალი!
გუშინ მე, ისევ, დავცალე თასი
და მოგონება
რამდენს მავალებს!..
ჩემი გზა, ვიცი, თუ სად იწყება,
რამდენი დამრჩა კიდევ სავალი?
მე არაფერი არ მავიწყდება,
არც მზეაღმასვლის, –
არც ჩამავალი!

20.08.12
თბილისი

## მიდის და მიდის...

კიდევ ცოტა ხანს დავრჩები შენთან,
მინდა ვუსმინო ჟრიამულს სოფლის!..
მშობლიურ წყაროს კვლავ ცრემლებს შევრთავ,
რომელიც ჩემკენ
სიმღერით მორბის...
მე ამ მიწის ვარ ერთგული მკვიდრი,
მიყვარს ალვების რხევა-შრიალი...
წუთისოფელი მიდის და მიდის
და მიაქვს სევდა
ურმის ჭრიალით...

21.08.12
თბილისი

## ჭკნება იმედი

იასამნისფრად მთვარე ინთება
და მე, ძვირფასო, მოვდივარ შენთან!..
ჩემი ტყეები და ველ-მინდვრები,
ეს რა ხანია,
რომ გადაშენდა!
მომაქვს ტკივილი აურაცხელი
და ვხედავ ჟამი უკვე მიმეტებს,
მე ვგავარ ისარს, მიზანს აცდენილს,
და ფოთოლივით
ჭკნება იმედი!..

07.08.12
თბილისი

# რატომ გაჩუმდი?

შენ დღით და ღამით  გალობდი, ჰანგით გვხიბლავდი ერთობ,
ბუნების იდუმალებამ
ხმა მოგანიჭა ჯილდოდ!
მეც იქით მიმიხაროდა, სად შენი სული ენთო
და გვატყვევებდი ხმის ჰანგით,
ჩემო პატარა ჩიტო!
რამ გაგაჩუმა ნეტავი, როცა ბუნება ხარობს
და ყვავილები ველ-მიდვრებს,
როცა სინაზით ათრობს!
როცა, შორს, სადღაც, ციმციმით მიედინება წყარო,
რატომ გაჩუმდი, ჩიტუნავ,
რატომ არაფერს ამბობ?
დღეს რტოზე ზიხარ უჩუმრად, ნეტავი, რაზე ფიქრობ?
მოგძალებია ნაღველი,
თუმცა არაფერს  ითხოვ!
დრო მიდის, მიედინება, სევდას ვერავინ გიქრობს
და გაზაფხულის გაფრენა,
როგორ იგრძენი, ჩიტო!

30.08.12
ბანძა

## ნატოს

შენი ტანის სურნელებას ვნატრობ,
ო, რამდენი გრძნობის ცეცხლი ვანთეთ!..
მე იმ დღეთა მოგონება მათრობს
და თვალების
მიხმობს სილაჟვარდე!..
კვლავ, ძვირფასო, მე იმ ჟამის ტყვე ვარ
და მტკვრის ნაპირს მივუყვები მარტო...
მოგონება მექცა ღამის თევად
თუ გაწყინე, –
მაპატიე, ნატო!

04.08.12
თბილისი

## პოეტი

სალვატორე ქვაზიმოდოს

შენ დგახარ მარტო და სივრცეებს დუმილით უმზერ,
შორს, ჰორიზონტზე
იისფერი ლანდების რიგი...
მოდის ნიავი, – ლურჯი ფრთებით გეხება წყლულზე
და მეწამული მზე ეშვება
ღრუბლების იქით!..
ქანაობს შენში უდაბური სტიქიის ძალა
და კივის, კივის,შენი სული, –
ქარიშხლის ფრთები!..
ხან ხანძარივით შეთრთოლდება, იფეთქებს მძლავრად
და გადაბურულ ოკეანეს
მიარღვევს მხრებით!..
ხან მეტად ნაზი მზის სხივივით კანკალებ მარტო,
და იცრემლები, როცა ყვავილს
ეცემა მტვერი!
ხან ვარსკვლავების უნაპირო ციმციმი გათრობს
და გეშინია სუსხიანი
ქარიშხლის სტვენის!
შენ დგახარ მარტო და სივრცეებს დუმილით უმზერ,
შორს, ჰორიზონტზე
იისფერი ლანდების რიგი...

## საით მიცურავ, მზეო?!

მოდის ნიავი, – ლურჯი ფრთებით გეხება წყლულზე
და მეწამული მზე ეშვება
ღრუბლების იქით!..

12.95.67
სოხუმი

## რად გაგვიმეტე ასე?

დუღს და გადმოდუღს ქალაქი მზის მხურვალებით სავსე,
მოთენთა მტკვარიც, არაგვიც
და მიგუგუნებს ცაზე...
მას ვერაფერი აშინებს, უცქერს სიცოცხლეს რისხვით
და მინდორ-ველს და მთა-გორებს
ლამის გაუშროს სისხლი!
ირღვევა დროთა კავშირი, არ ჩანს ღრუბლები წვიმის,
ცასა და მიწას ერთბაშად
დააწყდა ყველა სიმი!
ო, მზეო, რას გვემუქრები, რად გაგვიმეტე ასე?
საცაა, ქარიც დაჰბერავს,
რომ ცა დაგვამხოს თავზე!

5.08.12
თბილისი

## შინდისის გმირებს

17 მებრძოლი შინდისში, რუს
ოკუპანტებთან უთანასწორო
ბრძოლაში, მამაცის სიკვდილით
დაეცა!

* * *

„თქვენს საფლავებთან მოსვლა
და მუხლის მოდრეკა მომინდა.“
**ლადო ასათიანი**

თქვენი სისხლით შინდისფერად შეიღება შინდისი,
ხართ ქართული შემართება
და მამულის სინდისი!
არაგველთა ნაკვალევზე გაბედულად იარეთ,
მკლავნი გაიმამაცურნეთ,
ერი გაამთლიანეთ!
და ცეცხლს ცეცხლით პასუხობდით, ვეღარ დაგახევინეს,
ახსოვთ თქვენი შემართება
ამ მინდვრებს და ხეივნებს!..
და სულები აქ ანთია, ვით რტოები შინდის ხის,
თქვენ მამულის სიმაღლე ხართ,
და ქართული სინდისი!

08.08.12
თბილისი

## ენძელა

თოვლის მოიხსნა თავშალი და ტყეს სიცილით იკლებს,
ნიავმა ფრთები გაშალა, მზე ცაზე
ძალას იკრებს!
გამოაღვიძა დრომ წყარო, ზამთრის მიაგდო ტვირთი,
ღმერთია მის მოწყალე,
რომ სიშორეში მიდის...
ბუჩქთან კი ია მიღიმის, თითქოს არაფერს იმჩნევს
და გალობს ჩემი ღიღილო,
მასთან დარჩენას მირჩევს.
გავცქერი მწვანე სანახებს, დროს ვეგებები ლოცვით,
შრიალებს ლურჯი ბალახი
და მე ენძელას ვკოცნი!..

21.02.12
ბანძა

## რატომ გაფრინდით?

გამოთხოვების გარეშე, რატომ  გაფრინდით, მერცხლებო?
გაშინებთ ქართა თარეში
და მთები გადავერცხლილი...
თქვენი უმანკო  სხეული ვერ უძლებს სუსხს და ქარ-წვიმებს,
განშორებისას ამ მინდვრებს,
ალბათ, ცრემლები აწვიმეთ!
გაფრინდით მხოლოდ იქითკენ, სად გაზაფხული ნებივრობს,
ვიცი, რომ დამიბრუნდებით,
როცა ფრთებს გაშლის ზეფირი...
წაიღეთ ჩემი გულისთქმა, სევდა, რომელიც გაგანდეთ!
თუ ვერ დაგვხდებით, – სამარის
ჩემს ლოდზე გადინავარდეთ...

09.08.12
თბილისი

## სად გაქრა?!

შეთხელდა ჩემი ბიჭები ყრმობის,
წარსული, ისევ
მიგზავნის ნობათს!..
იმ დღეებს ახლაც გავცქერი გრძნობით,
სად გაქრა ო, ის
ლამაზი ძმობა?!
მდუმარებს კვლავაც მიდნორი ვრცელი
და ჟამი, ისევ,
აბრუნებს ბორბალს!..
რა ვუყო ამ გულს დატბორილს ცრემლით,
სადღაც კუთხეში
მიგდებულს ობლად?!

21.01.09
ბანძა

## სიკვდილს!

მითხარ,სიკვდილო, დედა, ყმაწვილს რატომ წამართვი,
რად გამიხადე გული, ასე
                    სევდით ნაოსი!
და შემზარავი ტკივილებით, რატომ ამანთე,
რად შემაჩვიე
მდუმარებას სასაფლაოსი?!..
ეს ჩემი ლექსი, თუკი ნიშნავს ქვეყნად რაიმეს,
მინდა შეტევით დაგილეწო
                    ფრთები ბოლომდის!
მესმოდა, ხშირად, სიშორიდან მამის – ვაიმე!
მითხარ სიკვდილო,
ასე რატომ გამაბოროტე?!
ვხვდებოდი ტრფობით გაზაფხულის ვარდისფერ ქარებს,
გავცქერდი სივრცეს ფოთოლცვენის
სევდით მოფენილს!..
რად შემაყვარე ფიქრიანი ჩრდილები მთვარის,
რად შემაძულე
უჩვეულოდ წუთისოფელი!

24.05.2017
თბილისი

# მთაწმინდა

მთაწმინდა მდუმარედ დამცქერის ო, ჟამთან შეტევით მოღლილს,
სივრცეა ქარიშხლით ნაცემი
და სული მევსება ბოღმით!..
ვინ ამბობს ნაღვლიან სიმღერას, მივათრევ დარდების მორევს,
რა ყრუა ეს წუთისოფელი,
რომ მიედინება მდოვრედ...
მივდივარ საითკენ, არ ვიცი, ო, ეს რა ტკივილი მაწევს,
ჩურჩულებს აგვისტოს ნიავი
და არხევს დასიცხულ ნაძვებს...
ცა შემოღამების ირხევა და, ვიღაც ნაბიჯებს მითვლის
და სული წამებით ირღვევა,
მივენდე კალამს და რითმებს...

02.08.12

თბილისი

## ზაფხულის ცა

ერთი ფთილაც არ ჩანს ღრუბლის,
ცა ისეა მოსარკული!..
და სიცოცხლე მზეს გაურბის,
მორევია მთა-ბარს რული!
ვხედავ, ალვებს აწვართულებს,
მდინარის პირს დგანან მწყობრად...
რა შორს დარჩა გაზაფხული
და რტოზე ზის
ჩიტი ობლად...
შორს, კლდეები მოჩანს მქისე,
მზე კვლავ ისვრის სხივთა შხეფებს...
ზის ამაყად მაღალ ქიმზე
ფრინველების თეთრი მეფე!

12.08.12
თბილისი

## რატომ შეჩერდა გზაზე?!

რამ გაახუნა ასე ფერი შინდის და ატმის,
ვინ ამიტირა გზაზე
ჩემი ბავშვობის ლანდი?!
რამ გაახუნა ასე ფერი აპრილის დილის,
რატომ შეჩერდა გზაზე
ჩემი პატარა ჩრდილი?!
ცვივა ფოთოლი უხმოდ მდინარის პირას ცირცელს,
შენ, სულო, ვიღას უხმობ,
რომ ფრთებით არღვევ სივრცეს?
გადაიზნიქა ღელვით ხეთა ჩრდილები რუხი,
მიდის ბავშვობის ღელე და ქვებზე
იმსხვრევს მუხლებს!
რამ გაახუნა ასე ფერი შინდის და ატმის?
ვინ ამიტირა გზაზე
ჩემი ბავშვობის ლანდი?!

15.08.81
ბანძა

## ცვივა ფანტელი

კვლავ მტკივა ნაიარევი, ჟამმა კვლავ დარდი მოდენა!..
ისევ, ტირიან თვალები,
თვალები საცრისოდენა!..
მე არასოდეს ვყოფილვარ უიმედობის ზვარაკი,
იყო მზით შემოღობილი
ჩემი ბავშვობის ბანაკი!..
სიო არხევდა ბალახებს, მიირწეოდა ბინული,
მე ვიყავ სულით ამაყი,
მაგრამ სისხლში კი ყინულის
ერთი კრისტალიც არ მედო, ამიტომ არ ვარ გულცივი!
თუმცა, ბრძოლაში დავბერდი,
მაინც ცხოვრებას ვუცინი!..
ცვივა ფანტელი ორფერი, ვარ მაგ თვალების ტრფიალი,
მიდის ეს წუთისოფელი,
მიდის და მიდის ტიალი!..

02.11.01
სოხუმი

## ფერადი სიზმრები

მე ფერად სიზმრებს ვხედავ ბავშვობის,
რომელიც კინოფილმივით მიდის!..
დამთავრდა ჟამი ჩემი ლაშქრობის
და შემოდგომის
მეხვევა ბინდი!..
ისევ შრიალებს ხეები ალვის
და დროს გაფრენილს გავცქერი რიდით!..
ვიხსენებ ახლა იმ დღეებს, ლალი,
და სატკივარი
შემომრჩა დიდი!..

15.09.12
თბილისი

## მსხვერპლი ვარ ამ საუკუნის!

ცაზე ღრუბლები კართაგენის ნანგრევებს მოჰგავს,
მათ შორის, ისევ, იზმორება
ბინდი ულევი...
ზოგან ნისლი წევს უდაბური, ქარი ქრის ზოგან,
და ნანგრევებში მოჩანს
მთვარის ნაფეხურები...
მივდივარ მარტო და ზვირთების ისმის გუგუნი
და შორს, ვარსკვლავებს
მოციმციმეს ვესაუბრები...
მძაფრი ტკივილით, მე მსხვერპლი ვარ ამ საუკუნის,
მაგრამ ჯერ კიდევ ვგრძნობ
და ვღელავ – ღმერთის უფლებით!..

02.01.12
თბილისი

# სოფელი

ცხოვრების ორომტრიალი შავლეგა ნისლებს მახვევს,
წუთისოფელი ტიალი ღამის
ბინდებში მახვევს!
კვლავ იხმეს სოფლად ურემი, ჟამს გაუხუნდა ფერი,
დარდით სავსე მაქვს ულევით, –
ეს ჩემი სულის ქვევრი!..

20.11.2002
ბანძა

## ოლონდ შენი გზა გადარჩეს!

ეს დათოვლილი ხეები, ო, რა სიმშვიდეს მანიჭებს,
დავდივარ და, თან ვიხსენებ
ჩემს ჭაბუკობის ძმაბიჭებს!..
დღეები რბიან, და უხმოდ ჭაღარა შემომესია,
მე შენზე ლოცვით ვილევი
შენა ხარ ჩემი მესია!..
განშორებამდე რა დამრჩა? – მხოლოდ ორი დღის სავალი,
შენ გამიგონე, უფალო,
გამიხსენ ცა უსამანო!..
რად მაკრთობს ლოდი სამარის, თუმცა არა ვარ მშიშარა,
მთებიდან, ამ ჩემს მინდორზე
ნისლები ჩამოიშალა...
თოვლის ფანტელებს გავცქერი, მინდა მთელი დღე ვეფერო,
თუ დავეცემი, შენ მთვარევ,
შუქი მათოვე, ბებერო!..
არავინ უწყის საწუთრო, რა უკუღმართად ტრიალებს,
მოისურვებს და ერთბაშად
მოგშლის და გაგატიალებს!..
რამდენიც უნდა ეცადო, ვერ გამოუტან განაჩენს,
ყველაფერს თავი ანებე,
ოლონდ შენი გზა გადარჩეს!..

24.01.12
თბილისი

## თებერვლის ქარი

განშორებამდე, მეგობარო, სულ ცოტა დარჩა!
ნუთუ, ნისლები წუთისოფლის
                                        ამაოდ ვფანტე?!
აჩრდილი იგი აღარ მოდის, არა და არ ჩანს,
და ქარი ისევ ათამაშებს
უთვალავ ფანტელს...
საცაა, მალე გამოჩნდება ჩააქრობს სანთელს,
ის მოდის ჩუმად, განა მკერდით
                                        მოარღვევს სივრცეს?
თებერვლის ქარი, ო, რა მწარედ ატირებ მინდვრებს,
თებერვლის ქარი ათამაშებს
უთვალავ ფანტელს...
ვერ შეგისრულე, მეგობარო, ვერცერთი ნატვრა,
მოდის და იგი ჯალათივით
                                        სიცოცხლეს მართმევს!
განშორებამდე, მეგობარო, სულ ცოდა დარჩა,
თებერვლის ქარი ათამაშებს
უთვალავ ფანტელს!..

14.02.12
თბილისი

## სად მიხვალ?

სად მიხვალ, დღეო ნათელო, ვით ფეხშიშველა ქალი!..
კვლავ იწვის სულის სანთელი, თუმც აკრთობს
ხშირად ქარი!...
ჟამს ღელვით დავუკავშირე ო, ეს ტკივილი ჩემი!
შენი სიშორე მაშინებს,
ვით ბედის განაჩენი!
სად მიხვალ, დღეო ნათელო, რომ შლი აფრების წყებას?
ნუ დაივიწყებ, ვინც გიყვარს, –
აშორე დავიწყება!..
ო, ნუ იჩქარი, მნათობო! ამინთე სივრცე მკრთალი!
მინდა ჩემს მთა-ბარს ათოვდეს ფერი
მზისა და მთვარის!..
სად მიხვალ, დღეო ნათელო, ვით ფეხშიშველა ქალი!..
კვლავ იწვის სულის სანთელი,
თუმც აკრთობს ხშირად ქარი!..

12.08.86
ბანძა

# ფიფქების მეწყერი

როგორ ამიკლეს ფიქრებმა, სადღაც მამალი ყივის,
ცა კი იღვრება ფიფქებად და ვისმენ
ირმის ყვირილს!
გავცქერ ფანჯრიდან მთა-გორებს, ვერ ვხედავ, რასაც ვეძებ!
და მოაქვს სივრცე მთვლემარე
მხოლოდ ფიფქების მეწყერსს...
ვდგავარ დარდს ვეღარ ვიშორებ დ როგორ მტკივა გული,
მივსდევ ფიქრებით სიშორეს,
ო, კართან გაზაფხულის!..

14.02.12
თბილისი

## ობოლი ვაზი

ვცხოვრობ ვერაზე მთა-გორებით შემოზღუდული,
მინდა ლექსებით სიყვარული
ავზიდო ცამდე!..
დრო მიქრის, როგორც გასროლილი ბირთვი შურდულიდით,
ჩემი მამული მეუბნება
სატკივარს რამდენს!..
ვცხოვრობ უჩუმრად, ვხეტიალობ მე ბაღში ვერის,
ეს არის ჩემი სიყვარულის
ბოლო სადგური!..
დავდივარ მარტო და ვიხსენებ იმ დღეებს, მერი,
სანამ სიკვდილი
ერთიანად გამანადგურებს!
ჟამი კვლავ მიშენს გამუდმებით მოწამლულ ჰოროლს,
იქუხებს ზეცა იფანტება
ფერები ნაზი!
თებერვლის ქარმა ულმობელმა კვლავ ჩამიქროლა
და იცრემლება ჩემი სულის
ობოლი ვაზი!..

17.02.12
თბილისი

## ეპიტაფია

წავიდა ის დრო, ახლა უკვე ვერაფერს შევცვლით!
წავიდა ის დრო, მზეს რომ თრთოლვა
მოჰქონდა ჩვენთვის!..
წავიდა ის დრო, მთვარე შუქს რომ გვაღვრიდა ვერცხლის,
წავიდა ის დრო და შორეულ
დინებას ერთვის!..
კვლავ მოვა ჟამი და ცა ღელვით მოიხსნის ნიღაბს,
შეკრთება ქარით კიპარისთა
მოლურჯო რიგი!..
ვიძინოთ მშვიდად ბედნიერი დღეების მიღმა,
ვიძინოთ მშვიდად
სევდიანი დღეების იქით!..

17.09.97
მოსკოვი

## ისევ დაბერდა ბაღი!

მე ღამით ვეღარ  ვისვენებ, გულს მძაფრი ღელვა უვლის
და არ მშორდება წუთითაც
                                        შენი ხატება, ლული!
მე იმ გაზაფხულს ვიხსენებ და კაცი ჩუმად ვიწვი
და ტალახს მესვრის გზადაგზა,
ო, ეს ცხოვრება ბილწი!..
ისევ დაბერდა ეს ბაღი, სამოსელს ვეღარ იცვლის,
იმ ხეივანში მივდივარ, თუმცა
                                        არავინ მიცდის!
ვიხსენებ დღეებს გაფრენილს თავის ხასხასა ფრთებით,
დავდივარ სულით ობოლი
და ხსოვნით  ანანთები!..

15.02.12

თბილისი

## იმსხვრევა ტანი ლერწამის!

მზე სიშორიდან ამოიწვერა,
მთვარის წავიდა ლანდი...
სად მიმაქანებ შენ, ბედისწერავ,
და გულს რად მირღვევ დარდით?!
დრო რა შემზარავ ტკივილს მიტოვებს,
რამდენი რამე მახსოვს...
ეს ვინ მიხუნებს ამ ჩემს მინდორ-ველს
ვარდ-ყვავილებით
ნაქსოვს?!
უკვე იმსხვრევა ტანი ლერწამის,
ბულბული ბაღებს გასცდა...
და მამღვრევს ჟამი სულის მწეწავი,
რომ გაზაფხული
დაცხრა!..

22.08.2009
ბანძა

## მოვიდა გვიან

წელს გაზაფხული მოვიდა გვიან
          და მიწას ამის მიზეზებს უხსნის...
ო, რა ფერადი ფრთები აქვს ნიავს
და შორს გარეკა
თებერვლის სუსხი...
წაერთვა ღონე ქარების რიალს,
და უკვე ბოლო მოეღო ლოდინს!
წელს გაზაფხული მოვიდა გვიან
კვლავ გელოდები,
ძვირფასო, მოდი!

21.04.2005
თბილისი

## უკვე დროა!

გაზაფხული გაიპარა და ზაფხულიც მიილია,
შემოდგომა მოდის წყნარად, გავცქერ
სივრცეს ტკივილიანს!..
სიო იქცა ფეხმარდ ქარად და ღრუბლებსაც სუსხი მოაქვს,
წუხს და კვნესის ჩემი ქნარი,
რომ ატირდეს უკვე დროა!
ჩიტები არ ჟღურტულებენ, ეს სიჩუმე როგორ მთენთავს,
და ეს გული ცრემლიანი, საყვარელო,
მომაქვს შენთან!..
გაზაფხული გაიპარა და ზაფხულიც მიილია,
შემოდგომა მოდის წყნარად,
გავცქერ სივრცეს ტკივილიანს!..

30.08.12
ბანძა

## გაზაფხულის მაცნე

ყოველ დილით ცის სილურჯეს გავცქერ,
მაგრამ მერცხლის ნაკვალევი არ ჩანს!
ჩიტი გალობს – გაზაფხულის მაცნე
და ბაღს მწვანე
გაუშლია ფარჩა...
მიყვარს ფიქრით სიშორეში გაჭრა,
ვეფერები კვლავ ყვავილებს ფერადს...
გაზაფხულის ფერების ვსვამ მაჭარს
და სიცოცხლის
უკვდავების მჯერა!..

08.04.12
თბილისი

## შეხედე, როგორ მოთენთა!

რადიაციის სარტყელმა ო, რა ძლიერად იმატა,
მოვიდა წელი კვიმატი,
                    გაჭირვეულდა ბუნება!..
რადიაციის მატებამ, როგორ შეცვალა კლიმატი,
ჩახერგა ყველა შარა-გზა,
ო, უკან დასაბრუნები!
რადიაციის სიუხვემ ყველა განედი დალაშქრა,
მზე უჩვეულოდ ასხივებს
                    და თენთავს მიწას დამაშვრალს!
სხივთა მეწყერმა იმატა, დრო დადგა აუტანელი,
შეხედე, როგორ მოღალა,
ჩემი ზღაპრული მთა-ველი!..

10.08.12
თბილისი

## მიცურავს ნისლი

ფერებით მორთულ მინდორზე მივალ
და მზე მიდამოს ჩანჩქერებს აღვრის...
გული, არ ვიცი, თუ რატომ მტკივა,
და ცის რამდენი
ინთება ჭაღი!..
კვლავ ეხლებიან ტალღები კლდეებს
და უჩვეულო ხმაური ისმის,
წყალზე ტირიფი ირხევა კლდემით
და მდინარეზე
მიცურავს ნისლი...

01.01.12
თბილისი

# არ შედრკე, გულო!

არ შედრკე, გულო, არ მოგედოს ცახცახი შიშით!
სულ ცოტა დაგრჩა, შეუპოვრად,
ბოლომდე ჩადი!..
შენ ფესვები გაქვს რუსთველის და ფშაველას ჯიშის,
არ მოსწყდე ისე, როგორც სწყდება
ფოთლები ჭადრის!
და არასოდეს არ დახარო ალამი რწმენის,
ეკვეთე მედგრად უღმერთობას
სიცოცხლის ფრთებით!
ჭიდილით, ხაფით მოიტოვე ბილიკი ძველი,
რომ სიყვარულით მოგძახოდნენ
მამულის მთები!..

04.01.2012
თბილისი

## ცეკვავდა სიკვდილი

სიკვიდილი მოიჭრა ცელით, დაჰქროდა ბოროტი სული...
მოვარდა გრიგალი ველის,
გამეფდა ქაოსი სრული!..
რამდენი ჭრილობა ენთო, რამდენი წამება ვნახე!..
ცხოვრებამ იცვალა ფერი,
სიცოცხლემ დაჰკარგა სახე!
ცეკვავდა სიკვდილი ურცხვად, იმ დღეთა ვიხსენებ წყებას,
იმ ჟამის ვერაგი სახე, ვერ მიაქვს
შორს, დავიწყებას!
ყოველი კუთხე და კუნჭული მოეცვა სიცოცხლის ტკივილს!
და, სადღაც, მიჰქონდა მდინარეს
გვამების ურიცხვი ტივი!..

21.02.92

თბილისი

## რეკავს ზარი

მზე ჩადის და ვეფერები დაისს,
არხევს სივრცე მოწითალო ჩქერებს...
საყვარელო, შენ მიდიხარ, – საით?
ან რომელ გზით დაბრუნდები მერე?!
რეკავს ზარი და სიმშვიდეს მართმევს
და ირეკლავს კლდე მაღალი ექოს!..
პირზე მომდგარს ვერ დავმალავ სათქმელს,
თუგინდ ჟამმა
უჩვეულოდ რეკოს!..
ო, საწუთროვ! რა ულმობლად მთელე
და რამდენჯერ დამაყარე წყლული!..
მაგრამ სოფლის მახარებდა რთველი
და მირხევდა
სიოს გაზაფხული!..
შენი თმებით დაბურული ვთრთოდი,
ო, ძვირფასო, ტირიფებთან ახლოს!..
მერე კლდიდან გადმოქანდა ლოდი
და კივილით
ჩაუქროლა მაღლობს!..
მზე ჩადის და ვეფერები დაისს,
არხევს სივრცე მოწითალო ჩქერებს...
საყვარელო, შენ მიდიხარ, – საით?
ან რომელ გზით
დაბრუნდები მერე?!

13.06.89
სოხუმი

## ბილიკზე მივალ მარტო

ვხედავ, რომ ძალზე უჭირს სხეულს – ჟამის ამ მხევალს!
სული გაუძლებს ჭიდილს, გულმა თუ
შესძლო რხევა!..
ბილიკზე მარტოდ მავალს, კვლავ ჩამომხედა მზემან...
ისევ მომძახის მამა,
ქარმა დაჰქროლა ზენამ!..
განვლილს ვერ ჩავთვლი უქმად, ჩანგმა თუ იგრძნო თრთოლვა,
თავისუფლების შუქმა,
ისევ თუ მომათოვა!..

12.06.89
სოხუმი

# დამთავრდა ზამთრის ქაოსი

ქუჩაში თოვლი არა ჩანს და სივრცეს ქარი ფრთებს ახლის,
ქუჩაში თოვლი არა ჩანს,
არც სახურავზე სახლის.
ქუჩაში თოვლი არა ჩანს, არც წყლები გუბე-გუბედ,
და შორს მიდენის ქარი
ცაზე ნაზამთრალ ღრუბლებს...
დამთავრდა ზამთრის ქაოსი, მზე გადმოენთო ცაზე,
და გაზაფხული მაოცებს
ფერთა სიმრავლით სავსე!..

20.02.12
თბილისი

## ჩემი ეზო

აქ იდგა დიდი ვაშლის ხე, იქ ხურმა, აქეთ, უნაბი,
გულო, ნუ ღელავ, დამშვიდდი,
არ ამიტირო გულაბი!
ჩემი ვენახი ქვითინებს, მზეს რომ ათრობდა მშვენებით,
მოსულა ჟამი დაცემის
და მათი გადაშენების!
აქ იდგა წყება ლეღვების და, იქით კიდევ ქლიავი,
ხან დილის სიო ართობდა,
ხან შეღამების ნიავი...
იქ ბროწეული ფეთქავდა, და გვერდით კიდევ ატამი,
გავცქერი ახლა ხეივნებს
გაქრობის შიშით ატანილს!
ო, ამ მინდორზე ცეკვავდა მეზობლის გოგო ნათია
და გავცქეროდით მე და ის
ღამის ცას მრავალსანთლიანს!..
აქ ბილიკ-ბილიკ დავქროდი, მზე ჭაბუკს ვგავდი მოისარს,
ახლა სიზმრებში შემოდის,
ის, რაც ჟამთა სვლით მოისრა!..

23.02.12
ბანძა

# მოლოდინი

მიათრევს ქარი სიშორეში ნაზამთრალ ღრუბლებს,
მესმის ყმუილი გამუდმებით
ცოფიან მგლების!..
დავდივარ მარტო და ფიქრისგან კვლავ მიხურს შუბლი,
ელოდებიან სიყვარულით
გაზაფხულს მთები!..
ყმუილი მგლების კვლავ აწყდება ჯებირებს რისხვით,
გაავებული ისმის მათი
კბილთა ღრჭიალი...
ო, როგორ უნდათ ჩემი ქვეყნის დალიონ სისხლი,
და მიდის ღამე უმთვარო
და გაუმჭვირვალე!..

18.02.12
თბილისი

# დარეკავს ზარი!

უკანასკნელად დარეკავს ზარი,
როცა ჩაქრება სულის ნათება!
უკანასკნელად დარეკავს ზარი
და მერე წაშლის
ჟამი ნატერფალს!..
უკანასკნელად დარეკავს ზარი
და შორს გაჰყვება სული მირაჟებს...
უკანასკნელად დარეკავს ზარი,
რომ დაიღვრება
ციდან რიჟრაჟი...
უკანასკნელად დარეკავს ზარი,
მოიცავს სივრცეს თეთრი ზმორება...
უკანასკნელად დარეკავს ზარი,
მერე დუმილით
დაიტბორება!..

25.02.12
თბილისი

## ვერაფერი გამიგია სოფლის!

ვერაფერი გამიგია სოფლის,
ქარი ფოთლებს უკანასკნელს მაცლის...
ვერაფერი გამიგია სოფლის,
მიდის, სადღაც
ნაბიჯებით მკაცრით!..
ვერაფერი გამიგია სოფლის
სულით ობოლს მომრევია ქანცი!
ვერაფერი გამიგია სოფლის,
თუმც მის ბრუნვას
შევაბერდი კაცი!..

07.03.12
თბილისი

## ზღვის სიყვარული

ზღვას გავცქეროდი ყოველ დილით ჩემი ფანჯრიდან,
ამოდიოდა მზე ვარდისფერ
გვირგვინით თავზე!..
ის სიყვარულის უჩვეულო შუქით დამჭრიდა
და მე ვიყავი ზღვის ტალღების
შრიალით სავსე...
მზე მოიწევდა და ზღვის სივრცეს აღვრიდა ჩქერებს,
ამაზე მეტი სილამაზე
რა უნდა ნახო?!
ასეთი იყო ზღვისპრეთის სამშობლო ჩემი
და მოდიოდა იგი გულთან
ძალიან ახლოს!..
რამდენჯერ გავხდი ჩამავალ მზის მესაიდუმლე,
შენ იყავ ჩემი სიყვარულის
ოცნება დიდი!..
მე იქ არა ვარ, მაგრამ შენთან მუდამ მიგულვე,
რადგან ჩვენს შორის
სიყვარულის გაიდო ხიდი!..

28.02.12

თბილისი

# შენ მოგავლინა განგებამ!

**რამაზ ჩხიკვაძის** ხსოვნას

რიჩარდ მესამეც შეასრულე და მეფე ლირიც,
რა დაგვავიწყებს ცარცის წრეს და
ხანუმას ტრფიალს!..
დასასრულამდე დედამიწის – შენ მშვიდად ივლი,
მაგ სიდიადეს გამარჯვების
ზეიმი ჰქვია!..
ქართულ სცენაზე ო, რა მძლავრად წამოიმართე,
და დავიწყების ყველა ნაპირს
ამაყად გაცდი!..
შენს შესრულებულ როლებს ერქვა სწრაფვა, სიმაღლე
და ჩვენს ხსოვნაში მოაზღვავე
უზომო განცდა!..
და სიცოცხლეში დაიმკვიდრე სახელი დიდი,
გახდი მამულის უჩვეულოდ
დიადი მგზავრი!..
შენ ორ დროს შორის მხოლოდ ოქროს გადევი ხიდი
და დავიწყების ვერ ჩამოჰკრავს
ვერასდროს ზარი!

29.01.12
თბილისი

## პირიმზე

პირი უტირის პირიმზეს, ვიცი, რომ ველარ მოხვალ,
მარტო მივდივარ ბილიკზე და გული
მწარედ ოხრავს...
ჟამი წამების მოსულა და მე არ ვიცი რა ვქნა?
ის შუქი ცით გადმოსული,
ო, რა უეცრად ჩაქრა?!
დღე კარგავს სიდარბაისლეს და ცრემლიანი ვდგავარ,
სულმა ტკივილი მოისხა,
პირს ვერ გამიხსნის დანა!..

09.06.90
სოხუმი

## ვეჩვევი ბინდებს

შემოღამების ვეჩვევი ბინდებს,
მზე ჩამავალი რატომ მატირებს?
ქარს მიაქვს ხმელი ფოთლები შინდის
და შენმა ხსოვნამ
ცრემლი მადინა!..
კვლავ გაზაფხულის დღეებს ვიხსენებ,
ჩემი ფიქრები ო, რა შორს რბიან?
თვალებს ედება ცრემლის სისველე
და მივსდევ ჭრელი
ფოთლების შრიალს!..

02.03.12

## რად მემუქრები?

რად მემუქრები სიკვდილო რღვევით,
რამდენჯერ ბეწვის
ხიდზე მატარე!..
ბევრჯერ დავლაშქრე მთებიც და ხევიც,
ველარ დავუთმე
სული სატანას!
რად მემუქრები სიკვდილო დაშლით,
ო, სანამ სივრცეს
ფრთებით მივარღვევ,
რატომ მაშინებ ლოდით სამარის
და სევდიანი
რხევით რტოების?!
უკანასკნელად ყივის მამალი
და რეკავს ზარი
გამოთხოვების!..

04.03.12
თბილისი

# სიყვარულის რაფსოდია

**ზიზის**

1.

მომენატრე და მოვდივარ შენთან,
        სულში ხვითო სიყვარულის მიზის!
შენს სინაზეს, ამ ჩემს ღელვას შევრთავ,
მინდა ისევ
მოგეფერო, ზიზი!
ღამე ბევრჯერ გავათენე თეთრად,
        ვგავარ მუდამ ქარიშხალთან შეხლილს!
შენი ტანი ჩემს სიზმრებში ფეთქავს, –
მთვარიანში, ვით
ფოთოლი ვერხვის!

## 2.

მე გულისთქმას შენკენ ნიავს ვატან
          შენი ტრფობით, ისევ მიხურს სისხლი!
ერთხელ მაინც შემისრულე ნატვრა,
ზიზი, ჩემო
სათაყვანო, ზიზი!
უშენობას უკვე ველარ  ვითმენ,
          სულში შენი სილამაზე მიზის!
შენი ტრფობით ფრთა შევასხი რითმებს,
ზიზი, ჩემო
საყვარელო,ზიზი!

3.

ციდან უხვად კვლავ იღვრება ოქრო,
          ზღვისპირს პალმებს ათამაშებს ბრიზი...
ასე, როგორ გამიტაცე, გოგო!
ასე, რატომ
შემიყვარდი, ზიზი?!
მე ხეტიალს მეგონა რომ მოვრჩი,
          კვლავ ნათელი აშრიალდა მთვარის...
მე ჭაღარა, – შენ სრულიად ნორჩი,
გავხდი შენი
სილამაზით მთვრალი!..
დამიბრუნდა ის დღეები ყრმობის,
          სურნელება ნაძვების და ფიჭვის!..
შემიყვარდი უჩვეულო გრძნობით,
და უშენოდ, იცი,
როგორ მიჭირს?!

4.

ამიყვავე ო, ამ სულის ვანი,
        სიცოცხლის ფრთებს კვლავ ძლიერად გავშლი!..
მხიბლავს შენი ჩამოქნილი ტანი,
რომ ირხევა
ლერწამივით ქარში!..
ვეფერები: მზეს, მიწას და მთვარეს,
        სულში ტრფობის ქარიშხალი მიზის!..
მაგ თვალების მიყვარს სიელვარე,
ზიზი, ჩემო
საყვარელო, ზიზი!..

09.03.12
თბილისი

***

თბილისის ცა მერცხლებისგან გაიკრიფა
და ედება ჩუმი სევდა
მთებს და ველებს!
თვალებიდან ცრემლი დასდის წნორს და იფანს,
მტკვარო, ვხედავ, სევდა
შენც რომ შეიფარე!..
თქვენ გაფრინდით და მე გული გამებზარა,
ცას მდუმარეს,
აწი როგორ ვეალერსო?
ჩემში რეკავს შემოდგომის სევდის ზარი
და ლერწმების იდუმალი
მესმის კვნესა!..

13.08.12
თბილისი

# რას გვათამაშებ?

რას გვათამაშებ ცხოვრებავ, ყველგან შენი ხმა ისმის!..
რას გვათამაშებ ცხოვრებავ,
საითაც გინდა – გვისვრი!..
რას გვათამაშებ ცოხვრებავ, ლამის თოჯინად ვიქცეთ,
რას გვათამაშებ ცხოვრებავ,
ვგავართ ნაქარალ ცირცელს!..
რას გვათამაშებ ცხოვრებავ, რა უკუღმართად გვიმზერ,
და, ლამის არის, რაინდი
უკუღმა შესვა ვირზე!

30.04.11
მოსკოვი

## ჩემს რუსთაველზე გავივლი

მე ხვალ აქედან მივდივარ და ხელს ვერავინ შემიშლის!
მე ხვალ აქედან მივდივარ,
ჩემს სამშობლოში შემიშვით!
მე ხვალ აქედან მივიდვარ, დამსდევს ყვავები ჩხავილით...
მე ხვალ აქედან მივდივარ,
ჩემს რუსთაველზე გავივლი!..
ჩემს ტანჯვას ბოლო არ უჩანს, ვნახავ ჩემს ჭადრებს ტანადს,
მიკვირს, თუ როგორ გადვურჩი
ამდენ ტყვიას და დანას!
მე ხვალ აქედან მივდივარ, და გავსცილდები მოსკოვს...
მე ხვალ აქედან მივიდვარ,
სანამ ბოლომდე მომსპობს!..

30.03.11
მოსკოვი

## დავცქერი მიწას!

სულის მდინარე მიდის, სადღაც მიეფინება...
დავდივარ ჩუმად, და ნიადაგ
                    განსჯას ვუნდები!..
დროის ჯებირი ვერ აჩერებს მის მძლავრ დინებას,
მიექანება სიშორეში
ზღვარდაუდები!..
დავდივარ მარტო, ყოფნა მექცა უკვე წამებად,
ვეღარ მივარღვევ ძველებურად
                    ზვირთებს მხარულით,
და დღენიადაგ ცრემლში ცურავს ეს წამწამები,
დავცქერი მიწას კაცი
დარდით შუბლდაღარული!..

13.10.10
თბილისი

## ხმა იდუმალი

მე უკვე გავხდი სასაფლაოს ხშირი სტუმარი,
და, აქ მოვდივარ სასაუბროდ
ჩემს ძმაბიჭებთან...
ო, ისევ მოდის სიშორიდან ხმა იდუმალი,
რომელიც ჩემში უჩვეულო
გრძნობით იჭრება!..
თქვენს სიახლოვეს შეპყრობილი მძიმე განცდებით,
მე ამ ნაძვების ხეივანში
დავდივარ მარტო...
ხან ფოთოლცვენის ქარი მღერის, ხან მზე მაცხრება,
ხან სეტყვა მიშენს და ხან კიდევ
მაწვიმს და მათოვს!..
თქვენს სიახლოვეს ჟამი ურჩი ვერ განმარიდებს,
მხოლოდ ნაძვების მდუმარება
მავსებს ნაღველით!..
ო, ეს რამდენი უჩვეულო ტკივილი ვზიდე
ამ წუთისოფლის, მეგობრებო,
თქვენი სახელით!..

20.04.10
მოსკოვი

## მოვედი შენთან!

თბილისო, ისევ მოვედი შენთან
          და ვმართავ ჟამთან მკაცრად დიალოგს!..
ჩემს ცხარე ცრემლებს მტკვარს, ისევ შევრთავ
და შენს ქუჩებში
ვიხეტიალებ!..
გულს სიმძიმილი ბევრჯერ მოედო,
          მარტო წარსულით არ ვიზომები!
მე შენს ხეივნებს, ტაძრებს, მოედნებს,
მწარე ტკივილით
ჩავექსოვები!..

05.06.10
თბილისი

# იდგა გარშემო რხევა ნაძვების

მე შენს სავლავთან ვიდექი დიდხანს,
ყრმობის დღეებზე გართული ფიქრით!..
და მოგონებამ რამდენი მითხრა
და ირხეოდა
ურიცხვი ფიფქი!..
მე შენს საფლავთან ვიდექი ერთი,
ვით წუთიერი სოფლის სტუმარი!
შორს, მიდიოდა საოცრად თეთრი –
ის გზა ლამაზი
და იდუმალი!..
და მედო ხსოვნა გულში განძივით,
გრძნობით წარსულთან ვიყავ მიკრული!..
იდგა გარშემო რხევა ნაძვების,
თოვლის ფანტელით
გადაფიფქული!..

25.02.10
მოსკოვი

## დრო

ო, ამ მურვან ყრუს ვერაფერი გავაგებინე,
ის ჩემს სივრცეში დღენიადაგ
                                        დაქრის, ნებივრობს...
ფიქრით ვეხლები კლდედ აღმართულ ჟამის ჯებირებს,
რას მემართლები, დროო,
მითხარ, გამაგებინე!
ო, ვინ აღრიცხოს ქვეყნად შენი ნამოქმედარი?
ზვერავ სივრცეებს უჩვეულოდ,
                                        როგორც მსტოვარი!..
ხან ზიხარ რტოზე და ღუღუნებ როგორც ქედანი,
ხარ რღვევა-დაშლით
სამყაროში სწორუპოვარი!..

17.10.10
თბილისი

## არ მინდა!

ოთხმოცი წელი მეყოფა, ალბათ,
არ მინდა ჟამი რომ გაისარჯოს!
თუმც სურნელებას ყვავილების კვლავ ვსუნთქავ ხარბად,
მაგრამ არ მინდა დონკიხოტი,
რომ ვიქცე სანჩოდ!..
ბევრჯერ დავლოცე კაცმა ხელადით,
მზე გაზაფხულის ო, შუქმთოვარი...
ოთხმოცი უკვე მყოფნის ყელამდის,
გზა იბინდება
ჩემთვის მომავლის!..
მე არასოდეს მიყვარდა ჩარჩო
და ჟამი უკვე სიმაღლეს მაცლის!..
არ მინდა, დრომ რომ გამომდოს კანჯო
და ქუჩა-ქუჩა
მატრიოს კაცი!..
ოთხმოცი წელი მეყოფა, ალბათ,
არ მინდა ჟამი რომ გაისარჯოს!
თუმც სურნელებას ყვავილების, კვლავ ვსუნთქავ ხარბად,
მაგრამ არ მინდა დონკიხოტი,
რომ ვიქცე სანჩოდ!..

08.05.11
მოსკოვი

## ზღვის ტკივილი

როცა ხომალდი ზღვის სიღრმეში ჩაუშვებს ღუზას,
წავა ბარბაცით ნაპირისკენ
შეშლილი ზვირთი...
ის რკინის სხეულს ღრღნის კბილებით, ამაოდ თუმცა,
დაიღლება და გააბრუებს
სიმძიმე ტვირთის!..
როცა სივრცეში შორს, ნისლების გაწვება ხიდი,
ზღვა თვალს დახუჭავს,
ვარსკვლავების ჩააქრობს სანთელს!
გრძნობს უსაშველოდ, სულში ბრუნავს ტკივილი დიდი,
გაიტრუნება და დათვივით
ილოკავს თათებს!..

10.07.67
თბილისი

## უკანასკნელი ოხვრა!

ის უმოწყალოდ დაჩეხილი ეგდო მიწაზე
და ბრბო თელავდა გაშმაგებით
სამეფო გვირგვინს!..
მე ბედისწერის განაჩენის მაშინ ვიწამე,
როს სისხლიანი ჯალათები
როკავდნენ ირგვლივ!..
და სულმა იგრძნო წუთისოფლის ბრუნვის სიავე,
ყვავ-ყორნებივით ესეოდნენ
უმწეო ცხედარს!..
და ყველაფერი, როცა იქცა უკვე იავარ,
უკანასკნელი ოხვრა, მაშინ
აღმოხდა მხედარს!..

29.12.11
თბილისი

## საითკენ მივექანებით?!

ბუნებამ სახე იცვალა, მზეც სხვანაირად ფეთქავს,
აპრილში თოვლი ჩამოდის,
მაისში კიდევ სეტყვა!..
საითკენ მივექანებით? ცა სხვა თვალებით გვიმზერს,
თავი აიშვეს ქარებმა,
დრო უკრავს სულ სხვა სიმზე!..
ვერ დააბრუნებ რაც იყო, ის სივრცე, სადღაც,, გაქრა!..
გაუდაბურდა ქვეყანა, ჟამს სხვა
მერქანი აკრავს!
და სამრეკლოზე საწუთროს კივის ათასი ზარი,
რომ ითელება პლანეტა –
ფლოქვებით დინოზავრის!..

25.05.2017
თბილისი

## კვლავ მომინდა ნახვა

ისევ გავცქერ ბებერ ნავენახარს,
ვაყურადებ, თითქოს, მამის ღიღინს!..
იმ დღეების კვლავ მომინდა ნახვა
და, უთუოდ,
მოგონებად მიღირს!
მოვა დრო და მინდვრებს გადარეცხავს
და ბავშვობის, ისევ, ვეძებ საწყისს!
გავცქერ ცაზე მოჭიკჭიკე მერცხლებს
ხის ქვეშ ვდგავარ,
უმოწყალოდ მაწვიმს...
ვიცი, ვეღარ გადალახავ ჯებირს,
უიმედოდ ვრჩები აწმყოს ხელში!
ვით ფოთოლი შემოდგომის ვჭკნები
და ეს გული რა
ძალუმად ხვნეშის!..
ყმაწვილობის ნაფეხურებს ვეძებ
და მაწვება მდუმარება ირგვლივ!
ვინ წაუვა ჟამის მღვრიე მეწყერს,
დგას ალვების
მოწყენილი რიგი!..

17.06.2015
ბანძა

## სხვა თვალებით ვუმზერ

ისევ ვუსმენ ჩიტუნების ჟღურტულს
da ჩემს დარდებს აღარ უჩანს ბოლო,
ზიზღით დავცქერ მშვილდ-ისარს და შურდულს
და მაისის
სიომ ჩაიქროლა...
დღეს ყველაფერს სხვა თვალებით ვუმზერ,
გაზაფხულის ცა ლაჟვარდებს მაღვრის...
შენი სახე მახატია გულზე
და სიმწვანეს
ვეფერები ბაღის!
ცოტა კიდევ, და ვერასდორს ვნახავ,
მთვარის ხავერდს და მზის ამოსახედს!
მოგონებას რა ტკივილი ახლავს
და სევდიან სულის
სიმებს ვარხევ!..

21.04.2015
ბანძა

## დედამიწას

შენ მზის სისტემას მოწყვეტილი იხეტიალებ,
ვერ გიშველიან ო, განწირულს
                                        უკვე ღმერთებიც!
გაქრება შენთვის წუთისოფლილს გზებზე ტრიალი,
ცის უფსკრულებში
ჩაიშლები, ჩაიღვენთები
და სივრცეს აღარ შემორჩება ერთი ნანგრევიც,
გაქრები შენი ოკეანით,
                                        ზღვებით ქედებით!..
და შთაინთქმები სიშორეში ძალით განგების,
შენი დიადი და
ლამაზი შემოქმედებით!..

15.09.2016
თბილისი

## მოგონება შენკენ მიმაქანებს

მე თქვენს ჭიკჭიკს ვეგებები უკვე,
ო, მაგ ხმებით საცხოვრისს რომ მივსევთ!..
გაზაფხული, რა საოცრად უკრავს
და ჩემს მინდვრებს
ეფერებით ისევ!..
მომიტანეთ სიხალისე გრძნობის
და ირხევა სიყვარულით სივრცე...
ჩემი ყრმობის აგერ წყარო მორბის,
მისი ტრფობით გული
დღემდე მიცემს!..
მოგონება, რა შორს მიმაქანებს
და ყველაფერს ვეფერები ირგვლივ!..
მე მოვყევი გაზაფხულის ქარებს,
მზე მიწნავდა
ყვავილების გვირგვინს!
შენი ნახვა მე, კვლავ მომენატრა,
მხრებზე უკვე რა სიმძიმე მაწევს!
ჩემს გულისთქმას, ისევ ნიავს ვატან,
ქარი არხევს
შემოდგომის ნაძვებს

19.04.2015
ბანძა

## ვერ ვიშორებ წუხილს!

გული, ისევ, სიყვარულით მიცემს,
            ახლოვდება ზამთრის  გრძელი ღამე...
დავემსგავსე გახუნებულ ცირცელს,
ო, დეკემბრის
ქარში მოქანავეს!..
გარდასული მოგონებად მექცა,
            თუმცა უკვე ვერ ვიშორებ წუხილს!..
დამიბრუნეთ სათაყვანო ზეცა
და ფერები
მომაშორეთ რუხი!

25.10.2014

## ჩემი ბებერი ქოხი!

შენზე ფიქრებმა დამღალა, დავალ, არ ვიცი, რა ვქნა!
გახუნდა ჩემი ბაღნარი,
ის სილამაზე გაქრა!..
მე კი, ძვირფასო, ცრემლი მდის, მაგრამ არ ვკარგავ რწმენას,
ჭკნება ვარდები ველ-მინდვრის
და ვებრძვი ბედისწერას!..
გზაზე ნისლები მოხშირდა  და ვუცქერ ალვებს მოხრილს,
და უტევს ჟამის ქარიშხალს
ჩემი ბებერი ქოხი!

12.10.2014
ბანძა

## ისევ მოვდივარ!

მე, ისევ სიზმრად გვიანღამით მოვდივარ ზღვასთან,
ამოდის მთვარე, რომ ლექსების
სიმი ამიწყოს.
ხარხრებს ვიღაც უჩვეულოდ, დემონის მსგავსად,
რომ ყველაფერი წამგლიჯოს
და გადამავიწყოს!..
აქ ჩავიარე ჭაბუკობის წლები სიმღერით
და ზღვის სილურჯე ვერ იქნა და
ვერ მივატოვე!..
მაგრამ გამომყვა მე იქიდან დარდი იმხელა,
რომ საუკუნოდ ყოფნის, ალბათ,
ჩემ სიმარტოვეს...
ბაღნარში მცხოვრებს დრომ წამართვა ზღვაცა და მთებიც,
ვერვინ მიხვდება ეს საწუთრო,
როგორ ტრიალებს!..
ცხოვრებამ, ნახე, რა ულმობლად მომტეხა ფრთები
და ტრამალებში გავხდი,
უკვე მოხეტიალე!..

17.02.2009
მოსკოვი

## მზე კვლავ იცინის

აქ, ჩემი სახლის ირგვლივ, მერცხლები ისევ ფრენენ,
მზე  კვლავ იცინის აპრილის და კოცნის
მინდვრის ფერებს!
მე, კვლავ ოცნებით ვინთები და სილამაზე მათრობს
და ხეივნებში დავდივარ
და ყვავილები მათოვს...
ხან ჩიტებს ვუსმენ გრძნეული, ხან მოჟღურტული წყაროს,
გაფრენილ წლებზე ვლოცულობ,
შენ მახსენდები, მარი!
დავდივარ დარდით სნეული და ჟამი მიტევს მედგრად,
და, უკვე ჩემი წარსული
ცრემლის მორევში ფეთქავს!..

17.14.2013
თბილისი

## ქარს ფანტელები დააქვს

ო, რა საშინლად ყინავს და ვეღარ ვჭიმავ სიმებს,
ცა ჰგავს ყინულის მინას,
მზემ ვეღარ მოგვასხივა!
დღე, კვლავ შლის თოვლის საბანს, გავცქერ ფიფქების რხევას,
მე საუკუნის ტყვე ვარ,
როგორც რუსეთის – საბა!..
ქარს ფანტელები დააქვს, ჟამს ვეღარ განვერიდე,
და ცა ეშვება დაბლა
თოვლის მაფარებს რიდეს...

21.01.11
მოსკოვი

## ფოთლებს

იშრიალეთ ფოთლებო, სანამ თქვენი ჟამია,
დღეებს ნუ გაიკარებთ ახლოს
ცივს და შხამიანს!
იშრიალეთ ფოთლებო, სივრცე გაითავისეთ,
იშრიალეთ, შრიალით
სული ღელვით ამივსეთ!.
იშრიალეთ, სანამდის მოვა ფერიცვალება,
დროზე ადრე, წარსული,
რომ არ გექცეთ წამებად!..

17.05.2015
თბილისი

## ხსოვნა წარსულის არ ცხრება

შევედი ბაღში ვერის, ცვივა ყვავილი ნუშის,
მე აქ არავის ველი, თითქოს
გაწვიმდა გულში!
მთიდან ნიავი უბერავს, მივსდევ ხეივნებს მარტის,
მიცურავს თეთრი ღრუბელი,
სული სავსე ნატვრით!..
ხსოვნა წარსულის არ ცხრება და ბაღს ეცვლება ფერი,
ნიავს თამაშით მოაქვს
ნაზი სურნელი ველის...
და ბაღში თეთრი მტრედები სივრცეს სერავენ ფრენით
და გაზაფხულის ჩიტუნა
რა აღმაფრენით მღერის...

17.02.12
თბილისი

# გაფრენილი სივრცეს

მერცხლებს შორიდან ველოდები, მაგრამ არ ჩანან,
მათი ჭიკჭიკი სივრცეს
როდის გამითბობს ლხენით?
უგალობს სიო გაზაფხულის მიდამოს ნანას
და ირხევიან მსუბუქ ქარში
ამაყად ხენი...
ნისლები მკრთალი ეფინება გორაკებს უხმოდ
და მიირხევა სიშორეში
მტკვარი ხმაურით...
მე სიყვარულით ანთებული კვლავ მერცხლებს ვუხმობ,
მიდის ცხოვრება
უჩვეულო აურზაურით!..
ფერიცვალებას ბუნებისას ბოლო არ უჩანს,
მიწაზე, ისევ, გაზაფხული
ზეიმით მოდის...
ციმციმებს ზეცა მოლოდინში მერცხლების – ლურჯად,
მაგრამ არ ვიცი მათი
მოსვლა იქნება როდის?!

14.04.2015

თბილისი

## მოდის მაისი

მოაწვა ფანჯრებს გაზაფხულზე ცისკარი ისევ,
და სიამეს ვგრძნობ,
                              განთიადის ზარები რეკავს!..
ირხევა ნაზად მთის კალთებზე რძისფერი ნისლი
და მიქანაობს დასავლეთით
ღრუბლები ლეგა...
მოხეტიალე ჩემი სული მიიწევს გარეთ
და მზის სხივები სიშორიდან
                              მწვერვალებს ღებავს...
სივრცე მოუხმობს მოყვავილე აპრილის ქარებს
და ფერდობებზე ჩანჩქერების
ჩამორბის წყება...
შრიალებს სივრცე, ბალახები ხასხასებს მინდვრად
და სილაჟვარდე ეფინება კვლავ
                              ირგვლივ მთა-ბარს...
ამ სილამაზეს კიდევ დიდხანს ვუცქირო მინდა
და მოვეფერო გაზაფხულის
საოცარ ზღაპარს!..

16.04.2015
თბილისი

## ირწევა სივრცის ზღაპარი

დღეს დიდხანს ბულბულს სიყვარულით ვუსმენდი ბაღში,
ვაყურადებდი მის ლამაზ
ხმას განმარტოებით!
ვეფერებოდი, აქ ყველაფერს ღიმილით ბავშვის
და ირხეოდნენ ალტაცებით
მწვანე რტოები...
მაისი ფეთქავს და ირწევა სივრცის ზღაპარი,
ვიხსენებ წარსულს მტკივნეულად
და გული მწყდება!
დავდივარ კაცი დევნილი და მიუსაფარი
და ისევ მიქრის სიშორეში
დღეების წყება!..

16.04.2015
თბილისი

# ის დრო წავიდა

აუტანელი გახდა ჩემთვის ღამე წყეული,
არ ვიცი, რა ვქნა, ღამის კოშმარს
რომ განვერიდო?
რა უჩვეულოდ იწყებს ცახცახს ჩემი სხეული,
ო, ეს წყვდიადი შემზარავი,
სანამდე ვზიდო?!
განთიადს ჩემთვის სიხარული მოაქვს რამდენი,
მის მოსვლას მუდამ
აღტაცებით მივესალმები!
მე ვდგები ხშირად, რომ ავანთო ღამის სანთელი
და ვისმენ შრიალს უნაპიროს
ჩემი ალვების...
ის დრო წავიდა, რომ მიჯნური ვიყავი ღამის
და განთიადის მოსვლას, ხშირად,
როგორ ვნანობდი!
ახლა გავურბი, როგორც მინდვრად ყორნების ჩხავილს,
და მიხარია ცის თავანზე
მზე, რომ ამოდის!..

15.04.2015
თბილისი

## ზიზის

ზღვის ნაპირზე მიმოვდივართ გრძნობით,
სულში შენი სინარნარე მიზის!...
ის დღეები დამიბრუნე ყრმობის
და ეს გული
ამიმღერე, ზიზი!..
ტალღები კვლავ ირხევიან ვნებით,
სივრცეს ისევ ახავერდებს ბრიზი...
როგორ მინდა, კვლავ გავშალო ფრთები,
ერთხელ კიდევ
მომეფერე, ზიზი!..
ხეივანში სიმშვიდეა სრული,
ჩემს ჭაღარას ნუ უცქერი, ზიზღით!
ერთხელ კიდევ ამიყვავე სული,
ერთხელ კიდევ
ამიჯანყე სისხლი!..

18.10.2002
ბათუმი

## დონა და ჩიტები

თქვენ, ჩიტებო, კვლავ აღვიძებთ დონას,
გაზაფხულზე, ასე უთენია!
მზე აპრილის არხევს მოსაგონარს
და ქლურტული ფრთებით
მოაქვს ნიავს...
ის თქვენი ხმის უფაქიზეს სიმებს
ეფერება უჩვეულო გრძნობით!..
მზის სხივების მოირხევა წვიმა
და ქანაობს ალვის
ხეთა მწყობრი...
და რტოები ნორჩ ფოთლებით ხშირით,
ცვარს იშრობენ ნაზად მოციმციმეს...
და აპრილი მწვანედ გადაშლილი,
ისევ მისკენ
ეზიდება იმედს!..
იგალობეთ, ჩიტუნებო იგალობეთ,
დონას ბინდი გაურღვიეთ ღამის.
მოაგონეთ ბედნიერი წლები
და ბავშვობის
სანატრელი ჟამი!..

17.04.2015
თბილისი

# დგება საღამო ჩუმი

ნელა ილევა დღე და მზე ჰორიზონტზე წვება,
მივალ, მივდივარ, გული
რამდენ რამეზე მწყდება!
დგება საღამო ჩუმი, მზე უშფოთველად ჩადის
და ეფინება სივრცეს
შენი დაღლილი ლანდი!..

27.08.71
სოხუმი

## უკვე დაიძრა ვაგონი!

უკვე დაიძრა ვაგონი და ცრემლებს ვეღარ ვიკავებ,
უკვე დაიძრა ვაგონი და ტკივილს
ვეღარ ვიქარვებ!
უკვე დაიძრა ვაგონი, ვრჩები ბაქანზე ეულად,
უკვე დაიძრა ვაგონი,
ვცახცახებ მთელი სხეულით!..
უკვე დაიძრა ვაგონი და აწი, ვეღარ გიხილავ!
უკვე დაიძრა ვაგონი
და ორთქლმავალმაც იკივლა!

15.09.60
სოხუმი

## მამული გამიტიალეს!

ვხედავ, ცხოვრება იმღვრევა, სივრცე ირხევა ქარით
და სულს მოუნდა სიმღერა
ნაბილიკარზე მთვარის!..
მამული გამიტიალეს და ჟამი მედგრად კივის,
სოფელი უკუტრიალებს
და ვეღარ ვძლიე ტკივილს!
მღვრიე გუმბათი მახურავს და გული, ისევ, კვნესის,
ცა შეღამების დამყურებს,
და მუხას სტკივა ფესვი!
დავდივარ კაცი ჯვარცმული, რომ დღე მიქციეს ღამედ
და სივრცე შემოძარცული
ფიქრით შორს მიმაქანებს!..

02.07.13

თბილისი

## მოლოდინი

წვიმის ღრუბლები დაეკიდნენ ზეცის რიკულებს,
მოგვალულ ყანებს
          მოუშუშებს წვიმა იარებს!..
ცის აივნიდან სევდიანი მთვარე მიყურებს,
ხვდება გალობით წვიმის მოსვლას
ცა განთიადის!..
ჩამოიქროლა სიშორიდან ქარმა თარეშით,
დგანან ალვები ქალებივით
          გრძნეულნი, თითქოს!
და წევს სიცოცხლე უჩვეულო სიმხურვალეში,
აჰა, საცაა აამღერებს,
წვიმები მინდორს!..

16.06.2013
ბანძა

## რა შემომრჩა?

შემოდგომის მთვარეს გავცქერ აივნიდან
და ვიხსენებ ჟამს
          გაფრენილს სიყმაწვილის!..
შეხვედრები, გაზაფხულთან ისევ მინდა,
მეფერება სიშორიდან
თვალი წყვილი!..
ჟამს გარდასულს, აწი ვინღა დამიბრუნებს
და ოცნებებს
          უიმედოდ გავეკიდე...
რა შემომრჩა? – ულიმღამო სივრცე დუნე
და ჩაშლილი დასახევი
ყველა ხიდი!..

24.08.2013
ბანძა

## ფერიცვალება მოვიდა...

ფერიცვალება მოვიდა, უკვე მერცხლები გაქრა,
ბუნებამ ფერი იცვალა და მე
ტკივილმა გამკრა!
ფერიცვალება მოვიდა, ისევ მოვდივარ შენთან,
ფერიცვალება მოვიდა
და მზე მოღლილი ფეთქავს!..
ფერიცვალება მოვიდა... გავცქერ ღრუბლების ყიალს...
და მოყვითალო ფოთლები
რხევით გადააქვს ნიავს...
გაზაფხულს მოჰყვა ზაფხული, ვისმენ ჩიტების წივილს,
მიდის მდინარე ვეება
მიეზიდება ტკივილს!..

19.09.2013
თბილისი

## მე გავჩუმდები

სიცოცხლე ბოლო სიმღერას მღერის
და განშორების წუთებიც მოვა!..
ვერ ვნახავ მერის თვალების ელიფსს,
და ვერც ნათიას
თვალების ოვალს!
მზემ მასვა უხვად სიცოცხლის წვენი,
ვერ გავექეცი საწუთროს ვნებას!..
დრომ გამითეთრა თმაცა და წვერიც
და განშორების
წუთები დგება!..
არ ვიცი, გული რაზე მიტირის,
როცა სივრცეში მიყვარდა ფრენა!..
მე გავჩუმდები ზამთრის ჩიტივით,
მაგრამ ლექსები
აიდგამს ენას!..

16.02.11
მოსკოვი

# დრო იცვლის პერანგს

ჩვენ ვცვლით ერთმანეთს, თქვენ მოდიხართ და ჩვენ მივდივართ,
ბუნების ამ წესს გაექცევა
ქვეყნად ვერავინ!..
დრო იცვლის პერანგს, მეგობარო, მარად მედინი
და სიშორეში მიქრის, ისევ
თეთრი მერანი!..
ამ ცის და მიწის სიყვარულზე ბევრი ვილოცე
და ვდგავარ მარტო წუთისოფლის
ზღვართან მისული...
შენი ხატება ირეკლება დროის ტილოზე,
ო, ვარდფურცლობის
სილამაზით გადანისლული...

27.1011
მოსკოვი

## იცრემლება ჩემი ზეცა

გული, ისევ მოგონების ტყვეა,
ვერხვი აფენს ყვითელ ფოთლებს მაღლობს...
შენს ნატერფალს კვლავ დავეძებ, თეა,
ო, ამ მინდვრის
ყვავილებთან ახლოს!..
მზეს რა მკრთალი გახდომია ფუნჯი
და გაძარცულ რტოებს არხევს ქარი...
იცრემლება ჩემი ზეცა ლურჯი,
მოლოდინში
შემოდგომის მთვარის...

23.09.11
თბილისი

## კვლავ შენი ხმა მესმის!..

რა წამებით გავიარე ეს გზა,
ნეტავ, საით მიმაქანებს ბედი?!
სიშორიდან კვლავ შენი ხმა მესმის –
გაქლღენთილი
წუთისოფლის სევდით!..
ჭრილობები, ისევ შემრჩა ღია,
და ქარების ვისმენ ისევ ღმუილს!..
კვლავ გავცქერი უთავბოლო რიალს,
გული მიმაქვს
ბოღმით დანაღმული!

22.04.2014
მოსკოვი

## ცას გავცქეროდი

ამ ცხოვრებაში რა ციცაბო გზებით ვიარე,
მახსოვს, კოშმარი უთვალავი,
ბევრი ზღაპარიც!..
ხშირად ქარიშხლით იცვლებოდა მინდვრის ნიავი
და, მაინც იქით
ვისწრაფოდი მიუსაფარი...
ჟამი კივილით აწყდებოდა სულის გალავანს,
ცას გავცქეროდი განთიადის
შუქით შეფერილს...
ერეკებოდა ქარი, სადღაც, ღრუბლის ქარავანს
და მზეს აპრილის მოუხმობდა
მუხა ბებერი!..

22.03.11
თბილისი

# თეთრი მუსიკა

მე რუსთაველის გამზირზე მივალ,
          მესმის შორიდან ხმა იდუმალი!..
და გული ო, რა ძალუმად მტკივა
და დგას მთაწმინდა
ისევ მდუმარი!
მე რუსთაველის გამზირზე მივალ,
          ამ გაძარცული ჭადრების გასწვრივ..
და მხრებით წლების სიმძიმე მიმაქვს,
ხან კიდევ მათოვს,
ხან კიდევ მაწვიმს...
მე რუსთაველის გამზირზე მივალ,
          ქუჩა სითეთრით აოცებს მნახველს!
მე უშენობა ო, როგორ მტკივა
და, აქ ფანტელებს სივრცე
კვლავ არხევს...
საცაა ქამანდს დრო ზუსტად მესვრის,
          მივდივარ მარტო... მათოვს და მათოვს...
მე მხოლოდ თეთრი მუსიკა მესმის,
მე მხოლოდ თოვლის
მუსიკა მათრობს!..

17.01.11
თბილისი

## არაფერს ველი!

სადღაც გაქრა სილამაზე მთვარის
          რად განვშორდით გაზაფხულის ფერებს!
მე დავდივარ ბილიკებით მკრთალით,
ამ გულს უკვე
ვერვინ გამიმრთელებს!
მე რა შემრჩა – ხსოვნა სანატრელი,
          ნიავს გაჰყვა ის ჩურჩული, მარი!..
მომავლისგან მე არაფერს ველი,
ჭრილობაზე ჟამი
მაყრის მარილს!..

25.05.1986
სოხუმი

**მეიმედება!**

თუ რამეს ვცოდავ, შემინდე, მე უკვე ღამის მეხრე ვარ!
ხან ქარიშხალი შემიტევს,
ხან თეთრი ნისლი მეხვევა...
გულს ცეცხლი, ეს ვინ შემინთო? – რომ ღელვა აღარ ბერდება!..
თუ რამეს ვცოდავ, შემინდე,
მე შენი მეიმედება!..

17.02.11
მოსკოვი

## ვიწყებ შეტევას

მზე გაიხლართა ღრუბლებში და გული ძლიერ ღონდება!
დღე წვება სისხლის გუბეში,
მზარავს კვნესა და გოდება!..
ისევ გრიგალი მოვარდა, ო, ეს რა ცეცხლი მედება!..
ჟამს ხელთათმანი ვესროლე
და, ისევ ვიწყებ შეტევას!..

16.02.11
მოსკოვი

## წავიდნენ საით?

ეს ჩემი ნაღდი მეგობრები წავიდნენ, საით?
და ჩემს მინდორ-ველს
დააყარა ნისლმა ფაფარი...
მათი ხატება, ჩემი ხსოვნის, შემორჩა საითს,
და ვხეტიალობ მარტოსული,
მიუსაფარი!..
დრომ, რა ჯიუტად გამიხუნა ტრფობის საგანი
და ცა მახურავს,
ზამთრისპირის, შუქგაძარცული!..
ვერ იქნა, ვეღარ გავარღვიე ბნელი საკანი,
სივრცეს ხარხარით
ეხეთქება ბედი მაცდური!..

29.01.11
მოსკოვი

## გაფრინდნენ მერცხლები

უეცრად გაფრინდნენ მერცხლები,
როდესაც სიმშვიდე დაჰკარგეს!
უეცრად გაფრინდნენ მერცხლები,
რა დარჩა? – ცა
ფრთებით ნაქარგი!
უეცრად გაფრინდნენ მერცხლები,
ო, როცა მომძლავრდა სიცივე!
რა შემრჩა? – მთა გადავერცხლილი
და ზეცა
ამაოდ ციმციმებს...

31.07.2013
თბილისი

## მესმის ქვითინი!

რამ შემაყვარა, ასე ძლიერ ეს სანახები
და შემოდგომის ხეივანში
დავალ ეული!..
ჩემი ალვები სევდიანად სივრცეს არხევენ
და ზენა ქარებს აწყდებიან
მთელი სხეულით!..
ფერიცვალების მოლოდინში მესმის ქვითინი,
დრო მიტევს, ისევ
უჩვეულოდ დაუნდობელი!..
ო, ეს ხატება შემორჩება ჩემს ლექსს მითივით,
და ფოთოლცვენით
მოშრიალე მიდის სოფელი!..

06.11.11
ბანძა

## სატანა

დრომ ბევრჯერ გამიმარტოვა! ახლაც, ძვირფასო, მარტო ვარ!
აქ გაირბინა სატანამ
და ნაკვალევი დატოვა...

17.12.01
სოხუმი

## შემოდგომა

შემოდგომა მოგვადგება მალე
          და ფოთლები შეყვითლდება ხეზე!
ჟამი, ისევ გამოიხმობს ქარებს
და გაქრება
სივრცე მოალერსე!..
და ბაღები შეხვდებიან ქშენით,
          მთა ჩაიცვამს თეთრ სამოსელს დროზე...
და თვალები ატირდება შენი,
ჩიტები კი, –
იკვნესებენ რტოზე!..

01.08.2013
თბილისი

## მზეს

მზეო, ეს რატომ ინებე, რად გახდი ასე აშარი?
ამ დილით შენი სხივების,
                    რად დამასიე ლაშქარი?!
მე სულს შინ ველარ ვაჩერებ, ღელვა რომ შემომეპარა!
ო, ერთხელ კიდევ მაჩვენე, –
ამ გაზაფხულის ზღაპარი!..

17.04.09
ბანძა

## იბრძოლე მედგრად!

ეგ შენი გული გრძნობებს, ისევ ზვირთებად ისვრის
და შენს წამებას დღემდე, უკვე
არ უჩანს ბოლო!..
შენ კლდეს ეხლები საუკუნის და ღებავ სისხლით,
რომ სიყვარული და სიცოცხლე
არ გაიბოლოს!
იბრძოლე მედგრად, რადგან ასე მოუნდა გამჩენს,
არ შეგაშინოს საუკუნის
კვამლმა და ცეცხლმა!..
ოღონდ მიწაზე ნაკვალევი ძლიერი დარჩეს
და ლაჟვარდებში საოცნებო
ქლურტული მერცხლის!..

27.04.11
მოსკოვი

# აპრილი

გალობს რამდენი ფერია, მიწა მზის იდგამს გვირგვინს,
გზაზე წყვილ-წყვილად მღერიან,
ხარობს სიცოცხლე ირგვლივ!..
მზე ანთებს ფერთა მუსიკას და სილაჟვარდეს კოცნის,
მინდორზე სიო თამაშობს,
ფეთქავს უბრალო ბორცვიც!
და საიდუმლო სიცოცხლის დღემდე არავინ უწყის,
ხან უხვად გასცემს საბოძვარს,
ხან არის მეტად ძუნწი!
მდინარის პირას ფოთლები კვლავ ეხლებიან ნიავს,
და ეს ცისფერი შრიალი
დროის მდინარეს მიაქვს!..

01.04.12
ბანძა

# არც შენ დამინდე!

ცხოვრების მდინარევ, იდინე, დღეს, უკვე, ოქტომბრის ათია,
საწუთრომ, ხომ დედა მიტირა
და არც შენ დამინდე, ნათია!
ცას გავცქერ ო, კალთა მადლიანს, ფოთლებმა მინდორი მოჰფინეს,
ცხოვრებამ სად აღარ მათრია,
მაინც ვერ მაქცია ყოფილად!
ნუთუ ჟამს ამაოდ ვეომე? – რომ სივრცე ვერ მოვინადირე!
მე ვიცი, ვერ მოვალ მეორედ, კვლავ ვეღარ
გავიშლი სატივეს.
ცხოვრების მდინარევ, იდინე, დღეს, უკვე, ოქტომბრის ათია,
საწუთრომ, ხომ დედა მიტირა
და არც შენ დამინდე, ნათია!

10.10.11
მოსკოვი

## კვლავ მენატრება!

მე, ისევ თოვლის ჩამოსვლას ვნატრობ
და ფანტელების ფარფატის ტყვე ვარ!..
კვლავ იმ შეხვედრებს ვიხსენებ, ნატო!
და შენი ტანის
საოცარ რხევას!..
მე ის დღეები კვლავ მენატრება
და ზღვის სილურჯე ფიფქებით მთვრალი!
და მეჩვევნება შენი ხატება,
ო, როგორც თოვლში
შრიალი მთვარის...

15.10.11
თბილისი

## ზედ ათიანში მოარტყა

ლექსს წერდა ლაგამშეხსნილი,
დღეს კი სონეტებს ეტაკა!
შორს მოიტოვა შექსპირი
და ღვთაებრივი პეტრარკა!
ლიტგაზეთი ხომ დაიპყრო
დღეს წიგნად შემოგვთავაზა!
სტრიქონში ყველგან „ვეფხვი“ წევს
და ზოგში კიდევ „ავაზა!“
ახალ რითმებით გააწყო,
სონეტია თუ სონატა?
და სახელმწიფო პრემიას
ზედ ათიანში მოარტყა!

15.11.95
ბათუმი

## დუმილით მიცქერს

გული კვლავ ოხვრით აწყდება სივრცეს,
          ღამის ქუჩებში დავდივარ მარტო...
მთაწმინდის მთვარე დუმილით მიცქერს
და  შეღამების
ბილიკებს ათოვს!
ო, გული, ისევ ძალუმად მიცემს
          და, ის წამებას ვერ განერიდა!..
ქუჩებში ქარი შემოდის ფიცხელ,
და იღვრებიან
          ფოთლები ხიდან...

28.12.11
თბილისი

# როგორ მაშინებს!

რად დამისერე, დროო, გული, შენ ასე მკაცრად?
აქ, რასაც ვხედავ წარმავლობის
                    აჩნია კვალი!..
ჩემი ფიქრები არსებულის სამანებს გასცდა
და მოიტოვა სიშორეში
ბილიკი მთვარის...
როგორ მაშინებს, არ დამემსხვრეს ცა მინანქარის,
რად დაეუფლა ჩემს სატივეს
                    ნისლები ხშირი?
რას უცდი, ისევ გაზაფხულის, დაჰქროლე ქარო,
აათამაშე ჩემს მინდორზე
ფერები დილის!..

25.10.10
თბილისი

## დროის წინაშე

მთელი სისწრაფით მოქრის ჩემკენ ოთხმოცი წელი,
დროის წინაშე ვდგავარ მარტო,
დუმილით მკაცრით!..
ბუნებამ, თითქოს, საიდუმლოდ იცვალა ფერი,
და იგი უკვე ახლა
სულის სიმშვიდეს მაცლის!..
მივდივარ, სადღაც, თუმცა გზაზე არავინ მელის
და ჩემს ბილიკზე კვლავ მთვლემარე
ნისლები წვება...
მთელი სისწრაფით მოქრის ჩემკენ ოთხმოცი წელი,
მაგრამ ლექსებით გავურბივარ
ამ დავიწყებას!

27.02.10
თბილისი

# გაზაფხულმა იძალა

გაზაფხულმა იძალა და მზე მიწას დაჰნათის,
გაზაფხულმა იძალა და
დრო დგება ნანატრი!..
გაზაფხულმა იძალა, ხიდან ჩიტი მიგალობს,
გაზაფხულმა იძალა
და შორს ჩემგან, გრიგალო!..
გაზაფხულმა იძალა, ავსებს სივრცეს ნათელი
და გულს, ისევ, მიმრთელებს ბევრჯერ
სევდით გათელილს!
გაზაფხულმა იძალა, მირხევს სულის ანტენებს
და შორს ჩემგან, ზამთარო,
თოვლის კორიანტელით!..

10.03.11
მოსკოვი

## ჩემი ბაღი

ეს ჩემი ბაღი გამიძარცვეს ზამთრის ქარებმა
და რა უეცრად გაუხუნდა
　　　　　　　　მთვარეს ემალი?
დრო მიქრის, სადღაც, უგზო-უკვლოდ მიექანება,
უმისამართოდ ვხეტიალობ –
ღამის მთევარი...
ო, ისევ მიდის ეს მდინარე ღელვით, განგაშით
და იმზირება დემონივით
　　　　　　　　ბედი მაცდური!..
ჩემი ალვები გატრუნულან ყინვის ქარქაში
და იცრემლება ბაღი
ფოთლებშემოძარცული!..

24.01.11
თბილისი

## ხსოვნა

მალე მეც ხსოვნად ვიქცევი ალბათ,
გაქრება ჩემი ნაბიჯი მკრთალი!..
მთვარე წყაროსთან შეარხევს აფრას,
ო, მხოლოდ ღამის
სილურჯით მთვრალი!..
შენ იყავ ჩემი ალფაც, ომეგაც
და იდუმალი წკრიალი სიმის!..
რამდენჯერ ტრფობით გულზე მომეკარ
და ხსოვნა ვეღარ
იშორებს ღიმილს!..

16.10.11
მოსკოვი

## და მეც ავტირდი!

კვლავ მოეძალათ სიყვითლე ფოთლებს,
მაგრამ არ უნდათ, რომ რტოებს მოსწყდნენ!
ქარის ხმაურზე ტირილი მორთეს
და მეც ავტირდი
ო, როგორც მოწმე!..
დამთავრდა მათი სინორჩის ხანა
და, როცა ერთი მათგანი მოსწყდა,
კვლავ მოაგონდათ ნიავის ნანა
და მიწა ჩუმი
ცრემლებით მორწყეს!..

23.09.11
მოსკოვი

## მე ბევრი ვფურცლე...

მე ბევრი ვფურცლე წიგნიც, მოძღვრებაც,
ფილოსოფია – ძველიც, ახალიც...
ფრთებს მძლავრად შლიდა ჩემი ოცნება
და შუქს მაღვრიდა
მზეაღმავალი...
სიბრძნეს ნაყოფი მუდამ ასხია,
მესმის ღუღუნი ბაღში ქედანის!..
რასაც აქ ვხედავ, თუ ეს ასლია,
მაშინ სად არის
მისი დედანი?!

15.03.11
მოსკოვი

## თოვლის ცხედარი

სული შორეულ ლაჟვარდებს ერთვის,
მზე არხევს სივრცეს მძლავრი სხეულით...
წავიდა ზამთრის დღეები თეთრი
და შემრჩა ხელში
თოვლი სნეული...
მისი ცხედარი შემორჩათ ქუჩებს
და გააქვთ იგი ნაწილ-ნაწილად...
წავიდა ზამთრის დღეები ურჩი
და ბაღს გავცქერი
ფერებნაწვიმარს!..
სივრცე ნიავის ფრთებზე ირწევა,
ჟამი გათელეს თეთრმა რაშებმა...
ბუნება იწყებს გამოღვიძებას,
მზე გაზაფხულის
მეთამაშება...

15.03.11
მოსკოვი

* * *

აქეთ მახათა, იქით თაბორი
და სივრცეს არხევს ხმა იდუმალი!..
კლდეები ლეგა ნისლებს აბოლებს
და დგას მთაწმინდა
გაუხუნარი!
ღამის ქუჩებში მთვარე გაწვიმდა,
მაგრამ ვერ შეძლო გაფანტვა ნისლის,
იქით თაბორი, აქეთ მთაწმინდა
და მხოლოდ თოვლის
სიმღერა ისმის!..

29.12.11
თბილისი

## მე კარგად ვიცი

მე კარგად ვიცი მოვდივარ სიდან
და მოქანცული მივდივარ საით!
მე გაზაფხულის ფერები მზრდიდა
და ვუმღეროდი
მზესა და მაისს!..
მოვარდა, ერთობ, დღეები მკრთალი
და ბაღში ერთი ჩიტიც არ გალობს,
სად გაქრა ნაზი ღიმილი მთვარის
და შენი ლურჯი
შრიალი, ქარო?!
სისხლო, გულს დაღლილს, ასე რად უტევ?
ო, სულო, აღარ დანებდე ქაოსს!..
გასცილდა ჩემი ხომალდი სრუტეს
და გაშლილ ზღვაზე
შორს მიქანაობს!..

15.11.11
მოსკოვი

## გვალვა

ო, რამ დახეთქა ეს მიწა, ასე?!
ყანები ერთობ გადაწვა გვალვამ!..
გავცქერი მინდვრებს... ტკივილით მავსებს
და მოთენთილი
ირხევა ალვა.
რა ულმობელმა დარეკა ზარმა
და სარეცელზე სიცოცხლე მიწვა...
შორს გაიტაცა ფოთლები ქარმა
და ბალახების
ჩურჩული მიწყდა!..

14.07.07
სოხუმი

## საით გაფრინდნენ, ნეტავ?

ო,ის დღეები ფერადი, საით გაფრინდნენ, ნეტავ?
დავდივარ, ისევ განახელები და გული
მტკივა მეტად!..
ამ ხეივნებმა იცვალეს ფერი, გაქრა ბილიკი მთვარის,
მწუხარე ხმაზე ჩიტუნა წივის
ფერიცვალებით მთვრალი!

22.08.11
თბილისი

## დანაღმულ ველზე მივიწევ!

ვერ იქნა, ვეღარ დავშორდი უიმედობის ნაპირებს,
ხვალ, იქნებ, ელვა დამეცეს და
                    ვეღარ გავიაპრილოო!
დანაღმულ ველზე მივიწევ და ჩემ წილ ჭაპანს ვეწევი,
ცხოვრებას ფეხზე ვკიდივარ
და მიტევს, როგორც მეწყერი!
მე, ისევ შენკენ ვისწრაფი და შენს სიმაღლეს ვეძნობი,
ვერ იქნა, ვეღარ დავძლიე
                    უიმედობის ფერდობი!
მე იმ ჟამს ვეღარ ვივიწყებ, და მაგ თვალების ნათებას,
გული კვლავ შენკენ მიმიწევს
და ვკოცნი მაგ შენს ნატერფალს!..

19.03.11
თბილისი

## წავიდა შენი თაობა!

წავიდა შენი თაობა, შენ კვლავ აქ დაბორიალებ...
და იქეც არარაობად,
                    ჟამი კი, ისევ, რიალებს...
წავიდა შენი თაობა, ის სივრცე იქცა იავარ,
წავიდა შენი თაობა,
დრომ, ერთობ, გაანიავა.
ჩანგს, ისევ ვეღარ ჩამოჰკრავ და სხეულს ძლივსღა მიათრევ,
ო, ის რტოები ჩამოხმა,
                    ჩაგიქრო ჟამმა სინათლე!
იმ მინდორს ვეღარ მიაგნებ, იმ ბილიკს ვეღარ იხილავ,
შენმა თეთრონმა უბელოდ
მთა-ბარი გადიჭიხვინა!..

17.08.11
თბილისი

## ისევ გამოჩნდა!

მიიზვირთება ეს ურჩი ღამე,
ჩემს თვალებს ძილი არ ეკარება!..
და ვარსკვლავები სიჩუმეს სვამენ,
გადიშხუილეს ზამთრის ქარებმა!..
მიიზვირთება ეს ღამე ურჩი
და ცრემლი რატომ ედება თვალებს?
ისევ გამოჩნდა ჩემი ცა ლურჯი
და მე გავცქერი
სარკმლიდან მთვარეს...

15.03.11
თბილისი

# დრო და სივრცე

ჩემს ცას რად ცვივა ცრემლის კურცხალი?
შენი სიმაღლის მუდამ მჯეროდა!
ნახე, დრომ სივრცეს ფერი უცვალა
და ვეება მთაც
გაამელოტა!
ჩემში იმედის ჩიტი გალობდა,
დრომ კი მაქცია კაცი იავარ!
ჟამმა წაიღო, რაც მიწყალობა
და ერთიანად
გაანიავა!..

14.10.11
თბილისი

## ტყვე საფლავი

სიკვდილის გაუმაძღრობა ჩვენ, ყველამ კარგად ვიცით,
მას აღარ შველის გაწყრომა,
არც მუდარა და ფიცი!..
ხან ჩუმად მოგვეპარება, ხანაც აგვიკლებს რისხვით,
უყვარს ფარ-შიმშრის ხმარება
და მონღოლივით – ისრის!..
პლანეტა ბევრჯერ აიკლო, სიცოცხლეს მუდამ ებრძვის
და შენს ტყვე-საფლავს, დაიკო!
ნუთუ დაფარავს ძეძვი?!

02.10.11
მოსკოვი

## რად მემალები?

რად მემალები, მზეო, ლეგა ღრუბლების იქით,
რად მემალები, მზეო –
                    ნუღარ დამღალე ფიქრით!..
რად მემალები, მზეო, რად გახდა ზეცა ცივი,
უკვე ზაფხული მიდის
ხეზე ჩიტუნა წივის!..
ფოთლები კანტიკუნტად, ისევ, სწყდებიან ხიდან
და უშენობით სივრცე,
ო, როგორ გაირინდა?!

27.08.11
თბილისი

## მეძახის, მიხმობს!..

მე ჩემი მიწა მეძახის, მიხმობს!..
          ვერ დამაშორებს მის წიაღს ვერვინ!
ნურავინ ფიქრობს ჩამთვალოს ბრიყვად,
სანამდის მერნის
ჭიხვინი მესმის!..
ო, მე ხეტიალს არ ვუფრთხი ქარში
          და ვყვირი, როგორც კლდეზე ირემი!..
მე ბედნიერი ვიქნები მაშინ,
თუ შენს სიყვარულს
შევეწირები!..

22.09.11
მოსკოვი

## როდესაც საზღვარს გადავკვეთ

აწი, მე კრემლთან ველარ ჩავივლი,
          ჩემი წასვლის დრო მოვიდა, მოდგა!..
კვლავ ააყვავებს ზეცას ჩხავილით,
აქ არაერთხელ, –
ყვავების მოდგმა!..

რატომ და რისთვის განსჯას ვუნდები,
          რაც ავიტანე, უთუოდ, მყოფნის!
მე აქ არასდროს არ დავბრუნდები,
რაც იყო იმას
მივაწერ ყოფილს!..

ეს გული, ისევ ამაყად ფეთქავს,
          მესხმება თეთრი არწივის ფრთები!..
და, როცა საზღვარს გადავკვეთ მედგრად,
ამოვისუნთქავ,
უთუოდ, შვებით!..

17.09.11
მოსკოვი

## შენ პირველი ხარ მათ შორის!

მე ვერ ვიშორებ ღელვას, გაფრინდა თეთრი გედი,
შენ პირველი ხარ მათ შორის, –
ვინც მე მომხიბლა, ქეთი!
ხსოვნა იმ დღეთა მაშორე და განაჩენი ბედის,
შენ გახდი სულის მაჟორი
და, სადღაც, მიმაფრენდი!..
ჟამი გულს, ისევ, მიკაწრავს და, თან ფსკერამდე შედის,
უშენოდ დავეხეტები
ქუჩაბანდებში, ქეთი!

01.10.2002
მოსკოვი

## უშენოდ ვერ ვძლებ!

კვლავ გაზაფხულის ბილიკებს ვეძებ,
მივდივარ იქით ნაბიჯით სწრაფით!..
მე, ჩემო მერი, უშენოდ ვერ ვძლებ,
როცა ცხოვრება
მაწყდება ხაფით!..
ვესაუბრები ცას, მიწას, ხეებს,
რომ დამიბრუნონ ის გზა და ხიდი!
და, ვიღაც მოდის და მადებს ხელებს,
რომ ამაშოროს
ტკივილი დიდი!..

03.03.12
თბილისი

## მივიწყებულთა შორის...

მოსკოვის, დონის სასაფლაოზე, ხავსით დაფარულ,
ორი ქართველის საფლავს წავაწყდი მეუღლესთან
ერთად, დიდხანს ვიდექით მდუმარედ და
ვფიქრობდით საქართველოს ტრაგიკულ ბედზე,
კრწანისის ომის შემდგომ!..

აქ, ჩინარების ჩრდილში, სასაფლაოზე დონის,
ჩვენ ორ სამარეს წავწყდით, –
მივიწყებულთა შორის!..
ორი ბებერი არყის ხე, ნარხევი ზამთრის ქარით,
ირეკლავს მზის სხივს ცოტას,
უფრო კი სხივებს მთვარის...
იბრძოლეს ბოროდინოსთან ო, უპერანგოდ რკინის,
კრწანისის ომში დაღლილნი
უძლებდნენ ყველა ტკივილს!
ვუცქერთ და მწარედ განვიცდით და ჟრუანტელი გვივლის,
მიემსხვრნენ ჟამის ჯებირებს,
როგორც ტალღები ივრის!..
აქ განისვენებს ორივე, – სასაფლაოზე დონის,
დუმს მკაცრად ორი საფლავი
მივიწყებულთა შორის!..

06.10.11
მოსკოვი

## პაიკების სევდა

ბუნება ჭადრაკს თამაშობს, ჩვენ პაიკებად ვყავართ,
აქ იადონი გალობს, იქ კი
დაჩხავლა ყვავმა!
მოდის აპრილის დღეები, ფერს უცვლის არემარეს,
მზე ალტაცების ამოდის,
ჩადის ბებერი მთვარე...
ჩვენ კი მივიწევთ შეტევით, დრო წრაფვას ვეღარ გვიქრობს,
ჩვენ არ გვსურს ყოფნა პაიკად,
დედოფლობაზე ვფიქრობთ!
და ასე მიდის ცხოვრება, ვხდებით ოცნების მსხვერპლი,
რა რჩება ჩვენს ნაკვალევზე? –
არარაობა – ფერფლი!..

02.09.19

თბილისი

## ლოდების ქალაქი

ვუახლოვდებით ლოდების ქალაქს
და სევდით გვავსებს თრთოლვა ბუნების!..
დამთავრდა მათი ლამაზი ხანა,
უკრავს მუსიკა
არდაბრუნების!..
რა დაგვრჩენია? – მუხლების მოყრა,
ვშორდებით მარად – არა დროებით!..
და სივრცეს ავსებს მდუმარე ოხვრა
და მწარე სევდა
გამოთხოვების!..

05.10.11
მოსკოვი

## გავცქერი სივრცეს...

მე ყველაფერს ხსოვნის ფირზე ვწერდი
და ქაღალდზე გადამქონდა მერე...
ჩვენ შევკარით სიყვარულის წრედი
და გვაღვრიდა
გაზაფხული ფერებს!..
დავიწყებას განვაშორო მინდა,
ის ლამაზი შეხვედრები, მარი!
იყო ჩვენი სიყვარული წმინდა,
გვიან ღამით, ფერად
შუქზე მთვარის!
კვლავ ირხევა ალვის ხეთა მწკრივი,
გავცქერ სივრცეს, ქარით განახელებს,
ნაზამთრალი ჩიტი რტოზე წივის
და, სადღაც, შორს
მიდუდუნებს ღელე..

26.04.1994
ბათუმი

## გულო, არ დამიბერდე!

მზე ღრუბლებიდან გამოდის და, კვლავ ღრუბლებში შედის...
მოსწყდა რტოს ვაშლი სამოთხის,
გაფრინდა თეთრი გედი...
იცის ბუნებამ თავის გზა და განაჩენი ბედის!..
მე კი, კახური დამისხათ,
გულო, არ დამიბერდე!

01.10.11
მოსკოვი

## ვერასდროს მოვალ!

ო, მე ამ ბაღში ხელმეორედ ვერასდროს მოვალ,
ვეღარ  მოვისმენ სევდიანი
                                        ჩიტების ჟივჟივს!
ნანახს და განცდილს, მხოლოდ სულის სიმებით ვზომავ
მირბის მერანი, და სიშორის
არა აქვს შიში!
და ბავშვობიდან მე ამ ზეცის
                                        სილურჯეს ვეტრფი,
ამ სულის ქროლვას, მეგობარო,
არა აქვს ზომა
ჩემი შარა-გზა ბავშვობიდან, რომ იყოს თეთრი,
ამიტომ ვჭიმავ უჩვეულოდ
სიცოცხლის ზონარს.

10.10.11
მოსკოვი

# ცოდნის ტაძარი

ო, შენ ხარ ცოდნის ტაძარი დიდი და სიამაყე ერის,
ვდგავარ უხმოდ და შეგცქერი რიდით –
დამუხტულს ცოდნის ველით!..
აქ თაობების ტალღა ცვლის ტალღას და შენ მწვერვალად დგახარ,
ისევ და ისევ მიიწევ მაღლა
და ეძებ მუდამ ახალს!..
ბუმბერაზების ძეგლების წყება, რა სიდიადეს გმატებს,
შენ ვერაფერი დაგაკლეს წლებმა,
როგორც რუსთველს და დანტეს!
არ დაგკლებია სიმუხთლე ბედის, იდექი დროის ურჩი,
დღეს ცა გახურავს ჭირგამოვლილი
და თან უსაზღვროდ ლურჯი...

12.08.1968
თბილისი

## კვლავ რეკავს ზარი!

ყვითელ ბალახებს ნიავი ვარცხნის,
მიაქვთ ბებერი ფოთლები ქარებს...
ეს გული, ნუთუ ამაოდ დაცხრა
წყეულო ბედო,
სად მიმაქანებ?!
კვლავ რეკავს ზარი ესოდენ მკაცრი,
დრო განშორების ლანდებს დამასევს...
ჭამთან კვეთებით დაღლილი კაცი
ვარდ-ყვავილებით
გამალამაზეთ!..

16.10.11
მოსკოვი

## სიყვარულით გავცქერი...

ოქტომბერია და ციდან შუქი იღვრება უხვად
და, ლამის არის, სიმწვანით
კვლავ შეიმოსოს მუხა!..
ჟივჟივით ჩიტუნების, ისევ ირხევა სივრცე,
შეხედე, მწვანე სიმღერა
ისევ მოუნდა ცირცელს!..
და ვაშლის რტოზე ცისკრის ჟამს შაშვის გალობა ისმის,
არსად ნაფლეთი ღრუბლების,
და არსად რუხი ნისლი,
იქ ტყე ირწევა მაღალი, მეცხრე ცამდე რომ ადის,
სული ივსება სილაღით,
მზე სხივებს უხვად ბარდნის!..

ნავები ზღვაზე ქათქათა აფრებს ისევე შლიან
და სიყვარულით გავცქერი
ბუნების ზღაპრულ შრიალს!..

09.10.11
თბილისი

## ვინ გადურჩება?

ვინ გადურჩება რღვევას და დაშლას?
კლდე, კლდე რომ არის, ირღვევა ისიც!..
წავიდა ის დრო, ძვირფასო ლაშა,
გაჭენდა ყრმობის
ის ორი კვიცი!..
ზღვაზე აფრების კვეთებაც დაცხრა,
უკვე სიცოცხლე არაფრად არ ღირს!
ის ჟამი ლამაზ ნაპირებს გასცდა,
დრომ ჩვენი ყრმობის
დახურა ბაღი!..
დამთავრდა უკვე ძიება ახლის,
ვინ დაგვიმსხვრია ამაყი ფრთები?
ის კვლავ გვიცქერის დუმილით მეფის
და ჩანგის სიმებს
ამაოდ ვარხევთ!..

18.10.11
მოსკოვი

## რბიან დღეები...

„ჰე, ღმერთო ერთო, შენ შეჰქმენ
სახე ყოვლისა ტანისა...“
*შ. რუსთაველი*

სამყაროების არსებობას ვერ გამოვრიცხავთ,
ჩვენთვის მარადის შეუცნობი
ძალით ანაგებს!
ო, იქნებ, ახალ სამყაროთა იზრდება რიცხვი,
მაგრამ ყველაფერს მხოლოდ
ღმერთის ძალა განაგებს!..

ის გონებისთვის რჩება მუდამ მიუწვდომელი,
მის მასშტაბებთან ვეღარ მოდის
სხვა შედარება!
ემორჩილება უზენაესს არსი ყოველი,
მხოლოდ სულით ვგრძნობთ,
უჩვეულო, ამ ნეტარებას!..

რბიან დღეები და ჩვენ რწმენით ოცნებას ვანთებთ
და ღვთაებრივი სილამაზით
სუნთქავს მთა-ველი!..
ღმერთმა აჩუქა დედამიწას: შექსპირი, დანტე,
ნიზამ განჯელი, ჰომეროსი
და რუსთაველი!

23.04.2015
თბილისი

## გაგვიხსენებს

შემოდგომის ვგავარ ფერმკრთალ ფოთოლს,
მოგონებებს მწარე ცრემლებს შევრთავ!..
დღეს იმ ბილიკს სულ ამაოდ გავცქერ,
რომ ღიმილით
მოდიოდი ჩემთან!..
თოვლში ჩვენი ნაკვალევი არ ჩანს,
არც ბილიკი შემოდგომის მთვარის!
აბაშის პირს სიყმაწვილე დარჩა
და ბავშვობის
ნაფეხური მკრთალი!..
დავიწყებას მიეცემა იგი,
ამ სოფლიდან ჩვენი წასვლის მერე!
გაგვიხსენებს ალვის ხეთა რიგი
და ბავშვობის
მოდუდუნე ღელე!..

15.08.2015
თბილისი

## არ მსურს სიშვიდე!

ო, ეს სამყარო გახდა უფრო მღვრიე და თალხი,
არ მსურს სიშვიდე...
                    უსულგულოდ დავეხეტები!
შეხედე, გარეთ გამოსულა ხმაურით ხალხი
და ცხოვრებასთან
შეუპოვრად იწყებს შეტევას!...
უნდა მოეღოს ბოლო ამდენ წამებას, რისხვას
და დემონების მიმართ
                    გავხდეთ დაუნდობელი!
ერთი მითხარით, სანამ უნდა იდინოს სისხლმა,
რომ ბოროტისგან
დაიცხრილოს წუთისოფელი!

11.05.11
თბილისი

## ჩვენ მივდიოდით...

ჩვენი შეხვედრა აქ, ზღვის პირას ღმერთმა ინება,
და ფანტელებით
                    უჩვეულოდ შემოსილები...
სულაც არ ვგრძნობდით, მეგობარო, დროის დინებას,
მთას გავცქეროდით, სოხუმის მთას, –
თოვლით შეფერილს...
ო, ის საღამო გახდა ჩვენთვის დაუვიწყარი,
და იდგა რხევა ზღვის სივრცეში
                    თეთრი აფრების...
ჩამოდიოდა თოვლი ციდან ჩუმი შრიალით
და მივცურავდით ფანტელებში...
სხვა არაფერი!..

20.02.1972
სოხუმი

## არ მინდა ვნახო!

ო, ნუ მაჩვენებთ მიწას საფლავის
            დაფენილს ბინდით მწუხრის!..
სად სხეულს ჩემსას ვიწროდ ჩაფლავენ
ბელტების რახარუხით!..
არ მინდა ვნახო მე ის სავანე,
            სადაც განვიცდი დაშლას!..
აღარ მაჩვენოთ ჩემი სამარე,
დრო, რომ
გადირბენს კავშა!..

29.04.17
თბილისი

# ვერ მივაგენი

შენი გაფრენის საიდუმლოს ვერ მივაგენი,
ოცნებით ვეძებ მიუწვდომელ
სივრცეთა შორის...
ნიადაგ ფეთქავს ჩემი სისხლის ყოველი გენი,
საით მიილტვის ო, ეს სული
მარადის მქროლი?!.
მე მოაზროვნე უჯრედების ვარ დიდი წყება,
მივილტვი იქით, შენს ნაკვალევს
დავეძებ ყველგან!..
მაგრამ ჩემს გზაზე უბოლოო ნისლები წვება
და მე არ ვიცი, ჩემს წამებას
რა უნდა ერქვას?!
მილიარდობით ნეირონი ამ ჩემი გონის
სულ არ იღლება და
ოცნების იალქნებს გაშლის!..
ფიქრები ჩემი შორს მიილტვის, „ვაჰ, დრონი, დრონი“!
და სიშორეში დღენიადაგ
დაეძებს კავშირს...

28.04.2017
თბილისი

## ნუ დაივიწყებ!

ნუ დაივიწყებ, ზღვაო, ჩემი დღეების ღელვას,
ყმაწვილობიდან, შენთან ბევრი
მქონდა საერთო!
იმ აღტაცებამ გადიქროლა, ო, როგორც ელვამ
და ახლა რა ვართ,
ჩემო კარგო, უერთმანეთოდ!
მხოლოდ სიზმრებში მოზღვავდება ის ნეტარება,
რომელსაც ყრმობის სილამაზით
ვესისხლხორცები!..
ო, როგორ მიჭირს უშენობით ხსოვნის ტარება,
დაკეცა ჟამმა იალქნები
ჩემი ოცნების!
გავერანებულს ვხედავ უკვე დღეებს მომავლის,
დასასრულისკენ მივისწრაფი
სიმების რხევით!..
წარსულის ხსოვნა, უჩვეულოდ, ჩემში მომრავლდა,
და დამრჩა კიდევ გასავლელი, –
ეს ერთი ხევი!
მასაც გავივლი, სანამ ჟამი დამარღვევს, დამშლის,
მივდივარ, და არ ვიხედები
არასდროს უკან...
სული ხომ, სადღაც, სიშორეში დაეძებს კავშირს,
და განშორების სევდიანი
მუსიკა უკრავს!..

25.04.2017

თბილისი

# წავიდა ის დრო!..

ჩემი დღეები ჭაბუკობის მხოლოდ აქ იშვა,
გაქრა ის ჟამი და სიცოცხლე
არაფრად მიღირს!
უთქვენოდ ყოფნა, ახლა უკვე, არ ყოფნას ნიშნავს,
როცა ვერ ვისმენ მამაჩემის
სევდიან ღიღინს!
ვერ ვხედავ დედის ლამაზ ღიმილს და სევდა მაწვიმს
და ჩემი ტრფობის დაწყდა ერთობ
ყველა ზონარი!
რამ დაუხოკა აფროდიტას ცრემლებით ღაწვი
და მესმის ახლა მამის
ოხვრა გაუგონარი!..
წავიდა ის დრო და ოცნება იალქნებს ვერ შლის
და სიხარულმა საუკუნოდ
დაკეცა ფრთები!
ყრმობის დღეები სანთელივით შემადნა ხელში
და უიმედოდ წუთისოფელის
ბინდებში ვქრები!..

24.04.2017
ბანძა

## რა უნდა მეთქვა?!

სკოლის ეზოდან გამოვედით მე და შენ, ლალი!
და შინისაკენ მივყვებოდით,
ძვირფასო, შუკას...
მინდორზე ქროდა გაზაფხულის მსუბუქი ქარი
და ყვავილები აღტაცებით
მოგვსდევდა უკან...
მე მწვავდა შენი სიყვარული თამაშით ფერთა,
გიმზერდი გრძნობით და ჩემს ღელვას
არ ჰქონდა ზღვარი...
შენთვის, ძვირფასო, არ ვიცოდი, რა უნდა მეთქვა
და მოვდიოდი მე შენს გვერდით,
ტრფიალით მთვრალი!..
ლალი ძვირფასო! კარგად ვგრძნობდი მაგ გულის ფეთქვას,
და ირხეოდა შენი სულის
სიმები ნაზი!..
გიცქერდი თრთოლვით და გვათრობდა ვნებათა ღელვა
და მერეოდა ერთმანეთში
გრძნობა და აზრი!..

17.05.2012
ბანძა

* * *

იხუტებ შვილებს უსულგულოდ, დედაო – მიწავ!
მირიადობით შლი და არღვევ
სხეულებს ნაქებს!
მაგ შენს კალთაზე ანგელოზი რამდენი მიწვა,
და მოქათქათე გედის ტანზე
ამრავლებ ლაქებს!
არ მინდა მზერა მივადევნო შენს ნამოქმედარს,
გავრბივარ, სადღაც, და სიკვდილთან
არ ვდგები ახლოს!
ნუთუ, ამ ქვეყნად ყველაფერი ამაოდ ფეთქავს,
შენს მკერდზე წყება საფლავების
არ მინდა ვნახო!

27.04.2017
თბილისი

*******

გავაღე ფანჯარა ღამით... ცა არხევს
სევდიან სიმებს!..
ჩემს ნაღველს
ირეკლავს ჟამი
და მაინც მოვუხმობ იმედს!..
ო, სული განბანა ცრემლმა, ვით ცვარმა
ყვავილი მინდვრის,
ზღვა ღელავს
ზვირთების ცემით
და მთვარე ზოზინით მიდის....

14.06.79
სოხუმი

## დაობდა დრო და სივრცესთან

თავისით მიედინება, ლექსს არ სჭირდება ფაბულა,
სული კივილით აწყდება და
ხეთქავს ჟამის საბურავს!
რამდენჯერ გადამილახავს ჯებირი უიმედობის,
ბევრჯერ ვიტკინე მუხლები,
ბევრჯერ დავცურდი ფერდობზე...
ტვირთს მაინც ვეზიდებოდი, ო, როგორც ხარი ნიკორა,
ჩემი ცხოვრების ბორბალმა
ქვეყნად რამდენი იგორა!..
მედგა მამულის უღელი, მისი ვალები მემართა,
სულს კი სინათლის ნაკადი
გზადაგზა შემოემატა...
წინ ვისწრაფოდი... და ჟამი, თუმც ბევრჯერ ჰგავდა ნეგატივს,
დრო და სივრცესთან დაობდა
ჩემი ცისფერი ფრეგატი...
და მომავალშიც იდავებს, არა აქვს შიში ქარების,
შიგ ღელავს ჩემი ცხოვრება,
შიგ რეკავს დროის ზარები!..

22.11.84
ბანძა

## რა სილამაზე მახსოვს!

ქროლვა ნიავის მსუბუქი, ჩიტის გალობა ხეზე,
და ყვავილების ღიმილით
დამშვენებული ეზო!..
ალვის ხეების რიგი, დედა ძველმანებს კემსავს,
მაგონდება, და იგი
სულს ანეტარებს დღესაც!
შუქით მოსილი ზვარი, ხნულში მზისფერი თესლი,
სულში კვლავ რეკავს ზარებს
და ის ხმა ახლაც მესმის!..
ჩემი პატარა კვიცი მინდორ-მინდორ რომ ქროდა,
ის ფრთებით სივრცეს კეცავდა,
რა აღტაცება ჰქონდა!
რა სილამაზე მახსოვს, ო, რა სიმდიდრე მქონდა!..
ჩემი ცისფერი ეზო,
ჩემი პატარა ოდა!

03.08.82
ბანძა

## საითკენ მიხვალ?!

მთავრდება ვადა სამზეოზე ჩემი აქ ყოფნის,
მძიმედ დაღლილი, მე არ ვიცი,
საითკენ წავალ?
ვიხსენებ გრძნობით ამ მიწაზე ნანახს და ყოფილს,
ეს, ვინ მიმზადებს სამუდამოდ
საძილე წამალს?!
ფიქრით, ოცნების მწვერვალები დავლაშქრე ყველა,
დღისით და ღამით ხეტიალით
მოვღალე გზები!..
სულო, მითხარი, საით მიხვალ, ან რატომ ღელავ?
როცა უმღერდი ამ მიწიერ
სიყვარულს გზნებით!..
ისევ სერავენ არწივები სივრცეებს გაშლილს
ჩვენ ამ მიწაზე მოსვლის ერთხელ
გვეძლევა საშვი!
ისევ გუნდ-გუნდად ბეღურები იფრენენ ბაღში
და იგალობებს ჭადრის ხეზე
ზამთარში შაშვი!..

09.05.2017
თბილისი

## ისევ აყვავდა!

ისევ აყვავდა ჩემი ნუში, ჩემი ატამი,
მათი სურნელი მიხმობს და თან
მავსებს სიამით!..
რა ვუყო ამ სულს, უჩვეულოდ თრთოლვით ატანილს...
კვლავ ხეივანში ფრთებგაშლილი
მიქრის ნიავი...
ირხევა სივრცე და ფერები მინდორ-ველს ათრობს
და სიყვარულით მათ
ვეწვევი მოუსვენარი!
შეხედე მინდორს, გაზაფხულის შრიალი ათოვს
და სულს მიქარგავს სილამაზით
ძალით ზენარის!..

22.03.17
თბილისი

# გაფრინდა ჟამის აჩრდილი

ჩემი ცხოვრების დღეები მოგონებებმა დაჩრდილა,
წავიდა ჩემი ზაფხული,
გაფრინდა ჟამის აჩრდილი!..
და შემოდგომის ფოთლები მხრებზე ტაატით მაცვივა...
აჰა, საცაა, მოდგება ზამთრის
თოვლი და ქარწვიმა!..
ხმება მინდორზე ბალახი და მზე უცქერის უგულოდ,
და კაფე-თესეს შორიდან
აღარ იძახის გუგული!
ნაღველი გამიათკეცდა, ვინღა დამითვლის იარებს?!
სადაც ყაყაჩო ღელავდა, –
ხმელი ფოთლები შრიალებს...
არ ღელავს ჩემი ბინული, არც მზე ეძლევა განცხრომას!
ვერ უძლებს სული დროის და
ამ სივრცის გაუმაძღრობას!..
არ ვიცი, საით მივდივარ! ხელში მიქრება სანთელი,
მაინც სიმაღლეს დავეძებ
დაღლილი, ღამენათევი...
ჩემი ცხოვრების დღეები მოგონებებმა დაჩრდილა,
წავიდა ჩემი ზაფხული,
გაფრინდა ჟამის აჩრდილი!..

18.10.86
ბანძა

* * *

ჩემი ეზო თოვლით დაბურულა,
          არსად არ ჩანს ნაკვალევი კაცის!
ჟამი მიცქერს, როგორც თოფის ლულა
და დარაჯად
დუმილი დგას მკაცრი!..
გული მეწვის დაკოდილი ისრით
          და ერთბაშად დამწყდა ყველა ძარღვი!
არც ჩიტების ჟრიამული ისმის
და არც ყეფა –
მონადირე ძაღლის!..

24.12.85
ბანძა

## რატომ იხსენებ?!

რატომ იხსენებ სილაჟვარდეს გაფრენილ წლების,
რა მოგაგონა ნეტავ, ასე
დღეებმა შორმა?
გადაუარა ქარიშხალმა მას დავიწყების,
და ყველაფერი იცვლის
ერთობ, სახეს და ფორმას!
საითკენ მიხვალ მოწყენილი უმთვარო ღამით,
სულის სიღრმეში მწუხარება, ასე
რად ყვავის?
რად აყურადებ სოფლის ცაზე ვარსკვლავთა რონინს,
რატომ სდის ცრემლი განშორების
პატარა ყვავილს?!

16.08.16
ბანძა

## ნეტავ, რაზე ბობოქრობს?

ეს მრისხანე ღრუბელი რატომ დაწინაურდა?
ასე, რაზე ბობოქრობს, ჩემს მამულში
რა უნდა?
ღელვით სივრცეს ვაწყდები და არ ვიცი რა მელის,
გადავსერე ფიქრებით – ცხრა ცა,
ცხრა მთა, ცხრა ველი...
რა ულმერთოდ მაწამებს დარდი განუქარველი,
დღემდე არვინ ჰყოლია ჩემს
ოცნებას მფარველი!
ეს მრისხანე ღრუბელი რატომ დაწინაურდა?
დღემდე რაზე ბობოქრობს,
ჩემს მამულში რა უნდა?!

09.08.89
სოხუმი

## ვინ დამიბრუნებს?

დღეებს გარდასულს, აწი უკვე, ვინ დამიბრუნებს,
ის, შორს გაფრინდა, სამუდამოდ,
თვალს მიეფარა...
წუთისოფელი მიდის მძიმედ და, თანაც ბრუნავს,
მივდივარ მარტო და ვერაფრით
სევდას ვერ ვმალავ!
ვაცნობიერებ შეუცდომლად, რაც იყო იმას,
ჩემს მწუხარებას, მეგობარო,
არა აქვს ზღვარი...
ყოველი ძარღვი უჩვეულო სიმწვავით მტკივა,
და სიშორიდან განშორების
მეძახის ზარი!..

20.03.17
თბილისი

## ციდან ფანტელი იღვრება

ისევ გავრბივარ ტყისკენ, იქ მირჩევნია ყოფნა,
ირხევა თეთრი ნისლი, ისევ
იქუხა თოფმა!
ცისკრის ნათელი იღვრება, მივსდევ ბილიკებს თოვლის,
მიედინება ღელე
რტოებქვეშ ანათრთოლი...
სადღაც, ხოხბების ხმა ისმის, მივაყურადებ ყივილს,
და გათანგული ტოტები წვანან
მკლავებზე ყინვის
და მონადირე „ცირა“ იკლებს მიდამოს ხაფით,
ხოხობი ტყვიას გაექცა
და აწკმუტუნდა ძაღლი!
თოვლის ფანტელი იღვრება, სივრცეა ერთობ თეთრი,
ოდა სახლიდან მომესმის,
მხოლოდ ძახილი დედის!..

14.01.1946
ბანძა

## ვიხსენებ დღეებს გარდასულს!..

სად შრიალებდნენ ყანები, ვხედავ მდუმარე ველობს,
ეს არის ჩემი ქვეყანა? –
ეს არის საქართველო?
ღელვა მედება უსაზღვრო და მწუხარებით მავსებს,
ვიხსენებ იმ ძველ ხანას,
ლანდებს ბავშვობის დავსდევ!..
სად გაქრა ჟამი მედგარი და შემართება შრომის,
სოფელი მაინც ჰყვაოდა,
თუმც მძინვარებდა ომი!
ვიყავი თქვენზე მლოცველი ო, სანახებო, სოფლის
და სველდებოდა მინდვრები
ჩვენი დედების ოფლით!..
გავცქერ მინდორ-ველს უდაბურს, სული ტკივილით მეწვის,
იმ დღეებს, ასე სანატრელს,
კვლავ სიყვარულით ვერწყმი!..
გავძახი დროის ქარავანს და სივრცეს ფიქრებს ვახლი,
მაგრამ ხმას მაძლევს არავინ, –
ფიქრით უზომოდ დაღლილს!..

05.06.2016
ბანძა

# თბილისში თოვლი მოვიდა

თბილისში თოვლი მოვიდა, თეთრად მოირთო ბაღები,
თბილისში თოვლი მოვიდა
ქათქათა ბაირაღებით!..
თბილისში თოვლი მოვიდა, მესმის ყივილი არწივთა,
თბილისში თოვლი მოვიდა,
ისევ აყვავდა მთაწმინდა!..
თბილისში თოვლი მოვიდა, ოთახში ველარ ვეტევი
და ჭაბუკივით უქუდოდ,
ქუჩაში დავეხეტები...
თბილისში თოვლი მოვიდა, მთები დაფარა მელოტი,
თბილისში თოვლი მოვიდა,
მოვიდა, რასაც ველოდი!..
თბილისში თოვლი მოვიდა, ჩამოვიშორე „არბატი“,
თბილისში თოვლი მოვიდა
და ვთვრები ფიფქთა ფარფატით!..

28.01.17
თბილისი

* * *

გზაჯვარედინზე, ჩემო ნატო, ვიდექით უხმოდ
და ვუცქეროდით ჩვენ ერთმანეთს,
                    ძვირფასო, გზნებით!
მიირხეოდა ცისთავანზე ღრუბლები რუხი,
როცა ერთმანეთს შორდებოდა
ეს ჩვენი გზები!..
ო, გულში შუქი სიყვარულის ორივეს გვენთო,
მაგრამ ბუნების საიდუმლოს
                    ღიმილით ვსძლიეთ!
ის მდუმარება უჩვეულო, – რა იყო, ღმერთო!
და, დღესაც იგი თავს მახსენებს,
ძვირფასო, ძლიერ!..

10.04.2015
თბილისი

## ინახავს იგი ბედნიერ დღეებს!

მწვანე ხავერდით დაფარული მინდორი ვრცელი,
თავდავიწყებით ბავშვობიდან
მიყვარდა ეგ ზომ!
მოვდივარ ისევ, თუმცა უკვე არავინ მელის
და სევდიანი მხვდება უკვე
სახლი და ეზო!..
ინახავს იგი ყმაწვილობის ბედნიერ დღეებს,
თუმც ჟამთა ბრუნვა დასაბამით
არავის ინდობს!
მოდის აჩრდილი, სიყვარულით გამიშვერს ხელებს,
ფიქრობს, როგორმე დავიწყებას,
რომ განმარიდოს!
ჩემი ბავშვობის ნაკვალევი, აქ არსად არ ჩანს,
არც იმ ჩიტების, რომელსაც
მე ვეტრფოდი ერთობ!
დრომ ყველაფერი თუ მოშალა, მაშინ რა დარჩა?
და სევდიანი მივუყვები
ბავშვობის ფერდობს!..

17.13.17
ბანძა

## მარტო მოველ...

კვლავ მოვედი იმ ნაპირთან დავიწყების,
            გავცქერ რიდით, არაფერი არ ჩანს!
ჩემს მინდორზე შემოდგომის ნისლი წვება
და ჭაობში
დააბიჯებს ყანჩა...
მზე ფერმკრთალი  ვეღარ არღვევს ღრუბლის მორევს
            და სიმები ო, რა მძაფრად უკრავს!
ამ ნაპირზე, სევდით სავსე, მარტო მოველ
და, ამაოდ,
ვიხედები უკან!..

14.03.17
თბილისი

# ვიცრემლები

კვლავ ვიხსენებ ო, იმ დღეებს ყმაწვილობის
და ოცნებით გული ისევ მიცემს,
თუმც ის ჟამი გამეფანტა ნაწილობრივ,
დავემსგავსე შემოდგომის
ცირცელს!
გამეფანტა ძმა-ბიჭები ჩემი ყრმობის
და შუკებში მათ აჩრდილებს დავსდევ!..
ვეფერები სილამაზეს უკვე ყოფილს,
მოგონება მხოლოდ
სევდით მავსებს!..
ვიცრემლები და ტკივილი გულ-ღვიძლს მიწვავს,
ვარხევ სიმებს, ნეტავ რაზე მეღიმება?
მიწა ვიყავ, გადვიქცევი, ისევ, მიწად
და სიცოცხლე რჩება,
როგორც შეყივლება.

15.03.17
ბანძა

## ისევ დუმს!

ისევ დუმს ჩემი ეზო და სახლი,
            არც ყივილის ხმა, არც ყეფა ძაღლის!
როცა მომივლის სურვილი ნახვის,
მოვდივარ, მტკივა
ყოველი ძარღვი!
ადგილის დედის ჩამესმის ოხვრა,
            ვდგავარ მდუმარე, ვერაფერს ვამბობ!
გულო, იმ ღელვით ვერასდროს მოხვალ
და ხსოვნის დღეებს
ცრემლებით ვალბობ!..
ნუთუ, ის ჟამი – გათავდა, მორჩა,
            ო, სახლო, წუთით აიდგი ენა!..
აქ, რატომ დაცხრა ჩიტების სტვენა?
მხოლოდ ბილიკი სევდიანი
შორიდან მოჩანს...

16.03.17
ბანძა

## მე მიყვარს ღამე

მე მიყვარს ღამე გაზაფხულის მთვარით ნაქსოვი
და ხეივნიდან ამ შენს ბაღში
გავიდე მინდა!..
მაგ თვალებიდან ბევრჯერ მახსოვს სხივი ნასროლი,
ო, ის დღეები საოცნებო,
სად გამიფრინდა?!
ყმაწვილობიდან მოგვსდევს ტრფობა ო, უნაპირო,
მაგ შენი სულის მომნუსხველის,
დიდი ხნის ტყვე ვარ!
როგორ ვეტრფოდით ბავშვობიდან ზეცის საფირონს,
შენთან მოვდივარ, ჩემო მერი! –
ეს, ისევ, – მე ვარ!
ეგ შენი ბაღი ჩვენი ღელვის სავანე გახდა,
რომელსაც მუდამ ახავერდებს
მთვარის ზეგანი!..
და ვგრძნობთ ორივე, რომ ვიზიდავთ ერთმანეთს ნაღდად,
არ რჩება რამე, ჩვენთვის
უკვე გაუგებარი!..
და ჩვენი ტრფობის საიდუმლო იციან კარგად,
შორს, მიმავალმა ვარსკვლავებმა
რხევით, ღაღანით...
და ჩვენი სულის სილამაზეს ფერებით ნაქარგს,
მოეფინება გაზაფხულის
სიო ახალი!..

14.05.54
სოხუმი

## ველოდები ისევ

ჩემს სანატრელ მერცხლებს ველოდები ისევ,
გაზაფხულის მომძლავრება სულს
                                        ფერებით მივსებს!..
შემირხევენ, კვლავ ჭიკჭიკით სივრცეს ნაფერმკრთალებს
და ცრემლებით სიხარულის
ამივსებენ თვალებს!..
გელოდებათ შუქთა თრთოლვით ჩემი ზეცა ლურჯი
მზე კი ხატავს მწვანე ხავერდს
                                        მოხასხასეს ფუნჯით!..
ნაზამთრალი სივრცე გელით ნიაღვარით ფერთა,
მომლოდინე მთა და ბარი
აღტაცებით ფეთქავს!..

15.04.16
თბილისი

## ...და რას მიშველის?

ხეო, ჩემსავით, შენც ჭაღარა მოგძალებია
და ხეივანში ერთმანეთის
გვერდიგვერდ ვდგავართ!
ვიხსენებთ ახლა იმ გაზაფხულს ლაჟვარდფრთებიანს
და დროსთანა გვაქვს
შეუპოვრად ორივეს დავა!..
მოვა აპრილი, შენ აღიდგენ ხასხასა სამოსს,
მე ამ ჭაღარას გადავყვები
დაღლილი მძიმედ!..
დავბერდი უკვე, გუშინ გავცდი, ძმობილო, სამოცს
და რას მიშველის გაზაფხულის
ცა მოციმციმე!..

18.08.91
სოხუმი

## პარალელი

ეგ შენი სევდა ფოთლებივით ქარებს შორს მიაქვს,
ჩემი სევდა კი – დაგუბულა,
ერთბაშად, გულში!..
მოვა აპრილი მკერდს მივუშვერ სიამით ნიავს,
მე კი, – სიბერე, მეგობარო,
ჩამძახის ყურში!
არ ვიცი რა ვქნა, ვით გაუძლო ჟამის ურჩ ბრჭყალებს,
შემომეცალნენ მეგობრები,
დარდი ვის ვანდო?
და მძიმე ოხვრით შემოდგომის მივყვები ჭალას –
წლებით დაღლილი, უჩვეულო
ტკივილით მარტო!

28.11.16
ბანძა

# ლევილი

საფლავებს შორის მზის ჩასვლისას დავდივარ ჩუმად,
მაშინებს, რომ არ დავარღვიო
ეს მყუდროება!
ცივი ლოდები ულმობელი სიმშვიდით დუმან,
გულს მწუხარების უბოლოო
სევდა მოება!..
შემოღამება მოირწევა ბინდების რხევით,
ვიხსენებ მე თქვენს შემართებას
და სიმამაცეს!..
ჩემს სულს ეხება მოგონება ო, როგორც ხემი
და ყოველ საფლავს უჩვეულო
გრძნობებით დავცქერ!..
აქ ცა ირღვევა თქვენი სულის ოხვრით, ღაღადით,
ო, ასეთია განაჩენი
დაწყევლილ ბედის!
ამ თქვენს ტკივილებს ვერ დაიტევს სივრცე ქაღალდის,
ჩამავალი მზის ბინდში გალობს
აქ, შავი გედი!..
ვემშვიდობები ამ სიჩუმეს და გული მეწვის
და სიშორეებს შემაზრზენი
ღელვით ვედები!..
სივრცეს გაჟღენთილს მძიმე სევდით, – ტკივილით ვერწყმი,
თქვენთან ვალში ვარ
მთელი ჩემი შემოქმედებით!..
15.09.12
ლევილი

## წავიდა ის დრო!..

როცა ამ ქვეყნად არ ვიქნები, წყლულებს კვლავ ვიგრძნობ,
ახმაურდება ჩემი ძვლები
საფლავში მწვავედ!..
არ გამიხადოთ ო, ეს მიწა და ჭერი ვიწრო,
და არ დამიჭკნოთ ჩემი ბაღის
ფოთლები მწვანე!
მახსოვს მამული ბევრჯერ უღვთოდ გადაჯეგილი,
ხანაც ძლიერად ფრთებგაშლილი
მორევში ფერთა!..
დავლეწეთ, ერთობ, ბოროტების ყველა ჯებირი,
ბედის ვარსკვლავი, თუმცა უკვე,
სხვა ძალით ფეთქავს!..
მზის ნაკვალევზე უძლეველი მიქროდა იგი
და ელვრებოდა სიშორიდან
ნათელი ბროლის...
ის რუსთაველის ოქროკალმით იდგამდა გვირგვინს,
წავიდა ის დრო, გული ოხრავს:
„ვაჰ, დრონი, დრონი!“

30.11.2016
თბილისი

## ოცნების ფერები ქრება...

ჩემი ქვეყანა განსაცდელის წინაშე დგება,
ბოროტთა ხელით ვერგულად
                    იმსხვრევა ბჭენი!..
და იმ ოცნების ღვთაებრივი ფერები ქრება
და, ლამის არის, ჩამოირღვეს
ვარსკვლავთა ჭერიც!..
ო, აქ რა უნდა მონღოლების ბოლო ნაბუშარს,
მუხანათურად შემოგვეჭრა
                    მამულში იგი...
რუხი ღრუბლების იალქანი, ეს ვინ აუშვა?
რომ ეცილება დავით მეფეს
სამეფო გვირგვინს!
რას უცდით ხალხო, კვლავ დიდგორის წინაშე ვდგავართ,
არაფერს გვშველის ახლა უკვე –
                    ვაი და ვიში!..
ნახეთ, რა უცბად გავცდით, უკვე, სიკეთის სამანს,
ჩემი ქვეყანა კვლავ ცახცახებს
ველურთა შიშით!..

25.10.12
თბილისი

## ხსოვნის სანთელი

გულისთქმა მინდა ლექსებს გავანდო,
ის დრო გაფრინდა, როგორც ფრინველი!..
ხსოვნის სანთლები მინდა ავანთო,
მივდივარ, მაგრამ
არვინ მიმელის!
დაცარიელდა ჩემთვის სოფელი,
დავდივარ მარტო და გული მეწვის!
გავცქერი შუკებს ფოთლებმოფენილს,
და მწუხარებას
ბოლომდე ვერწყმი!..

14.10.16
ბანძა

## ᲝᲙᲔᲐᲜᲔ ᲡᲔᲕᲓᲘᲡ...

ჩემი ყრმობის მეგობარი ბოლო, –
          უკანასკნელ გზაზე გავაცილე!
მე შემომრჩა სევდა უბოლოო, –
და სიცოცხლე მბჟუტავი
და მცირე!..
შეღამების ბინდში წყლის პირს გავყევ,
          ციმციმებდნენ ფანტელები მკრთალი...
აქ, ალვის ხე ტანს სევდიანს არხევს,
იღვრებოდა მინანქარი
მთვარის!
მე იმ დღეებს ვერვინ დამავიწყებს,
          დაიკრიფა ჩემი სულის რთველი!
კვლავ ბავშვობის ჟრიამული მიწვევს,
მოგონებით
თვალები მაქვს სველი.
და ტკივილით გული დამებზარა,
          ვერ ვიწამე განაჩენი ბედის!
კვლავ დარეკა წუთისოფლის ზარმა
და მარხევდა
ოკეანე სევდის!..

20.12.16
ბანძა

## დრომ თან წაიღო...

როცა სოფელში მოვდივარ, სასაფლაოსკენ მივიწევ,
მეგობრობა მაქვს მოტივად,
                    რასაც ვერ გადავივიწყებ!..
სოფლის მინდორ-ველს აჩნია ბავშვობის ნაფეხურები,
გულზე, ვით დანა გამჩრია
სევდა-ვარამი ულევი!..
ცოცხალთა შორის არცერთი, ო, უკვე, აღარ მეგულვით,
კაცი, რამდენჯერ ავცრემლდი,
                    რომ კვნესის „ნანა“ მეგრული!..
დრომ თან წაიღო რიალით, ის ხანა დაუბერები,
მზე გაზაფხულის გახუნდა,
ფრთებს კეცავს უკვე ნიავი!..
შორს, გაჰყვა დღეებს მიმავალთ – ის ჭაბუკური ყიჟინი,
ტკივილო, თავს ნუ იმალავ,
                    ბორცვზე ჩიტების ჟივჟივით...
ქვითინებს დედა ადგილის და სევდას ბოლო არ უჩანს,
და იცრემლება წყლისპირას
ჩვენი ბავშვობის ალუჩა!..

18.12.2016
ბანძა

## მახსოვს!

მახსოვს, ზღვის პირას, მაშინ, შენ თეთრი კაბით მოხველ,
იყავ ნატიფი ბავშვი და მეც, –
ერთგული მოყმე!..
ო, იმ დღეების ღელვა დრომ მიანარცხა ნაპირს
და სამუდამოდ გაქრა,
ო, ის გმირები ზღაპრის!..
ახლა, უშენოდ დავალ, ბედის დაცინვას ვითმენ!
და მძიმე სევდა დამაქვს,
მივენდე ლექსს და რითმებს!..

16.04.11
მოსკოვი

## დღეები სიყრმის გამექცა...

აბაშის პირას, იმ თეთრ ხიდთან ძალიან ახლოს,
ვხვდებოდით ერთურთს, საყვარელო,
შუქზე დაისის...
ო, როგორ მინდა ის ადგილი, რომ ერთხელ ვნახო,
ცა დაგვცქეროდა
უჩვეულო სიდარბაისლით!..
დღეები სიყრმის გამიფრინდა, გამექცა, საით?
ვთვრებოდი შენი ელიფსური
თვალების ეშხით!..
ჩვენ აქ ვხვდებოდით აღტაცებით ორივე დაისს
და გვიან ღამით მთვარის სხივებს
მასმევდი პეშვით!..
საით წავიდნენ ის დღეები, ასე ნეტარი,
ახლა მარტო ვარ, იმუხტება
გული ტკივილით!..
უნაგირიდან ჩამომაგდო ჟამმა მხედარი
და სამრეკლოდან მესმის მხოლოდ
ზარის კივილი!..
დავდივარ ახლა მარტოსული, აქ, ვერის ბაღში,
იმ დროს ვიხსენებ და ტკივილი
იწყებს შეტევას!..
და ჩემს სხეულში მწუხარება შემოდის მარშით,
რა შემრჩა? – მხოლოდ
სევდიანი შემოქმედება!..

10.02.17

თბილისი

## უკვე, შეღამება მოდის...

დავცქერ საფლავის ლოდს ოხვრით, მიტევს სატკივარი დიდი,
და კაცს წუთისოფლით მოღლილს,
მიჭირს გავიარო ხიდი!
მე შენ ვერ გიწოდებ ყოფილს, და მაქვს საწუთროსთან დავა,
უკვე ცოტა რამე მყოფნის,
სული დაბოღმილი დამაქვს!..
და გულს ტკივილები მიღრღნის, უკვე შეღამება მოდის!..
წლები მახსენდება სიყრმის,
ქარმა გამიძარცვა ტოტი!
ისევ მწუხარება მიტევს, დავცქერ საფლავის ლოდს რიდით,
დრო კი, ვით ავიამზიდი,
სივრცეს მიარღვევს და მიდის!..

10.02.2017
თბილისი

## მექახის ისევ

ვიხსენებ ზღვისპირს გაზაფხულის ნაზი სურნელით
და თეთრ ჯებირებს მოცისფერო
ტალღების ჩქამით...
რა შემრჩა? სევდა უჩვეულო, განუკურნელი
და ვარსკვლავებით მოქსოვილი
ხავერდი ღამის!...
შენი ღიმილი სანუკვარი მეძახის ისევ,
გარდასულ დღეებს
სიყვარულით მივაყურადებ!..
დღეს ჩემს მინდორზე შემოდგომის ირხევა ნისლი
და საიდუმლო იმ დღეების
მწვდება გულამდე!..
ვიცი, ის ჟამი არასოდეს განმეორდება,
სულის ვექტორი თეთრი ფრთებით
ისწრაფვის ცისკენ...
დღეებს სანატრელს მწუხარებით უკვე ვშორდები,
და უჩვეულო აღტაცებით,
მიველტვი ცისფერს...

09.02.17

თბილისი

# ᲛᲘᲙᲚᲔᲑᲡ ᲙᲘᲕᲘᲚᲘ ᲖᲐᲠᲔᲑᲘᲡ!

თოვლი ფარფატით ჩამოდის და ჟამს ბავშვობის მახსენებს,
იღება კარი სამოთხის და
ფიქრი აღარ მასვენებს!..
დავდივარ კაცი ეული, ირხევა ფიფქი რამდენი,
მიკლებს სიბერე წყეული
და იწვის სულის სანთელი!..
რვა ათეულ წელს გავცილდი, დამღალა ჟამთან შეტევამ,
მიცქერს ირიბად მაცილი და
კანში ვეღარ ეტევა.
ფრთები დაკეცა ოცნებამ, თოვლი ნისლივით მეხვევა,
ჭრილობა ვერ შემიხორცდა
სული ტკივილით მევსება...
ის დრო გაცურდა სიამის, შემომესია ჭაღარა,
მიდის საწუთრო რიალით,
ფიქრებმა ერთობ დამღალა!
გულს ღელვილს ვეღარ ვამშვიდებ, წავიდა ის დრო ზმანების,
და სანამ ჟამი დამშლიდეს,
მიკლებს კივილი ზარების!..

04.02.2017
თბილისი

## სიზმარი

დავითი იყო კოშკში თავის მხლებთან ერთად,
ჩანდა, ის მხსნელად მამულის, რომ
გამოგზავნა ღმერთმა!
და მის წინ შორიახლოს მუხის ხე იდგა ტყეში,
და გასცქეროდა სივრცეს
მეფე მშვილდ-ისრით ხელში.
ბუმბერაზ მუხის მხრებზე ორბი ფრთებს ძლიერს შლიდა
და ყოველ კუთხე-კუნჭულს
ზვერავდა გააფთრებით...
საცრისოდენა თვალებით იმზირებოდა მშვიდად,
მის ყოველ შემოხედვაზე,
შიშით იძვროდნენ მთებიც!..
დავითმა მშვილდი მოზიდა და ქერუბიმისფრთიანს,
მიმართულება მისცა, მიზანში
სტყორცნა ტიალს.
და ნაფოტებად აქცია, ვისმენდი სისხლის თქრიალს,
ვერვინ ჩასწვდება ბოლომდის
საწუთროს ორომტრიალს!..
ამ სიზმარს რა დამავიწყებს, იდგა გუგუნი ხალხის
და აღტაცებით მუხამ, ისევ,
გაშალა მხრები...
გაქრა ის ღამე პირქუში და აშრიალდა ბაღი
და მიარღვევდა სივრცეს
კვლავ ხმები განახლების!..
ბუმბული დიდხანს სცვიოდა, სისხლის ისროდა შხეფებს,

დავით გაზუნია

გამარჯვებული კოშკში, გულმშვიდად
იდგა მეფე!
და გასცქეროდა სივრცეს ტანძაძებშემოხეულს
და მიათრევდა მდინარე
ორბის დაგლეჯილ სხეულს...

21.11.18
თბილისი

## ამაოების ჩრდილი

დაუფლებია ხავსი და ბალახები ხშირი,
აქ, ხეტიალობს უხმოდ
ამაოების ჩრდილი!..
გული მევსება ცრემლით, დგება წამების ჟამი,
მიიზლაზნება ცაზე
ღრუბლის ნაფლეთი შავი...
ოდნავ ირხევა ქარში, ო, ეს ბებერი ძელქვა
და მზეს ამაოდ უშვერს
დროით დახეთქილ მერქანს...
ვდგავარ ამ ლოდებს შორის... ხმა შორეული მესმის,
ვდგავარ, აქ შენთან ახლოს და
გული მწარედ კვნესის!..
რტოზე კანკალებს შიშით მზის მეწამული სხივი
და სულს საოცრად მიმღვრევს
ეს მდუმარება ცივი,
ო, ეს ყვავილი ლურჯი თვალებს ცრემლიანს ახელს...
ვდგავარ, ვჩურჩულებ ისევ, –
მე შენს საყვარელ სახელს!..
დაუფლებია ხავსი და ბალახები ხშირი,
აქ, ხეტიალობს უხმოდ
ამაოების ჩრდილი!..

30.09.89
ბანძა

## ვინ გაგიმეტა?!

ჟამი გაცმევს ტანზე ნისლის პერანგს,
დროს რა ვუყო, ასე ურჩს და ვერაგს!
რად დაცვივდი გზაზე მარცვალ-მარცვალ,
ვიცრემლები, ვერ
ვიშორებ განცდას!
ვხედავ შენი სიდიადე გაქრა,
დავდივარ და, მე არ ვიცი რა ვქნა!
ასე ულვთოდ, ეს ვინ გაგიმეტა?
შენ ქცეულო
სილამაზის მეტრად!
მზე გირხევდა თავზე დიადემას
და იქეცი რუსთაველის თემად!
გიცქერ ახლა ფრთებდალეწილს ბეჩავს,
მაგ დიდების
არაფერი შეგრჩა!
გორგასლის და დავითის დროს ვხედავ,
როცა ჰგავდი სწორუპოვარ მხედარს!
ჰორიზონტზე იმედები არ ჩანს,
ნუთუ, შენგან
არაფერი დარჩა!
ვერ იშორებ მაგ სატანურ ძალებს,
დავდივარ და ვიცრემლები მწარედ!..
გაქრა ციდან შუქი მოელვარე,
ნუთუ სისხლი შენ,
ამაოდ, ღვარე?

## საით მიცურავ, მზეო?!

ჩანგის უკვე ვერ ვაჟღერებ სიმებს,
მიმაქვს ტვირთი უსაშველოდ მძიმე!
გავცქერ უხმოდ წუთისოფლის რიალს,
და დრო მესვრის
ქერუბიმისფრთიანს!

12.02.17
თბილისი

## ზღვა ირხეოდა...

სულაც არ ვგრძნობდით წვიმას მაისის,
და ტირიფებთან ზღვის პირად, ახლოს, –
მიმოვდიოდით სულ სხვა ხალისით,
ალვების მწკრივი
მისდევდა მაღლობს...
წვიმის ღრუბლებში ცურავდა მთვარე,
ვეღარ არღვევდა სიურჩეს სივრცის,
მე გიკოცნიდი მაგ ლამაზ თვალებს,
ვეფერებოდი მათ ზღაპრულ ციმციმს...
ზღვა ირხეოდა საოცრად მშვიდი,
მერე, გავყევით რუსთველის გამზირს...
ის ღამე, ისევ დაბრუნდეს მინდა,
შეირხეს, როგორც
მტევნები ვაზის!..
ის დრო, არასდროს არ დაბრუნდება,
მაგრამ ჩემს ლექსში იცოცხლებს ვიცი,
თუმც ყველაფერი მიდის, ხუნდება,
დარჩება ღელვა
შორეულ რიცხვის!

14.05.16
თბილისი

# რა ლამაზად ამოდის!..

გაზაფხული მოიწევს და მე რწმენით ვივსები,
სიხარულის ცრემლები თვალებს
ისევ მისველებს!..
გაზაფხული მოიწევს და შლის ფერად იალქნებს,
გაზაფხული მოიწევს –
ფერთა მეწყერს მოარხევს...
შორს, ცის თაღზე ციმციმით ინთებიან მთიები,
ენძელები გალობენ
ფერთა მელოდიებით!..
მაგონდება, ის წლები და ჩიტები სამოთხის,
მზე კი, სხივთა მტევნებით
რა ლამაზად ამოდის!..

10.03.17
თბილისი

## ისევ მიხმობ!

ჟამის ურჩი ქარიშხალი უკვე მოვიშორე,
შენ, ძვირფასო, ახლოს არ ხარ,
მეგულები შორეთს!
ყრმობის წლები მახსენდება და ზღვის მელოდია,
მიკვირს, როგორ შევეჩვიე
წუთისოფლის რიალს!..
რა შორს დარჩა ჩვენი ნავი, ო, იმ ხიდთან ახლოს,
მე ის ლურჯი სანაპირო,
ისევ, მინდა ვნახო!
კვლავ აქედან ვაყურადებ შროშანების ღიმილს
და იმ დღეთა მოგონება
სულში ისევ ღვივის!..
მე აქ დავალ ვერის ბაღში ხშირად სევდის ტბორით
და მავსებენ მოგონებით
ვარსკვლავები ბროლის...
გული შემრჩა ჭაბუკური, ღელვით დაუმცხრალი,
ისევ, მიხმობ იმ ნავისკენ,
მაგ ღიმილით, ლალი!

12.05.16
თბილისი

## აქ წვანან...

ზამთარი ფრთებს შლის... იცვლება ჰავა,
ქუჩაში ხალხი ხმაურით მიდის..
მე ცხოვრებასთან, ისევ მაქვს დავა
და სატკივარი
მაწუხებს დიდი!..
ვიყავი რაღაც, ახლა კი – რა ვარ?
მიდის სოფელი მარად მედინი!..
ყოფნა-არყოფნის საზღვარზე ვდგავარ,
არყოფნისაკენ
გადფერდილი...
ფიქრით წარსულში გადავიჭრები,
ჩანს საფლავები სიმდაწყვეტილი!..
აქ, წვანან ჩემი ყრმობის ბიჭები –
თეთრი ლოდების –
შავი წერტილით.

12.12.2005
ბანძა

* * *

ვშორდები მიწას ღმერთის გაჩენილს
და ბებერ ძელქვის ხეებთან ვდგავარ!
მეჩურჩულება ციდან გამჩენი
და საწუთროსთან
განვაგრძობ დავას!..
გაფრენილ დღეებს ო, ისევ ვნატრობ
და თვალებიდან ცრემლები დამდის,
აქ, ლოდებს შორის დავდივარ მარტო,
უკვე ქცეული –
მორევად დარდის!..

21.12.2004
ბანძა

## მოდის ზამთარი

ისევ დაჰქროლა ბორიომ, გაძარცვა ხეთა რტოები
და ბაღში მარტო დავდივარ
და სივრცეს ვემარტოები!..
მოდის ზამთარი თავნება, ღრუბლის ქარავანს მოარხევს,
და შემოდგომის ვარდები
ვეძებ, და ველარ მოვნახე!..
ფერნამკრთალები დღეები ემშვიდობება მინდორ-ველს,
ვდგავარ დაღლილი ფიქრებით
და ნუგეშს აღარ მიტოვებს!
და იალქნებით ზამთარი დაფარავს სივრცის ნაპირებს,
არავინ იცის, ძმობილო,
წასვლას თუ საით ვაპირებ?!

24.11.16
თბილისი

## ჩამოდის თოვლი...

დღეს შენს საფლავზე ჩამოდის თოვლი
          და ვდგავარ სევდით ნაფერმკრთალები!
დღეს შენს საფლავზე ჩამოდის თოვლი
და გავცქერ წარსულს
სველი თვალებით...
სად ათასგვარი მოჩანს წვრილმანი,
          უშენოდ ყოფნა მეუცხოვება!
სად გაქრა ო, ის ჟამი ბრწყინვალე
და დარჩა მრუმე
ჩემი ცხოვრება!..
მკაცრად დუმს სივრცე, – ვის ვესაუბრო?
          და გულის ღელვას ამაოდ ვხარჯავ
და თოვლის გარდა, – არავის ვხედავ,
და თოვლის გარდა
არავინ არ ჩანს!

12.12.2002
ბანძა

## მძიმედ დასრულდა...

**მაიკო ორბელიანს**

შენ უკუღმართი ჟამის მსხვერპლი, გახდი, მაიკო!
და სილამაზის დედოფალმა
იგრძენ ობლობა!
იმ დღეთა მძიმე მოგონებამ სული აიკლო
და გედის ფრთები
შეგალეწა დაუნდობლობამ!
მსხვერპლად შეგწირეს არაკაცის სიამოვნებას,
შენი წამება წუთისოფლად
მძიმედ დასრულდა!..
ეს ტრაგედია იყო შენი ქვეყნის მონობა
და იცრემლება სიშორეში
მზე გარდასული!..
ვერ შესძლო ჟამმა შენი სულის ოდნავ დაცხრომა,
შერჩი ასული საუკუნეს
მხოლოდ მითებით!..
შეგიმსუბუქა მწარე ტანჯვა ტატოს კაცობამ,
მაგრამ ვერ შესძლო
მისი, ერთობ, გაბედითება!

16.03.17

თბილისი

## მეგობრის ხსოვნას!

**ა. რურუას**

ცოცხალთა შორის შენ უკვე არ ხარ,
მე ტელეფონით მაცნობეს გუშინ,
როგორ მომინდა მე შენი ნახვა
და რა ტკივილი
მომერღვა გულში!..
მე არ მშორდება შენი ხატება,
სული მევსება უზომო დარდით!
შენი კაცობის შეწყდა ნათება
და თვალებიდან
ცრემლები დამდის!..
გავცქერი მინდორს ფოთლებდაფენილს,
ერთად რამდენი ვიხეტიალეთ...
ო, რა ყალბი და ცრუა სოფელი,
რომ დასაბამით, –
ასე ტრიალებს...

14.10.20007
ბანძა

## წუთისოფელი

დრო ჭაღარა კაცს შესაფერის სამოსელს გაცმევს,
ო, ჟამით დაღლილს და ნაღვლიანს,
როგორც შეჰფერის!
წუთისოფელი, ვიცი, მალე ნაფოტად მაქცევს,
როგორც აქცია ჩემს ჭიშკართან
ვერხვი ბებერი!..
სიცოცხლე  დროის ფუნქციაა დასაბამიდან,
წუთისოფელი მიიწევს და
ძალ-ღონეს გაცლის!..
ყრმობის წლებიდან, ნახე, უკვე რა დრო გავიდა
და ის მოქმედებს, მეტად ურჩი,
კანონით მკაცრით
დაგვფარავს მიწით, ყოფილს გაქცევს არარაობად,
დინოზავრივით მუხლები
აქვს დაუნდობელი!
ფრთებს გაშლის მრუმეს და სიცოცხლეს გიქცევს ჭაობად,
ო, ასეთია ურჩი
ბრუნვა წუთისოფლის!

23.06.17
თბილისი

## დედამიწას

დასაბამიდან სალოცავი დედა ხარ ჩვენი,
ქართველმა ერმა ეს სახელი
შეგარქვა მიტომ!
ემორჩილები შენ კანონებს ერთიან ველის
და ჩვენგან მხოლოდ სიყვარულს
და სიმშვიდეს ითხოვ!
შენ მზის სისტემის საოცარი წევრი ხარ ერთი,
ამ სამყაროში მსგავსი რამე,
არ გვეგულება!
მოდის ზამთარი და გვაოცებს ფიფქებით თეთრით,
აპრილის მოსვლით შენ ერთბაშად
იცვლი ბუნებას!..
იადონების ხმებით გვათრობ და რწმენით გვავსებ,
და ყველა სახის ნაყოფს
გვაწვდი დაუზარებლად!
და ვარსკვლავები ჩანჩქერებად გვეღვრება თავზე,
რომ სიცოცხლის და
სიყვარულის რეკონ ზარებმა!..

24.06.17
თბილისი

## ხომ არ გახსენებს რამეს?!

რატომ არიდებ თვალებს სევდადაფენილ მაღლობს?
ხომ არ გახსენებს რამეს, –
ეს მინდორი და ბაღი?!
რატომ არიდებ თვალებს ამ ორღობეს და ახოს?
ხომ არ გახსენებს რამეს,
როცა ჩაუვლი ახლოს?!
რატომ არიდებ თვალებს ჩრდილებს
ზღვის პირად ფენილს?
ხომ არ გახსენებს რამეს,
ამ შეღამების ფერი?
ისევ ქანაობს აგერ ო, ის ცისფერი ხიდი,
ხომ არ გახსენებს რამეს
ნავი ზღვაზე რომ მიდის?
რად აადევნე ოხვრა ო, ამ ხეივანს მთვარის,
ხომ არ გახსენებს რამეს
ეს შემოდგომის ქარი?!
რატომ დახედე ღელვით ფოთლებს მიწაზე ცვენილს,
მზეს რომ შეხედე ჩამავალს,
რად მოგეძალა ცრემლი?!

07.09.78
სოხუმი

## რა დაამშვიდებს?!

რა დაამშვიდებს ამ გულს, მუდამ ტკივილის ზვარაკს,
როცა ზარების რეკვა
ართმევს სიცოცხლის მარაგს!
რა დაამშვიდებს ამ გულს, გულს სიკეთისთვის მოსულს,
რა დაამშვიდებს ამ გულს
მუდამ ღელვებით მოცულს!..
რა დაამშვიდებს ამ გულს, მუდამ იარა გახსნილს,
რა დაამშვიდებს, როცა
ამდენი შხამი ასვით!
ო, ამ წამებას ულმობელს, ნეტავ, რა უნდა ერქვას?
რა დაამშვიდებს, – სანამდის
აღარ იქცევა ფერფლად!..

20.08.2015
თბილისი

* * *

მე შენი იდუმალების, დიდი ხანია ტყვე ვარ
და მაგ ფერების სიუხვით ო, რა
საოცრად ვღელავ!
შენ საიდუმლოს ინახავ დასაბამიდან რამდენს
და გაზაფხულზე შრიალით
ადიხარ მეცხრე ცამდე!..
სწვდება სივრცეებს შორეულს, ტყეო, შენი ხმის ექო,
ფერიცვალების ზარებმა
რამდენიც უნდა რეკონ,
ვერ შეგიცვლიან ვერასდროს ხალისს და სითამამეს,
აბრეშუმივით ხასხასა –
ცას და მთვარიან ღამეს!

11.10.11
ბანძა

## მიდიან დღენი

ვერ ურიგდება სული – ფერმკრთალ ხეივნებს ზამთრის,
აქ, იანვარი ხშირად არღვევს
თავის პირობას!
მიიგრაგნება მტკვარი, სადღაც, კვეთებით, ზავთით
და ის ეძახის
ლაჟვარდების უნაპირობას!..
მიდიან დღენი უჩვეულო სიურჩით ბედის
და სიშორიდან გაზაფხულის
ზარები რეკავს!..
მზე კი, ღრუბლებში წევს უფუნჯოდ და უიმედოდ
და ფერდობებზე მიირხევა
ნისლები ლეგა...

10.01.2014
ვერა

## სად მდუმარება მეფობს...

ვუძღვნი ჩემი ყრმობის
ბიჭების მარადიულ ხსოვნას!

აქ მდუმარება დაურღვევი მეფობს ტიალი,
ყრმობის ბიჭები ერთმანეთის
გვერდი-გვერდ წვანან!
მიდის საწუთრო უჩვეულო ორომტრიალით
და გაზაფხულის ნიავქარი
უმღერის ნანას!..
ადგილის დედა მგლოვიარე ძაძებში დადის
და საფლავებზე გვიან ღამით
კელაპტრებს ანთებს!..
ლაჟვარდებიდან ზეციური გადმოდის მადლი
და ხსოვნის ზარებს
არაერთხელ დარეკავს მნათე!..
მე გთხოვთ, დუმილი დაარღვიოთ, წამოდგეთ ზეზე,
ერთმანეთს, ისევ სიყვარულით
გადავდოთ ხელი!
ბებერ ძელქვაზე განუწყვეტლივ მზეწვია წივის,
არ დამანახოთ სევდიანი
თვალები სველი!
თქვენი კაცობის სილამაზე შერჩება სოფელს,
დიდხანს იმღერებს მშობლიური
ეზო და კარი!..
და გაზაფხული არაერთხელ ყვავილებს მოფენს,
და დაადგება სიყვარულით
ნათელი მთვარის!..

როცა ეზოებს მოადგება კვლავ რთვლობის ჟამი,
თქვენი აჩრდილნი უჩვეულო
ყიჟინით მოვლენ!..
რომ დაავიწყონ სოფელს გლოვის დღეები შავი
და შეარხევენ საწნახლებში
ღვინის თეთრ მორევს!..
მშვიდობით, ძმებო, განშორების მეც დღეებს ვითვლი,
იმ ქვეყანაში თუ რა ხდება
არავინ უწყის!..
მე თქვენი დიდი სიყვარულით ეს გული მითრთის,
მიდიან, ისევ ეს დღეები
კენტი და ლუწი!..

28.04.17
თბილისი

## კრწანისის ველზე

ჩამოქვეითდი მეფე ცხენიდან,
ვით დამარცხებულ სარდალს შეჰფერის!
შენ გადიოდი უკვე სცენიდან,
მიაბიჯებდი
ლომი ბებერი!..
გადაიხადე ომი მრავალი
და ისტორია ითვლიდა შედეგს!
და შუქს აფენდა მზე ჩამავალი
კრწანისის ველზე
დაცემულ მხედრებს!..
და მიდიოდი მეფე რჩეული,
მიგქონდა ღელვა დაუფარავი!..
შენ მიდიოდი გზადაბნეული,
მაგრამ საითკენ? –
უწყის არავინ!

19.11.17
თბილისი

## მე ხსოვნა შემრჩა ნუგეშად

აგვისტო უკვე ილევა და შემოდგომა მოდის,
ბაღში ფერები ირევა, გულო,
რად დამიღონდი?!
დრო მირხევს სულის კლავიშებს და, ეს ვიგრძენი როდის,
ისევ ქარებმა აიშვეს,
ასე ყოფილა ოდით!
მე ხსოვნა შემრჩა ნუგეშად და იმ გოგონას ლანდი,
ჟამი ირხევა უხეშად, მეტად
მღვრიე და ზანტი.
მე, ისევ ბაღში დავდივარ, ვჭვრეტ გახუნებულ ფერებს,
გული, რატომღაც, დუმდება და
ვკარგავ აღმაფრენას!
მშვიდობით გაზაფხულებო, მაგ ფერთა სიხასხასით,
სიცოცხლეს, ასე ფერშეცვლილს,
უკვე არა აქვს აზრი!

30.08.17
თბილისი

## ტყე

ის იდგა შენაშფოთები ქარის და წვიმის შეტევით,
სივრცე ხმაურობს ნოემბრის,
ისმის ჩიტების წივილი!
თეთრი ღრუბლების ლაშქარი შორს, სადღაც, მიეხეტება,
აწყდება ქარი მრისხანე
კლდეების წყებას კივილით!..
გული ვერ უძლებს ამ ღელვას, ამ ხეებს შიშვლად დარჩენილთ,
დგანან მუხები ამაყად – ზამთრის
მოვარდნას ნაჩვევნი!
ტყეებს სიმწვანე გაუქრათ და დგანან ფერნამკრთალები
და თუთის ხეებს ცრემლებით
დაბერილი აქვთ თვალები!
მიწა ცახცახებს წინაშე ო, ამ შემზარავ დილემის,
მაღალ ზეგანზე რქებტოტა
დგას და მდუმარებს ირემი!..

25.11.17
ბანძა

## ვერაფერს გავხდით!

მოვიდა იგი, ვით გიჟს შეჰფერის,
 გარს შემოერტყა ვეშაპი მთა-ბარს!
მძიმედ კვნესოდნენ მთები ბებერი,
შლიდა სიკვდილი
სისხლიან ფაფარს!..
არ ჰქონდა ბოლო მათ გულზვაობას,
 ბრძოლით, შეტევით, ვერაფერს გავხდით!
მიწა აქციეს სისხლის ჭაობად
და საუკუნოდ
დაიდგეს ტახტი!
ეს ხოცვა-ჟლეტა დიდხანს არ დაცხრა,
 ბრუნავდა რისხვით წუთისოფელი!
შემოგვრჩა, მხოლოდ პატარა ფაცხა
და ჟამი რისხვით
დაუნდობელი!

12.02.17
თბილისი

## გამთარი მოდის!

მზემ მხურვალება დაჰკარგა, მთვარე ამოდის თითბრის,
ცა გაზაფხულის ნაქარგი,
ერთბაშად გაქრა, თითქმის!
შლიან ქარები იალქნებს, მოდის ნისლების წყება...
და სილამაზე ზღაპრული
მიეცა დავიწყებას!
სცვივა ფოთლები ჭრელი და ერწყმის მიწის წიაღს,
სივრცე ქარებმა გაცვითეს,
ჩიტი ვერ ამბობს – „ტიას““
სიცოცხლემ ფრთები დაკეცა, გახდა უსაზღვროდ ცივი
და ყველაფერი მსხვერპლია,
უკვე ქარის და წვიმის!

17.11.16
თბილისი

# შეჯიბრი

დღეს მე და ჩემი მეგობარი ვისროდით ისრებს,
ორივე უკან ბრუნდებოდა
მიწაზე ისევ!
ჩვენს მისწრაფებას უჩვეულოს არ ჰქონდა ზღვარი,
მზე გაზაფხულის მოდიოდა
სხივების ღვარით...
ერთი კი ადრე ბრუნდებოდა, მეორე გვიან,
ჩვენს შემართებას ყმაწვილკაცურს
შეჯიბრი ქვია!
გამარჯვებული ამ ჭიდილში არავინ არ ჩანს!
ვინ ვის ვჯობნიდით
საიდუმლოდ ის დღემდე დარჩა!

19.09.05
ბანძა

## Ო, ᲠᲐ ᲨᲝᲠᲡ ᲓᲐᲠᲩᲐ!..

ამ ჩემს მინდორზე წუხელ მთვარემ დაიბანაკა
და გამიშალა წყლის ნაპირას
                    ოქროს კარავი...
მე მხოლოდ შენი სიყვარული მყოფნის მარაგად
და გულმა აღარ მიიკარა
ახლოს არავინ!..
მე გაზაფხულის ჩიტი, ისევ მომესალამა,
ო, რა შორს დარჩა იმ დღეების
                    ლურჯი ზღაპარი!..
დრომ, რა უდროოდ გამომტაცა ყრმობის ალამი
და ვხეტიალობ
სიშორეში მიუსაფარი!..

22.10.11

მოსკოვი

## ჩიტი

ცვივა ფოთლები უდროოდ და არა უკვე დროზე,
ჩიტუნა კვნესის საბრალო,
მჯდომი ალუბლის რტოზე.
კრთის ნისლი შემოდგომური და ქარი ალვებს არხევს,
შეხედე დედა-ბუნება
თუ როგორ იცვლის სახეს!..
უკვე ზამთარი მოდგა და ახუნებს სივრცის ფერებს,
რამდენიც გინდა თოვაში –
იხეტიალე მერე!..

12.09.16
თბილისი

## მაისის წვიმა

დამასველე, შენ მაისის წვიმავ,
ჭაბუკობის, რომ მიბრუნებ იმედს!
გული მტკივა, მაგრამ რწმენაც მიმაქვს,
რომ გავფანტო
ეს დღეები მძიმე!..
დამიბრუნე სიყვარულის წლები,
კვლავ ის ცირა მომანათებს თვალებს!
რომ არ მივცე ადრე დავიწყებას,
რომ შუქს გვფენდა
გაზაფხულის მთვარე!..
რად მოზღვავდა – ეს დღეები მკრთალი,
დროის მზერას გაექცევა ვერვინ!
ჩვენი ტრფობის საიდუმლოს, მერი,
მთვარე გრძნობით
უანდერძებს მერმის!..

07.07.17
Yთბილისი

## ბებერი ლომი

ის ჩამოსცილდა სხვა ლომებს, იგრძნო სიბერე როცა,
დატოვა თავის სალომე,
არ ამჯობინა მოცდა!
მისდევდა უკან სიკვდილი, გრძნობდა საოცრად ამას,
წავიდა ის ფერმიხდილი,
გასცილდა ხედვის სამანს...
ქროდა მრისხანე არავი... არხევდა მთვარე ფაფარს,
დატოვა ლომმა კარავი და
თვალებს მიეფარა...
არ უთხოვია ნუგეში, არც მისცემია კრთომას,
ასე დამალა ჯუნგლებში
თავის სამარე ლომმა!..

09.02.2008
მოსკოვი

## ფოთლებს

ჩემსავით, თქვენაც ფოთლებო, ველარ აიცდენთ დაჭკნობას,
რომ ვდგავარ შენაშფოთები,
                                        არ ჩამითვალოთ ლაჩრობად!
სევდით მოცულნი როდი ხართ, ეტრფით სიცოცხლეს წამიერს,
თქვენ სულ ცოტა ხნით მოდიხარ,
და გალობთ მრავალჟამიერს!..

10.05.17
თბილისი

## ჩემი მერცხლები

ბერიკაცს ღელვა მერევა, დრო მიქრობს სულის ნათურებს,
მე უკვე ცრემლის ღელე ვარ და
ჩემში სევდა ფათურობს!..
ბუნებამ ფერი იცვალა, თქვენ ყოფნა აქ არ ინდომეთ,
ზაფხული გარდაიცვალა
და უცებ დაგვემშვიდობეთ!..
თქვენს დაბრუნებას, არ ვიცი, რამდენი უნდა ველოდო?
სანამ არ შეიმოსება სიმწვანით
მთები მელოტი!
დაბრუნდებით და, უთუოდ, სულ სხვა სიხარულს მომიტანთ,
ჩემი ოცნების მერცხლებო,
თქვენი ჭიკჭიკი მომინდა!..

15.08.15
თბილისი

## არაფერს ნიშნავს

ეს დრო და სივრცე შენთვის უკვე არაფერს ნიშნავს,
მან, რა უეცრად, მეგობარო,
დაჰკარგა აზრი!
იმ დღეთა ხსოვნას ულამაზესს დაფარავს ქვიშა,
და სიყვარულის ჩვენს ატმის რტოს, –
ყორანი აზის!
ამ ცის და მიწის თრთოლვა ერთობ, გვავსებდა ვნებით,
და ხვალინდელ დღის
მოქათქათე იალქნებს ვშლიდით!
მათრობდა გრძნობით სურნელება, მაგ შენი თმების
და მიდიოდა ალტაცებით
დღეები მშვიდი...
ზღვა ირხეოდა გაზაფხულის ფერებით მთვრალი,
დრო არ ილღება, სიშორეში
დუმილით მიდის...
წუთისოფელმა გამოგვტაცა სინაზე მთვარის
და საფლავის ლოდს დავცქერ ღელვით,
ტკივილით დიდით!

17.09.16
თბილისი

# არ ვიცი, საით ვისწრაფვი

ჩემი ცა, ისევ ხუნდება არ ვიცი, საით ვისწრაფვი,
შორს წეროების გუნდები
მიქრიან მთელი სისწრაფით...
მივარღვევ ჟამის ქარტეხილს, კვლავ უნდა ცრემლი მადინოს
მესვრის ყინულის ნატეხებს,
რომ ჩემზე გადინადიროს!..
მე შიში არ მაქვს არასდროს მისი ღელვის და შეტევის,
მოვედი კაცი ამ ქვეყნად,
მედგარი სულისკვეთებით!..
სადღაც, შორს, მივექანები, მწვავს ულმობელი იარა,
ყველა რისხვამ და კვეთებამ
ჩემს თავზე გადაიარა!..

10.07.17

თბილისი

## ამ საუკუნის ბოლოს

ო, ენით აღარ ითქმის – რა ღვარმა ჩაიქროლა,
სისხლის ლანქერი ათასს
                    აცურებდა ხომალდს!..
ამდენ ჩადენილ ცოდვას დრო უკვე ვეღარ ზიდავს,
მხოლოდ გრიგალი ქროდა –
ხმელეთიდან თუ ზღვიდან...
იდგა ცრემლების ტბორი და ჟამი ჰგავდა აფთარს,
სივრცეს ახრჩობდა შმორი,
                    კაცი კაცის ხორცს ჭამდა!..
ოცდამეერთის კართან – რა ღვარმა ჩაიქროლა,
სისხლის ლანქერი ათასს
აცურებდა ხომალდს!..

30.09.94
ბათუმი

## ზამთარი მოემართება

ხეებს ბრძოლებით დაღლილთ, ცა დაჰგუგუნებს თუჯის,
კვლავ შლის იალქნებს ქარი,
                                        მოდის ზამთარი ურჩი!..
მთები ამაყად დგანან, ირგვლივ ნისლები წვება
და ის სილურჯე ზღაპრული,
ეძლევა დავიწყებას!..
მზის ჩაქრა უკვე ნათება, არ ჩანს გზები და შარა,
და ყველაფერი, ერთობ,
                                        უეცრად მოიშალა!
მუხა დგას მინდვრად ერთი, აღარ შემორჩა ტოტი,
სივრცე გაცივდა შიშით
და კლდე დუმს, როგორც ლოდი!
ცამ სატკივარი ზიდა, გულო, ნუ დამიღონდი!
ზამთარი მოემართება,
ის მოდის მთელი ფლოტით!..

12.11.16
თბილისი

## მზე ჩადის

მზე ჩადის და ვაყურადებ დაისს,
არხევს სივრცე მოწითალო ჩქერებს...
საყვარელო, შენ მიდიხარ, საით?
ან რომელ გზით
დაბრუნდები მერე?!
რეკავს ზარი და სიმშვიდეს მართმევს
და ირეკლავს კლდე მაღალი ექოს!..
პირში მომდგარს ვერ დავმალავ სათქმელს,
თუ გინდ ჟამმა
უჩვეულდ რეკოს!..
ო, საწუთროვ! რა ულმობლად მთელე
და რამდენჯერ დამაყარე წყლული!..
მაგრამ სოფლის მახარებდა რთველი
და მირხევდა
სიოს გაზაფხული!..
შენი თმებით დაბურული ვთრთოდი,
ო, ძვირფასო, ტირიფებთან ახლოს...
მერე კლდიდან გადმოქანდა ლოდი
და კივილით
ჩაუქროლა მაღლობს...
მზე ჩადის და ვეფერები დაისს!..
არხევს სივრცე მოწითალო ჩქერებს!..
საყვარელო, შენ მიდიხარ, საით?
ან რომელ გზით
დაბრუნდები მერე?!

# დედამიწა

ამაზე მეტი სილამაზე რა უნდა ნახო?
მისი შრიალი გიხალისებს
სულს და გონებას!
ნუ შეეხები, შეგიძლია მიხვიდე ახლოს
და ეს გეყოფა ბევრი
რამის მოსაგონებლად!..
გარდასულს, ვიცი, კვლავ ვერასდროს ვერ დავიბრუნებ,
დღემდე ჩემს ხსოვნას არ შორდება
შენი ხატება...
ეს დედამიწა დასაბამით ბრუნავს და ბრუნავს,
არავინ იცის თუ
საითკენ მიემართება!..

22.05.15
თბილისი

# მზეწვია

მერცხლები უკვე გაფრინდნენ, ბეღურებს შერჩათ მთა-ბარი,
გაქრა აპრილის სილაღე
და ვარდფურცლობის ზღაპარი,
აწი, ვის უნდა ვეფერო და სულში სევდა მატულობს,
გაქრა დღეები ლამაზი,
ნაზი და ანდამატური!
კვლავ ფერიების სასახლეს, როდისღა უნდა ვეწვიო,
რომ ვერხვის რტოზე აწივლდეს
ჩემი პატარა მზეწვია!

01.08.19
თბილისი

## ჩიტუნებს

რატომ დაგსდევდით, ჩიტუნებო, შურდულით, მშვილდით,
მახსენდება და მაწიოკებს
დინება დღეთა...
ბავშვობის წლები ჩემთვის უკვე არ იყო მშვიდი,
თუმცა, ამაზე გვიწყრებოდნენ
ბებოც და დედაც!
ჟღურტული თქვენი სილამაზით გვავსებდა მუდამ,
ეფინებოდა შუქი დილის
მინდორ-ველს თბილად...
ხან მოფრინავდით უჩვეულო ხალისით გუნდად,
ხან ილვიძებდა თქვენი ხმებით
მაისის დილა!..
გავიდნენ წლები, უკვე მივხვდი ჩემს დანაშაულს,
დავყარე, სადღაც, შურდულიც და
ისრების წყება...
და დიდხანს ვგრძნობდი უჩვეულო ტკივლებს ფარულს
და სიყვარული თქვენი უკვე,
მოვისხი ფრთებად!..

14.04.51
ბანძა

## ფერიცვალების ველი

თქვენ შემოდიხართ, და ჩვენ გავდივართ,
მოდის თაობა და ცვლის თაობას!..
მე გარდასულის მკრთალი ლანდი ვარ,
მინდა გავექცე
არარაობას!...
ვერ მოვიშორე ჟამის არტახი,
დრო მიდის, იცვლის ფერს და ხატებას!
და ერთიანად გამაპარტახა,
არ ვიცი, სულო,
რა მემართება!
შორს, ზღვის სიღრმეში მზე ჩადის მკრთალი,
უკვე დღის ჰქრება ბოლო ნათურა!
ისევ გავცქერი ბილიკებს მთვარის,
და ცისკენ სართულს,
მისდევს სართული!..

06.06.90
მოსკოვი

***

ეს დღეები ასე, ნეტავ, საით ილტვის?!
რტოზე ზის და წივის
ზამთრის თეთრი ჩიტი!..
მოდის თოვლი უხვად და ეღვრება მინდორს,
სული მუდამ შენზე
მოგონებას ითხოვს...
დეკემბერი გაქრა, იანვარიც მიდის,
თოვლმა გადაფარა
მინდორი და ხიდი!..
ჩემს წინ გაძარცული ხე ქანაობს შინდის,
რტოზე ზის და წივის
ზამთრის თეთრი ჩიტი...

15.01.93
ბანძა

## ბენრიკა!

შენ იყავ პატარა, ამაყი ქალაქი!
და მესერშმიტების გაგხადეს სამიზნედ!..
ნახშირად გიქციეს – ცაც, მიწაც, ბალახიც!..
რა დაუნდობელი
მოგადგა ამინდი!..
შენ მედგრად ებრძოლე მხეცების მოსევას,
უტევდი ბოლომდე, და აღარ დანებდი!..
დრო მოვა, ბაღებით კვლავ შეიმოსები,
და მოგეფერება
ცა იდუმალების.
აღდგები ფერფლიდან შენ, როგორც ფენიქსი,
მზე, ისევ აგიხელს მზერას და წამწამებს!..
დრო მოვა, ფრთებს ფერადს შენ, ისევ მოისხამ,
და სხეულს აზიდავ –
ესოდენ ნაწამებს!..

12.04.44
ბანძა

# ფერების ღვარი

აღფრთოვანებას ჩემსას ხელს არაფერი უშლის,
ცას ლაჟვარდოვანს დილის, წყება
მერცხლების სერავს,
მზეს ელოდება ატამი, მზეს ელოდება ნუში,
სხივების მოლოდინში
არხევენ რტოებს ფერადს...
მდინარის პირას მენავე ძველებურ ხმაზე მღერის
მერცხლებო, თქვენი ჭიკჭიკი ო,
რა სიამით გვავსებს!
სოფლის შუაგულში ანკარა მიედინება ღელე
და მინდორ-ველი იცინის
ვარდ-ყვავილებით სავსე!
მოგესალმებით, ბაღებო, მოგესალმებით, ტყეო,
ჩემს აღტაცებას ზღაპრულს უკვე
არ უჩანს ზღვარი!
მე ბავშვობიდან, აპრილო, შენი ალერსის ტყვე ვარ
და შენი ღელვით ვივსები,
შენი ფერების ღვარით!..

19.04.17
თბილისი

## ვეღარ ვშორდები ღამეს

ისევ ზღვის პირას დავდივარ, შენს გამოჩენას ველი,
მე ერთიანად დარდი ვარ და
ფიქრით დაუღლელი!..
მე ტირიფებთან ვჩერდები და წარსულს ვაყურადებ
და მესმის ისევ შორიდან,
რომ ზარებს რეკავს მნათე!..
ხსოვნას ვერაფრით ვიშორებ, დაქრის ნიავი მარდი,
ჩემთან სულ ახლოს ირხევა
შენი ლამაზი ლანდი!..
ხან ჩუმად მეჩურჩულება, მახსენებს რამდენ რამეს
და ტირიფებთან ახლოს
ვეღარ ვშორდები ღამეს!

21.05.72
სოხუმი

# ჩამოწვა ღამე

გუშინ მე, ისევ, მოვედი შენთან
და ცა არხევდა იდუმალ ხაზებს,
რტოზე კი, ვერხვის ფოთოლი შეკრთა
და ჩამოცურდა
საფლავის ქვაზე...
ხსოვნის მოზიდა რამდენი რამე,
და ფიქრით ვსდევდი ლანდებს უხილავს,
ურთხელისფერი ჩამოწვა ღამე
და მოგონება
მექცა წუხილად!

14.08.90
სოხუმი

## ისევ მოვიდა

ისევ მოვიდა წელი ახალი,
ასი ათასი მამლის ყივილით,
მზეო, ამინთე ჭერი მაღალი
და ამაშორე,
ეს სიმძიმილი!
ო, ის მოვიდა თოვლის ციმციმით,
თუმც, სისხლიანი მოჩანს ზეწარი!..
დღემდე ვერ იქნა, ვერ მოვიცილე,
ო, ეს ტკივილი
სულის მწეწავი...
შენთან შეხვედრა, ისევ, მომინდა,
რომ ჩემი სევდა ფიფქებს მივანდო,
ისევ ახალი წელი მოვიდა
და მღერის
თოვლი საგანთიადოს.

12.01.99
ბათუმი

# მაგონდება ის წლები

დათოვლილი მინდვრები სულს სითეთრით მივსებენ,
მაგონდება ის წლები,
თვალს ედება სისველე!..
მახსოვს, შენი თვალები ფერთა ათამაშებით
და ოცნების კოშკები
ბროლ-ბადახშით ნაშენი...
აგერ მოჩანს ის ბაღი, ის ბილიკიც ვიცანი,
მაგრამ არ ჩანს მებაღე,
არც ის წყარო ცინცხალი!
შენზე ვფიქრობ, ძვირფასო, ხსოვნის სიმებს მივენდე,
რხევა თოვლის ფიფქების
ვეღარ დამაიმედებს!
ის დღეები წასულა, სულს დღე ვეღარ მინათებს,
თოვლის თეთრო ასულო,
შენი თრთოლვა ვინატრე!
დათოვლილი მინდვრები სულს სითეთრით მივსებენ,
მაგონდება ის წლები,
თვალს ედება სისველე!..

01.02.92
ბანძა

## სიზმარი

ჩემთან შეხვედრა ინებე, მარტო შემომხვდი გზაზე,
ცურავდი მთვარის მორევში, ისევ
ნორჩი და ნაზი...
და მზე კოცნიდა ბალახებს, ცისარტყელები ენთო,
ჩემი ბავშვობის ქალაქი მღეროდა,
როგორც ერთდროს!
ფერდობზე ნისლი დაცურდა, წყალმა გაიღო ჩქამი,
და ეს სიზმარიც დასრულდა, –
იმ ჯადოსნური ღამის!..

15.04.52
ბანძა

# დატოვე ხსოვნა

**შოთა ეგრისპირელ-ხოჭავას**

ამ საუკუნის ტყუპი ხარ თითქმის
          და მიაბიჯებ ამაყად გზაზე...
შემოგრჩა დღემდე რწმენა და რიტმი,
მამულის ტრფობა
და სილამაზე!
ეს ვინ ჩაგიქრო უეცრად ცეცხლი
          და სიმძიმილი ჩაგვწვდა გულამდე...
ვეღარ მოისმენ კვლავ ჭიკჭიკს მერცხლის
და ვერც –
იადონს მიაყურადებ!..
შენში სიცოცხლის დინება დაშრა
          და დაგეუფლა წკვარამი ღამის!..
ვეღარ გადაურჩი რღვევას და დაშლას
და მოვარდნილი
ქარების ბღავილს!..
დატოვე ხსოვნა! დრო, ისევ შფოთავს
          და გული გაგყვა ნაიარევი!..

26.12.17
თბილისი

## საუბარი ბუნებასთან

ნუთუ სხვა ფორმა ვერ მონახე, ძალავ ბუნების,
რომ აღარ დაამახინჯო
ადამიანის სახე!
მე პოეტი ვარ, მორიდებით გესაუბრები
და სიყვარულზე ვლოცულობ
და სიმებსაც ვარხევ!..
რად აქცევ, ასე უსუსურად თინათინს, ნესტანს,
ან ტარიელის, ავთანდილის
ხატებას დიადს!
თქვენზე მლოცველთა ხმები მინდა, ძვირფასო, გესმას,
რომ არ დაუთმო სილამაზე
საწუთროს რიალს!..

08.07.17
თბილისი

# ცხოვრებას ვეთამაშები

მივსდევ ბავშვობის მინდვრებს მოქსოვილს ყვავილებით,
თქვენს სიყვარულში ბოლომდის, ვიცი,
არ დავიღლები!..
თქვენმა ტრფიალმა ამანთო და განშორება მიჭირს,
მე თქვენ მაჩუქეთ სილაღე, უხვი
გრძნობა და ნიჭი!
ამ ბილიკებით მოვდივარ, მუდამ გრძნობებით მავსებთ
და ბავშვობის ცა მახურავს
ვარსკვლავთა შუქით სავსე...
ცხოვრებას ვეთამაშები და მასთან ვეძებ კავშირს,
თუ დამჭირდება სივრცეში,
ისევ იალქნებს გავშლი...

16.05.2002
ბანძა

## ადგილის დედა

არ შეუშინდე ქარების რიალს,
რას უცდი, სულო, გაშალე აფრა!
ამ წუთისოფლის ულმობელ ტრიალს
დაბურულს ნისლით
ვერაფრით ვკაფავ!
ჩვენ გავცქეროდით ლაჟვარდებს მზიანს
და ვარდფურცლობის დღეების ზღაპარს!
დავრბოდით მინდვრის ხავერდზე, მზია,
და ღიღინებდა
ვენახში პაპა!
მერე აიშვა სისხლის მდინარემ,
გაწყდა სიცოცხლის ყველა ზონარი!
და იდგა ღამე გაუდინარი
და ხოცვა-ჟლეტა გაუგონარი!
სოფელს დაეტყო უზომოდ მოღლა,
ველარ უტევდა ცხოვრებას მედგრად!
და კუთხ-კუთხე დადის და ოხრავს
ძაძებში დღესაც
ადგილის დედა!

21.04.19
ბანძა

## დაფარავს ხსოვნას

მოლეკულების ვიქცევი გროვად,
რომელიც უკვე არაფერს ნიშნავს!
მას არ უშველის ცრემლი და გლოვა,
დაფარავს ხსოვნას
უდაბნო ქვიშის!..
ერთობ, გაქრება ჟამი ტრფიალის,
რომ მკერდს ვუშვერდით ქარებს მობერილს!
მიდის სოფელი ორომტრიალით,
მარად მღვრიე,
და დაუნდობელი!

02.08.17
თბილისი

## მანონს

ეჰ, რამდენ რამეს ვნანობ, ისევ, მიდიან წლები,
შენ მახსენდები, მანონ, ო,
მსხვერპლო დავიწყების!..
ერთურთს ვხვდებოდით ხიდთან, მომწვანო შუქზე მთვარის,
ვხეტიალობდით დიდხანს,
ჩვენ ერთმანეთით მთვრალი!..
ო, ის ნათება გაქრა, დგას ფოთოლცვენის შავი,
ლექსს შერჩა შენი ხატება,
მაგ კულულებით შავით!..

10.08.16
თბილისი

## გაზაფხულის საგალობელი

ახლა მინდვრებს ქარი წვიმით რეცხავს
და ძარღვებში ამიზვირთდა სისხლი!..
ნაწვიმარზე გაზაფხულის ზეცა
სიყვარულით მოახვავებს
მზის სხივს!..
ვეფერები მიწის ხავერდს უხმოდ,
მზე მოხატავს ამ ფერდობებს ფუნჯით...
ცას შეხედე, კვლავ სიყვარულს უხმობს,
ზღვამ გაშალა
იალქნები ლურჯი!..
მე სასწაულს ველოდები ახლა
და თვალები ვერ მალავენ ღიმილს!
რა უსაზღვრო აღტაცება ახლავს,
გაზაფხული ხოხობივით ყივის!..
ყაყაჩომაც თრთოლვით შეხსნა ბაგე
და ძარღვებში აუჩქამდა სისხლი!..
ნაწვიმარზე გაზაფხულის ზეცა
სიყვარულით მოახვავებს
მზის სხივს!..

12.04.79
სოხუმი

## კრემლისკენ მიდის

„პირს ლაგამი ზომიერი“
**ი. ჭავჭავაძე**

იავარ იქცა გზები დიდების,
ვხედავ, ფარული გაიდო ხიდი,
მე უკვე ვამჩნევ დაბეჯითებით,
შენი ყველა გზა
კრემლისკენ მიდის...
შეხედეთ ხალხნო, ამას რას ვხედავ,
კვლავ ცრუ დიმიტრი შემოგვაპარეს!
ო, მომხუდრს უნდა ვუტიროთ დედა,
რომ არ ჩაგვიქრეს
რწმენის ლამპარი!
ჩვენ გამარჯვების იალქნებს ვშლიდით,
გულო, მითხარი, რატომ ღონდები?
ცა ინთებოდა ფერებით შინდის,
ახლა კრემლის კარს
ვუახლოვდებით...
ო, გულო, როგორ იქნები მშვიდი
ასე ტრიალით დაწყევლილ ბედის!
თავისუფლების გაცურდა გედი,
ნუთუ, ყველა გზა
კრემლისკენ მიდის?!

27.12.12
თბილისი

## ისევ ქართულად

ჩემი ცხოვრება ულიმღამოდ აღარ ჩაქრება,
ირეკლავს ის შუქს
უჩვეულოდ, დაუსაბამოდ!..
რაზედაც ვფიქრობ მომანიჭა იგი განგებამ
და სიყვარულით ვეგებები
დილა-საღამოს!..
ვინ დამარწმუნებს, რომ ეს სული ეძლევა დუმილს,
ფერთა მორევში ნუთუ უკვე
ამაოდ ვცურავ!..
ვერ მომეხვევა სამუდამოდ, ვით მუხას მუმლი
და რწმენით დავცქერ შინაგანით
ჭაღარა სურათს!..
მე ვეთხოვები ჩემს მინდორ-ველს ვარდ-ყვავილების
და გაზაფხულის უჩვეულო
სიმღერით ვთვრები!..
და ტყის სიღრმიდან კვლავ ირმების მესმის ბღავილი
და მიმაცილებს სიყვარულით
ბუბუნი მთების!...
მოვა წამი და გარემოსთან კავშირებს გავწყვეტ
და ავინთები ცის სიღრმეში
როგორც ნათურა!

# საით მიცურავ, მზეო?!

მე მინდა ზეცის სიდიადეს გრძნობებით გავწვდე
და ცის სიღრმეში ჩანგს დავუკრავ,
ისევ ქართულად!

11.12.2019
თბილისი

***

მზერას მივაპყრობ ხავსიან ლოდებს
          და დაბინდული საგნების მიღმა –
შენი ტკივილი ჩემამდე მოდის
და მეჩვენება
იშორებ ნიღაბს...
მზერას მივაპყრობ მაღალ მწვერვალებს
          და ვიცქირები სივრცეში დიდხანს...
სული ზღვა არის მარად მღელვარე,
სხეული – ერთი
სადოქე თიხა!

10.10.74
სოხუმი

## სამლოცველო

მდინარის პირს სამლოცველო იდგა,
ჟამის შიშით მოცახცახე ტანით!..
მდინარის პირს სამლოცველო იდგა
და ძაძებით
მოდიოდა ქალი!..
მდინარის პირს სამლოცველო იდგა
დახურული გახუნებულ ყავრით.
მდინარის პირს სამლოცველო იდგა
და გასვლოდა სოფლის
ბრუნვით ყავლი!
ის კი, მაინც მოდიოდა რიდით,
და ანთებდა მოწიწებით სანთელს!
და საოცრად ღმერთს ესმოდა მისი
და ის იყო
მლოცველიც და მნათეც!
გარეთ ქარი ხმაურობდა ურჩი
და ამსხვრევდა ბებერ რტოებს ფრთებით,
ანგელოზნი ფარფატებდნენ ჭერთან
და ის იდგა
რწმენით ანანთები!..
მდინარის პირს სამლოცველო იდა,
ჟამის შიშით მოცახცახე ტანით!..
მდინარის პირს სამლოცველო იდგა
და ძაძებით
მოდიოდა ქალი!..

## დარეკეთ ზარებო!

დარეკეთ, დარეკეთ ზარებო! ამინთეთ ტკივილი ყველა!
დაქრიან თებერვლის ქარები და სულის
მდინარე ღელავს!..
ვინ წაშლის ხსოვნათა მწვერვალებს, მივენდე იალქნებს ბედის,
ო, ეს რა ზვირთები ღელავენ,
მომძახის მწუხარე დედა!..
დაერეკეთ, დარეკეთ ზარებო! ამინთეთ ტკივილთა წყება,
იმ დღეთა ქროლვას და ნათებას,
ვერ მივცემ დავიწყებას!

12.02.64
სოხუმი

## შენ გეძახი!

რბიან დღენი, შენ არ ჩანხარ მაინც, ტკივილებით
დანაღმული დავალ!
მზე ფეთქავს და ვუცქერ ზღვაზე დაისს,
ხან ქართან მაქვს ბილიკებზე დავა!..
რბიან დღენი და ტკივილებს ვებრძვი, მოვდივარ და
შენი ლანდი მახლავს..
სული მიწუხს და თვალები მეწვის
და ირწევა ვარსკვლავების ტალღა...
ხან დანისლულ თვალებს ვუმზერ სივრცის, ხან ღრუბლიდან
მზის ჭრილობა ჟონავს!..
შენ ვერასდროს გაექცევი სირცხვილს,
თუ დარჩები ამ ცხოვრების მონა!
სანამ ჟამი იდუმალი რეკავს, რად არ ჩანხარ
მეგობარო მიკვირს!
დრო არ იცდის, დრო არ იცდის ახლა,
ფაფარაშლილ თეთრონივით მიქრის!..
მზე ეშვება და ზღვა ხავერდს უფენს და ჩრდილები
სეირნობენ ხეთა...
შენ გეძახი! კვლავ დუმილი სუფევს
და კოცონი სიყვარულის ფეთქავს!

22.06.64
სოხუმი

## იქნებ, შენ მითხრა, ცაო?!

ჟამი ტკივილით მავსებს, რაც არ მჩვეოდა წინათ!
შლის ცისარტყელას ხაზებს, –
ეს შემოდგომის წვიმა!..
შლის ცისარტყელას ხაზებს, თითქოს ქურდულად, უხმოდ
და სული ისე ბრაზობს,
როგორც გრიგალში მუხა!..
შუქი ჩამიქრა, ზღვაზე გავცქერ ზვირთების ქაოსს!..
არ ვიცი, რაზე ვღელავ,
იქნებ, შენ მითხრა, ცაო?!

19.10.78
სოხუმი

## ნანას და გოჩას

თქვენ ხართ ჩვენი სალოცავი ხატი,
თქვენზე ფიქრში ვაღამებთ
და ვათევთ!..
მზე ამოდის და ცის არხევს მანდილს,
სამრეკლოდან ზარებს
რეკავს მნათე!..
გვსურს გავექცეთ სევდის მორევს სოფლის,
თუმც, სიბერე უკვე
გვიტევს მედგრად!..
უკვდავებად თქვენი მზერა გვყოფნის
და ვიღლებით ლოცვით
მე და დედა!..

23.06.2017
თბილისი

## ხეივნები გამიხუნდა

ეს ზაფხულიც გაქრა უცებ, ხეივნები გამიხუნდა,
ჩიტუნები დაფრინავენ ველ-მინდვრებზე
უკვე გუნდად...
ცას ეცვალა ფერი ლურჯი
და ირხევა სივრცე ქარვის;
ხედავ, სიომ ფრთა დაკეცა
და მოხშირდა ქროლვა ქარის!..
მზე სხვა თვალით იმზირება, ტყემ ხავერდი მოიცილა
და ზამთარი ფრთებს შლის, ისევ – სათაყვანო
არ ჩანს ცირა!
მე გაფრენილ წლებზე ვფიქრობ, და ირხევა სივრცე დუნედ
და აბაშა მიდის მშვიდად,
და, შორს, სადღაც,
მიდუდუნებს...

21.09.12
ბანძა

## დილის ცას მივაყურადებ...

გელოდებით და არ ჩანხართ, არ ვიცი როდის მოხვალთ?
დილის ცას მივაყურადებ...
                    და აღმომხდება ოხვრა!
იადონებმა დაგასწრეს, შემოეფინენ ბაღებს,
ვისმენ მათ ზღაპრულ გალობას
მათი სილაღე ვნახე!
დილით ბაღისკენ ვისწრაფვი, მზე რომ სიმღერას იწყებს,
და საოცნებო ხმის ხავერდს
                    ვერავინ დამავიწყებს!
მერცხლებო, გაგვიანდებათ, აპრილი უკვე ფრთებს შლის,
იქნებ, ვერ სძლიეთ გზადაგზა
ქარებს კივილით შეშლილთ!..

12.04.17
თბილისი

## მშვიდობით დღეთა ნეტარებავ!

დრომ მოაზღვავა დაუნდობლად ტკივილი მწარე,
სულში იმღვრევა უჩვეულოდ
დარდის მორევი!..
აჰა, საცაა გამოჩნდება ფოთლები მწვანე,
შენი აჩრდილის გამოჩენას
ისევ მოველი!..
მშვიდობით დღეთა ნეტარებავ, წამართვი შვება,
დასევდიანდა უიმედოდ
ჩემი ჩინარი!
სულს ოცნებასთან ხელმეორედ არ ძალუძს შებმა,
გახუნდა სპექტრი საოცნებო
ჩემი მდინარის!..

18.02.20
თბილისი

## რა დრო გავიდა!

შენ ხომ არ იცი თუ რა არის მიუწვდომლობა?
საუკუნეებს გადუქროლე
ტკივილით ხშირით...
გამოიარე, შენ ძვირფასო, ტანჯვაც, ობლობაც
და მზეს ხვდებოდი სიყვარულით
მაისის დილის!..
ო, რა სიმძლავრით მოქრი უკვე დასაბამიდან,
შენი სიმღერა ესმის ცაში
ვარსკვლავთა ქოროს,
რაც შენ უგალობ ცას და მიწას, – რა დრო გავიდა,
უსაზღვროება არის შენი
გაფრენის ბოლო!..

20.11.12
თბილისი

## რა შეგვრჩა?!

ნიჭიერ ჟურნალისტ და კარიკატურისტ
**ანაბელა დურგლიშვილს**

ჩვენ ვაცქერდებით სტუდენტურ სურათს
და შენი ბედი გვაშფოთებს ძლიერ!
შენი ხატება ჩვენს სულში ცურავს
და მწუხარებას
ვერაფრით ვსძლიეთ!
ვერ გაექეცი სიკვდილის მზერას,
ვერ ჩამოტეხე კლანჭი ბებერი!
სულს, სადღაც შორს, შორს ეძახდა ზენა,
სულს გაზაფხულის
შუქით შეფერილს!..
სიცოცხლემ, ერთობ, იცვალა ფერი
და, ისევ მიდის დღეები მკრთალი...
რა შეგვრჩა?! – შენი ღიმილი წრფელი,
და სილაჟვარდე
ნარხევი ქარით!..

14.03.18
თბილისი

## თქვენ მოევლინეთ!

*მსოფლიოს გამოჩენილ მომღერალ ქალბატონებს!*

თქვენ მოევლინეთ შორეული ზეციდან მიწას,
ო, ყოვლისშემძლე, საოცარი
თქვენი ვოკალით!
და სიცოცხლის და სიყვარულის გზები იწამეთ,
როცა მიწიერ სილამაზეს
თვალი მოჰკარით!..
ადამიანთა გულში აქსოვთ საოცარ რწმენას,
არაკაცებმა მიწიერი
გზები დაბურდეს!..
დემონურ ძალებს მიადევნეთ ჭირი და წყევლა,
რომ ეს პლანეტა არასდროს
არ გაუდაბურდეს!
თქვენ დედამიწას ღვთაებრივი შუქი მოჰფინეთ
და თქვენი ჩანგის ყველა
სიმი აამეტყველეთ!..
შემოსეთ რწმენით თვით სიცოცხლის უარმყოფელიც,
და პლანეტაზე ხმის
ნიაღვრით ვეღარ ეტევით!..
გისმენთ და სული უჩვეულო გრძნობით გევსება,
აწყდება სივრცეს, ეგ თქვენი ხმა
მძლავრი მუხტებით!..
თქვენ მღერით ლაღად და სიცოცხლემ გაიდგა ფესვი,
და დედამიწა
სილამაზით აახურმუხტეთ.

22.05.11

მოსკოვი

## ბილიკზე მთვარის...

დავდივარ ბილიკზე ბაღის, და ღრუბლებს გავცქერი ფერადს,
და ჩემში ჟამი ღვრის ნაღველს,
სად გაქრა ის აღმაფრენა?!
ბუნებამ, რაც მომცა, ვუბრუნებ მივდივარ ბილიკზე მთვარის,
ჭაღარა სილაღეს მართმევს,
რა შემრჩა? – დღეები მკრთალი!..
შორს, ვტოვებ მაისის სანახებს, გარდასულს ვერაფერს ვშველი,
და ხსოვნა, იმ დღეთა მაოცებს,
დამყვება ღიმილი შენი!

23.05.11
მოსკოვი







***

სიკვდილს ათასჯერ გავაშიშვლებ, სანამდის იგი
აზავთებული მთელი ძალით გადმოვა ჩემზე!..
მე თავზე დაფნის სამუდამოდ დავიდგამ გვირგვინს
და მარჯანივით ასაფრენად შევდგები ცერზე!..

რას დამაკლებენ დემონები ისრების ტყორცნით,
კვლავ, ვერასოდეს ველარ მოვალ ამ ბაღის კართან!
ამოიზრდება სადმე ველზე ცისფერი ბორცვი
და ცა დუმილით დამაფარებს ცრემლიან კალთას.

ხსოვნა ფრთებს გაშლის, შეერევა ცისფერ ნათებას
და გახუნებულს მოიშორებს სამოსელს ერთობ!
ტანზე ფერები ვარდფურცლობის შემომადნება,
რომ სული, მხოლოდ სიყვარულის სიმბოლოდ ენთოს!..

ვეთაყვანები, საყვარელო, მე იმ მაისებს,
ვდგავარ ზღვის პირას, და ირხევა ცა მოდაისე...

24.08.88

სოხუმი

## დავით გაზუნია

*******

ტყემ მიიძინა... დგას ტალღების ლურჯი შრიალი,
მოვდივარ მარტო, ტირიფებთან ვდგები მდუმარი!
შორი მთებიდან მთვარის ლურჯმა შუქმა იალა
და ხსოვნის სიმებს არხევს მძაფრად ხმა იდუმალი!..

წავიდა ის დრო!.. ცრემლიანი შევრჩი სანახებს,
და ვხეტიალობ კაცი გულზე ცეცხლის მოდებით!..
ო, ერთხელ კიდევ მაგ თვალების შუქი მანახეთ
და სიყვარულით ანთებული გავმეორდები!..

მივაყურადებ... ზღვაზე ანძის მესმის ჭრიალი,
გემი დაბმული ბაგირებით, ისევ ქანაობს...
ჩქერი ტალღების მთვარის შუქზე, ისევ ბრჭყვიალებს
და ფიქრი ჩემი უჩვეულოდ შორს მიქანაობს...

დროო, რა მიქენ, რა ულმერთოდ გამიმარტოვე,
რად განმარიდე ო, იმ ქალებს და ქალბატონებს?!

15.08.89
სოხუმი

*******

რა სწრაფად იცვლის ზომებს შენი ტყავი შაგრენის?
ამ დღეთა სრბოლას სრულებითაც ვერ ეგუები,
ფერიცვალების კარუსელით განაბრუები, –
მის შეჩერების საიდუმლოს ვერ მიაგენი!..

შენ მოიტოვე სამი ჟამი მძიმე ფიქრებით,
და მეოთხისკენ უჩვეულოდ მიექანები!..
რა შემზარავად ახმაურდნენ ზღვაზე ქარები?
და ყოველივე, შენ ერთბაშად თვალწინ გიქრება!..

ჯადოსნურ ტყავის ვერ გაექეც პირქუშ ზმანებას,
დროის დინება, ნუთუ, ქვეყნად ამ ერთს მორჩილებს!
მოგლიჯე კედელს, თითქოს, ჟამი დაიმორჩილე,
მაგრამ მეოთხედ ჩამორეკეს მკაცრად ზარებმა!

გადაისროლე, მოიშორე გზიდან ჩვენება!
და, მაინც გარბის ჟამი, სადღაც, შეუჩერებლად!..

12.09.90
მოსკოვი

## დავით ტაბუნია

***

„ჰე ცაო, ცაო, ხატება შენი
ჯერ კიდევ გულზე მაქვს დაჩნეული!“
**ნ. ბარათაშვილი**

შორს, ცის ხავერდზე დაცურავდნენ ღრუბლის გედები,
გავცქერდი სივრცეს უბოლოოს, ვგრძნობდი სიამეს!
იმ შეღამების მოგონებაც მეიმედება,
თრთოდა ვარდებში გაზაფხულის ლურჯი ნიავი!..

ჩამავალ მზეზე ზღვა არხევდა ტალღებს ნაპირთან,
იწყებდნენ კრთომას მნათობები ზეცის თავანზე...
ჩემო ვარსკვლავო, შენ ამოსვლას უხმოდ დამპირდი
და უჩვეულოდ გზა ოცნების გამილამაზე!..

ცა ირხეოდა იისფერი იდუმალ წყობით,
ბაღის სიღრმეში, მხოლოდ ორი ჩიტი გალობდა!..
მე, ის საღამო სულს მივსებდა ფარული გრძნობით
და გაზაფხულის ნიავს, სადღაც მიუხაროდა!..

რამ დამავიწყოს ცის და მიწის მე ეს ხატება,
მომაგონდება და ის ჩემში იწყებს ნათებას!..

25.04.17
სოხუმი

***

იდგა ჟამი, მაშინ მთვარის მოვანების
და ჩვენ სულში ტრფობის მტევნებს ვიწურავდით!..
შენ იყავი ძალზე ნორჩი წლოვანებით,
და ზღვის პირად ყვავილებში მივცურავდით...

ჩავირბინეთ ჩვენ ბილიკი ზღვისკენ ვიწრო,
მოგონებით, საყვარელო, გული მითრთის!..
ის დღეები, მე რამ უნდა დამავიწყოს,
რასაც ვგრძნობდით, განა ენით გამოითქმის?

ის მშვენება, მითხარ, როგორ დავიბრუნო,
როცა აფრა შორეულ გზით მიმაქანებს?!
მიდის ჟამი!.. შენც მიცურავ გაზაფხულო,
და იმსხვრევა ჩემი სულის მინანქარი!..

დავიწყებას შენს ღიმილს ვერ მივაკარებ,
რჩება ჩემში ო, იმ დღეთა სიანკარე!..

07.06.72
სოხუმი

***

შენს სასთუმალთან მთელი ღამე ენთო სანთელი,
იქნებ დუმილში, მეგობარო, გრძნობდი რაიმეს?
ის ღამე იყო იდუმალი და სხივნათელი,
მხოლოდ აკრთობდა ამ დიდ სევდას დედის „ვაიმე!“

ჩვენ დავდიოდით შენს გარშემო ფრთხილი ნაბიჯით,
არ ვაშორებდით მდუმარე ნეშტს ცრემლიან თვალებს!
მოულოდნელად ზღვარს სიცოცხლის გადააბიჯე
და ნაღვლიანი დაგცქეროდა ფანჯრიდან მთვარე...

მოვიდა ჟამი განშორების! ხელდაკრეფილნი
ვიდექით უხმოდ!.. და მიმწუხრის ზარმა დარეკა!
მთიდან ჩურჩულით შეღამების ქროდა ზეფირი,
მაგრამ გულიდან სიმძიმილი ვერ გადარეკა!

და დარჩა ხსოვნა ჩვენს გულებში საოცრად სუფთა,
დავდივართ, მაგრამ, როგორ გვიჭირს უშენოდ სუნთქვა!

03.06.75
სოხუმი

***

ლექსების წიგნში ვნახე მკრთალი ფურცელი ვარდის
და მოგონება იმ დღეების მექცა იარად!..
ზღვის პირას მოველ, მთვარე ნისლის იხსნიდა მანდილს,
ყველა ტკივილმა ამ ჩემს გულზე გადაირა!..

მახსოვს, შენ მაშინ თექვსმეტი წლის იყავი ცირა
და ერთობოდი სილამაზით ცისა და მიწის!..
ძვირფასო ჩემო! ო, ეს იყო დიდი ხანის წინათ,
თუმცა, ეს გული მოგონებით ნიადაგ იწვის!..

მხოლოდ ღიმილში გადმოფენდი მშვენებას სულის,
იყავ წარმტაცი, ვით ნიავში თამაში ფერთა...
უკვე, იმ დღიდან ჩვენ იდუმალს მივენდეთ სურვილს
და ჩემში იგი, ახლაც იმავ სინაზით ფეთქავს!..

რადგან შენ ურთოლვით ეს უძირო სული ამივსე,
ფერიცვალება ვერასოდეს გაგითავისებს!

17.06.76
სოხუმი

***

მე დავბრუნდები, საყვარელო, ასი წლის შემდეგ
და იმ შეხვედრის ხეივანში უთუოდ მოვალ!..
ო, მაგ ღიმილის სილამაზეს იმდენად ვენდე,
თუ არ დამხვდები, შენს აჩრდილთან გავაბამ რომანს!

რა დამავიწყებს შენი ტანის საოცარ რხევას,
და ნაპირებთან ფერიების უცნაურ სიცილს?
მიცნობს ტირიფი, მოვა კრძალვით და მომეხვევა
და გავიხსენებთ მაგ თვალების იდუმალ ციმციმს!..

მოვეფერები გარდასული დღეების ხსოვნას,
დავულბობ ცრემლით მინდვრის ყვავილს ქათქათა უბეს!..
მექნება თითზე ის ბეჭედი რომ მისახსოვრე
და მოვიგონებ შენი ტანის თოვლისფერ ღრუბელს!..

მე შენი ტრფობით ო, ეს გული იმდენად მიცემს,
რომ გადმოვლახავ, უსათუოდ, დროსა და სივრცეს!..

14.05.80
სოხუმი

***

„სიჭაბუკისა ყვავილი დამიჭკნო ჟამთა დენამა.“
**დ. გურამიშვილი**

გადააყვითლა შემოდგომამ ირგვლივ ყოველი,
ფერი უცვალა, რაც კი სიკვდილს ემორჩილება!
მითხარ, ბუნებავ, რატომა ხარ დაუნდობელი
და სივრცეს რატომ ეფინები მწუხრის ჩრდილებად?!

ხედავ, ნიავი მინდვრის ყვავილს ცრემლით ასველებს,
შეხედე ბინულს, ფოთლების რომ გახდა სატივე!..
შენ, ჟამთა დენავ, ჩემი გული დანით დასერე
და განშორების უნაზესი ცრემლით მატირე!..

ჩვენი სინორჩე გაიტაცე, როგორც ნადავლი
და მოგვახვიე ფოთოლცვენის უამინდობა!..
შენ ხელთ გიპყრია ამ ცხოვრების ყველა სადავე
და ისიც ვიცი, თუ რას ნიშნავს შენზე მინდობა!

ვინ თქვა, ჟამთა სვლა ყოველივეს აუჩინარებს,
თუ შენს ხატებას აირეკლავს ლექსის მდინარე?!

16.10.77
სოხუმი

***

შენს ნაფეხურებს უკვე ჟამი შლის გულმოდგინედ,
მაგრამ ის ჩემში შენი ხსოვნის ვერ წაშლის სურათს!
დარდი ვეება გულზე მაწევს მძიმე ლოდივით,
დღე შემოდგომის მიირწევა ფერგადასული!..

შორს დარჩა, სადღაც, – ის მინდორი და ის მდინარე
და გაზაფხულის უჩვეულოდ ლამაზი თრთოლვა!
დაჭკნა, დასცვივდა ის ვარდები პირმომცინარე, –
მოვა ზამთარი და შრიალით დაფარავს თოვლი!..

ვინ გაიხსენებს მაგ თვალების ცისფერ ნათებას,
ანდა იმ ღიმილს, რომ ფეთქავდა ლამაზ ბაგეზე?
არ ვიცი, ეს გზა ახლა საით მიემართება,
ან გული ჩემი, ასე ღელვით რატომ დაგეძებს?!

თუ ყველაფერი ფერს იცვლის და მიედინება,
როგორ გაუძლოს ჩემმა სულმა ამგვარ დილემას?!

12.09.84
სოხუმი

***

ისევ შეაღო გაზაფხულმა კარები ბაღის
და სილამაზით ცა და მიწა მოახავერდა!..
ცრემლი მოგაწვა მაგ თვალებზე უზომოდ დაღლილს,
მზემ კი გაჰფანტა უჩვეულო სევდა ღამეთა...

მომართეს ჩანგი ფრინველებმა გაუხუნარი
და ჩემს მინდორ-ველს საოცარი თრთოლვა ედება!..
იცვლის სამოსელს, ეს საწუთრო მარად მბრუნავი,
ღრუბელი ზამთრის, სადღაც, შორს, შორს მიეხეტება...

მოდის ნიავი და თან ფერებს მოათამაშებს,
მზე გაზაფხულის თოვლს და ქარებს ბევრი ედავა!..
დგას სივრცეებში ანგელოზთა ფრთების მარმაში,
მიდის ზამთარი ჭიუხებში გაუბედავად...

წერე ლექსები და თუ ხელი მოგეცარება,
მინებდი სულო, წუთისოფლის ფერიცვალებას!..

29.02.91
სოხუმი

***

**დოდო ნარმანია – დონა კოლხს**

ჩვენ მოვიტოვეთ ორი ჟამი საწუთროს გზაზე,
ახლა მესამე მონაკვეთზე მივდივართ ნელა...
ხან სიხარულით, ხან ტკივილით ყელამდე სავსე,
ხან მზე იცინის, ხან ქარი ქრის, ხან კიდევ ელავს!..

დავაფრთიანეთ ორი ბარტყი, – მედგრად ფრთებს შლიან,
რომ შეუპოვრად შუტიონ დინებას აღმა...
ჩვენ თვალს ვადევნებთ მათი ფრთების საოცარ შრიალს,
და გვეშინია, სადმე აღარ მოღალოთ ტალღამ!

ბედნიერი ვართ! ნეტავ, დიდხანს გაგრძელდეს ასე!..
სამადლობელო უნდა ვუთხრათ ბუნებას დიადს!
ჩვენ ორი ჟამი მოვიტოვეთ ცხოვრების გზაზე
და, აჰა, მესამე მონაკვეთზე მივდიართ ღიად!..

არ გაგვივლია ეს ცხოვრება მარტოდენ ფრენით
მოვკვდებით, მაგრამ ჩვენი მაინც იცოცხლებს გენი!..

12.10.27
მოსკოვი

***

**დავით აღმაშენებელს**

შენ, ჯერაც ჭაბუკს, უმძიმესი გვირგვინი გედგა
და მამულის ხსნის გაიხადე თავი მოვალედ!..
უთვალავ ლაშქარს შეუტიე დიდგორთან მედგრად
და გახდი მეფე სიდიადით სწორუპოვარი!

ალაგმე მტერი, როგორც შიდა, ისე გარეშე,
ბევრჯერ დალეწე ბრძოლის ველზე ხმალი ვადამდე!
ვერ აიტანე სამშობლოში მტრების თარეში,
განავრცე ბჭენი ნიკოფსიით – დარუბანდამდე!..

შენს სახეს ვუცქერ ცის სიღრმეში შუქად შეფენილს,
გაოცებული ვრჩებით შენი ნამოქმედარით!..
რა შორსმჭვრეტელი ბრძენი იყავ, მეფეთ-მეფეო,
და ბრძოლის ველზე აქილევსის სწორი მხედარი!

რომ ასეთ დღეში დაგვენახეთ, სულო ძლიერო!
ქვეყნის მესვეურთ მიაგებდი სამაგიეროს!

29.10.93
მოსკოვი

***

**თამარ დედოფალს**

შენ ბასიანიც გეყოფოდა, სხვა რომ არ იყოს,
სათაყვანებლად, საქართველოს დიდო დედაო!
უკვდავებსგან დრო ვერასდროს ვეღარ გაგრიყავს,
შენს სიდიადეს, ის რამდენიც უნდა ედავოს!..

ჩვენს ღრმა ქართულ ცას ათრობს ხსოვნა შენი თვალების,
ო, ეს რა მძლავრად შეარხიე ტრფობის სიმები!..
სამშობლოს ბჭენი შენ გახადე მიუკარები
და დღესაც გვათოვს სიშორიდან შუქი იმედის!..

ჩვენ ამ იწაზე შენს საფლავს რად ვეძებთ, რჩეულო,
როდესაც ერის გულში ჰპოვე განსასვენები!..
რა სიშორიდან მოდის ახლა ხმა უჩვეულო
და თაობები ამაყობენ შენი ხსენებით!..

შენისთანები მამულს თუკი მოევლინება,
ის სამზეოზე არასოდეს შეწყვეტს დინებას!..

29.05.02

თბილისი

*******

საიდან მოდის ო, ამდენი ბოღმა და ზიზღი?!
მოსვლისთანავე წაეტანე იარაღს ხარბად!
მთების კალთებზე ჩანჩქერებად ჩამოწვა სისხლი
და ტრიუკებით გადაღლილი ეშვები დაბლა!..

სამემკვიდრეოდ გადმოგეცა სამეფო ტახტი
და გაინაღდე სავარძელი საოცრად რბილი!
შენ, ჩემი ერის სამუდამოდ მოძულე გახდი
და „დიდი მამის“ რა ერთგულად გაჰყევი ბილიკს!..

ვერც ხანები და ტამერლანი ვერაფერს გახდნენ,
მათი ყველა ცდა, პრეზიდენტო, ამაოდ დაშრა!
შენ დღენიადაგ ჩამოგტირის ყვავილით სახე,
რომ ვერ შესძელი ჩემი ქვეყნის ნგრევა და დაშლა!

ძრავს დედამიწას: ბორგვა თერგის, მტკვრის და რიონის,
არვის უნახავს ქედმოხრილი კავკასიონი!

14.05.07
მოსკოვი

***

„მაგრამ საწუთრო განა ვისმეს
დიდხანს ახარებს?“
**ნ. ბარათაშვილი**

შენ ხომ სიცოცხლის სილამაზედ ამ ქვეყნად იშვი,
რად დაეფინა რუხი ნისლი ბავშვობის მინდორს?
რატომ ცახცახებს ცა და მიწა სიკვდილის შიშით,
რომელიც უკვე ქვეყანაზე არავის ინდობს!

სევდა ფარული, კვლავ, მახსენებს, ძვირფასო, იმ დროს
და თვალებიდან უნუგეშოდ ცრემლები მწყდება!..
რად დაეფინა, რუხი ნისლი ბავშვობის მინდორს,
ვინ გაიტაცა ვარდფურცლობის დღეების წყება?!

დაჭკნა ყვავილი სიყვარულის შუქით ნაფერი,
სული კვლავ ოხრავს, მაგრამ უკვე არაფერს ითხოვს!
რას უცდი, ქარო, ამ მინდორ-ველს, ისევ დაჰბერე,
თუმცა, ვერავინ დამიბრუნებს იმ ჟამის სითბოს!

ო, იმ მაისის სილამაზე რა უცებ დაშრა,
ნუთუ, ტრფობაც ვერ გადურჩება დღეების ლაშქარს?!

19.10.92
ბანძა

***

სახელგანთქმულ ლირიკო-
დრამატულ (ბელკანტო)
ტენორ – **ზურაბ სოტკილავას**

შენთვის მუსიკა იყო ღვთაება
და მას შესწირე სულიც, სხეულიც!
შენ მიაგენი სიმს უკვდავების
და გახდი ერის შვილი რჩეული!

შენ დაცურავდი ჰანგების ზღვაში
და შეუპოვრად იალქნებს შლიდი!..
სული გედივით გაფრინდა ცაში
და მიწას შერჩა სხეული მშვიდი!

შენ მიარღვევდი მსოფლიო სევდას
და გამოკვეთე სახე მრავალი!..
რამსიშორიდან გეძახდა დედა
და შემოდგომის მზე ჩამავალი!..

დგას ფოთოლცვენა და ბუნება სამოსელს იცვლის,
შენ შეუერთდი ვარსკვლავების იდუმალ ციმციმს...

12.10.17

თბილისი

***

მოსკოვის ცაზე მერცხლებს, თითქმის, ვერასდროს  ნახავ,
და მის ბაღებში არც ბულბულის გალობა ისმის!
ყველგან ყვავების ჩხავილი დგას, საითაც წახვალ,
მიარხევს ქარი მღვრიე ტალღებს კვამლის და ნისლის...

ატეხილ ჭალებს კვლავ ვიხსენებ აბაშის პირის,
რომელიც ტრფობით და შრიალით მიხმობენ იქით!..
ჩემი მთებიდან ახლაც ვისმენ ირმების ყვირილს
და სიშორეებს უდაბურებს მივარღვევ ფიქრით!..

იქ, მზე ამოდის გაზაფხულის თამაშით ფერთა
და მიწა, როგორც სერაფიტი სამოსელს იცვლის!..
იქ, ყველაფერი სიყვარულის სინაზით ფეთქავს
და ეფერება უბოლოო ვარსკვლავთა ციმციმს!..

გუდა-ნაბადი, მეგობარო, ავიკრა უნდა,
დამესევიან ყვავ-ყორნები სანამდის გუნდად!

25.04.06
მოსკოვი

***

„ვა, სოფელო, რაშიგან ხარ,
რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა.“
**შოთა რუსთაველი**

დგახარ მწვერვალზე უმაღლესზე, პოეტო, ქნარით
და შენი სული ვესპერივით ანათებს, იწვის!..
ო, პოეტური მეტყველების ხარ ჯადოქარი,
დაუშრეტელი ოკეანე დიადი სიბრძნის!..

შენ გადმოენთე სიშორიდან შუქით ულევით
და უსახსოვრე სიყვარულის პოემა მერმისს!..
ათრობ თაობებს პოეტური თაიგულებით,
შენს სიდიადეს სამზეოზე უარყოფს ვერვინ!

ცხოვრების სიღრმეს შენსავით ხომ ვერავინ სწვდება
და საიდუმლო შენზე უფრო არავინ იცის!
მიდის საწუთრო და მიგორავს ზვირთების წყება,
და კვლავ ახალი მწვერვალები დიდების გიცდის!..

თუ სამყაროში ყველა ვარსკვლავს მიეძინება,
ეგ შენი ლექსი, მაშინაც არ შეწყვეტს დინებას!..

22.10.02
თბილისი

***

**„На свете счастья нет“**
**ალექსანდრ პუშკინი**

უნდა შებმოდი მეფის კარზე დაგეშილ ბოკვერს,
შავი მდინარის პირას იდექ – სიკვდილის კართან!..
არავინ იყო შენი მხსნელი, რომ ითქვას მოკლედ,
არავინ იყო ერთადერთი დამბაჩის გარდა!..

გეჩქარებოდა უსაშველოდ ბრძოლაში ჩაბმა,
შენ არ იცოდი, თუ რა იყო ამ ქვეყნად შიში!
და, ეს სოფელი, რომ ბოლომდე არ გასმევს შარბათს,
კარგად იცოდი! – პასუხობდი მიგების ნიშნით...

ორთაბრძოლაში შეუპოვრად შეები ბოროტს
და ბრძოლის ველზე შენ დაცემა არჩიე სირცხვილს!
შენ დამბაჩამაც გიღალატა, უთუოდ, ბოლოს
რომელიც დარჩა საიდუმლოდ შორეულ რიცხვის!..

დაეცი, მაგრამ სული გაჰყვა დინებას აღმა
და ვარსკვლავების შეერია შორეულ ბაღნარს!..

06.06.03
მოსკოვი

***

„ვით სპარტანელი ფარსდაყრდნობილი,
ამაყად ვდგავარ!“

**ჯორჯ ბაირონი**

„ის ღმერთების სწორია და ქუხილის ნაქადი,
მას შერჩება გლორია, ჩვენ კი ცრემლის ნაკადი!..“

**გოეთე**

შენს დიდ გენიას ვერ იტევდა ბებერი მიწა,
სულით-ხორცამდე პოეზიის ცეცხლში იწვოდი!..
პლანეტის მკერდზე ღამის შავი ვეშაპი იწვა,
უკან დახევა თუ რა იყო, აღარ იცოდი!

კაცი სამშობლოს აუჯანყდი ყალბს, ხავსმოდებულს
და ყრუ კედლების შენ ერთბაშად სცადე განგრევა!..
ებრძოდი მედგრად ამ სამყაროს გაბოროტებულს,
რომ ის გექცია კართაგენის პირქუშ ნანგრევად!..

გადაიქროლე შენ სიმღერით ჩაილდ ჰაროლდის
ზღვა და ხმელეთი... შემართება გასცდა მოლოდინს!..
თავისუფლებას, მხოლოდ შენკენ მოუხაროდა
და მისთვის ბრძოლას შეეწირე კიდეც ბოლომდის!..

იდექ, და ალპებს ახეთქებდი მსოფლიო სევდას
და რას დაგაკლებს ჟამი ურჩი კოსმოსურ მხედარს?!

12.08.03
მოსკოვი

***

„შენ სივრცეებმა დაგაბინადრეს,
შენ უკვდავების ხარ ბინადარი...“
**გალაკტიონი**

შენ პოეზიის დიდ მეუფეს ხელთ გეპყრა ქნარი,
შეუდარები და ტკივილით ცეცხლმოდებლი!..
შორს კი, გედივით მიცურავდა მთაწმინდის მთვარე
და მოგძახოდა პოეტების მეფედ წოდებულს!..

იყო მსოფლიო შეპყრობილი ციებ-ცხელებით,
არ ჰქონდა ზღვარი შენს საოცარ ხილვა-ზმანებას!
იძვროდა სივრცე შმაგი ქროლვით ლურჯა ცხენების
და შორს, გრაალის იმსხვრეოდნენ რეკვით ზარები!..

ჟამს გაეშალა უდაბური რუხი ფაფარი,
ამირანივით მიჯაჭვული მწარედ გმინავდი!..
ქარს ჰქონდა ბინა, შენ არ გქონდა თავშესაფარი;
იცრემლებოდნენ: ბეთანია, ვაზი წინანდლის!..

შენ სივრცეებმა საუკუნოდ დაგაბინადრეს
და უკვდავების სამუდამოდ ხარ ბინადარი!..

20.08.03
მოსკოვი

***

შეუძლებელი რად ამკიდე, ცხოვრებავ, ტვირთი?
ვერ იქნა, დღემდე ვერ გავსცილდი ჟამის კულისებს!
აქ, ყველაფერი სიშორეში თავის გზით მიდის
და ჩვენც მივდივართ, მეგობარო, დასასრულისკენ!..

სიცოცხლე დროის ფუნქციაა, რეკავს საათი!..
მოისურვებს და ჟამი უცებ გაქცევს ნანგრევად!
ისევ, მივსტირი გაზაფხულის დღეებს სანატრელს,
რომელიც ტრფობით მისახსოვრა ჭაბუკს განგებამ!

დრო მიდის, ვეღარ დაიბრუნებ დღეებს გაფრენილს
სული კოსმოსში აცურდება ღრუბლის ტივვით...
რა დამრჩა, მხოლოდ, დღეთა ხსოვნა, სხვა არაფერი
და, ისიც ჩავა ჰორიზონტის მიღმა ტკივილით!..

მეც მოგალობე ფრინველივით მოველ წამიერ,
სიცოცხლეს მაინც, მეგობარო, მრავალჟამიერ!..

14.06.06
მოსკოვი

***

შემომეცალნენ მეგობრები, და რა ვარ ახლა?
არავინ იცის ეს ცხოვრება, როგორ ტრიალებს!
მიდის მდინარე, მიბობოქრობს, ტალღა ცვლის ტალღას
და გავხდი კაცი ქუჩა-ქუჩა მოხეტიალე!..

მზეს გაზაფხულის ვეგებები ცრემლთა ფიორით,
გულს მძიმედ დაჭრილს არაფერი აღარ ახარებს!
მე არ მივლია სამზეოზე გზებით იოლით,
მხიბლავდა მუდამ ჩემი ქვეყნის ზეცა მაღალი!..

არ გადამიდგამს ვინმეს შიშით ერთი ნაბიჯიც,
ოღონდ მიწეწდა სულს ჭრილობა დაუფარავი!
თუმც, რომ ეცადოს დრო ვერასდროს გადამაბიჯებს,
ვერც ჩრდილოეთის ქარი დამშლის, და ვერც არავი!

დასაბამიდან მზრდიდა მხოლოდ ნანა მეგრული,
მერე ვუტევდი დრო-ჟამს, როგორც ნაპირს ენგური!..

29.03.09
მოსკოვი

***

ცეკვავენ წყალზე უჩვეულოდ წვეთები წვიმის,
რასაც მე და შენ აღტაცებით ვუცქერდით დიდხანს!
წრიულ ტალღების იშლებოდა ზედიზედ მწკრივი,
ბუნების ო, ამ სილამაზემ რამდენი გვითხრა!..

მე იმ დღეების მოგონება მათრობს სიამით,
წყლის პირას ხეთა ირხეოდა ტოტები მწვანე...
და მინდორ-მინდორ ვარდფურცლობის ქროდა ნიავი,
მაგონდება და გული მტკივა, ძვირფასო მწარედ!

დავუბრუნდებით ვერასოდეს იმ დღეთა ციმციმს
და ვერც წყაროს წყალს იმ სინაზით ვერასდროს მოვსვამთ!
იმ მდინარეში ხელმეორედ ვერ შევალთ ვიცი,
თუნდაც, რომ შევძლოთ, ჩემო მერი, მეორედ მოსვლა!

ის სიხარული და ის ღელვა დინებას გაჰყვა,
მწარეა ხსოვნა, როგორც სულის და ხორცის გაჰყრა!

03.04.09
მოსკოვი

***

თუ როგორ გაჩნდა ეს სამყარო არავინ იცის,
რა ენერგია და რა ძალა ირხევა მასში!..
ჩვენ ვაკვირდებით სიშორიდან ვარსკვლავთა ციმციმს
და ოკეანეს კიდით-კიდე უსაზღვროდ გაშლილს!..

ჩვენი გონება ვეღარ სწვდება ღვთაებრივ ნათელს,
გვაოცებს იგი, მაგრამ მასზე ცოტა რამ ვიცით!
ამ სიდიადის ასახსნელად ღამეებს ვათევთ
და მივსდევთ სივრცეს დღენიადაგ ფიქრებით მკვირცხლით!

სინათლის წლებით იზომება სივრცეთა წყება
და მუდამ სხივთა ნიაღვრებით სავსეა იგი!
შორს, სადღაც იქით, უსასრულო ბინდები წვება,
გალაქტიკების განუწყვეტლივ იცვლება რიგი!

არც დასაწყისი ვიცით მისი, არც დასასრული,
მზე მიირწევა ცის სიღრმეში, ღმერთის ასული!

19.01.20
მოსკოვი

***

შენგან შორსმყოფი, როგორ ვწუხვარ, ჩემო აბაშავ!
მაგრამ აქედან გეფერები ბავშვური რიდით!
გამოწყობილი გაზაფხულის ცისფერ კაბაში,
შენი ტალღები სიშორეში მიდის და მიდის!..

მე ბავშვობიდან შენი ჭალის ზღაპარი მზრდიდა,
მეფერებოდი სიყვარულით ჩუმსა და მორჩილს!
მოვდივარ შენთან, ვერ გშორდები, ძვირფასო, გზიდან,
გული შემომრჩა მოტრფიალე და მარად ნორჩი!

ვერ დამივიწყებ, თუმცა შენთან არა ვარ ახლოს,
მე, იმ დღეების ცეცხლი მინდა, რომ გულში მენთოს!
ნუ დამიბურავ სქელი ნისლით იმ ცისფერ მაღლობს,
რომელიც პოეტს ბავშვობიდან მიყვარდა ეგზომ!

გაივლის წლები, დრო დამამსხვრევს ტკივილით მკაცრით!
მაგრამ ლექსი არ დაივიწყებს ნანახს და განცდილს!

30.04.09
მოსკოვი

***

როგორ ხარობენ ჩიტუნები აპრილის მოსვლით,
დავდივარ ბაღში, მეუფლება ფარული გრძნობა!
არხევს ნიავი ხეთა რტოებს ფაქიზად მოსილს
და მზე აგზავნის ციდან ოქროს ჩქერების ნობათს!

ედება სივრცეს საოცარი ჟღურტული მათი,
ბუნება, ისევ – ჩემი სულის არხევს კამერტონს!..
და ანგელოზებს სილაჟვარდე ჩამოაქვთ კალთით,
რომ მთა და ბარი სიყვარულით მოახავერდონ!..

თამაშ-თამაშით ნაკადული ჩამორბის კლდიდან,
რომ ჩიტუნების გული ტრფობით მოინადიროს!
ბრუნავს საწუთრო, მაგრამ სული ვერ გადაბინდა,
გალობს ყოველი და, მე სიმი რატომ ვატირო?!

ამ ტურბულენტურ დინების ხომ მეც ვარ ნაწილი,
დავბერდი, მაგრამ გული მიცემს ისევ ყმაწვილის!

10.04.09
ბანძა

## საით მიცურავ, მზეო?!

***

არ გამახსენო ის თვალები გრძნობით ნათრობი!
არც ის ბილიკი, არც ის ზეცა ნაოცნებარი!..
საით წავიდა ჩემი ტრფობის თეთრი მნათობი
და აღტაცებით ანთებული გული მგზნებარი?!

მე ახლაც ვეტრფი იმ ხეივანს მწვანედ დაფოთლილს,
განვშორდით ერთურთს და სულს აღარ ეღირსა შვება!
ჟამის მდინარეს მიაქვს ღრუბლის თეთრი ნაფოტი
და ცაზე მთვარე მოგონებით კვლავ იშმუშნება!..

მინდა შევიქცე, დავუბრუნდე იმ ნეტარებას,
მაგრამ მე ვხედავ ამაოა ფიქრი ამაზე!
ო, როგორ მიჭირს ტკივილების უხმოდ ტარება,
ვინ გაიტაცა, ვინ წამართვა ის სილამაზე?!

გავცქერი სივრცეს, კვლავ ღრუბლები მიიგრაგნება,
ერთი ვიცოდე, რას მიმზადებს კიდევ განგება?!

20.09.87

სოხუმი

***

მოვედი, ისევ ჩემი სოფლის ვნახე წყლის პირი,
იმ დღეთა ლამაზ ნაფეხურებს უხმოდ დავეძებ!..
ღელეზე ჩუმად კვლავ რაკუნობს ძველი წისქვილი
და უნებურად რად მომაწვა ცრემლი თვალებზე?!

ო, აქ ყველაფერს ვეფერები ბავშვური რიდით,
გამოვექეცი ქალაქების ფერად ცდუნებას!
ვერ მოვიშორე მოგონების ტკივილი დიდი
და ნოსტალგია, ვიცი, აღარ გამემტყუნება!

ბედნიერებას უფრორე ვგრძნობ შენს სიახლოვეს,
აქ, ყოველივეს სიყვარულით ვეთაყვანები!
ზეცა დამცქერის შორეული ვარსკვლავთა ხომლით
და რა საოცრად შრიალებენ ლურჯი ყანები!..

მე ბავშვობიდან გამყვა შუქი შენი ხელების,
როცა შორსა ვარ, მაშინაც კი მეიმედები!

21.07.67
ბანძა

***

„სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველნი“

ჩვენ ქუდს გიხდიდით ბრძოლის ველზე დაცემულ მხედრებს,
იყო ღიმილი სევდიანი და მძიმე ოხვრაც!
ამ ჩემს ხსოვნაში, ისევ ვხედავ გულშეძრულ დედებს,
სულის ჭურჭელი ვერ იტევდა დარდსა და ბოღმას!..

დარჩა ამ ქვეყნად ვაჟკაცური სახელი თქვენი,
ცა ღრუბლებისგან გაიწმინდა და გახდა ლურჯი!..
ამოდიოდა მზე მაისის სხივებისმფენი,
ვერ დაულეწა მამულის თაღს გრიგალმა ბურჯი!

დაუბრუდნებით ვერასოდეს მშობლიურ მინდვრებს,
დედების გულებს ვინ განკურნავს უზომოდ დაჭრილს?!
დრო წარმავლობის ვერ დაგფარავთ უხეში ბინდით,
საომარ ველზე მარადიულ მხედრებად დარჩით!

იმ დღეთა ხსოვნა მე გზადაგზა ლექსებს გავანდე,
თქვენ კი სიკვდილით უკვდავება გაიმარადეთ!

09.05.72
ბანძა

***

გაზაფხულს, ისევ ველოდები ამ ბაღის კართან,
დილით ჩიტების ჟრიამულის მომინდა ნახვა!
ზამთარმა უხმოდ აიკეცა ქათქათა კალთა
და ფეხაკრეფით ცრემლიანი ფერდობებს აჰყვა...

მზე ფერთა რხევით, კვლავ მოაწვა ხასხასა სივრცეს
და ის დღეები სანატრელი მომელანდება!..
ნიავი მთიდან მონაბერი ოცნებას მირწევს,
მოვა აპრილი, სულს ამინთებს ფერად სანთლებად!..

ზღვა შეწყვეტს გუგუნს და მე აფრებს ოცნების გავშლი,
გარდასულ დღეთა, ისევ ვიგრძენ ცეცხლის მოდება!..
მე სიცოცხლესთან მერამდენედ ვანახლებ კავშირს,
მზე გაზაფხულის აღტაცებით მიახლოვდება!..

რას უცდი დროო, განახლების გზები მაჩვენე,
დედაო ღვისავ, შენი ლოცვა შემომაშველე!

12.03.75
სოხუმი

***

ის ლამაზი დღეები, ვიცი, კვლავ რომ არ მოვა,
შენთვის მზე ვერ აანთებს ცაზე ფერად ნათურებს!
შუქთა ლურჯი მეწყერით მთვარე ბევრჯერ ამოვა,
მაგრამ იმ ჩვენს ბილიკზე სევდა დაისადგურებს!..

მოჩანს ზეცის თავანი შუქთა დიადემებით,
ზღვას შეხედე, ქცეულა ვარკსვლავების საბადოდ...
მე შენს მსუბუქ ფეხის ხმას ბევრჯერ ავედევნები,
დიდხანს ვიხეტიალებ, ალბათ, უმისამართოდ!..

იქნებ, სადმე წავაწყდე შენს საოცარ ხატებას,
სულის სიმებს შემირჩევ უჩვეულო ზმანებით!..
ეს ვინ არის ნეტავი? – ჩემკენ მოემართება
და რეკავენ შორიდან ღამეული ზარები!..

წუთისოფლის ბილიკზე მარტო დავბორიალობ,
ნუ მახსენებ იმ დღეებს, შემოდგომის ნიავო!

04.09.76
სოხუმი

***

დააზრო ქამმა ყვავილნარი შენ რომ დატოვე
და ჩემს სტრიქონებს მოეძალა სევდის მოტივი!..
ვერ ამიხსნია, რა ყოფილა ეს სიმარტოვე
და დავბარბაცებ ამღვრეული გზებზე ლოთივით!..

შემომაშველო იქნებ, შენი თეთრი ხელები,
იქნებ, უშველოს ჩემს ჭრილობას შენმა მალამომ!
მე საწუთროსგან დავრჩი ასე განახელები
და შენი კალთა მინდა, ისევ ცრემლით დავნამო!..

საწუთროს გზები გახდა ჩემთვის უკაცრიელი,
არ ვიცი, ასე სანამ უნდა ვიხეტიალო?
თუმცა, მაჩუქა მე განგებამ სული ძლიერი
და რას დამაკლებს უდაბნოში ქარის ტრიალი?!

დავხეტიალობ ნატერფალის შენის მკოცნელი,
როცა ჩამიქრა ცის თავანზე შუქი ოცნების!

18.11.76
სოხუმი

***

ხსოვნის ლანდებთან ხეტიალობ უდასასრულოდ
და სივრცე, ისევ მოყვითალო ფოთლებში ცურავს...
სულის სიმაღლეს არ შორდება ერთი ასული,
რომლისაც გულით დაატარებ პატარა სურათს!..

დღეებმა მინდვრებს სამოსელი გახადა მწვანე
და შემოდგომის უჩვეულო ნაღველით ავსებს!..
შეგიხსნა ჟამმა სულის ყველა ჭრილობა მწვავე
და ბედისწერა შავი ფრთებით დაგჩხავის თავზე!..

შემორჩი სივრცეს  გარდასული დღეების სევდად,
ფერიცვალების კართან მაინც ამაყად დგახარ!..
უხმოდ ქანაობს შეღამების ლანდები ხეთა
და მოგონებას საოცარი ტკივილი ახლავს!..

ქვეყნად ყველაფერს რა ულმერთოდ ეცვლება ნირი?
კლდეს შერჩენილი, როგორც ცალი ირემი ვყვირი!..

01.10.78
სოხუმი

***

გაგყვა რამდენი საიდუმლო მიმავალს იქით,
დრო დაილუქა, და მას აწი ვერავინ გახსნის!
შემოაცვითა შენს ძლიერ სულს ბუნებამ გარსი,
მე კი დამტოვა შარა – გზაზე დაღლილი ფიქრით!..

იცოდი კარგად წუთისოფლის ავანჩავანი,
გძულდა სიფლიდე, სივერაგეს არ იკარებდი!
შენი აჩრდილი ვნახე ჩემი ბაღის კარებთან,
როცა დაეშვა ჰორიზონტზე მზე ჩამავალი...

მე აგედევნე... ვერ იქნა და ვერ დაგეწიე,
ბაღის სიღრმეში რა უეცრად გაუჩინარდი?!
ვიდექი ღელვით მთვარიანში მარტო ჩინართან,
ასე უეცრად, როგორ გასცდი სივრცეს მიწიერს?!

და როცა კაცმა ვერ გავუძელ გრძნობას მოწოლილს,
შორს, ლაჟავრდებში გაკრთა, მაშინ, ელვის კოცონი!..

14.06.86
სოხუმი

***

დავდივარ ზღვის პირს მოგონებით, ისევ ვინთები
და სული მხოლოდ ო, იმ დღეთა თვრება ზმანებით!..
საით გაფრინდნენ სიჭაბუკის თეთრი ჩიტები,
საით წავიდნენ ჩემი დროის ლამაზმანები?!

შემოვრჩი ნაპირს მე იმ დღეთა მესაიდუმლედ,
ვინ დამიმსხვრია ოცნებათა თეთრი კოშკები?
შემომაღამდა და ზღვა შემრჩა გადაბინდული
და ვიცი, ერთობ, ტკივილებით გავითოშები!..

სევდამ ულმობლად დამარბია, გამინაპირა,
რა ვქნა ძვირფასო, მარტოობას არ ვარ ჩვეული!
დავდივარ წლებით გადაღლილი ამ ზღვის ნაპირას
და ველოდები, მაგრამ არ ჩანს ჩემი რჩეული!

აჰა, საცაა მზე ჩაქრება ზეცის თავანზე,
შენ არ მოდიხარ! ღიმილს ვინღა შემომთავაზებს?!

14.10.87
სოხუმი

***

ო, ეს შენი გზა, სულო, ცისკენ მიემართება,
რადგანაც, უკვე მიწიერი გზები დახურე!
შენ სიშორიდან მთიებივით იწყებ ნათებას,
აქ, მიწას, ისევ სევდიანი მთვარე დაჰყურებს!..

ჟამის ქარ-წვიმა მაგ ნაკვალევს ვერასდროს წაშლის,
რადგან ამ ქვეყნად შენ ნათელი გზებით იარე!..
ამაოება ვერ შეგბედავს ჩაგიდგეს კვალში,
რამდენიც უნდა უგზო-უკვლოდ იხეტიალო!..

ცხოვრებამ ბევრჯერ მოაზღვავა ურჩი ჩრდილები,
რა ვუყოთ, გულმა, თუ წამისად შეწყვიტა ძგერა?!
დღეიდან, უკვე, სხვა სისტემას ემორჩილები
და არხევ, სულო, სიშორიდან ყვავილებს ფერადს!..

ამიერიდან ცის და მიწის მშვენებად იქეც,
მე შენზე უკვე, ლამის არის, გადავყვე ფიქრებს!..

10.08.97
მოსკოვი

*******

„კეთილი გულით მიძღვნილი
მცირედიც შეიწირების“
**შოთა რუსთაველი**

მე შენს სიყვარულს ქვეყნად, განა ვინმე მაძალებს?
და, მაინც სულში გამძაფრებით რეკავს სანთური!..
შენა ხარ ჩემი ღვთაებრივი დიდი ტაძარი,
და ჩემი ჩქარი მატარებლის – ბოლო სადგური!

მოვდივარ შენთან, საჩუქარი მომაქვს მცირედი,
რომელშიც ღელვით ჩავაქსოვე სულში ნადები!..
აღარ დამძრახავ, ამის ნაღდად მრჩება იმედი,
რომ ვერ აგივსე სივრცე ლექსთა განთიადებით!

მე შენს მუხლებთან ჩავიმუხლებ, ძვირფასო, რიდით,
გულით ნათელით და ტკივილით დაუცხრომელით!..
შენა ხარ ჩემი სიყვარული საოცრად დიდი
და ჩამოღვრილი სიშორიდან შუქი ცხოველი!..

დღემდე ვინახავ შენს სიყვარულს სულში განძივით
და მას ვერასდროს ვერ ჩააქრობს დრო და მანძილი!..

24.10.02
თბილისი

*******

თავთუხის ზღვაში მივდიოდით თუ მივცურავდით
მე და შენ, მერი, შორს, ხოხობი ველზე ყიოდა!..
ამ ცის და მიწის საოცარი ვნახე სურათი,
მზე კი ოქროსფრად მოღაღანე ამოდიოდა!..

მიირწეოდნენ ცის თავანზე ღრუბლის გედები
ციხის კოშკების ქონგურებზე ვჭვრეტდით  არწივებს...
ისევ, ფეთქავდა მზე ოქროსფერად შენადედები,
რამ დამავიწყოს, ჩემო მეგი, ის სიყმაწვილე!

მას, რაც ვიხილეთ ვერ გადმოსცემს კალმის თილისმა,
ვერც ატმის რტოზე მოგალობე ჩიტების ქორო!
ის დრო წავიდა, სული სევდამ მოაირისა
და სივრცე ჟამით გაძარცული შემომრჩა მხოლოდ!..

ჩემი ცა სიზმრად მზემ აპრილის მოაგვირილა,
გამომაღვიძა ერთხელ კიდევ ირმის ყვირილმა!..

27.04.83
სოხუმი

***

სული გაურბის შემოდგომის დღეებს მთვლემარეს
და გაზაფხულის საოცარი ქრება ნათება!..
რა რჩება ქვეყნად დაუმხობი, გაუთელავი?
და თვალებიდან არ მშორდება შენი ხატება!..

ხორცი ადვილად ითელება დროის ფლოქვებით
და გული ხსოვნით კვლავ რამდენჯერ დაიცვარება!..
ვდგავარ ეულად, უჩვეულოდ შენაშფოთები
და სული მედგრად უმკლავდება ფერიცვალებას!..

ჩემმა ხომალდმა ზღვის სივრცეში აფრა გაშალა,
თუმც, უტევს ჟამის ქარიშხალი დაუნდობელი!..
გულო, რას უცდი? – მოიშორე ეს კაეშანი,
რადგანაც, ისეც მდიდარია დარდით სოფელი!..

მივალ ბილიკზე ღელვით სავსე, უკვე ღამდება,
ისე ვიჩქარი, თითქოს, სადღაც, მაგვიანდება!..

22.08.84
სოხუმი

## დავით ტაბუნია

***

ჩემო ძვირფასო! შენს საფლავთან მოვედი ისევ,
და გაზაფხულის ნორჩ ბალახებს ცრემლით ვასველებ!
ბორცვს მოხვევია შეღამების ფერმკრთალი ნისლი
და შენი სახის მოლანდება მე არ მასვენებს!..

ეს მერამდენედ მოვდივარ და სიკვდილთან ვდაობ,
მაგრამ ეს გლოვა და გოდება არავის ესმის!
ვერ გავარღვიე ბედისწერის გრიგალი, დაო,
გულს კი, მიკაწრავს შორეული ვარსკვლავის კვნესა!..

დღეები, ისევ დღეებს მისდევს უდასასრულოდ,
არ ვიცი უკვე, სად შეწყდება ჩემი წამება!
მე ვგრძნობ, ძვირფასო, გაზაფხულის მზე რომ ჩასულა
და სული მძაფრად აჰყოლია მხოლოდ ზმანებას!..

ამ ფერმკრთალ სტრიქონს როგორ ვანდო შენი ხატება,
ის მღვრიე ქარში დიდხანს შესძლებს განა ნათებას?!

24.05.86
სოხუმი

***

ეს განშორება იყო, ერთობ, მოულოდნელი,
რასაც ვერ ავხსნით, მას მივაწერთ ხშირად განგებას!..
ჟამი უხეში, როცა უნდა ნისლებს მოდენის
და ფრთებს ულმობელს ლახვარივით შემოგაგებებს!..

მივდივარ მარტო, ახლა, უკვე არავინ მელის
და ფერდობებზე, მხოლოდ ნისლი მიილანდება...
გაფრინდა, სადღაც, შენი სულის ნაზი ფრინველი,
და მეჩვენება შენი ტანის თეთრი ხატება!..

რა რჩება ქვეყნად, მხოლოდ ხსოვნა უფაქიზესი
და ლექსად ვამბობ, როცა გრძნობა მომეძალება!..
სიყვარული და ტკივილია ლექსის მიზეზი,
როცა ერთბაშად ჩამორეკავს სულის ზარები!..

სხვა გზა ვერ ვპოვე, ღმერთმა მხოლოდ ეს გზა მაჩვენა
და ლექსს მივენდე ჩვენი ტრფობის გადასარჩენად!..

15.08.86
ბანძა

*******

ო, მაგ ბაგეებს, ნუთუ, კვლავ ვერ ვეამბორები?
დრო მიქრის, ისევ და ჯიუტად რეკავს საათი!..
გულზე გადამდის წუთისოფლის მღვრიე მორევი
და მიქანაობს ბილიკებზე დღე მუხანათი!..

ქარი ბექობზე ათამაშებს გროვას ფოთლების
და მზე დაღმართზე მიირწევა სევდანასვამი!..
მე ვდგავარ ჟამით ძვალ-რბილამდე შენაშფოთები
და მოდის ღამე სიშორიდან სტვენით, სავსავით!..

ბევრი ეცადა, მაგრამ ვეღარ გამაუხეშა
ურჩმა ცხორებამ, უბოლოო მძაფრი შეტევით!..
შენი ხატება, საყვარელო, მექცა ნუგეშად
და წუთისოფლის ბილიკებზე დავეხეტები!..

შორს, მიქრის ჟამი და სულში კი – სევდა ნატიფი
შრიალებს, როგორც უბოლოო ლურჯი სათიბი!..

21.10.84
მოსკოვი

***

ვიხსენებ იმ დროს, და მე გრძნობას ვეღარ ვერევი,
შენ თრთოდი, როგორც გაზაფხულის თეთრი ასული!..
ვიყავი მოწმე ქვეყნად შენი ბედნიერების
და ყველაფერი წამიერად როგორ დასრულდა?!

მაგ ნორჩ ბაგეზე ვარდფურცლობის დაჭკნა ყვავილი,
შენში ყოველი ბედისწერის ზღვართან მისულა!
ცის ლამაზ ფონზე ყვავ-ყორნებმა გადიჩხავილეს
და ლურჯ ხავერდზე გარდასულის ლანდი მიცურავს...

მას შემდეგ გულმა დღემდე ვეღარ გაიზაფხულა,
მოდის დაისი უცნაურად ნაფერმკრთალები!
ბედმა ულმობლად ყველა შენი გზები დახურა
და უჩვეულოდ ცრემლიანი შეგრჩა თვალები!..

ვინ მოგისაჯა, ასე უღვთოდ სულის ობლობა?
ან რა ვუწოდოთ ბედის ამგვარ დაუნდობლობას?!

10.05.64
ბანძა

## დავით ტაბუნია

***

ჩამოდიოდა სიშორიდან თოვლი შრიალით
და მეგობრები ახალი წლის მოსვლას ველოდით...
მოვიდა ღამე ფრთებქათქათა, თეთრთავშლიანი,
გადაათეთრა მინდვრები და მთები მელოტი...

ბუხართან ახლოს სიყვარულით გავშალეთ სუფრა,
და იყო ღამის იდუმალი თრთოლვა დიადი!..
ჩამოდიოდა გარეთ თოვლი თეთრი და სუფთა
და შორს ჰფანტავდა მდუმარებას ურჩი წყვდიადის!

მახსოვს, ის ღამე უჩვეულო, სავსე ღირსებით,
დღემდე რომ მირხევს სათნოებით სულის ანტენებს!..
მე მოგონების, მხოლოდ მძაფრი შუქით ვივსები,
ვით ცა იანვრის უთვალავი თეთრი ფანტელით!

ჩვენ გვეჯდა გვერდით – სამ მეგობარს, სამი რჩეული
და ირხეოდა გარეთ ზამთრის თეთრი სხეული!..

31.12.63
სოხუმი

*******

ვდგავარ ნაპირზე და ზღვა არხევს ტალღებს უჩუმრად,
ვუსმენთ მზის ჩასვლის მელოდიას მე და შენ, მერი!..
გზებს შეღამების გადაუვლის ნიავი ფრენით
და ყვავილნარში ჩაიმუხლებს მერე ჩურჩულით...

გადააქვს ზეფირს ლურჯი ფრთებით ვარდების სუნთქვა
და, როგორ გვხიბლავს იდუმალი თამაში ფერთა...
აქ ყველაფერი უწმინდესი ტრფიალით ფეთქავს
და ცას სერავენ თოლიები ზღვის თავზე გუნდად...

მზე კი ჩაეშვა... კიდევ ერთი დღე მიიწურა,
ჩვენს აღტაცებას, უჩვეულოს, არა აქვს ბოლო!..
როგორ არ მინდა ამ დღეებმა რომ ჩაიქროლონ,
შორს, ცის სიღრმეში ღრუბლის თეთრი გედი მიცურავს...

მოდის საღამო... სულს ფარული ღელვა მოება
და ჩვენ შევხარით, უკვე, ღამის მოახლოებას!..

07.05.64
სოხუმი

***

ედიტ პიაფს

თრთოდი „ბეღურა“ იადონის უკვდავი ყელით,
მთელი პლანეტის ღვთაებრივი გახდი ასული!
შენ სიმღერასთან, დედოფალო, ხარ განუყრელი,
ის იყო შენი დასაბამიც და დასასრულიც!

მაგ ხმათა სპექტრთან ო, რამდენჯერ ღამე ვათიე,
მოფრინდი ციდან, იმღერე და შებრუნდი მისკენ...
შენ, ორფეოსის მარადიულ და დიდ პარტნიორს
მიწის ტკივილი გამღერებდა ისევ და ისევ!..

მსოფლიო სევდა გსდევდა მარად მოურჩენელი,
მერე გედივით გაცურდი და მიწაც დატოვე!..
ცის სიშორიდან ღმერთი იყო შენი მრჩეველი,
ფერიცვალებას არ მორჩილებ, შენ ქალბატონო!

დგახარ ამაყად სივრცისა და ჟამის გარეშე,
შენს ნაკვალევზე დრო ვერასდროს გადითარეშებს!

14.09.65
სოხუმი

***

არავინ იცის, საიდან და როგორ მოვედით,
უდაბურ გზებზე რა ჯიუტად ვიხეტიალეთ!..
ძალავ განგების, შენ მომმადლე სული პოეტის,
თუმც, ეს ცხოვრება ვერ გავიგე როგორ ტრიალებს!

მე შენს წინაშე კვლავ ვლოცულობ, მზეო მაღალო!
რომ არ მოაკლდეს ჩემს პლანეტას შენი წყალობა,
შენი სიუხვით გააცოცხლე მიწა აყალო,
რომ ველ-მინდვრების საოცარი მესმის გალობა!..

მე შენს კალთაზე, ეს რამდენჯერ გავიზაფხულე
და თვალებს ჩემსას სიყვარულის ცრემლი მოება!..
შენ შეგღაღადებს, საყვარელო, შენი მსახური
და სული ჩემი ეხეთქება ამაოებას!..

მზეო, მე რადგან მეხოტბე ვარ შენი მშვენების,
მჯერა, მიმავალს სიბნელეში შემეშველები!..

27.05.72
სოხუმი

***

ჩემი ცხოვრება უჩვეულო დინებით მიდის,
ის არ ცნობს ქვეყნის არც კანონებს და არც ბრძანებას!
ქუჩებს, ხეივნებს ფოთოლცვენის მოაწვა ბინდი
და სული ვეღარ ეგუება ფერიცვალებას!

მე სიყვარულით მიცქერიან შენი თვალები,
ეს ცხადია, თუ საოცარი არის ზმანება?
მივდივარ, ციდან ვარსკვლავები მითვალთვალებენ
და შენთან, ვიცი, განშორება დამენანება!

დარჩება ჩვენი აღტაცების თეთრი კარავი,
თუ ჟამმა ისიც არ მოშალა მოულოდნელად!
მიერეკება ქარი ცაზე ღრუბლის ქარავნს,
შემოდის სულში ტკივილები ქვეყნისოდენა!..

მიდის ცხოვრება, იცვლის გზაზე ფერს და კალაპოტს
და, მაინც მინდა სიყვარულზე გელაპარაკო!..

29.08.74
ბანძა

***

საით გამექცა მეწამული ფერის მანტიით, –
მზე გაზაფხულის, განთიადის წვიმა შხაპუნა?
მე კი შემოვრჩი ამ პლანეტას სულით მარტვილი
და სევდიანი გადავცქერი მინდვრებს ნაპურალს!..

მივდივარ მარტო, ჟამის ზონარს ვჭიმავ დაღლილი
და გული მიმაქვს უსაშველოდ ნაჭრილობევი!..
ვერ იქნა, სიტყვას ვერ ამოვდე მტკიცედ აღვირი,
გავცქერი სივრცეს ფოთოლცვენის სევდით მოფენილს!..

გულს ვერ ვამშვიდებ! სიყვარული მექცა ტკივილად
და გუბე სევდის ვერ იქნა, და ველარ დავაშრე!
უკვე, ჩემს ცაზე ქარიშხალმა გადიკივილა
და ახლა, სადღაც, მღვრიე ტალღა მიმათამაშებს!..

ის დრო გამექცა, დამიწყვიტა ყველა სადავე,
ახლა, სად ვპოვო ის სინაზე და სისადავე?!

25.10.78

სოხუმი

***

ზღვას დაეფინა ძოწისფერი სინაზე ისევ,
მშვილდ-ისრით ხელში ხეტიალობს ცელქი ამური,
ჭაღარა მთები შემოდგომის არხევენ ნისლებს
და ზღვის ბადეში კვლავ ეშვება მზე მეწამული.

მე ყრმობის წლები მაგონდება სათაყვანები,
რომელიც, სადღაც, აბაშის წყლის პირას იწყება!
რად შემიყვარდა ჩემი სოფლის ლურჯი ყანები,
რომლისაც ამ გულს აღარ ძალუძს გადავიწყება!

დავდივარ უხმოდ ხეივანში, ღელვით ვივსები,
ამაწიოკეს, ისევ მძაფრად ჟამის ქარებმა!
კვლავ დამაქვს გული დაგლეჯილი მძიმე ისრებით
და, მაინც შიში განშორების არ მეკარება!

დასაბამიდან, რადგან მხოლოდ ტრფობას ვუგალობ,
არ განმიმუხტო რწმენისაგან გული, უფალო!

12.10.80
სოხუმი

***

ეს საუკუნე გულზე მიშენს მოწამლულ ისრებს,
ოცნების კოშკებს დემონები თავზე მანგრევენ!..
და ჩემი ქვეყნის ბედს ულმობელს დავსტირი ისე,
როგორც ტროელი ბერიკაცი ტროას ნანგრევებს!..

მე გული დამაქვს დაფლეთილი ჟამის ლახვარით,
დავდივარ, ვბორგავ და ვერავინ მიქარვებს ნაღველს!
და დემონების შორით მესმის სტვენა – ხარხარი,
რომელიც, ერთობ, ჩემს არსებას ბოლომდე არღვევს!..

და ჩემი ჩანგი დღენიადაგ შფოთავს და კვნესის,
ვერ ურიგდება იგი ბედის მწარე განაჩენს!
იმღერე ჩანგო! თუმც შენი ხმა არავის ესმის,
რომ წარსულიდან იქნებ, ცოტა რამე გადარჩეს!..

თუ ვერას ასმენ საუკუნეს გაჟღენთილს ბანგით,
ზედ შეალეწე მის ყრუ კედელს ეს შენი ჩანგიც!

26.10.92

ბანძა

***

რამ დამავიწყოს ის დღეები სავსე ღირსებით,
ჩემი სხეული ჩამავალ მზის სხივებს იწურავს!..
გზაჯვარედინზე ვერ გავფანტე რუხი ნისლები
და შორს, ოცნების სათაყვანო გედი მიცურავს!..

ზღვა, კვლავ ბობოქრობს ქარაშოტის ფრთებით ნაცემი
და ნაპირები გახდა, ერთობ, უკაცრიელი!..
ო, რა უგულოდ მიცქერს ციდან მზე ალმაცერი
და მეფანტება შუქი რწმენის მუდამ ძლიერი!

დრომ გაიტაცა ის ნათელი, დავრჩი ეული!
და ხმლის ნატეხით ვიბრძვი, როგორც გლადიატორი!
უკვე რღვევისკენ მიისწრაფის ჩემი სხეული,
ათი ათასჯერ ბრძოლის ველზე ჟამით ნატორი!..

დრო მიდის ხაფით და მე ერთი რამე მაწუხებს, –
კითხვებს თავხედურს თავხედურად ვერ ვუპასხე!

22.11.92
სოხუმი

***

მე ვხედავ ჩემს თავს, მეგობარო, ოცი წლის მერე,
ბუდეებს თვალთა მოსდებია მთვლემარე ხავსი!..
ღიმილ-ქილიკით, ვიღაც უხეშს მახურავს ბერეტს,
ვაცქერდები და არაფერი მინახავს მსგავსი!

ვინ გამიტენა თავის ქალა შმორიან მიწით
და ვინ დამიშრო სიყვარულის ჩქრიალა წყარო?!
დაუფლებია ჩემს ბაგეებს დუმილი ბილწი,
ძვლების გროვაზე, მხოლოდ ლოთი სიკვდილი გალობს!..

ამ ბლანტ სიბნელეს ვეღარ აკრთობს ქარი და წვიმა,
არც მზე მაისის და არც თეთრი ფიფქების ჩქამი!
საით გამექცა ყოველივე, რაც იყო წინათ,
ვინ მომახვია შემზარავი დუმილი ღამის?!

მითხარ, ბუნებავ, რად მაქციე კაცი ჭაობად,
როცა ვიყავი შთაგონება და მოძრაობა?!

14.09.96
ბანძა

***

მ-ს

რად დაივიწყე ბედნიერი დღეების წყება?
რად განერიდე განთიადზე ხოხბების ყივილს?
რა სატანჯველი მოგიტანეს ისეთი წლებმა,
რომ გაექეცი გაზაფხულის ვნებიან ღიმილს?!

ვარდისფერ კაბას, რად არჩიე ძაძები შავი,
ცრემლების გუბედ რად აქციე თვალების ჭრილი?
რად შეიჩვიე მონასტრული ზმანება ღამის
და უჩვეულოდ გარინდული სანთლების ჩრდილი?!

ამური, ისევ აყურადებს მაგ გულის ფეთქავს
და ირხევიან ფოთოლცვენის ფერები ირგვლივ!..
შენ სერაფიტის სილამაზე გიბოძა ღმერთმა
და, რა უხეშად მას უკანვე მიუგდე იგი?!

ვინ დაგიწეწა უმოწყალოდ შროშანი სულის,
რომ მაისის ქარს ამჯობინე სიმშვიდე სრული?!

04.11.02
მოსკოვი

***

შენ ხელმეორედ ამ მიწაზე ვერასდროს მოხვალ,
მოვა ჟამი და დაგადუმებს ლოდი სამარის!..
უნდა იცოდე, მას არ შველის ცრემლი და ოხვრა,
იჩქარე, დროზე შემოხაზე შენი სამანი!..

ძარღვებში, ერთობ, შედედდება სისხლის მდინარე,
მითხარ, რა არის სამზეოზე ურღვევ-უხრწნელი?!
განშორებისას, სულო, რამდენ რამეს ინანებ,
დარჩება შენთვის ბევრი რამე ამოუხსნელი!..

გაჰყვები ქროლვით ზეცისაკენ სივრცის აღმართებს,
რომ შეუერთდე სამუდამოდ ღელვა-დინებას...
იქნებ, შორს, სადღაც, მარადიულ სანთელს აღანთებ,
თუ ლაჟვარდების უფსკრულებში ჩაიძირები?!

გაეცი კითხვას შენ პასუხი მოურიდებლად,
შუქთა დინებას უზენაესს მარად დიდება!..

22.05.03.
მოსკოვი

***

**სული და სხეული**

შორს, ცის სიღრმეში მიირხევა შუქი ულევი,
დრო მიქრის, ვით ქვა გატყორცნილი მძიმე შურდულით!..
რომ ვთქვა სიმართლე შენ უთუოდ დამემდურები,
წარმავალი ხარ, მუდამ ჟამით შემოზღუდული!

ვერ გამიგია, ერთ ჭურჭელში როგორ ვთავსდებით,
მე ფრთებდიადი, შენ სუსტი ტყვე ფერიცვალების?!
როცა არა გვაქვს ერმანეთთან მცირე მსგავსებაც,
მე უკვდავი ვარ, შენ მთავრდები გარდაცვალებით!..

ხავსმოდებული გადიქცევი მიწად, ბალახად
და შემდგომშიც კი, თავს არავინ იკლავს ხსენებით!
ალბათ, ეშმაკსაც შეაძრწუნებს შენი დანახვა,
როცა ბნელეთში სამუდამოდ ჩაესვენები!..

მე ცისკენ წავალ ზეციური ძალის მიწვევით,
შენ მიწა იყავ, და კვლავ მიწად გარდაიქცევი!..

30.09.03
მოსკოვი

***

„მოკვდა დიდებული დედოფალი – წამებული ქეთევანი, რომელიც მიწიერი დედოფლიდან ციური დედოფალი გახდა“

**ამბროსიო დუშ ანჟუში**

მსგავსი ქალობა აღარ ახსოვს ამ ბებერ მიწას,
გადაიტანე ყველა სახის ტანჯვა-წამება!
ეს რა გაბედა შაჰ-აბასმა ველურმა, ბილწმა,
რათა ამ ცისქვეშ ქრისტეს სულის ქროლვა დაება!

იდექი ქალი მაგ წამების კვარცხლბეკზე მედგრად,
არ შეუშინდი მოვარვარე რკინის ნათებას!
და ღმერთის სულთან შენი სულის შეხვედრა შედგა,
როცა წამებით დაიშალა შენი ხატება!..

მსგავსს ბედისწერას ისტორია ველარ იხსენებს,
ზეცამ აანთო მის სიღრმეში ყველა სანთელი!..
შენ ქრისტეს ხატი გულზე გრძნობით გადაისვენე
და სამუდამოდ დაუმკვიდრე მაგ სულს ნათელი!..

და ღმერთის გვერდით შენ ამაყად დაიდგი ტახტი
და მიწიერი დედოფალი ციური გახდი!..

25.07.19
მოსკოვი

***

ო, როგორ სწრაფად ჩაიქროლეს წლებმა ბავშვობის,
დამთავრდა ჩვენი ჟრიამული ჟამის წინარე!
შეხედე ფოთლებს, მზის სხივებზე რომ თამაშობენ,
ფრთები ქარიშხლის რა უეცრად აუჩინარებს?!

ქარმა გაჰფანტა ვარდფურცლობის ნაზი სურნელი,
და ატმის რტოზე მაფშალიას შეწყდა გალობა!
და შემრჩა მხოლოდ ტკივილები განუკურნელი,
ნუთუ  ეს არის, რომ ვეძახით გარდუვალობას?!

მზე მუქ ქსოვილში იძირება შემოღამების
და მეწამული შუქით კოცნის ზეცის საფირონს...
ჩემი ბილიკი მე გავლიე ღელვით, წამებით,
შეუერთდება ჩემი სული ცას უნაპიროს...

თუ ერთი ლექსიც შემოტევას გაუძლებს ჟამის,
გადამილახავს დავიწყების მდინარე შავი!..

22.07.75
ბანძა

***

ვერ უძლებს სული ფარულ ოხვრას შემოდამების
და ტკივილებმა ჩემი გული მწარედ დასერა!..
არ ვიცი, რატომ მომისაჯა ღმერთმა წამება
და ძველ სანახებს ცრემლის წვიმით რატომ ვასველებ?!

მეგონა ის დრო ფოთოლცვენის გაჰყვა მდინარეს
და ვერ გაუძლო ჟამის ულმობელ ცვალებადობას!
განვშორდით ერთურთს, განშორების ცრემლით ვინამეთ,
მაგრამ სიყვარულს არ სცოდნია თურმე დანდობა!

მე არ ვიცოდი, სულის ღველფში ცეცხლს რომ ვმალავდი,
დროის დინებით თურმე იგი არ დაიძლევა!
ფერს იცვლის ხშირად, მაგრამ გულში რჩება მარადის
და ვულკანივით კვლავ სცოდნია გამოღვიძება!..

რადგან ყვავილი ჩემში ტრფობის მარად მზიანობს,
ის ზამთრის სუსხმა აღარ მინდა დააზიანოს!

10.12.87
სოხუმი

## დავით ტაშუნია

***

ის დღე ძვირფასო, შენთვის გახდა უკანასკნელი
და სული ისვრის სტრიქონებად ტკივილს ნაფეთქარს!..
ახლა ჩემს ყოფას – ამ მიწიერს ციდან დასცქერი
და შენზე ფიქრით, მეგობარო, გული დაბერდა!..

მეტეორივით გაიქროლე ცაზე არსობის,
ლაჟვარდთა წიაღ უცნაურად გაუჩინარდი!..
ანგელოზები გიგალობენ ცაში ასობით,
მიგაცილებენ უცხო გზებით მიწის ბინადარს!

შენს ნაფეხურებს დავცქერ მთვარით მოვარაყებულს
და ზღვის ტალღები ძველ ნაპირებს აწყდება ისევ...
მე მახსოვს ქარში გადახსნილი შენი საყელო
და გაზაფხულის ვარდფურცლობა და სიმაისე!..

შენი აჩრდილი წუხელ, ისევ გამომეცხადა,
ვერ გითხარ ლექსი შესაფერი, რაიც მეწადა!..

16.07.89
სოხუმი

***

ვნახე ქარიშხალს რომ შეება მუხა ბებერი,
შეუპოვრობა მე ამგვარი ჯერ არ მინახავს!
იბრძოდა იგი რაინდული სულისკვეთებით,
ამდენი ძალა, ნეტავ, როგორ შემოინახა!.

ტოტებდარბეულს არ აკრთობდა შიში სიკვდილის,
ცას გადაჰკვროდა შემზარავი ფერი გუდრონის!
ო, ჯერ არავის არ უნახავს ის ფერმიხდილი,
თუმც ბევრჯერ რისხვით დაემუქრა ჟამი უნდობი!

ვეება სივრცე ირგვლივ, როგორც კოშმარი იწვა,
იმუქრებოდა ღრუბლის დელგმა ცეცხლის მოდებით!
ის კი, ტოტებით ეხებოდა მშობლიურ მიწას,
როცა გრიგალი შეუტევდა გაბოროტებით!

მზე, კვლავ, ჭრილობებს უშუშებდა ღამით ნაომარს,
ჟამთან კვეთებით გაურბოდა არარაობას!

22.11.89
სოხუმი

***

„ჰოი, დედანო, მარად ნეტარნო,
კურთხევა თქვენდა, ტკბილ-სახსოვარნო!.“
**ნ. ბარათაშვილი**

მახსოვს, მსოფლიო უჩვეულოდ განახელები,
ბარბაროსები მოვარდნილი ცეცხლის ღვარებით!..
მე თვალწინ მიდგას დაძარღვული თქვენი ხელები
და ტკივილებით დანაღმული სივრცე თვალების!..

არ ნებდებოდით ბედის მწარე უიმედობას,
ხელში გეჭირათ ხან თოხები, ხანაც ბარები,
დასტრიალებდით ჯეჯილებს და მინდვრის დედოფალს,
მოჩანდა ყველგან მხოლოდ თქვენი ნატერფალები!..

მაგ შემართებას ვერ დაიტევს, ალბათ, ტომებიც,
მსგავს სიმამაცეს ვერ იხსნებს მიწა ბებერი!
თქვენ მახსენდებით, ჩემი სოფლის ქალბატონებო,
და, ის დღეები ერთგულებით უბერებელი!

ვერ დაგიწერეთ შესაფერი ჯერაც ბალადა,
აქ იყო თქვენი დიდგორიც და თქვენი მარაბდაც!..

12.06.90
ბანა

***

ვდგავარ ზღვის პირას, გავცქერ ღელვას ლურჯი მორევის,
ო, ეს ტკივილი უჩვეულო ვინღამ მოდენა
დაიწყო ცვენა ცის სიღრმიდან მეტეორების,
შენ რად დაღონდი, გულო ჩემო, მოულოდნელად?!

წავიდა ის დრო აღტაცების, და შემოდგომის
ცივი ქარები მიაფრენენ ფოთლებს ხმაურით!..
გახუნდა სივრცე და ფერი აქვს ამაღამ ქრომის,
ზვირთები ჯებირს აწყდებიან აურზაურით!..

საით მიაფრენს ფერმკრთალ ფოთლებს ავყია ქარი,
და ჩემს ტკივილს და მწუხარებას არა აქვს ზომა!..
როგორ დაიმსხვრა უმოწყალოდ ცა მინანქარის,
ნუთუ, ზეცაში ვარსვლავებმაც დაიწყეს კვდომა!

ბუნების წესით, ვისაც მოსვლა დაებედება,
შიში რღვევის და დავიწყების რატომ ედება?!

25.10.90
სოხუმი

***

**გიორგი სააკაძეს**

„ის იყო საომარი თალპიონის
სწორუპოვარი ხელოვანი.“
**ლ. სანიკიძე**

ორმა ვეშაპმა საქართველო ვეღარ გაიყო,
ჯვარცმულს სიკვდილი სიცოცხლეზე ასჯერ ერჩივნა!
შენ, ერთადერთმა ვეებერთელა მსხვერპლი გაიღე,
რომ შენი ერი დაღუპვისგან გადაგერჩინა!..

ებრძოდი მედგრად შინ და გარეთ უკუღმართობას,
ფარნავაზის და გორგასალის ქვეყნის სატკივარს!..
შენი სახელი ელვარებდა, როგორც მნათობი,
იყავ გენია ბრძოლის ველის, რომ ვთქვათ მარტივად!

უნაგირიდან ვერ მოგისხლეტს დრო ულმობელი,
შენ ორ დიდ ვეშაპს – ქარიბდას და სცილარს ეომე!..
ეს იყო ომი მრისხანე და დაუნდობელი
და საქართველო, კვლავ ფერფლისგან აღდგა მეორედ!

შენისთანები ეწირება მამულს საჩინოდ,
ოღონდაც სული, ერის სული გადაარჩინოს!

28.12.11
სოხუმი

***

ო, ის ნაბიჯი გახდა შენთვის საბედისწერო!
მწუხარე ცაზე გავცქერ მთვარის მოლურჯო ქსოვილს...
მე მომისაჯა ღმერთმა მხოლოდ ლექსები ვწერო,
როცა შემარხევს ტკივილამდე სიმები ხსოვნის!..

გაარღვევს კედელს ყრუს, შემზარავს, სიტყვების ჯერი,
მიარღვევს სივრცეს შენი სულის ობოლი წერო!..
არ დაგივიწყებს, მეგობარო, სიმღერა ჩემი,
თუნდაც, იქროლონ გრიგალებმა ათასი წელი!..

საწუთროს ბრუნვა სულაც აღარ აშფოთებს გამჩენს,
მოისურვებს და ჩამოუშვებს შემზარავ ფარდას!..
სიკვდილის შემდეგ ქვეყანაზე რა უნდა დარჩეს,
სიყვარულის და სათნოების ნაყოფის გარდა!

თუკი დარჩება, ეს ორივე მშვენება კაცის,
ვერ დაამარცხებს მაგ შენს სახელს სიკვდილი მკაცრი!

15.08.92
სოხუმი

***

გამოვეთხოვე გაზაფხულის დღეებს საოცარს,
სულს მიღრღნის ახლა ჩუმი სევდა დაუფარავი!..
მე ვეფერები მაგ შენს თვალებს მარად სალოცავს,
შორს დარჩა, სადღაც, ჩვენი ტრფობის თეთრი კარავი!..

გვითვალთვალებდა ბუჩქებიდან ცელქი ამური
და ხელში უხმოდ დაჭიმული მშვილდი ეჭირა!..
ღამეს უნაზესს ჰქონდა ფერი სისამურის,
რომ ჩვენი სულის სილამაზე გადაერჩინა!..

და ვარსკვლავები გვიგალობდნენ ციდან საამოდ,
მხრებზე კი შენი თაფლისფერი თმები მეღვარა!..
ასე ვხვდებოდით აღტაცებით ყოველ საღამოს,
ჩვენი გვეგონა, საყვარელო, მთელი ქვეყანა!..

ახლა უშენოდ ეს ცხოვრება მეუცხოება...
და ასე მიდის უფერულად ჩემი ცხოვრება!..

22.10.92
ქუთაისი

***

დროის დინება, ნუთუ, ქვეყნად ყველაფერს აქრობს
და დავიწყების ბინდი უხმოდ მოეფინება?!
შენი მშვენება, საყვარელო, როგორ არ ვაქო,
როდესაც ღმერთმა ის საჩუქრად ჩემთვის ინება!..

შემოეძარცვა გაზაფხულის შუქი მინდორ-ველს
და ფოთოლცვენის ლანდი უხმოდ დაეხეტება!..
იმ დღეთა ხსოვნას მე როგორც განძს, ჩემთვის ვიტოვებ
და მას ვერაფერს ვერ დააკლებს ჟამის შეტევა!

შენი სინაზე მოეფინა ლექსის სტრიქონებს,
თუმც განშორების სიო ჩუმად მეჩურჩულება!
შენ ამ მიწაზე სილამაზედ გადაიქროლე
და პოეზიის ცაზე რჩები, როგორც თქმულება!..

ამ ჩვენს სიყვარულს ჟამთა დენა ვერასდროს წაშლის,
თუნდ, უჩვეულო სიძულვილით ჩაგვიდგეს კვალში!..

26.09.92
სოხუმი

***

როგორ იქნება მოგონებამ არ აგაცრემლოს!
მითხარი, დროო, თუ საითკენ მიექანები?
საით წახვედით, ჩემი სოფლის ბერიკაცებო,
დამუხტულებო გაზაფხულის მზით და ქარებით?!

შორს, ცის სიღრმეში, უთვალავი იწვის სანთელი
და მოირხევა სიშორიდან შუქი ღვარებად!..
ჩვენ გზას გვინათებს თქვენი სიბრძნის დიდი ნათელი,
რომ არ დავნებდეთ სიბილწეს და გადაგვარებას!

რწმენის გარეშე სავალს ვეღარ გაიადვილებ,
თქვენმა ოცნებამ კვლავ ძლიერი ფრთები მოისხა!..
თუმც ჟამი ყმუის ბილიკებზე, როგორც ნადირი,
მაგრამ ის ვეღარ გაექცევა ჯომარდ მოისარს!..

მიიზვირთება ეს ცხოვრება მრავალხმიანი,
მაგრამ გვამხნევებს – კვლავ თქვენი ხმა ომახიანი!..

24.10.92
ბანძა

## საით მიეშურები, მზეო?!

***

შენ ატირებდი დაწყვეტამდე სიმებს გიტარის!..
მდინარის პირას – ფონზე მკრთალი სილუეტების..
ვინ მოთვლის იმას, რაც შენ მაშინ გადაიტანე,
და ყველაფერი ეს დამთავრდა გულის შეტევით!

შენ იყავ მსხვერპლი ავბედობის, არაკაცობის,
რომელიც ახლა ქვეყანაზე ყველგან ბოგინებს!..
ვერაფერს გახდი, ვერც სიმედგრით და ვერც დაცხრომით,
ვერ გაარღვიე სივრცე მკაცრად შემოღობილი!

მიხვალ დაღლილი და ჟამისგან მიუსაფარი,
წამებით სავსე, მისი სული იხსენ უფალო!..
იქვე, წყლის პირას დაგახურეთ ქვიშის საბანი
და ზედ აღვმართეთ მეგობრებმა ჯვარი უბრალო!

შენ თქვი სათქმელი მოყვითალო ფონზე ფერების,
და მე შემომრჩა მწუხარება დაუბერები!..

25.11.93

ბათუმი

***

„უსიყვარულოდ არ არსებობს არც სილამაზე,
არც უკვდავება არ არსებობს უსიყვარულოდ!“
**გალაკტიონი**

ჩემს სარკმელს ფრთებით ეხლებიან თეთრი მტრედები,
მალე მინდვრები ყვავილებით მოიჩითება!..
მე გაზაფხულის მოსვლა, ისევ მეიმედება,
რომ მერე დიდხანს იგალობონ ბაღში ჩიტებმა!..

მზე კვლავ ამოდის უჩვეულო ფერთა თამაშით,
ფრთები მოისხეს ალტაცებით მთებმა, ქედებმა!
შენთან შეხვედრა კვლავ მომინდა დაღლილს დამაშვრალს,
გულს სიყვარულის დაუშრეტი ცეცხლი ედება!..

უსიყვარულოდ სულიერის ვერ სძლებს ნასახიც,
რადგან მოხვედი, გზები ქროლვით უნდა მოლიო!
ო, ეს სამყარო არის მხოლოდ ტრფობის სასახლე,
იმსხვრევა სული უსივრცო და უჰარმონიო!

იქროლე მედგრად, სიყვარულის ფრთებით ძლიერით
და, რას დაგაკლებს სივერაგე გადამთიელის!

08.02.94
მოსკოვი

## სანამ მიცურავ, მზეო?!

*******

შოთა ლაზარტყავას ხსოვნას

ხედავდი მამულს ფრთებდალეწილს და გულში დაჭრილს,
ჟამს გამოხედვა ჰქონდა ურჩი და თავხედური!..
ვაჟკაცი იყავ და ბოლომდე ვაჟკაცად დარჩი,
გაითავისე, მეგობარო, გზა უბედურის.

მიაბიჯებდი ნანგრევებში მხედარი მტკიცედ,
ბოლმამ ერთბაშად გადმოხეთქა ყველა ჯებირი!..
შემოგბღაოდა დაშრეტილი თვალებით სივრცე
და მზე სიცოცხლის – ათასობით გადაჯეგილის!..

და ბარიერთან ბოროტების პირისპირ დადექ,
გეფინა შუბლზე უკვდავების შუქი ძლიერი!..
ამიერიდან შეუერთდი მამაცთა ლანდებს,
ვეფხვის ნახტომით დაასრულე გზა მიწიერი!..

არ გინაღვლია განშორება სულის და ხორცის,
სული გაფრინდა!.. და აქ დარჩა საფლავის ბორცვი!

***

მოვა ჟამი და დავშორდებით ერთმანეთს ხორცით,
მაგრამ სულები აინთება ვარსკვლავთა წიაღ!..
დარჩება ჭალა და ცისფერი პატარა ბორცვი
და ყვავილები თამაშით რომ  გადააქვს ნიავს!..

ჩვენ რომ გვიყვარდა ის დღეები გაფრინდა სადღაც,
და ის ვარდები ჟამის ურჩი ქარებით დაჭკნა!
ამ სამზეოზე ჩვენი ყოფნის თავდება ვადა,
უნდა გავფრინდეთ, მეგობარო, სხვა რაღა დაგვრჩა?!

ცოცხალთა შორის ვინ მიხვდება, რა ხდება იქით?
შეუცნობია ჩვენთვის მარად განგების ძალა!..
ჩვენ იმ სივრცეებს ვეღარ ვწვდებით მოკვდავნი ფიქრით,
ყველაფერს, რაღაც იდუმალი ბურუსი ფარავს!..

და თუ სხეული სულთან ერთად მტვერია მხოლოდ,
მაშინ, მითხარი, საყვარელო, რა რჩება ბოლოს?!

***

გაზკამერისკენ მიმავალთა იდექი რიგში
მეოცე ნომრით, ნაწამები პატარა გოგო!
ნუთუ ამ ქვეყნად, საყვარელო, ტანჯვისთვის იშვი,
გართმევდა სუნთქვას ჟამის დელგმა ვარდისფერ კოკორს!

გაქცევა სცადე, და ის კაცი ხალათით თეთრით
ყელში გწვდა შვლის ნუკრს, შეგაბრუნა მწყობრისკენ მარცხნივ!
დაგებნა მძივი სამახსოვრო, საყვარელ დედის,
ხოლო, სურვილი სამუდამოდ დამთავრდა მარცხით!

იქ ჩაგაყენეს, სად გიცდიდა ჯიუტად რიგი,
ბრდღვინავდა მხეცი კაცის სახით, მართლაც წყეული!
ვეღარ გაუძლო გულმა ეკრანს! გამოვრთე იგი
და ავცახცახდი ტკივილისგან მთელი სხეულით!

ექიმო კაცო! ვინ გაგხადა ასე სასტიკი?
ვინ შეგიცვალა მკერდში გული შავი სვასტიკით?!

16.03.97
მოსკოვი

***

აწი, სად ვპოვო, ის ღიმილი საოცრად თბილი?
დავეძებ, მაგრამ არაფერი მეიმედება!
ვეღარ ვშორდები ჩემი ყრმობის გაძარცულ ბილიკს,
დრო მიდის, მაგრამ მწუხარება აღარ ბერდება!

ვერ იქნა ჩემში სატკივარი ვეღარ დაძველდა,
დავცქერი ლოდებს სამუდამოდ გაჟღენთილს სევდით!
ამოდის მთვარე, კვლავ ჩერდება მაღალ ნაძვებთან
და მელანდება სათაყვანო აჩრდილი დედის!..

დავდივარ მარტო, აქ ჩემს გარდა არავინ არის
და სული მექცა ამოუშრობ წუხილის გუბედ!..
ისევ, იღვრება სიშორიდან სხივები მთვარის
და ჩემს გარშემო იდუმალი სიჩუმე სუფევს!..

თქვენ მაგონდებით, ამ მთვლემარე ფონზე ლოდების,
როცა მეც წავალ, ნუთუ ვინმეს მოვაგონდები?!

10.10.97
ბანძა

***

ხმით სევდიანით, ისევ არხევ სივრცეს შორეულს,
მღერი გოგონა და ტირიან ვარსკვლავნი ღამის!..
გისველებს ღაწვებს ჩუმი ცრემლი გრძნობამორეულს,
ვინ ჩაგიღვარა მაგ სხეულში ანგელოზს შხამი?!

იქნებ, ცხოვრების ეჭიდები ვეება ბაგირს
და მწუხარების მთელი ძალით გაშალე აფრა!..
შენ მღერი მარტო, არხევ სიმებს ღვთაებრივ ჩანგის
და სიყვარულით კვლავ ეძახი ბავშვობის ზღაპარს!..

იქნებ, დღეებმა შეგარხიეს კივილით მძაფრით
და მღვრიე ზვირთი უსაშველო მორევში გითრევს!
მითხარ, ასულო, ასე ძლიერ რად ღელავ, მარქვი,
იქნებ ტრფიალის აუტანელ სატკივარს ითმენ?!

იქნებ დემონის უსახური ლანდი გაშინებს
და სული ციურ ანგელოზებს დაუკავშირე?!

21.06.99
მოსკოვი

***

რად გახდა ასე პროზაული ჩემი ცხოვრება?
დღეებს მიმავალთ, თითქმის, უკვე მხარი ავუბი!
შენი ხატება, სულო მარად მემახსოვრება,
და ის ლამაზი ღიმილი და ტონი საუბრის!..

ის ხეივანი გახდა უკვე ცივი და მკაცრი,
ფერთა თამაშით მიილია დღეები მწველი!
რაც კი გვებოძა, ჟამი ისევ ხელიდან გვაცლის,
რა შეგვრჩა? – მხოლოდ მოგონებით თვალები სველი!..

მივათრევ დღეებს ულიმღამოს და როგორ მიჭირს,
ჩამოიქროლე, ერთხელ კიდევ, ლურჯო ნიავო!
საით წავიდა ის პატარა, ლამაზი ბიჭი,
რომ შორს გაქცეულს ეწეოდა ველზე ნიამორს?!

გულს მძიმედ დაღლილს – ეს რა მძიმე სევდა მოება!..
სად გაქრა ო, იმ სილამაზის უსაზღვროება?!

12.09.01
ბანძა

***

აჰა, ვშორდები ჩემს ეზოს და სანუკვარ მინდვრებს,
რომელსაც აწი, მეგობარო, ვერასდროს ვნახავ!
წინ, ნისლიანი საცალფეხო ბილიკი მიდევს
და ჟამი გულზე რა ულმერთოდ მიმიზნებს ლახვარს!

მე ვეფერები კოშკს ოცნების, რომელიც ვაგე,
ვით მინდვრის ყვავილს ეფერება ნიავი დილის!
გზებზე მოფანტულს ვხედავ ჩემი ცხოვრების ნანგრევს
და ჩემი ლანდი სიყვმაწვილის საბრალოდ ტირის!..

სევდიან მზერით შორს მიმავალ იალქნებს მივსდევ
და მივაბიჯებ მშობლიური ჭალისკენ ოხვრით!..
ჩემო აბაშავ, უჩვეულო ტკივილებს მისევ,
შორეულ გზებზე ხეტიალით უზომოდ მოღლილს!

ო, ერთხელ კიდევ ჩავისუნთქავ შენს ჰაერს ხარბად
და მერე თვალებს განშორების ცრემლებით განვბან!

12.11.02
ბანძა

***

ჩემი ძვირფასი ლექტორის, ცნობილი ფიზიკოსის –
**ვიქტორ ბეშიძის** ხსოვნას!

მოვიდა სხვა დრო სხვა ფიქრებით, სხვა გატაცებით,
თქვენი ამაგი ო, მე მედამ მემახსოვრება!..
როგორ მომრავლდნენ ქვეყანაზე არაკაცები,
რასაც ებრძოდი შემართებით მთელი ცხოვრება!..

მოვიდა სხვა დრო, სხვა ფერებით სუნთქავს ქალაქი
რაც იყო, იგი საუკუნოდ დარჩა თქმულებად!..
თქვენს საფლავზე კი ნაზამთრალი ფეთქავს ბალახი
და გაზაფხულის სიო ლურჯი ეჩურჩულება...

მოვიდა სხვა დრო! და, ამაზე წუხდი ნიადაგ!
იმ დიდ წარსულთან ამ დღეების არ ჩანს მსგავსებაც!
დროთა კავშირის ვხედავ უკვე აყრილ ლიანდაგს,
ღირებულების უღვთოდ ხდება გადაფასება!..

წავიდა ის დრო და, ვერასდროს მოვა მეორედ,
მაგ სულის ღელვას, კვლავ, ვერავინ გაიმეორებს!..

21.04.03
მოსკოვი

***

ლამანჩელივით მეც დავრახტე ჩემი თეთრონი,
ტანს კი ბექთარი მიმშვენებდა, თავს მუზარადი!..
გავიჭერ გზაზე, რომ მომესპო ეს ულმერთონი
და ბრძოლის ველზე ხმლით და ხაფით ბოროტს ვზარავდი!..

მეც მახლდა სანჩო, მეაბჯრე და ერთგული მოწმე
და დაჭრილს ბევრჯერ დამაფარა ტანზე ზეწარი!..
მეც სისხლით ქარის წისქვილების მინდორი მოვრწყე
და ვლეწე მტერი ჯერ ბოლომდის დაულეწავი!

გადავცქეროდი გზებს და მინდვრებს სახით მჭმუნვარით,
სწორუპოვარი მეომარი და შორსმჭვრეტელი!..
მეც ღმერთმა მომცა ქვეყანაზე ბრძოლის უნარი
და სული მქონდა დაუღლელი, დაუშრეტელი!.

მე, რაც გადამხდა, ის საქვეყნოდ გახდა ცნობილი,
რა ვიყავ ნეტავ? – რაინდი, თუ ძე შეცდომილი?!

28.07.03
მოსკოვი

# დავით ტაბუნია

***

ვერ შემიცვნია წუთისოფლის გზები ტიალი,
ან ეს პლანეტა როგორ ბრუნავს ძალიან მიკვირს!
დასაბამიდან აქ იმდენი ცოდვა ტრიალებს,
საოცარია, დღემდე როგორ გაექცა სიკვდილს?!

თანამგზავრებით მზეო, საით მიექანები?
მიწას სირცხვილით უკვე თვალის გახელაც უჭირს!
ცა ვარსკვლავებით ფეთქავს, როგორც ლურჯი ზმანება
და დედამიწა ცოდვით სავსეს მიათრევს ხურჯინს!..

ო, ამ სამზეოს უკვე ქცეულს არარაობად,
აფორიაქებს ბოროტების ფრთები საზარი!..
ჟამი ვერ უძლებს დემონების ამ გულზვაობას,
ლამის, დაკეცოს მზემაც ფრთები უზარმაზარი!

ცა მადგას თავზე შემოდგომის შუქით დაცლილი
და გორმახებში სტვენით გარბის, სადღაც, მაცილი!

17.09.03
მოსკოვი

***

**დედას**

როცა შენ წახველ თხუთმეტი წლის ვიყავი მაშინ,
ჩემი ბავშვობის ოქროს ხანა დამთავრდა ამით!
სოფლის ბოლოში ჯოხის თეთრი დავტოვე რაში,
მხოლოდ სიზმარში მოდიოდი, ძვირფასო, ღამით!..

უკანასკნელად გულდაწყვეტით შემახე ხელი
და მაგ თვალებში განშორების მოჯარდა ცრემლი!..
ეზოში კრთოდა შემოდგომის ნისლები თხელი
და იდგა, მხოლოდ მოყვითალო ფოთლების ცვენა!..

მერე ცხოვრებამ ჩამითრია ხმაურით, ზათქით,
მღვრიე ზვირთებმა მიმახეთქეს რამდეჯერ ჯებირს!..
ო, რა კივილით მოდის ახლა დღეები ზამთრის,
მივყვები ბილიკს – შენი შვილი დაღლილი წლებით!..

დროის მდინარე, ისევ ღელვით მიედინება!.
მე ის დღეები მახსენდება და მეტირება!..

04.10.03
მოსკოვი

***

შავი ბერეტი ბოროტების თავზე გახურავს,
დასაბამიდან ყოველივეს სპობ და ინელებ!..
სად მზე ყვაოდა, იქ ამეფებ მხოლოდ სიბნელეს,
ძარცვავ სინაზეს, სილამაზეს აუსახურებ!..

ბაგე, რომელიც უღიმოდა დღის ელვარებას,
თვალი, რომელიც ჯადოსნურის იყო მხილველი!..
სული, რომელიც დაფრინავდა, როგორც ფრინველი,
ჩამოსცილდება, მხოლოდ შენით ციურ ზმანებას!..

შეხედე წყაროს, მოხასხასეს ამ ლურჯ ფერდობზე,
უსმინე ჩიტებს, რომ ათრობენ სივრცეს გალობით!..
ეს, ყველაფერი იძარცვება შენი წყალობით
და ხდება მსხვერპლი სიმახინჯის, უიმედობის!..

აქ, ხომ ყველაფერს დროის მკაცრი ბეჭედი აზის!
რა რჩება? – ლექსი, მხოლოდ შერწყმა გრძნობის და აზრის!..

22.12.03
მოსკოვი

***

ერთხანს იდექი, კეისარო, წინაშე სფინქსის,
პირამიდებთან მძლავრი სუნთქვა გესმოდა მისი!..
თუ რა უთხარით თქვენ ერთმანეთს – არავინ იცის,
მის ცივ თვალებში კრთოდა მხოლოდ ფარული ნისლი!..

უმზერდით ერთურთს – შენ მგზნებარე, ის მკაცრად მშვიდი!
ვეღარ გაუძელ მის ჩუმ ღიმილს, მზერას ალმაცერს!..
შენ კეისარო! – საუკუნის იალქნებს შლიდი,
ის – მარადიულს!.. და ამიტომ ვერ დაამარცხე!

შენ წარმავლობა აქ იგრძენი დიდების ჟამის,
რომელიც დროის გრიგალ-ქარებს ამაოდ უძლებს!
შებრუნდი მისგან მოქანცული ფიქრებით შავით
და მიხვდი უმალ, რომ ულმობლად შეგერყა ფუძე!..

ის დღესაც იქ დგას, სივრცისა და დროის დარაჯად,
როდესაც შენი მკრთალი ლანდი უკვე არა ჩანს!

11.01.04
მოსკოვი

***

ყველა შემოქმედს სდევდა გრძნობა უკმარისობის
და, მეც ამ გრძნობამ უცნაურად ამიყოლია!..
ჩემი არსება დაიხვრიტა იჭვის ისრებით,
თუმც, ლექსზე უფრო საიმედო არვინ მყოლია!

ნუთუ, ეს არის ყოველივე, რაზეც ვღელავდი
და ფრთების გაშლა უფრო მძლავრად რჩება სურვილად!..
ვინ დამიხურა ჭაბუკობის გზები ფერადი
და ცა ლამაზი ვარდფურცლობის ორქოცურვილი?!

ო, ეს რამდენჯერ აბობოქრდა ჟამი მრისხანე,
შმაგი კივილით – ეს რამდენჯერ შემომიტია!
ჩემი ფიქრები მარადმწვანე რტოებს ისხამენ
და სულში მაინც უკმარობის გრძნობა მინთია!..

ვეცადე, მაგრამ ვერ გავედი იჭვის ველიდან,
გაორებლი ვრჩები კაცი ამიერიდან!..

09.02.04
მოსკოვი

***

სადღაც, გაფრინდა მომღერალი ჩიტების გუნდი
და მე შემოვრჩი შემოდგომის ყვითელ ნაპირებს...
ვერ იქნა დღემდე ჟამის ვეღარ დავლეწე ხუნდი
და დარდმა ბევრჯერ მომამწყვდია, გამინაპირა!

უკვე დაკეცა გაზაფხულმა აფრები მწვანე
და მოხასხასე გაიხადა სივრცემ მანტია,
გულს მისუსხავენ ფოთოლცვენის ქარები მწარედ
და სული ვეღარ ეგებება ლხენით განთიადს!

დღეთა დინება ვერ მიფანტავს მღვრიე კაეშანს,
მინდორზე უხმოდ მოყვითალო ნისლი მოცურავს...
აიკლო სული უსაშველოდ ქარის თარეშმა
და ვდგავარ ჩემთვის ფოთოლცვენით გარემოცული!..

უშენოდ, ნეტავ, სანამ უნდა ვიხეტიალო,
მოდი, ეს გულიც ამომგლიჯე, ბარემ, ტიალო!

22.02.04
მოსკოვი

***

მე მთაწმინდიდან გავცქერ ახლა მთვარის ნახევარს
და ჩემი ქვეყნის გასაჭირი ცეცხლად მედება!
თქვენი შვილობა მამულს მუდამ ეამაყება,
და თქვენი ჩანგის ფერუცვლელი შემოქმედება!

ძველი წავიდა, საუკუნე მოდის ახალი,
მაგრამ ტკივილი შემზარავი ჯერაც ვერ დაშრა!
ქვეყნად არასდროს არ ბერდება აზრი მაღალი,
რადგანაც იგი არ მორჩილებს რღვევას და დაშლას!

ათიათასჯერ ჩავიმუხლებ თქვენს საფლავებთან,
სანამდე ქვეყნად მზე ქართლოსის ცაზე ანთია!
ხვალინდელ დღეზე მწარე ფიქრით გული დაბერდა,
ვეთაყვანები მამულის ცას მრავალსანთლიანს!..

კარგად იცოდით რას ნიშნავდა, ერის შვილობა,
სიცოცხლის ფასად უშუშებდით მამულს ჭრილობას!

14.05.05

თბილისი

***

სული ვერ უძლებს მოსკოვური ყვავების ჩხავილს,
დრო გულს მისერავს, ულმობელი სევდა მერევა!..
აჰა, საცაა, დაიწყება ქარ-ყინვის ჩქამი,
და ამაზე მეტს რას ინატრებ ბედნიერებას?!

ჩემს მიდორ-ველზე ვარდ-ყვავილებს მზე ჰყავს გუშაგად,
აქ ყველაფერი კვლავ ცახცახებს შიშით ყინულის!..
ხედავ, სიცოცხლეს ჟამმა ფრთები გადაუშავა,
იქ, ჩემს მამულში ფეხშიშველა გარბის ბინული!..

მე ღელვა მიპყრობს, რომ სული არ გაუდაბურდეს,
ვით ავიტანო ო, ეს ტანჯვა აუტანელი?!
შენ ჩემი ქვეყნის გზა ნათელი ბევრჯერ დაბურდე,
ჭუჭყში სცურავდი, რჩები კვლავაც დაუბანელი!

კვლავ უსმენ არყის ტოტებიდან ჩხავილს ყოვების,
მშვიდობით! – უკვე  დგება ჟამი გამოთხოვების!..

29.09.05
მოსკოვი

# დავით ტაბუნია

*******

„ვინ იტყვის ახლა, რომ ვცხოვრობდით
ჩვენ ქვეყანაზე?!“

**გარსია ლორკა**

შენ წახველ უკვე!.. ხელმეორედ ვერასდროს მოხვალ!
და შეუერთდი სულით ზეცას მრავალსანთლიანს...
ამ განშორებას ო, რა მძიმე ტკივილი მოჰყვა,
დავდივარ, ჩემში შენი ნაღდი ხსოვნა ანთია!..

ეს ვინ ჩაგვიქრო ჭაბუკობის სივრცე ფერადი?
დრო, რომც ეცადოს მაინც ვეღარ გაგვაქილიკებს!
რომ ყოფილიყავ, ერთხელ კიდევ შევუბერავდით,
მერე ყიჟინით გავცდებოდით სოფლის ბილიკებს!..

იმ ჟამს გარდასულს ვეფერები მძაფრი ტკივილით
და სიო არხევს ტირიფებთან, ისევ ლელიანს!..
სიკვდილლსაც შეხვდი, მეგობარო, თურმე ღიმილით,
თუმც, ამ ღიმილში ეჰ, რამდენი სევდა ერია!..

მივათრევ ახლა ბებერ მხრებით დღეებს დარჩენილს
და იცრემლება სული, როგორც ღრუბლის ნაჭერი!..

20.10.05
მოსკოვი

***

**მილიცა კორიუსს**

ლექსი მთლიანად ვერ გადმოსცემს ჩემს ნაოცნებარს,
ო, ვერც მუსიკა, ვერც სკულპტურა და ვერც ფერწერა!
დარჩები მუდამ ცის და მიწის შენ გაოცებად,
როცა სიცოცხლეს მოაწყდება ვალსის მეწყერი!..

ცოტაა შენთვის, რომ გიწოდონ ვენის ტყის ნიმფა,
ანდა მუსიკის ნაივქარში მცურავი გედი!
შენი ხმის ტემბრი და სილაღე თაობებს ხიბლავს
და სულში იგი ღვთაებრივი სინაზით შედის!..

ო, შენს ღიმილში ვარდფურცლობის იღვრება თოვლი
და ის სიცოცხლის სილამაზეს უსაზღვროდ ერწყმის!..
იქნებ, მიწაზე ჩამოფრინდი ღმერთების თხოვნით,
და, ისევ უკან დაუბრუნდი სამოთხეს ზეცის?!

შენი ხმის ექოს ო, არასდროს ეცვლება ფერი,
ეს არის სულის უკვდავება, – სხვა არაფერი!

22.03.07
მოსკოვი

## დავით გაზუნია

***

„არავის ძალუძს ხორციელსა განგებისა გარდავლენა!“
**შ. რუსთაველი**

არ დაგენანოს, რომ შენ მიხვალ და სხვა რომ მოდის,
ეს ხომ ბუნების კანონია მარტივად თქმული!
გადაიხურე მდუმარების პირქუში ლოდი,
გზა გაიარე მეტად მძიმე და ძალზე რთული.

ფერიცვალება განახლების მდინარეს მოაქვს,
რომ აღარ იქცეს სამუდამოდ ჭაობად მიწა!..
უნდა წახვიდე, მეგობარო, თუ წასვლის დროა,
არ დაემდურო ამ ბუნებას, – შენს ლამაზ ძიძას!

ფერიცვალების  განუწყვეტლივ ირხევა ველი,
ნუღარ იდავებ, მას ვერასდროს, ვერავინ შეცვლის!
ახალი მოდის! სამუდამოდ ირღვევა ძველი
ვერც ბულბულის ხმას გაიგონებ, ვერც ჭიკჭიკს მერცხლის!

ფერიცვალების ასეთია მუდამ ბუნება,
თვითონ სიკვდილიც განახლებას ემსახურება!

27.07.09
მოსკოვი

***

**ჟაკლინ კენედიმ სიკვდილის წინა დღეებში, თავისი მდიდარი არქივი ერთიანად ცეცხლს მისცა.**

შენ ბედისწერამ რა ულმობლად გაგაპარტახა,
იგი მოგსდევდა დაუნდობლად, როგორც მსტოვარი!..
შემორჩი ხსოვნად სამუდამოდ იმ დიდ ნატახტარს,
როგორც პრინცესა, როგორც ლედი სწორუპოვარი!

არ შეატოვე შენს დიდ არქივს რამე მცირედიც,
შენი ცხოვრების საიდუმლო აქციე ფერფლად!..
ფერიცვალების ხელებს მერე უხმოდ მინებდი,
ამგვარ განაჩენს, მე არ ვიცი, რა უნდა ერქვას?!

იმ კოშმარულ დღის ახლაც მესმის ზარების რეკვა!..
ყუმბარებივით ფეთქდებოდნენ თითქოს წამები!..
სისხლიან ხელით შემართული შემორჩი ეკრანს,
ო, ბედისწერის სივერაგით განაწამები!..

რად მოსპე ასე, ისტორია შენი ცხოვრების?
საუკუნეებს, ვით ჯვარცმული ემახსოვრები!..

24.07.09
მოსკოვი

## დავით გაზუნია

***

„ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა
ციდან ჩამოესმა რეკვა!“
**ხალხური**

შენ ქედს იხრიდი მხოლოდ ღვთის და ერის წინაშე,
სხვა სალოცავი სამზეოზე აღარ გყოლია!
მოსეულ მტერზე, ვით ლომგულმა ბევრჯერ ილაშქრე
და ბრძოლის ველზე დაუძლეველს ჰგავდი გოლიათს!

წაღმა აბრუნე იბერიის ბედის ბორბალი
და საალაფოდ არ აქციე ყორან-ყვავების!
მამულს დაკოდილს მამაცურად წყლული მოჰბანე,
გახდი, მეფეო, კაცი ერის სათაყვანები!..

აღარ დაინდე ორგულები – ქვეყნის დამქცევნი,
შენმა მარჯვენამ მტრები ერთობ მოსრა-მიახრჩო!
იყავი ქვეყნის ხმლით და სიბრძნით, მეფევ, დამცველი,
აღარ დაუთმე ქართლი მომხდურს საპიტიახშოდ!

დალეწე ყველა, შერკინება ვინც კი შეგბედა
და სიცოცხლეში უკვე იქეც კაცი ლეგენდად!..

25.12.91
სოხუმი

***

შენ განშორების სევდა უკვე ვეღარ დამალე
და წამწამებზე მოგეჯარა ცრემლის კურცხალი!..
ბედის სიურჩეს მკაცრად ბრძოლა გამოუცხადე,
მშობლიურ მინდვრებს გასცდი კიდეც, გაიტრამალე!..

უკვე ბავშვობის აგისრულდა შენ ის სიზმარი,
სად არ დაძრწოდი დევნილი და მიუსაფარი!..
სადღაც, შორს დარჩა მშობლიური მინდვრის ზღაპარი
და ის სახლკარი, – გისროლია სადაც ისარი!

დახეტიალობ, უკვე ბოლმას ვეღარ იშორებ,
და, რა საოცრად გენატრება ფაცხა მეგრული!
ვერ იქნა, ვეღარ გადალახე ზვირთი ენგურის
და მშობლიური სანახების მღვრიე სიშორე!..

სულში ხანდახან რწმენის მცირე შუქი იალებს,
ასეა კაცი, – ბედისწერის წრეში ტრიალებს!.

31.12.05
მოსკოვი

***

ცახცახებს მიწა მოლოდინში კოშმარულ ჟამის,
ვდგავარ ტკივილით გათანგული, ვერაფერს ვამბობ!
თეთრაფრიანი ზღვაზე, ისევ მიცურავს ნავი
და მე სიცოცხლეს და სიყვარულს ვუგზავნი ამბორს!..

როცა დაწყდება ბილიკები და სული ქროლვით
დატოვებს საზღვრებს დედამიწის განცდებით მძაფრით!..
აქ, ვერასოდეს შეირხევა წვიმა და თოვლი
და გახუნდება სამუდამოდ სიცოცხლის აფრა!

რატომ დამჩემდა, რომ მზის ჩასვლას ვუცქირო მშვიდად,
როცა აისი მიტაცებდა თამაშით ფერთა?!
თუ ჩემში ადრე გაზაფხული მწვანე ფრთებს შლიდა,
დღეს გული ჩემი ო, რა მწარე ტკივილით ფეთქავს!..

მივდივარ! უკვე განშორების მუსიკა უკრავს!..
და მე ამაოდ ვიხედები, ძვირფასო, უკან!

20.12.92
სოხუმი

***

ეს მერამდენედ ჩამოვკარი სიმები ჩანგის,
გულისთქმა ჩემი მოგანგაშე, რომ ყველას ვამცნო!..
დღემდე რად რჩება ეს პლანეტა სამყაროდ ჩაგვრის,
ესმოდეს ყველას – კიდით კიდე უცნობს და ნაცნობს!..

ხვეწნა-მუდარით ამ ვეშაპთან ვერაფერს გავხდით,
შეხედე ერთი, მოთმინება სანამდე გვეყო!
ჩემს სამშობლოში ბარბაროსმა დაიდგა ტახტი,
სწვდება ყველაფერს შემზარავი მისი ხმის ექო!

სურს დაამსხვრიოს ჩემს მამულში სიმაგრე ყველა,
ამ მთებს და მინდვრებს, მწუხარების ნისლები ათოვს!..
და ოკეანე უცნაურად სიცოცხლის ღელავს,
ო, ლამის არის, ყველა ქიმი დაემსხვრეს მნათობს!

ბოროტი ძალა ამ პლანეტას ახსოვს მრავალი,
მაგრამ არასდროს ო, ასეთი ქვეწარმავალი!

31.12.03
მოსკოვი

***

შენზე, ძვირფასო, ლამის არის, გადავყვე ფიქრებს,
ვერ იქნა, ვეღარ მოვიშორე ძალა ბოროტი!
რაღაც ვიყავი, ახლა უკვე არარად ვიქეც,
ვერ გავარღვიე, რის გარღვევაც მსურდა ბოლომდის!

ბორგავდა სივრცე ჩემს გარშემო დაუნდობელი,
მაინც არ ვგავდი, მეგობარო, შიშით ატანილს!
მეც მაბრუნებდა უცნაურად ჟამის მორევი
და მაწყდებოდა ეს ცხოვრება ფრთებით სატანის!..

მეფინებოდა სიშორიდან შუქი დიადი
და ანგელოზის ფრთებს არხევდა შენი ხატება!..
სიმს აჟღერებდა უჩვეულოდ ცა განთიადის
და ვგრძნობდი ჩემში გაზაფხულის შემონათებას!..

ეს ზეცა იყო, თუ ღრუბლიდან ელვამ ინათა?
ვდგავარ ტკივილით დაცხრილული რუსულ ჩინართან!..

03.03.04
მოსკოვი

***

მოვედი მაშინ, მეგობარო, როდესაც მიხმე,
ვინ მოთვლის ჩემში თუ რამდენი ტკივილი სახლობს!..
ცხოვრება, ისევ ცოფიანი ძაღლივით მიღრენს,
როცა ჩავუვლი გაბედული ნაბიჯით ახლოს!..

ნისლები რატომ ეფინება ბავშვობის მაღლობს,
მივდივარ მარტო, სანუგეშოს ვერაფერს ვხედავ!
უფერულ დღეთა სრბოლა უკვე არ მინდა ვნახო,
რატომ ჩამომდის თვალებიდან ცრემლები მხედარს?!

ვერ იქნა ვეღარ გავეცალე უაზრო ჭიდილს,
რწმენის სანთელი ნუთუ დღემდე ამაოდ ვანთე?
მსურს ბარიერთან, რომ დავცალო ეს ბოლო მჭიდიც,
საგანთიადო ზარებს რეკავს შორიდან მნათე!..

ჩემი ტკივილი უსაშველო შეწყდება მაშინ,
როცა სიკვდილი მომადგება კარებთან მარშით!..

12.10.05
მოსკოვი

***

აწი გაზაფხულს ერთად ვეღარ შევეგებებით,
არც შემოდგომის უჩვეულო ფერიცვალებას!
ჩვენ არც ბღავილი მოგვაწყდება ზღვიდან გემების,
სათვლავის ლოდი სველი ხავსით დაიფარება!..

საით გაფრინდა მოლაღურის ფრთების შრიალით
ეგ შენი სული, ღვთაებრივი, ნაზი არსება?!
უშენოდ, ვხედავ, იცრემლება მინდვრად ნიავიც
და ჩემი ყოფნა ხეს ფუტუროს დაემსგავსება!..

ბევრი გეფერე, არ მინდოდა შენი გაშვება,
დარდით მოქანცულს, ამ სხეულის მიჯირს ტარება!
ახლა უშენოდ ვხეტიალობ ამ ბნელ ღამეში,
ვიგონებ ცრემლით გარდასულ დროს, იმ ნეტარებას!..

ვიცი, ვერასდროს დავიბრუნებ იმ დროს თავიდან,
ასე ყოფილა, მეგობარო, დასაბამიდან!.

21.07.96
ბათუმი

***

ეს მერამდენედ პაემანზე მოვდივარ შენთან,
მაგრამ აქ ახლა მხოლოდ სრული სიჩუმე სუფევს!..
ეს ხეივანი უკვე დარდის ქცეულა გუბედ
და არხევს სივრცეს მოყვითალო ფოთლების სევდა!..

ისმის ჯებირთან გადაღლილი ტალღების ჩქამი
და შეუცნობი, იდუმალი ტკივილით მავსებს!..
აქ, მოგონება მწუხარებას უზომოდ მასმევს,
ვიხსენებ დღეებს გაზაფხულის ლამაზად ჩავლილს!..

ო, ვინ ჩამიქრო უცაბედად სხივები რწმენის
და გული ახლა, თითქოს, დანით დასერილს მიგავს!..
გაუტაცნია ო, ის წლები ულმობელ გრიგალს
და მივაბიჯებ ხეივანში... არავის ველი!

იდუმალ გრძნობით ხმას  გარდასულს მივაყურადებ,
მშვიდობით მეგი!.. იმ შორეულ გაზაფხულამდე!..

02.10.92
სოხუმი

***

მოდის კივილით ქარიშხალი, ისევ ტრამალის,
გადავეჩვიე, მაგ შენს ჩურჩულს, ჩემო ზეფირო!
მზე კი აწყდება მაღალ მწვერვალს ამომავალი,
რომ შემდეგ მთა-ბარს აღტაცებით შემოეფინოს!..

სული გაარღვევს ჟამს უდაბურს და, თან საშინელს,
რომ შეიყვაროს საუკუნოდ ცა უნაპირო!..
ჩემო ძვირფასო, დრო განგაშით ნუღარ გაშინებს
და ულმობელი ეს სისინიც ბნელში ვამპირის!..

გაუთავებელ მწუხარებას გული ვერ იტანს,
ვერც დიდხანს ყოფნას ამ მიწაზე განმარტოებით!
შენთან შეხვედრამ კვლავ აღმანთო, ჩემო მელიტა,
და გაზაფხულის აშრიალდნენ სულში რტოები!

ეგ შენი თრთოლვა სილამაზით ასე საჩინო,
თუ არა ტრფობამ, სხვა რამ უნდა გადაარჩინოს?!

22.01.76
ბანძა

***

შენ არ გივლია გათელილი გზებით მიწაზე,
არც ისე ჩუმად, როგორც დადის ლანდი მავანის!..
შენი ღიმილი და ლამაზი თრთოლვა ვიწამე
და ვარსკვლავებით მოქარგული ზეცის თავანი...

თვალს მიეფარა საოცარი წლები ბავშვობის
და ჭაბუკობის მოქათქათე აფრა გაშალე....
იყავ, ძვირფასო, ზეცის მკვიდრი, მიწის ნაშობი,
გააპე ზვირთი და გამოღმა კვალი წაშალე!

შეები სივრცეს, ბედისწერამ ასე ინება
და სამუდამოდ მიწიერი გზები დახურე...
შორს, უგზო-უკვლოდ შენი სული მიეფინება
და მე კი ტანჯვა უსაშველო დავიმსახურე!..

შენ წახველ სულო, შეუერთდი სივრცეს უჩუმესს,
აქ, შენს ბილიკზე გაზაფხულის ქარი ჩურჩულებს!..

22.10.85
სოხუმი

***

ვდგავარ კბოდეზე და გარშემო არავის ვხედავ,
მხოლოდ ტალღები უჩვეულო ხმაურით მიდის!..
რატომ ამკიდე სიყვარულის ვეება ტვირთი
ჟამთან ჭიდილში, ბრძოლის ველზე გადაღლილ მხედარს?!

სად გაქრა, ნეტავ, ჟრიამული ბავშვობის წლების?
იმ დღეთა შუქით ო, ეს ზეცა რატომ არ ბრწყინავს?!
ო, ეს მთებიც და ეს მინდორიც სხვა იყო წინათ
და სულში უკვე უბოლოო ტკივილი წვება!

ვუცქერ და გული მწუხარებით მევსება, თითქოს,
მინდა კვლავ ერთხელ ვეამბორო მაგ ცისფერ ნათელს!
დრო რეკავს ზარებს დაუცხრომლად, ვითარცა მნათე
და ბუჩქებიდან იცრემლება ბავშვობის ხვითო...

აბაშავ ჩემო! მთელი გულით მე შენი ტყვე ვარ!
გემშვიდობები! სისხლი ღელვით აწყდება ვენას!..

10.10.02
ბანძა აბაშის პირას

***

როცა ჩემს კუბოს სახურავი დაეხურება,
ვერ მივადევნებ თვალებს ჩემი ზეცის სილურჯეს!
ნუ შეშფოთდები უცნაურად, სულო იყუჩე,
რადგან ინება ყოველივე ასე ბუნებამ!..

წუთისოფლიდან საიდუმლო მიმაქვს რამდენი,
რას იზამ? – ქვეყნად ყოველივე ასე ხუნდება!
მიწის წიაღში ჩემი ძვლებიც  ახმაურდება
და ცის სიღრმეში აინთება წყვილი სანთელი!..

ობოლი წერო ჩემს სამარეს გადიკივილებს,
როცა ვერ ვნახავ მაგ თვალების ლამაზ ნათებას!
რატომ დაღონდი, გულო ჩემო, რა გემართება,
რადგანაც მოხველ, აიტანე ყველა ტკივილი!..

რა მოხდა გულმა თუ დაკარგა ბრძოლის უნარი,
სული დარჩება ამ ლექსებში გაუხუნარი!..

05.10.03
მოსკოვი

***

**ჰამლეტ გონაშვილს**

მე შენი ტემბრის ჯადოსნური რხევების ტყვე ვარ,
საიდან მოდის, რომელ სივრცით, ან საით მიდის?
ის შენი სულის სამყაროდან კვლავ მოირხევა
და ვაყურადებ მაგ ხმათა სპქტრს, ო, დღემდე რიდით!..

მიწიერ სევდას შენ მუსიკის ფერებში ახვევ,
დგება სურნელი გაზაფხულის საოცრად მკვეთრი!
შენ მღერი ერთი და ფერების სახე სცვლის სახეს
და უჩვეულო სილამაზით დინებას ერთვის!..

არა აქვს ზღვარი სიყვარულის მომხიბლავ ფეთქვას,
ლაჟვარდებიდან ანგელოზთა ხმა ისმის წრფელი!..
ამ სიდიადეს სანეტაროს, რა უნდა ერქვას,
ირგვლივ ყველაფერს აღმაფრენით ეცვლება ფერი!

ჭრილობებს მიწის ცდილობ ჰანგით მოჰბანო წყლული
და ორფეოსი გადგამს გვირგვინს შენ ოქროცურვილს!

17.05.72
სოხუმი

***

აპრილის ჩიტი ყვავილნარში ო, ისევ გალობს,
ირწევა სივრცე და დღეები იალქნებს შლიან!..
წამოდი, მერი, გაზაფხული სანამდის გვწყალობს,
მივაყურადოთ ხეივნების იდუმალ შრიალს!..

ვიჩქაროთ, თორემ შეუმჩნევლად გაირბენს წლები,
მიეფარება სანატრელი დღეები თვალებს!
ვერც ბაგეები შეხვდებიან ერთმანეთს ვნებით,
ვერც ხეივანში შეცურდება სინაზით მთვარე!

და გაფრენილი წლები ძალზე დაგვენანება,
ჩვენს ნაფეხურებს, როცა ჩუმად დაფარავს თოვლი!..
მერე, ამაოდ, გაგვიტაცებს შორი ზმანება
და ყვავილები სიოს ფრთებით კვლავ ანათრთოლი!

წამოდი, თორემ ჟამთა დენის გავხდებით მსხვერპლი
და ამ დღეთაგან, თითქმის, აღარ დარჩება ფერფლიც!

16.04.66
სოხუმი

*******

ლ-ს

„ჰო, მოითმინე, მოითმინე, ძალიან შორს
ყველაფერი უკვე ჩავიდა!..“

**საფო**

მიირხეოდი ჩამავალ მზის სხივების ჩქერში,
მიგაცილებდა მოგალობე ხმა იადონის!..
მაგონდება და, ის ოცნებად ანთია ჩემში,
საით წახვედი, რომელ მხარეს – „ვაჰ, დრონი, დრონი!“

ჩემს  სულს პოეტურს მოსაგონრად ეყოფა დიდხანს,
ო, ის საღამო რუსთაველზე, რომ მაქვს ნანახი!
უშენოდ, უკვე მომავალმა რა უნდა მითხრას?
ეფინებოდა მოცისფერო ბინდი სანახებს...

მიგაცილებდა უთვალავი თვალი ტრფიალით,
ცა შეღამების მიმოზისფერ შუქში წვებოდა...
და გიკოცნიდა ნაფეხურებს ლურჯი ნიავი,
ზღვაც შენი მზერის სილამაზით იფოფრებოდა!..

მზე ჩადიოდა ძოწისფერი სხივთა ფაფარით
და დარჩა ჩემში ის საღამო, როგორც ზღაპარი!..

04.07.67

სოხუმი

***

**ჩემს სახელოვან მასწავლებელს**
**ანტონ (მუცუ) კეკელიას ხსოვნას**

მე ვერ გიწოდებ ყოფილს, თუმც გული მტკივა ძლიერ,
გაფრინდა ჟამი ყრმობის და სევდას ვეღარ ვძლიე!
შენ ახალგაზრდა კაცი გვაძლევდი ცოდნას, იმედს,
დრო იყო მეტად მკაცრი და შემზარავად მძიმე!

დავალ ეზოში სკოლის, დავხეტიალობ მარტო,
მივაყურადებ... გული აქ, თითქოს, ქვასაც უცემს!
მე შენს ხატებას ვეძებ ამ ხეივანში, ანტონ,
შენი აჩრდილი ირხევა ჩამავალ მზეზე, მუცუ!

მოდიხარ გვიან ღამით სასაფლაოზე ბანძის,
სულისთვის აზრი არა აქვს დროის ქროლვას და მანძილს,
აქ ბებერ ძელქვას არხევს შემოდგომური ქარი,
ხვდები სანატრელ ლანდებს იდუმალ შუქზე მთვარის!

აქ, შენი სახლის კართან, გული ვერ მალავს ტკივილს,
ხოლო ბავშვობის ეზოში თეთრი მამალი ყივის.

10.06.17
თბილისი

*******

**ლ-ს**

ის ღვთაებრივი სილამაზე აქ განისვენებს,
სულმა მოასწრო სიშორეში უკვე გაფრენა!..
შენს ამ მიწიერ სარეცელთან ჩიტები სტვენენ,
მდუმარებს შენი ლურჯი ლოდი, სხვა არაფერი!..

ნუთუ, სიკვდილმა მაგ რხევების ჩაქრობა შესძლო,
ვდგვარ საფლავთან და, მაგ სულის ვამბობ შენდობას!
მე ვხედავ, მაგ შენს სილამაზეს სიკვდილთან მებრძოლს,
რომელიც დიდხანს არ დანებდა უიმედობას!

სიბერე, როგორ მოერია მაგ ფერთა რიალს,
ნუთუ, სიკვდილი ასე წურავს სიცოცხლის მტევანს!
იმ დღეთა ხსოვნა სიშორეში კვლავ მიაქვს ნიავს
და ეფინება შენს ლურჯ საფლავს ჩიტების სტვენა!..

ჩემს პოეზიას თან გაჰყვება შენი ხატება
და ჩემს ხსოვნაში უჩვეულოდ იწყებს ნათებას!..

08.07.17
თბილისი

***

ოცნებასავით იყავ მუდამ მიუწვდომელი,
მახსოვს, აპრილი სიყვარულით ხელებს მიწვდიდა!..
მზეო, აანთე ჩემს მამულში შუქი ცხოველი,
რომ ხელმეორედ წამოდგომა ვცადო მიწიდან!..

შინდისფერ ღვინით ერთხელ კიდევ თასი ამივსეთ,
სიცოცხლე უკვე ირღვევა და მიდის ჩრდილებად...
ეს ცა და მიწა პოეზიით გავითავისე,
ყოველთა დამხობს სული აღარ ემორჩილება!

დიდხანს ვუსმენდი აღტაცებით ბახს და ბეთხოვენს,
აჰა, საცაა მზე ჩავა და დაიბინდება!..
მე გაზაფხულის დღეებს ცრემლით გამოვეთხოვე,
ამ საოცარი ქვეყნის შემქმნელს მარად დიდება!

მზე მიირხევა და ფერებში სუნთქავს ტყე-ველი,
რჩება მუსიკა ჟამთა ქროლვით დაუძლეველი!..

12.06.06
მოსკოვი

***

ღირსების დარად ვერ შევამკე შენი სახელი,
მაგ მშვენებასთან პოეზიაც, თითქოს, ურჩია!
ვუცქერი ახლა, მე შენს თვალებს ცისფრად გახელილს,
ვარდის ბაგეებს, ვარდის სიტყვა ვერ შევურჩიე!

მუდამ ნაქები ამ ზღვისა და ზეცის სილურჯე,
ორივე ერთად, მაგ თვალების მკრთალი ლანდია!
რის თქმაც მინდოდა, ვერ შევძელი, გულო იყუჩე,
ვერ ვპოვე შენთვის შესაფერი სიტყვა, ნათია!

გადგას გვირგვინი სილამაზის, ჩემო იმედო!
და უკვე ველარ ვეგუები დიდხანს მოლოდინს!
ჩემო ძვირფასო, შენ თუ არა – ვიღას მივენდო,
როცა ერთბაშად გულს მისერავს ჟამი ბოროტი!

შენს მშვენებასთან ეს სონეტი რა ფერმკრთალია,
ნუ გამამტყუნებ გრძნობა ჩემი შენით მთვრალია!

14.06.70
სოხუმი

***

ამ განშორებამ ჩემი გული დაფლითა მწარედ,
ვერ შევეჩვიე ტკივილსა და სულით ობლობის!
მეტირება და, კიდეც ვტირი, ძვირფასო, ცხარედ
და მარტოობის ბადეს მიქსოვს ჟამის ობობა!..

აწყდება სივრცეს ბედისწერის შავი გრიგალი
და გაზაფხულის გუმბათები ცვივიან ზათქით!..
მე ამ ცხოვრების ვერ გავზომე სიგრძე და განი
და მოდის უკვე შეტევაზე დღეები ზამთრის!..

ამ განშორებამ ჩემი გზები ყველგან მოშალა,
სიყვარულს მუდამ ბედისწერის დასდევს ფურია!
შეხედე, მინდვრად როგორ ჭკნება თეთრი შროშანი,
ნუთუ, ყველაფერს ქვეყანაზე დასასრული აქვს!

მაგრამ დაცემას სულით მაინც აღარ ვაპირებ,
შევხვდებით სადმე, – ხელმეორედ გავიაპრილებთ!..

14.10.92
სოხუმი

*******

ეს ნავი ო, რა გაბედულად მიარღვევს ტალღებს,
ისევ მივცურავთ ზღვის სივრცეში, სულო, თამამად!..
რა უნდა ჩვენთან, საყვარელო, სევდას და ნაღველს,
მზე ამოვიდა და გულწრფელად მოგვესალმა!..

მივარღვევთ სივრცეს, ხვალინდელ დღის გვეიმედება
და აფრებს ზემოთ უთვალავი ფეთქავს თოლია!
ჩვენ ვარდფურცლობის საოცარი ცეცხლი გვედება,
თუმც ნაპირამდე, საყვარელო, ძალზე შორია!..

არ ვიცით ახლა, თუ საითკენ მივემართებით,
მზე ამოვიდა და სულს შუქი მოეფინება!..
ძვირფასო, ვფიქრობთ, რომ ჩვენი გზა არის ნათელი,
აღარ ვმორჩილებთ, საყვარელო, დროის დინებას!

მივქრივართ ერთად, ცა და მიწა ჩვენი გვგონია,
და მოძრაობის სულაც არ ვცვლით ტრაექტორიას!

17.05.70
სოხუმი

***

ირეკლავს სივრცე გარდასულის იდუმალ ხსოვნას,
დღე ვარდფურცლობის არ ნებდება უამინდობას!
მოვდივარ ღელვით და, ეს გული მგზნებარე მომაქვს,
რადგან მან ყოფნა სამუდამოდ შენთან ინდომა!

ჩემს სხეულს, ვიცი გაიტაცებს ჟამის მორევი,
მაგრამ ვერ შესძლებს ის ამ სულის გაბედითებას!
ძვირფასო, მე ხომ უკვდავებას შენგან მოველი,
არც მინატრია და, არც მინდა მე სხვა დიდება!

მზე გაზაფხულის ისევ ცურავს ზეცის თავანზე,
ის ჩავა უხმოდ და ცა მთვარით მოისირმება!
მე გული გიძღვენ და შენც გული შემომთავაზე
და სული მძაფრად შემირხიეს ლექსის სიმებმა!..

ეს გაზაფხულიც წავა ისე, ვით სხვა წასულა,
მაგრამ ამ ღელვას მე ვერ ჩავთვლი ფერგადასულად!

24.04.66
სოხუმი

***

ნუთუ, სხვა ფორმა ვერ მონახე, ძალავ ბუნების,
მოულოდნელად, რომ სიცოცხლის შესწყდეს ნათება!
მე პოეტი ვარ, მოკრძალებით გესაუბრები,
და ჩემი თხოვნა ყველა თხოვნას აღემატება!

სიბერით რატომ ამახინჯებ სახეთა წყებას,
და სილამაზეს დაუნდობლად, რად ატან ნიავს...
სად მზე გალობდა, სამუდამოდ წყვდიადი წვება
და მიაქვს, სადღაც, ყველაფერი საწუთროს რიალს!..

ხშირად გაჩენა, რად გვექცევა წყევლად, წამებად,
დაუძლურებულთ გული რატომ გვიკვნესის მწარედ!
ფრთებს რად გვაფარებს მარად მღვრიეს, შემოღამება
და თვალებიდან მოგვერღვევა ცრემლები ცხარედ!..

თუ მოგინდება მზის ჩანჩქერებს ჩააქრობ ერთობ,
შენზე მლოცველის ო, ეს თხოვნა მიიღე, ღმერთო!

08.07.2017
თბილისი

***

ისევ რეკავენ გამუდმებით და სევდას ღვრიან
ხსოვნის ზარები ნაგასაკას და ხიროსიმას!..
ვინ მოგიშუშებთ, ქალაქებო, ჭრილობას ღიას,
დაე, იდინოს თვალებიდან ცრემლების წვიმამ!..

რაც მოხდა იგი სამარცხვინოდ ეყოფა კიდეც
ქვეყნის მესვეურთ, რომ ტრუმენის გონებით სჯიან!..
ცოდვის კითხვაა, რომ ბირთვები სიცოცხლეს მკიდეს,
კვლავ ისმენს ჟამი სისხლიანი ანძების ჭრიალს!..

მიწას ცახცახით მერამდენედ დააწყდა ძარღვი,
ვინ ემუქრება რღვევა – დაშლით სიცოცხლეს დიადს,
შენ, ბოროტებავ, მესვეურო, მსოფლიო წარღვნის,
ო, ლამის არის, შეუერთო სიცოცხლე წყვდიადს!..

გაჩენის დღიდან დასწყევლილი ვყოფილვართ ბედით
და, რამეს შველის, ბრძოლის ველზე, კივილი მხედრის?!

14.09.1977
სოხუმი

***

ცისფერ ბილიკით მარტოდმარტო მოდიხარ ზღვასთან
და წყალში ხსოვნის სულ ძოწისფერ მიხაკებს ისვრი...
ფერიცვალებით გადაღლილი ლერწამის მსგავსად,
შენი მწუხარე და ფარული ჩურჩული ისმის!..

ვერ დაივიწყე მოწოლილი ტკივილი დიდი,
მას შემდეგ თუმცა ოცდახუთი გავიდა წელი!
ცხოვრებამ მძიმე და სასტიკი აგკიდა ტვირთი
და გაქვს თვალები იდუმალი ცრემლებით სველი!..

შენ ბედისწერამ დაგიმსხვრია ამაყი ფრთები
ამოიზიდა ბოროტება, თითქოს წამიდან!..
და მოგონებით შორეული დღეების ვთვრები,
ის აღტაცება, ვით სიზმარი გაქრა, წავიდა!..

როგორ გაუძლოს სულმა ამდენ ღელვა-კირთებას?
უცნაურობა ბედისწერის გაგიკვირდება!

14.07.1966
სოხუმი

*******

**დავით კახაბერის** ხსოვნას

მე თქვენი, ისევ მომინდა ნახვა
და თქვენთან, ისევ საუბარს ვნატრობ!
ხსოვნას რამდენი ტკივილი ახლავს
და მწუხარება მაწვიმს და მათოვს!..

თქვენი ლამაზად ნაქსოვი სული,
რა ნეტარებით მიილტვის მაღლა!..
იქ, სადაც მეფობს სიმშვიდე სრული
და არხევს სივრცეს ცისფერი ტალღა...

კვლავ მოჩანს მთები ნისლებდაღვრილი,
რბიან დღეები ფერნამკრთალები...
რად შემიშფოთე გული დაღლილი,
რად დამისველე ცრემლით თვალები?!

დავალ, დამყვება სევდა ულევი, –
ამ ქვეყნად თქვენი არდაბრუნების!

06.03.2016

თბილისი

## დავით გაბუნია

***

**მინდა გაბუნიას, ვენერა კიზირიას**
**და ნაზი იზრაელაშვილის ხსოვნას**

საით წახვედით, ღირსეულო ქალიშვილებო,
ფერიებივით, რომ ავსებდით ბაღებს, ხეივნებს!
ო, ეს საწუთრო რატომ გექცათ ადრე დილემად,
ალბათ, უბრალოდ მოხვედით და გაისეირნეთ!

რა დამავიწყებს თქვენს სინაზეს და აღმაფრენას,
ქუჩებს ავსებდით უჩვეულო რხევით, ღიმილით!
თქვენ შეხაროდით გაზაფხულის სივრცეებს ფერადს,
რად გახდა ასე სევდიანი ხოხბის ყივილი?!

თქვენ წახვედით და ჩამობნელდა წუთისოფელი,
დაჰკარგა ფასი ამ ქალაქის ღირსებამ ერთობ!
რად არის, ნეტავ, ეს ქვეყანა დაუნდობელი,
თითქოს დაბერდა ზღვისპირეთი ერთბაშად, ღმერთო!

არ ვიცი, როდის დაიბრუნებს ღირსებას იგი,
როდის დაიდგამს მზის და მთვარის სანუკვარ გვირგვინს?!

10.05.82.
სოხუმი

***

მიყვარდა შენში ხმა მუდამჟამს თავისუფლების,
ხან ბულბულივით მოგალობე, ხანაც მყივანი!
ეს იყო შენი მოუდრეკი სულის სუფევა,
ო, შემართული ცისქვეშეთში, როგორც მყინვარი!..

დაუნდობელი მტერი იყავ ჩაგვრის, მონობის,
არ გაგივლია სამზეოზე გზა უფერული!
სწვდებოდა მწვერვალს სიდიადე შენი გონების,
გზას იკაფავდი ჯევარდნით და დავითფერულით!..

მზე დაგცქეროდა იმედივით დიდი თამარის,
დიდხანს ბორგავდა სასიკვდილოდ ხელში ურჩხულის!..
ბარბაროსებმა გადმოლახეს ვრცელი ტრამალი
და წალკოტები შეგვატოვეს გადარუჯული!..

ერკინებოდი შენ გრიგალებს – მუხა ბებერი,
რადგანაც გქონდა სული მარად აუღებელი!

09.06.2015

თბილისი

***

საით მივდივარ უიმედოდ ხელმოცარული,
მივყვები ბილიკს სიშორეში, გზასაცდენილი!
ბევრჯერ ვარღვევდი ზვირთებს მღვრიეს მძლავრი მხარულით
ტკივილს ვერ ვმალავ, ამდენი წლით კაცი დევნილი!

ვხედავ, ქვეყანას უნაყოფოს, გავერანებულს,
ის დღემდე მხიბლავს უჩვეულო ფერთა სიალით!
ოცნების ცაზე მოჩანს მხოლოდ ლურჯი ზმანება,
წუთისოფელი, სადღაც მიდის ღელვით, რიალით!

ამ ქვეყანაზე დავრჩი მარტო მიუსაფარი,
მიდის სოფელი მარად მღვრიე, დაუნდობელი!
ქარმა გაშალა უიმედოდ ნისლის ფაფარი,
გავცქერი მინდვრებს, მხოლოდ შავი ჯვრებით მოფენილს!

არ ვიცი, ისევ ეს ცხოვრება სიდან დავიწყო,
არ არის ძალა, რომ ტკივილი გადამავიწყოს!

08.01.19

თბილისი

***

დღეებს სანატრელს სამუდამოდ დავემშვიდობე,
გაუფერულდა, ჩემთვის უკვე შემოგარენი!
ხსოვნა იმ ჟამის, რა უსაზღვრო ტკივილს მიტოვებს
და გაზაფხულის თამაშობენ მინდვრად ქარები!

ვარდ-ყვავილებით მოჩითული დღეების ხსოვნას
მდინარის პირას არაერთხელ, დაველოდები!
ძნელია უკვე დაკარგულის მეორედ პოვნა,
რა შემრჩა ქვეყნად? – „ყვავილები“ მხოლოდ ბოდლერის!

კვლავ ვერის ბაღში ვხეტიალობ უმისმართოდ
და მოზღვავებულ გრძნობას უკვე ველარ ვერევი!
ლოცვა-კურთხევა მეფინება ციდან მამათა,
მაგრამ იმ დღეებს გაფრენილებს ველარ ველევი!

ყრმობის დღეების სილამაზეს გამოვეთხოვე,
ვზივარ ოთახში, ვაყურადებ ბახს და ბეთჰოვენს!

10.01.19

თბილისი

***

დამთავრდა ამით ისტორია ჩემი ცხოვრების,
ჩემი ბრძოლების, აღმაფრენის, წამების ხანა!
მე, რასაც ვტოვებ – მამულს იმით ვემახსოვრები,
დედა ამიტომ მიმღეროდი პატარას ნანას!

მე არასოდეს არ ვყოფილვარ დაუდევარი
და საუკუნის საიმედოდ ვრეკავდი ზარებს!
დემონთა ბანდა იყო მუდამ ჩემი მდევარი
და სიყვარულით მომძახოდა მშობელი მხარე!

დავლაშქრე ლექსით პოეზიის ვრცელი ნაპირი,
ვეფერებოდი სიყვარულის უნაპირობას!
მიყვარდა ფერთა ნიაღვრებით მოსვლა აპრილის,
ლექსით ვირჩენდი საუკუნის ყველა ჭრილობას!

მე ამ ცხოვრების დაუნდობლად ვკაფე საზღვრები,
ვიცხოვრე ლექსის სიყვარულით განუსაზღვრელით!

12.01.19
თბილისი

***

**სონეტებს**

თქვენ მიმაჩნიხართ  ჩემი სულის მესაიდუმლედ,
ამიერიდან მთელი გრძნობით, თქვენ  ერთს გენდობით!
ჩვენ ერთმანეთთან კავშირში ვართ, ვერ მომინდურებთ,
და თქვენზე ლოცვით გავიარე გზა და ფერდობი.

ჩემი ოცნების სილაჟვარდე მოვქსოვე თქვენით,
და ფერიებით  მოზღვავებულ აპრილის თვეში,
ეს ჩემი სული მიილტვოდა — წინ აღმაფრენით
და გაზაფხულის  მამღერებდა ტრფობა და ეშხი!

გამიცისკროვნეთ ოცნებებით გზები სავალი
და სივრცეს ღელვით ეცვლებოდა ფორმა და ფერი,
რამსიშორიდან მომძახოდა მზე ჩამავალი,
და სიმაღლეთა სილაჟვარდე მოვღალე ფრენით!

მე არასოდეს არ მივლია გზებით იოლით
და სიყვარულით მეღვრებოდა ცა საფირონის!..

11.01.19
თბილისი

***

თ-ს

შენ ღვთაებრივი სილამაზის სანატრელ გოგოს,
რატომ გეწვია ულმობელი დღეები რისხვით!
ლაჟვარდებიდან მზე და მთვარე გაღვრიდა ოქროს,
რატომ შეჩერდა შენს ძარღებში ხმაური სისხლის?!

რად დაგეუფლა მწუხარება და სიმძიმილი,
შენ ხომ სიცოცხლის სილამაზედ მიწაზე იშვი!
ეს ვინ ჩაგიქრო ბაგეებზე მთვარის ღიმილი,
ვინ ჩაგიღვარა მაგ სხეულში სიკვდილის შიში?!

ჯერ აღტაცების, სიყვარულის გირხია ტოტი!
მერე გაქცია საკუთრებად ამ ცივი მიწის,
რატომ მოგადგა კარზე უხმოდ სიკვდილი ბილწი,
მერე საფლავის საუკუნოდ დალუქა ლოდი!..

ეს ვინ აქცია ნაფოტებად შენი სხეული,
ვინ გაგიმეტა სასიკვდილოდ შვილი რჩეული?!

20.01.19

თბილისი

***

ქალთა  სამოთხეს ულამაზესს ოხვრით გავცილდი,
დაცარიელდა ჩემთვის უკვე გზები ფერადი!
და სივრცე თბილი, ჭაბუკური, შემომაცივდა,
სულ ცოტა დარჩა, სანამ ქარი დაუბერავდეს!

რაც იყო იმას, ვერასოდეს ვერ დავიბრუნებ,
ვერც იმავ გრძნობით გამიტაცებს ფერთა წალკოტი!
არავინ იცის, ეს პლანეტა თუ როგორ ბრუნავს,
რა ვუყო ამ გულს ყორნებისგან მძიმედ დაკორტნილს!

ამგვარი ყოფა სულს მიხუთავს და, უკვე მახრჩობს
და ქუჩა-ქუჩა უიმედოდ დავეხეტები!..
რა შემრჩა? – სახლი გაძარცული და უკარ-ფანჯრო,
და ტკივილისგან ნაწამები არსად ვეტევი!

გაუსაძლისი გახდა ჩემთვის ყოველი წამი,
როცა ეზოში უცბად შესწყდა ღიღინი მამის!

12.04.70
ბანძა

***

**ჩიტო კაკაბაძის ხსოვნას**

მე არ მახსოვხარ შენ დაღლილი და, ასე ჩუმი,
წავიდა ის დრო, რომ ცხოვრებას უტევდი მედგრად!
ვინ შეგაჩვია ამ მიწაზე შემზარავ დუმილს,
ნუთუ, სიკვდილთან უკვე შენი შეხვედრა შედგა?

მაგ შენს ძარღვებში, ნუთუ სისხლის მდინარე დაშრა?
წევხარ კუბოში, კაცი უკვე უზომოდ მკრთალი!
ვერ გაექეცი მაგ მუხლებით რღვევას და დაშლას,
აჰა, საცაა გაუყვები ბილიკებს მთვარის...

შენ, რომ გიყვარდა იმ ხეივნებს, კვლავ ვერ ეწვევი
და ვერც სროლებით გაუყვები ტამიშის უღრანს!
ო, როგორ შესძლო დამარცხება შენი მეწყერმა,
ვიხსენებ დღეებს გარდასულებს და, როგორ ვწუხვარ!

ეს ვინ გაქცია, მეგობარო, მდუმარე მასად,
ნუთუ, სიკვდილმა შხამით სავსე ბადაგი გასვა?!

21.01.19

თბილისი

***

საით გაფრინდა საოცნებო დღე სიყმაწვილის?
დავდივარ მარტო, დღენიადაგ განსჯას ვუნდები!
ამ ცის და მიწის სამუდმოდ მე ვარ ნაწილი,
სად მიფრინავენ წეროების თეთრი გუნდები?

ჭაღარა კაცი ჩანგის სიმებს, ისევ ვაკვნესებ,
მივდივარ, მაგრამ რწმენით გავცქერ მაინც მომავალს!..
ჩემი ძარღვები გაჟღენთილა ცეცხლით საკვესის,
და ჟამს რამდენჯერ შევუტიე ურჩს და ონავარს!

დაუვიწყარი წლები ჩემი საით მიცურავს,
შენს გამოჩენას ო, მე ისევ დაველოდები!
შეხედე, ერთი, ყოფნა ჩემი სანამ მისულა
გულო, მითხარი, საით მიხვალ კვნესით, გოდებით?!

ვერ აიცილებ შენ ვერაფრით რღვავას და დაშლას,
დღეს ის არა ვარ, მეგობარო, რაც ვიყავ შარშან!

06.01.19

თბილისი

***

რატომ მიზიდავს ეს მინდვრები, ან ეს ბუჩქები?
ამ ჩემი სოფლის მიყვარს ყველა კუთხე-კუნჭული!
მე შენს სიყვარულს, ალბათ, ვეღარ გადავურჩები,
რადგან დავრბოდი ბილიკებზე თვალდახუჭული!

ამ სიყვარულში, ალბათ, ვერვინ შემედავება,
მის ოთხივე დროს დასაბამით ვეთაყვანები!
ამ განშორებით, ლამის არის ენა დამებას,
დავრჩები მეტრფე თავთუხების, ვრცელი ყანების!

ჩემი სხეულის უთვალავი მოლეკულები,
შენს სილამაზეს უგალობენ მთელი განცდებით!
გამყვება მხოლოდ განშორების სევდა ულევი,
როცა ჩემს მამულს სათაყვანოს ლოცვით გავცდები!

მე საუკუნოდ წუთისოფლის ვიგრძნობ სიავეს,
დრო მოვა ურჩი და ერთბაშად გამანიავებს!

05.01.19
ბანძა

***

რაც ხდება ქვეყნად, მას მივაწერ ძალას განგების,
ყველაფერს თავის მიზეზი აქვს, ეს ჩანს აშკარად!
მივიდივარ კაცი და რა მრჩება? – სახლის ნანგრევი,
და ეკალ-ბარდით დაბურული ძველი გზა-შარა!

აქ დავდიოდი მშვილდ-ისრებით ამაყად ბიჭი
და ოცნებებით მიტაცებდა ვარსკვლავთა წყება...
ახლა უთქვენოდ, მეგობრებო, ძალიან მიჭირს,
ოთხმოც წელს გავსცდი, ჩემ წინ ბლანტი საღამო წვება!..

მე ამ მიწაზე ხელმეორედ ვერ დავბრუნდები,
რაც იყო იგი – ხსოვნის მიღმა გაიფანტება...
რა შორს გაფრინდნენ წეროების თეთრი გუნდები,
ჩემი ოცნება, ჰა, საცაა, შეწყვეტს ნათებას!

რასაც განვიცდი, მას უთუოდ ლექსებს გავანდობ,
ჩემს სულში, ისევ გაზაფხულის ქარი ნავარდობს...

02.01.12

თბილისი

*******

მ–ს

რატომ გაურბის სული ფერებს შემოღამების,
კვლავ ინთებიან ვარსკვლავები და გული მითრთის!
ვერ ვუძლებ უკვე განშორების კვნესას, წამებას,
ტკივილით გავცქერ, ბებერ ხეებს – ედება ფითრი!

დანაგუბარი ცრემლი ლოყებს რატომ მისველებს,
დრო მიდის, სადღაც, და მოუცავს სივრცე ზმანებას!
მეშენზე ვფიქრობ, თუმც ბევრ რამეს ველარ ვიხსენებ
და ჩუმი ოხვრა გულს საოცრად მოეძალება!

ისევ მატყვევებს მაგ თვალების ფერთა თამაში
და ილვიძებენ ვარსკვლავები ჩუმი გალობით!
ჩემი ცხოვრების წიგნს ოცნების, როცა გადავშლი,
მომაგონდება სილამაზე შენი ქალობის!

არავინ იცის, თუ საითკენ მივექანები,
კვლავ იხმაურონ მინდა სულში, გრძნობის ქარებმა!..

01.01.79

თბილისი

***

დამშვიდობება საწუთროსთან ო, როგორ მიჭირს,
ყველაფერს მართავს ქვეყანაზე განგების ძალა!
მომავალ დღეებს ო, მე ისევ ვუცქერი იჭვით,
არ ვიცი, ასე მწუხარება რად მომეძალა?!

დღეებს გაფრენილს სიყვარულით საკმეველს ვუკმევ,
და გულზე, ისევ უჩვეულო ცეცხლი მედება!
დამშვიდობება საწუთროსთან ძნელია უკვე,
და სევდა წრფელი ეფინება შემოქმედებას!

გაფრენილ დღეებს სიშორიდან ამაოდ ვუხმობ,
რაც იყო იგი სამუდამოდ თვალს მიეფარა!
მიიზლაზნება ცის თავანზე ღრუბელი რუხი
და მწუხარებას ო, ეს გული ვერაფრით მალავს!

სულ ცოტა დამრჩა, დგება ჟამი შემოღამების,
მოდი აპრილო, ამაშორე ჟამი წამების!

31.12.18

თბილისი

***

სული და ხორცი ერთ სივრცეში როგორ თავსდება,
დასაბამიდან, რომ დადიან გზებით ჩვეულით...
მოვა სიკვდილი, გაიყოფა ჩემი არსება,
სხეული რჩება, სული წავა სხივშეფრქვეული!..

არავინ იცის, სად იწყება და, სად მთავრდება,
არც დასაბამი ვიცით მისი, არც დასასრული!
მის არებობას, მხოლოდ ღმერთი უდგას თავდებად
და აფროდიტე, სათაყვანო ღმერთის ასული!

სულს არაფერი ესაქმება დროის ფაქტორთან,
მისი ქმედება რჩება მარად გაუხუნარი...
დასაბამიდან სილამაზე მისი გვათრობდა,
ვინ მიანიჭა უჩვეულო მას ეს უნარი.

ამაოდ ვმართავ, მეგობარო, სულთან დიალოგს,
სხეული ქრება, სულმა თავის გზებით იაროს...

25.02.19

თბილისი

***

მე ვერის ბაღის ხეივანში დავდივარ მარტო,
იანვარის თვეა, რა ლამაზად იღვრება თოვლი...
შენთან შეხვედრა ო, მე ისევ მომინდა, ნატო,
თუმცა, მიდიან სიშორეში დღეები ქროლვით...

ამ თეთრ ბილიკზე რჩება ჩემი ნაფეხურები,
ის თოვლთან ერთად სამუდამოდ წავა, გაქრება!
ცა მოქათქათე, დაყურსული დამეხმარება,
ასე ინება დასაბამით, რადგან განგებამ!

მშვიდობით აწი, სათაყვანო დღეებო ხსოვნის,
მე თქვენთან ერთად ლხინიც, სევდაც გავინაწილე!
ამ ჩემს ჭრილობას დრო დაათვენს ლაჟვარდის ქსოვილს,
ო, შორეულო ვარსკვლავებო, სხივი მაწვიმეთ...

სულს ხომ მეგზურად მოხასხასე ნათელი ახლავს
და კვლავ სისხლიან დედამიწის არ უნდა ნახვა!

14.01.18

თბილისი

***

მაშინებს სევდა დაგუბული, გაუდინარი,
მას არც ფერი აქვს და არც ფორმა, სულს კი ამძიმებს!
წუთისოფელი მიდის, როგორც მღვრიე მდინარე,
არაფერს ნიშნავს მისთვის უკვე დრო და მანძილი!

დასაბამიდან დღენიადაგ მოვდივართ ოხვრით,
რად არის, ნეტავ, ყოფნა ჩვენი გაუსაძლისი?!
გავცქერით მერმისს და ყოველ დღე ვიხრჩობით ბოღმით,
რომ იაზონმა გამოგვტაცა ოქროს საწმისი!

საით მიიწევს სულის ქროლვა დაუსაბამო,
ქუჩაბანდებში მოქანცული დავბორიალებთ...
მთვარის ბილიკზე ვხეტიალობთ ყოველ საღამოს,
სანამდის სოფლის არ მისწყდება რხევა-რიალი!

შენს გამოჩენას სიყვარულით დაველოდები,
ასე ელოდა გაზაფხულის მოსვლას როდენი!

07.01.19
თბილისი

***

**აფხაზეთის ომში დაღუპული მეგობრის**
**კ-ს ხსოვნას**

შენ წახველ უკვე, გაიყოლე ზღვა სიყვარული,
ერისშვილობა და ღირსება როგორ არ ვაქო?
მოსეულ ლაშქარს მიარღვევდი კაცი მხარული
და მეგობრები გეძახოდნენ უძლეველ კაკოს!

შენგან დანთებულ ცეცხლის მორევს დრო ველარ აქრობს,
ასობით გული გაცილებდა ოხვრით, ტკივილით!..
შენისთანები მტერს მისდევდნენ დიდგორს და შამქორს,
უტევდნენ მედგრად უქარქაშო ხმლების კივილით!..

შენი მამაცი ნაბიჯები გვიტოვებს იმედს
და არ იცოდი, მეგობარო, რა იყო შიში!
ცხოვრების გზაზე მიაბიჯებს მამული მძიმედ
და ზედ აღვრიან მის ნათელ გზას უდაბნოს ქვიშის!

შენისთანები იბადება ათასში ერთი,
მამულის კვნესას შენი სულის დინება ერთვის!..

17.09.93
სოხუმი

***

მომენატრება ბავშვობის ხანა,
მთა-ბარი სავსე თეთრი მორევით!
თოვლში ვცურავდით მე და შენ, ანა,
იმ ნეტარებას აღარ მოველი!

ვეფერებოდით ლოლუებს ყინვის,
ჩვენს აღტაცებას არ ჰქონდა ბოლო!
ვაყურადებდით ირმების ყვირილს,
კეთილი გულით ვამსხვრევდით ბოროტს!

რა შეგვრჩა, ხსოვნა იმ ლამაზ დღეთა,
რომელსაც სევდა უზომო ახლავს!
და სიყვარულით გვეძახდა დედა,
რომელიც თოვლის დინებას გაჰყვა!

დღეს სიმებს ჩანგის ტკივილით ვარხევ,
ცხოვრებას, მაინც ვერ ვუცვალე ფორმა და სახე!

0.4.01.19

თბილისი

***

მივცურავ დილით მთაწმინდისკენ მორევში თოვლის,
რომ მოვიხილო სამყოფელი თქვენი დიადი!
თქვენკენ მოვიწევ სისხლის ღელვით და გულის თრთოლვით
და ჩემს სამშობლოს ეფინება ხმა განთიადის!..

თქვენ გადმოჰყურებთ მამულს  დაღლილს და ნაიარევს
და თქვენი მზერა ეფინება თოვლიან სივრცეს...
მცხეთას და გელათს, კვლავ რეკავენ მწუხრის ზარები
და თქვენი დიდი სიყვარულით მეც გული მიცემს!

თქვენი ღიმილი ეფინება ცასა და მიწას
და თქვენს სევდიან გამოხედვას დავემგზავრები...
აქ ვეშაპივით ბოროტება მიწაზე იწვა
და მოჩანს ახლაც ნაკვალევი დინოზავრების!

მე ჩემი ქვეყნის სიყვარულით ეს გული მეწვის,
მიიზლაზნება საუკუნე ცივი და ბერწი!..

07.01.19
თბილისი

***

მიყვარდი გრძნობით, გულით ვამბობ მე ყოველ სიტყვას,
შენდამი სწრაფვა ჩემი იყო დაუცხრომელი!..
შენი ტრფიალით ირხეოდა რიტმი და რითმა,
უთქვენოდ უკვე მე არ ვიცი თუ რა მომელის!

გაუდაბურდა ჩემთვის უკვე საწუთროს გზები,
სულის ვექტორი მიქრის, სადღაც, უმისამართოდ!
დამემსხვრა კოშკი ცის თავანზე გრძნობით ნაგები,
და ქროლვამ ჟამის სიყვარულით ველარ ამანთო!

მშვიდობით აწი, ჭაბუკურო დღეებო ყოფნის,
დავდივარ, მაგრამ ტანჯვად მექცა ყოველი წამი!
ეს ჩემი სევდა ფრთებს შლის, როგორც ზეცაში ორბი
და ჩემს ბილიკზე ქარიშხალი თებერვლის ბღავის!..

ვიცი, ხვალ და ზეგ, რომ დავტოვებ ამ ზღვის ნაპირებს,
და ჟამი ურჩი სამუდამოდ გამინაპირებს!..

14.09.63
სოხუმი

***

**თამარ დედოფალს**

წინ მიუძღოდი ბასიანში მიმავალ ლაშქარს,
შენ ფეხშიშველი დედოფალი – მამაც მხედრობას!..
მტერი უქადდა საქართველოს რბევას და დაშლას,
არ მიცემიხარ შიშს, ცახცახს და უიმედობას!

შემდეგ რაც მოხდა ყველამ იცის ეს სიდიადე,
მაგ შენმა ლოცვამ ერს დიდების შუქი მოჰფინა!..
ეკლესიაში გამარჯვებას უნთებდი სანთელს
და ეს სონეტი ღმერთმა შენზე მაამბობინა!

გამარჯვებული დაგიბრუნდა შენი მხედრობა,
ისევ ღმერთისკენ აღავლინე ლოცვა მაღალი!..
და დაცემულებს მიაგებე მხოლოდ შენდობა,
შუქით ბარდნიდა მთებს და ველებს მზე აღმავალი!..

დიდგორის შემდეგ არვის ახსოვს მსგავსი კვეთება,
დააგვირგვინა ერი შენმა შემოქმედებამ!

31.01.20 წ.
ბათუმი

## დავით ტაბუნია

***

**1937-ში დასახვრეტად განწირული ბიჭები „ქრისტე აღსდგას“ სიმღერით ხვდებოდნენ სიკვდილს.**
**ჭაბუა ამირეჯიბის წერილიდან**

მშობლიურ ენას იცავდით დიდი რუსთველის ბაღნარის
და ბობოქრობდა მამული ტანზე სისხლგადანაღვარი!..
შეუძლებელი შეძელით, გადაუდექით დემონებს
და თარეშს რუსული ჩექმის არაფრით არ დაემონეთ!

სიცოცხლე არად ჩათვალეთ და ტყვიებს კბილით იჭერდით,
დახევა აღარ გიცდიათ, რა ვაჟკაცობას იჩენდით!
დამთავრდა ჟამი წყეული, მას მოაბრუნებს ვერავინ,
არ დათმეთ ენა რუსთველის და ქროლვა ტატოს მერანის!

საუკუნეებს გაჰყვება თქვენი ღელვა და კივილი,
მამულს შემორჩა ჭრილობად, ო, ის ოხვრა და ტკივილი!
დათმეთ სიცოცხლე, სულით კი არ ჩანდით უიმედონი,
და „ქრისტე აღსდგას“ სიმღერით ანგრევდით კედლებს ბეტონის!

იმ საუკუნის ჩარჩოში ვერაფრით ვეღარ ეტევით
და შორს თაობებს გაჰყვებით მძაფრი ქროლვით და შეტევით!..

14.10.19
თბილისი

თარჯმანები



• • •

ჩვენი თვალსაზრისით, მთარგმნელობითი შემოქმედება მეტად საფრთხილო და საპასუხისმგებლოა. რაშიც ადვილად დაგვარწმუნა ამ მიმართულებით ხანგრძლივმა ერთად მუშაობამ.

სამწუხაროდ, ჩვენ აფხაზეთის ომის პერიოდში 1992-1993 წლებში საკუთარი მწერლურ-ლიტერატურულ ხელნაწერებთან ერთად, დიდი მოცულობით დავკარგეთ საყოველთაოდ გამოჩენილი პოეტების ლირიკული ქმნილებების თარგმანები. რომელთა ნაწილის აღდგენა დევნილობის დროს შევძელით, – არარერთგვაროვანი, მუდმივად მოძრავი, გადაადგილებადი, მძიმე ცხოვრების პირობებში.

გვინდა ხაზი გაუსვათ, ჩვენს მიერ მოკრძალებით თარგმნილ მასალებში, ყოველთვის ვცდილობდით გვემუშავა სიღრმისეულად, დაკვირვებულად, განსაკუთრებული ყურადღებით, რათა ავტორების ნააზრევი, ფიქრები, გრძნობები, სამყაროსეული აღქმა, მუსიკალური ჟღერადობა, ინდივიდუალური სტილი, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო, დაგვეცვა და მიგვეტანა მკითხველამდე.

2017 წელს თარგმანების ერთი დამოუკიდებელი კრებული გამოვეცით (გამომც. „უნივერსალი“) აღნიშნული თარგმანები ხშირად იბეჭდებოდა გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“, რომლის მთავარი რედქტორი იყო გამოჩენილი მწერალი და კრიტიკოსი ბატონი თამაზ წივწივაძე და თანარედაქტორი – ცნობილი მთარგმნელი და ლიტერატურისმცოდნე ბატონი დავით კახაბერი, რისთვისაც დიდ მადლიერებასა და პატივისცემას გამოვხატავთ, და ნათელს მივაგებთ მათს ხსოვნას.

## დავით ტაბუნია

წინამდებარე წიგნში შევიტანეთ სახელგანთქმული მწერლების ახალი თარგმანებიც, რომელთა გადმოქართულებაც მოვასწარით. ამ მიმართულებით მუშაობას განვაგრძობთ...







## იოჰან ვოლფგანგ გოეთე

დავით ტაზუნია

# შეჩერდი, დროო!!!

უდიდესი გერმანელი პოეტი იოჰან ვოლფგანგ გოეთე იყო უნივერსალური პიროვნება, თავის დროის დიდი მოაზროვნე, რითაც ამაყობს კაცობრიობა. მისი ცხოვრება დაკავშირებულია ომის ქუხილთან და რევოლუციურ მოვლენებთან.

გოეთე დაიბადა 1749 წლის 23 აგვისტოს ფრანკფურტში. პოეტის მამა მუშაობდა იმპერიის მრჩევლად. ის ვერ მოესწრო შვილის წარმატებებს, ვერც ლაიფციგის უნივერსიტეტის დამთავრებას და ვერც დისერტაციის დაცვას.

პოეტს ადრეული წლებიდან უყვარდა და, პატივს სცემდა უბრალო ხალხს, მათს თავგამოდებულ შრომას. ამგვარი დამოკიდებულება მშრომელი ხალხის მიმართ ზრდიდა მის დაინტერესებას ცხოვრებისადმი. ყველაზე მეტად აშფოთებდა, როცა მას მიიჩნევდნენ არსებული წყობილების მეგობრად.

გოეთე შილერთან ერთად მოძრაობა „ქარიშხლისა და შეტევის" აქტიური მონაწილე იყო. ის იტალიაში ყოფნისას ნაკლებად წერდა ლირიკულ ლექსებს. მან გაიცნო და დაუახლოვდა ქრისტინა ვულფს, რომელიც 1806 წელს მისი მეუღლე გახდა. რაც შეეხება მის გენიალურ ლექსებს – „რომაული ელეგიები", დაიწერა მხოლოდ გერმანიაში დაბრუნების შემდეგ.

1809 წელს ის შეუდგა მუშაობას ავტობიოგრაფიულ შრომაზე – „ჩემი ცხოვრებიდან. პოეზია და სიმართლე". ამ წიგნის პირველი ნაწილი დაამთავრა 1811 წლის ოქტომბერში, როცა ნაპოლეონის ვარსკვლავი ჯერ კიდევ ბრწყინავდა ევროპის ისტორიულ ცის ფონზე. მეორე ნაწილი დაასრულა 1812 წელს. ხოლო მესამე კი, ავტობიოგრაფიისა დაემთხვა ნაპოლეონის სრულ განადგურებას ვატერლოოსთან. გოეთეს ეკუთვნის „დასავლეთ-აღმოსავლეთის დივანი", რომელიც ითვლება დიდ მოვლენად მის შემოქმედებაში.

გოეთემ მთელი ენერგიით დაიწყო მუშაობა „ფაუსტზე“, რასაც მოჰყვა ბრწყინვალე შედეგები. მასში აისახა ფიქრი კაცობრიობის ნათელ მომავალზე. 1831 წლის 22 ივნისს პოეტმა დაამთავრა „ფაუსტი“. მის გამოჩენას დიდი წარმატება ხვდა მკითხველ საზოგადოებაში.

ამ ტრაგედიის დამთავრების შემდეგ მან განაცხადა: მწერალი, მხატვარი, კომპოზიტორი, ჩვეულებრივ, კვდება, როცა თავის ამოცანას გადაწყვეტს, რათა მან ადგილი დაუთმოს შემდგომ თაობებს.

სიცოცხლის მიწურულს ვაიმარელი ბრძენი თავის საყვარელ ციხე-კოშკზე ავიდა; იქიდან ცრემლიანი თვალებით გადმოჰყურებდა ბავშვობისა და ყრმობის სათაყვანო ადგილებს და წამოიძახა: „შეჩერდი, დროო!“

ამ სიტყვებით შთაგონებულმა გოეთეს მივუძღვენი შემდეგი ლექსი:

რამ აგაცრემლა ღვთაებრივი ჩანგის მსახური,
როცა უძველეს და სანუკვარ
კოშკზე ახვედი,
და ერთხელ კიდევ, ერთხელ კიდევ მოინახულე,
ო, შენი ყრმობის
საოცარი გადმოსახედი!..
რამ აგატირა, ო, რა ძალამ, ბრძენო, ამგვარად,
როცა კოშკიდან გასცქეროდი
ყრმობის მინდორ-ველს?!
ვერ შეაჩერე შეძახილით დროის ქანქარა
და მთელ სამყაროს
ქუდმოხდილი დაემშვიდობე!..

1832 წლის 16 მარტს გოეთე ქალაქგარეთ სეირნობისას გაცივდა. სიკვდილის შემოტევა იყო მეტად ულმობელი. პოეტს

ხმა ჩაუწყდა. მხოლოდ საჩვენებელი თითით მიანიშნებდა რა-
ღაცას. 22 მარტს ის გარდაიცვალა. 26 მარტს დიდი პოეტის ნეშტი მიაბარეს მიწას ჰერცოგთა სასაფლაოზე, შილერის გვერდით.

უდიდესს გერმანელ პოეტს – „რომაული ელეგიების“, „აღმოსავლური დივანის“ და „ფაუსტის“ ავტორს საპატიო ად-
გილი უჭირავს მსოფლიოს პოეტურ სამყაროში.

გოეთე თავისი ღრმა და მრავალფეროვანი შემოქმედე-
ბით ამაყად დგას: ჰომეროსის, რუსთაველის, დანტე ალიგიე-
რის, შექსპირის და ბაირონის გვერდით.



## დედას

არც მისალმება, არც წერილი, ძვირფასო დედა,
არ მიგიღია შენ შვილისგან
დიდი ხანია!
ნუ მიეცემი იჭვს, ღამეებს ნუ ათევ თეთრად,
და არც იფიქრო, შენთან
ყოფნა არ უხარია!
ის დგას, როგორც კლდე, გრანიტისგან
ნაგები მტკიცედ,
არ იძვრის სულაც, თუმც ტალღები
ღელავენ ირგვლივ,
ხან მოალერსე, ხან განგაშით იკლებენ სივრცეს,
ხან მოგუგუნე ჟამის ქარებს
აწყდება იგი!..
ის შენგან, დედა, ვერასოდეს წასვლას
ვერ შესძლებს,
თუმც ეს ცხოვრება დაუმცხრალი
ზღვაა ვეება,
ო, იგი მღერის, უსიმღეროდ ვერაფრით
ვერ სძლებს
და სხივთა ჩქერში ღელვა
უჩანს ბედნიერებად!..
იგი იღვრება, უჩვეულო ფერებით სავსე,
და აღარ უნდა, უფერულად
მზეს რომ უცქიროს!
თუმც მაგ თვალების უსაღზვრობას
გრძნობებით ავსებ
და შენ ხარ მისთვის სიყვარული
ღრმა და უძირო!..

# ულამაზესი ღამე

ვტოვებ სახურავს ისევ ჩემი პატარა სახლის,
ტყე კვლავ მიღვიძებს სურვილს
მე იმ მუხნარის ნახვის!
და სიშორიდან მთვარე მოარღვევს სივრცეს მხრებით
და სურნელებით მთვრალი
ქარის ირხევა ფრთები...
მე ვსვამ სიგრილეს უხვად ნახევრად მკრთალი ღამის,
ის სულის ხავერდს მაცლის,
დგება დუმილის წამი...
ეს ერთი ღამე, ალბათ, ათას სხვა ღამეს შეცვლის,
ვსუნთქავ სილურჯეს ხარბად
და სილამაზეს ვერწყმი!..

## მარტი

ჯერ კიდევ უხვად ჩამოდის თოვლი,
არ ჩანს ის ჟამი, რომელსაც ვეტრფით!
რომ ყვავილების ფერადმა თრთოლვამ,
რომ ყვავილების ფერადმა თრთოლვამ
ბედნიერება
გვაჩუქოს მეტი!..
იმ ელვარებას, ივნისს რომ ახლავს,
სიამოვნება მოაქვს ულევი!
ერთი, ან ორი მერცხალის ნახვა,
ერთი, ან ორი მერცხალის ნახვა
არ ნიშნავს მოსვლას
კვლავ გაზაფხულის.
გავცქერ სიამით დღეს ნეტარების,
როცა გვეწვევა თამაშით ფერთა...
კვლავ წამიერად მოვა ზაფხული,
კვლავ წამიერად მოვა ზაფხული,
და ჩვენ ვიქნებით,
ძვირფასო, ერთად!..

## დამშვიდობება

გიცქერი ჩუმად და დუმილს ვირჩევ,
კვლავ ბაგეები გიხმობენ ლოცვით!..
გამოთხოვება მე ტკივილს მიჩენს
და შენ მშორდები,
ძვირფასო, კოცნით!
ო, რა ვეება მაწვება სევდა,
ფეთქავს სიღრმეში ცეცხლი ტრფიალის!
უიმედობა შემიტევს მედგრად,
როცა მშორდები
თვალცრემლიანი!..
იყო დრო ჩვენი უსაზღვრო თრთოლვის,
რასაც შეეძლო ვექციე ფერფლად!
როგორც ენძელა საფარქვეშ თოვლის,
იყო ლამაზი, რაც
უნდა გეთქვა!
ძვირფასო, გვირგვინს არ გიწნავ ისევ,
არც ვარდის გჩუქნი სანუკვარ კოკორს!
ამ განშორებით ტკივილებს მისევ,
სათაყვანები,
შენ – ფრანგი გოგო!

## მაისის სიმღერა

ამ მუხებს და მწვანე ხავერდს შორის,
მშვიდად სძინავთ გაზაფხულის ქარებს.
აქ ჩქერები ირხევიან ბროლის
და ფიქრები რა
შორს მიმაქანებს...
და მახლობლად ვერ ვჩერდები სახლის,
ცას გავცქერი ღრუბლებისგან დაცლილს,
ნიავი კვლავ ფრთებს იღუმალს მახლის
და მუხების დუმილი
დგას მკაცრი!..
მაგონდება, ამ მოლურჯო კლდესთან
მეხვეოდი და მათრობდი კოცნით!..
და მაისის ლურჯი ფრთები მესხა,
ჩემს მკლავებში
თრთოდი ბაგემორცხვი!..
აქ ყოველი ძველებურად დარჩა,
მაგ ნატერფალს ვეძებ,
მაგრამ არ ჩანს!...

## ველური ვარდი

მწვანე მინდორზე ბიჭმა ვარდი წითელი ნახა
და მიირბინა მასთან,
                    მოსწყურდა მისი ნახვა!
ის შეუყვარდა ძლიერ და გახდა მისით ხელი,
ფეთქავდა მწვანე მინდორზე
ვარდი წითელი ფერის!..
„შენი მოწყვეტა მინდა მწვანე მინდორზე, ვარდო,
დღეს აქ არავინ არის
                    და მხოლოდ ჩვენ ვართ მარტო!“
„მე ვერ ავიტან ამ ტკივილს, ჩემს დამცველ
                                        ძალას ჩავრთავ,
ეკლებით დაგჩხვლეტ, სისხლს გადენ,
დაგამახსოვრდე რათა!..“
და ბიჭს შეხედა უშიშრად და გამომწვევი მზერით,
ფეთქავდა მწვანე მინდორზე
ვარდი წითელი ფერის!..
ბიჭმა მოსწყვიტა ის ვარდი, არ გაიკარა შიში,
სისხლით შეღება ეკლები
                    ვარდმა – უით და ვიშით! –
ვეღარ გაექცა ის ტკივილს, შერჩა თვალები სველი
და გაქრა მწვანე მინდორზე
ვარდი წითელი ფერის!..

## წარწერა წიგნზე

**„ახალგაზრდა ვერტერის ვნებანი“**

ამგვარი გრძნობა სიყვარულის ვის არ სურს შესვას,
ყველა ქალწული ამგვარ გზაზე
ამაყად მიდის!..
ო, შემოქმედი რატომ ლესავს გასაღებს გლოვის,
რად გვიახლოვებს დარდის
მორევს ტკივილით დიდით!..
შენ, საყვარელო, მის თბილ ცხედარს დასტირი მწარედ,
რომ დავიწყების სამუდამოდ
აშორო ჩრდილი.
ისევ ხმა მოდის საფლავიდან: „იყავი ქმარი,
მაგრამ ჩემი გზით, მეგობარო,
ნურასდროს ივლი!“

## უთავშესაფროს დამეული სიმღერა

მთის მწვერვალების წყებას სძინავს დუმილში ღამის...
მინდვრის ხავერდზე წვება
ბინდები სველი ნამით...
არ იმტვერება გზა, არც ღამის ჩიტი სტვენს,
მოიცა კიდევ ცოტა
და დამშვიდდები შენც!..

## წლები

ახლავს სიკეთე უჩვეულო წლებს სიყმაწვილის,
რაც გინდა სთხოვო – ის ხომ
უარს არასდროს იტყვის!
მასთან მეგობრობ, მისკენ ილტვი – ხელებგაწვდილი
და მისით ცხოვრობ ამ ზღაპარში
საქმით და სიტყვით!..
მიდიან წლები და იცვლიან წესს და ზნეობას,
და მისხალ-მისხალ რა შორს
მიაქვს ის ღელვა ნიავს...
რა უცნაურად გაურბიან მოვალეობას,
და, რაც გიბოძეს, დაუნდობლად
უკანვე მიაქვთ!..

## იოჰან დანიელ ვაგნერს

მე შენ მიგზავნი ესპანურ ლექსებს,
მე კი გერმანულს მხოლოდ და მხოლოდ.
დრო ვერ გაახმობს მათ ძლიერ ფესვებს
და გავიხარებთ
ორივე ბოლოს!..
ჩვენ, აჰა, ოთხმოცს გადავაბიჯეთ
და სადღეგრძელოს კვლავ ბევრჯერ შევსვამთ!
დრო რა სიმკაცრით გვითვლის ნაბიჯებს,
კვლავ ერთად ვთოხნით
და ერთად ვთესავთ...
მოჩანს სამოთხის ბილიკი ვრცელი,
რომლის ნათელი არასდროს ქრება!..
წავალთ, გაგვყვება თვალები სველი
და უკვდავებად
სიმღერა რჩება!..

## ვიპოვე

მიმოვდიოდი ტყეში, გული აქ ყოფნას ნატრობს,
უბრალოდ ვხეტიალობდი,
ყრუ სიღრმეებში მარტო...
ვნახე ყვავილი ლამაზი, მთრთოლი რტოებქვეშ ხეთა,
მომხიბლა მისმა სინაზემ
და სიხასხასემ ფერთა...
მივედი მასთან, მომინდა ხელით შეხება როცა,
„ნუთუ მე უნდა მოვკვდე?“ –
მომესმა მისი ლოცვა!
ის ფესვიანად მოვხსენი და ცვრის წვეთებით ხშირით
ჩემს მყუდრო ბაღში გადავრგე,
ათრობდა სიო დილის...
ის წყნარ ადგილას გაცოცხლდა, არხევდა ფერთა ფანტელს,
ისევ აყვავდა იგი,
როგორც ყვაოდა ადრე!..

## უქარო ზღვა

მთვლემარე წყლები უმოძრაო, ვრცელი და მშვიდი,
მენავეები შეშფოთებით
გასცქერენ სივრცეს...
ზღვა თითქოს ღელვით დაიღალა და ჩქამიც მიცხრა,
და შეღამების სევდიანი
მიცურავს ბინდი...
ო, იქნებ, შეწყდა სამყაროში ხმაური ქარის
და მეფობს მხოლოდ უჩვეულო
დუმილი მკვდრული!..
ქანაობს მხოლოდ უნაპირო ხედები მკრთალი,
ო, თითქოს, იგი საუკუნოდ
მინებდა დუმილს...

## ემილია ფონ შილერს

ვფიქრობდი რამდენს, – ენით არ ითქმის,
არ გაგიგზავნე ერთი სტრიქონიც,
თუმც წელიწადმა გადაიქროლა,
ის ჩემ წინ იდო
უცვლელად თითქმის.
რომ გაიტანე, არავის უკვირს,
არ დაბოღმილხარ შენ მისი ნახვით.
თუმც ყველაფერი ისეა უკვე,
როგორც ის იყო,
სწორედ იმ სახით.
ო, დედობრივი მაღალი გრძნობით,
თანაც ახალი მიზნით კეთილით.
იარე მამის გაბედულებით,
არ დარჩე მისგან
გზამოკვეთილი!

# ღამეული აზრები

თქვენ მებრალებით, ვარსკვლავებო ნაღვლიანებო,
ასე ლამაზად რომ ელვარებთ
და გზას უნათებთ
მოგზაურებს, მიმავალთ ზღვაზე... და არავისგან
აღარ ითხოვთ სამაგიეროს, –
ვერც მოკვდავთაგან, ვერც ღმერთებისგან!
თქვენ აღარ იცით სიყვარული, არც საუკუნე,
ღამეთა თევით, მოუთმენლად
მიჰყვებით სივრცეს,
და ცის უსაზღვრო სიდიადეს ხმაურით არღვევთ...
ვინ მოთვლის იმ გზებს, რომელიც თქვენ
გივლიათ დღემდე,
ო, შუქთა რხევით,
უგზო-უკვლოდ, უკიდეგანოდ...
მოდის შუაღამე და ვწყვეტ ფიქრს უკვე,
ტკბილად გივიწყებთ ორივეს ერთად –
თქვენ და შუაღამეს!..

## ყვირილი
(იტალიურიდან)

მე მივეპარე, დამტკბარვიყავ მის გვერდით წოლით,
არა აქვს ბოლო მასთან ყოფნის
ჩემეულ წადილს!..
სავსეა ვნებით, სათაყვანო მკერდს არხევს ბროლის
და მეუბნება: „ჩამომშორდი,
ადექი, წადი!“
„რა მოხდა მერე, საყვარელო, მივუგე დინჯად,
თუნდაც იყვირე, მე
რა უნდა წამართვა ამით.
მოგვაყურადონ, თუნდ გაიგონ, არაფრად მიჩანს,
მხოლოდ დაგვირღვევს ნეტარებას
ბედნიერ ღამის“.

## თითოეულს და ყველას

მიმოიხედე, ძმობილო, ირგვლივ,
ამპარტავნობას ნუ უცქერ ხარბად!..
ჩანს: რომ არ დგახარ ყველაზე ზემოთ,
მაგრამ არაფრით – არც
სხვაზე დაბლა!
უბედურება ბევრი გინახავს,
მიუწვდომლობაც, ბნელიც, სინათლეც!..
მაგრამ ცხვირი არ ასწიო მაღლა,
ჩვენს შორის, რომ
არ გაუჩინარდე!..

* * *

ძირს ჩამოდიან მუქი ბინდები,
თითქოს გამირბის, რაც იყო ახლოს...
ცაზე ვარსკლავი ამოინთება,
რომ დედამიწის
ზღაპარი ნახოს!..
გაურკვევლობა თანდათან ქრება,
ნისლი ფერმკრთალი მიიწევს ზევით...
ბინდების წყებას მოშავო ფრთებით
ტბის სილაჟვარდე
ირეკლავს ვრცელი...
ჩემ წინ, შორეულ აღმოსავლეთით
ამოდის მთვარე, გამრღვევი ბნელის...
და ტირიფებით მოქსოვილ სივრცეს
შეარხევს ფეთქვა
ტალღების ნელი...
და წრიულ ბრუნვას თალხი ჩრდილების,
აქა-იქ მთვარის ნათელი ფანტავს...
და მოთამაშე ფერთა დინება
გულამდე, ო, რა სიამით ატანს!..

## თვითდაჯერებული

ის ასე ამბობს:
„თავს ვალდებულად არ მივიჩნევ ვინმეს წინაშე
და არასოდეს ვიხედები
მე მათ წიაღში.
არც ძველ ოსტატებს ვცნობ დიდების
შუქით მოფენილს,
მხოლოდ ვენდობი საკუთარ ნიჭს,
ზეცით მობერილს!..
ვთვლი უაზრობად რომელიმე
სკოლასთან კავშირს,
თუ მომინდება, მე საკუთარ
იალქნებს გავშლი,
არახალია, უმეცრების ფუჭია კვალი:
„უჭკუობა მჭირს, – აქ
არავის მიუძღვის ბრალი!“

## ანეტას

ძველი წიგნები გამოირჩეოდნენ –
უზენაესი სახელებით
ღმერთების, მუზის,
და არა მარტო სიყვარულის იდუმალებით,
ხოლო ჩემთვის კი იგი იქცა
დაუსაბამო შუქის წყაროდ
და შთაგონებად!..
დაე, ეს წიგნი ატარებდეს მის ნეტარ სახელს,
მხოლოდ – ანეტას!

* * *

შენ, როცა წახველ, მე თვალები ვერ გაგაყოლე,
ვერც ის გავიგე, საყვარელო,
დაბრუნდი როდის.
წავიდა ის დრო, უჩვეულო დავკარგე ღონე,
კვლავ გელოდები, თუმცა
ზღვარი არა აქვს ლოდინს!..
მე შემიძლია ჯერჯერობით, რომ მშვიდად ვიყო,
შენ მთელი გულით, მეგობარო,
გამართლებ თითქოს,
როცა შორსა ხარ, მწუხარებას ორივე ვიყოფთ
და თუ ახლოს ხარ, გამირბიხარ,
თან მიგაქვს სითბო!..



# ჯორჯ გორდონ
# ბაირონი

დავით ტაბუნია

# „ვით სპარტანელი ფარსდაყრდნობილი ამაყად ვდგავარ!“

ინგლისის პირველი პოეტი და მსოფლიო მნიშვნელობის გენია ჯორჯ გორდონ ლორდ ბაირონი დაიბადა 1788 წლის 22 იანვარს ლონდონში. ის როგორც მამის, ისე დედის მხრივ ინგლისის, ასევე შოტლანდიის მაღალი ფენებიდან მოდიოდა. დედამ, შვილის დაბადების შემდეგ, მიატოვა ოჯახის მიმართ უპასუხისმგებლო მეუღლე, რომელიც საფრანგეთში გადაიხვეწა და მალე გარდაიცვალა. დედამ ყველაფერი იღონა, რომ შვილს მიეღო ლორდისთვის შესაფერისი ცოდნა-განათლება.

ბაირონი 13 წლის იყო, როცა დაწერა პირველი ლექსი - „მარგარიტა პარკერის საფლავზე“, რომელიც ძალზე უყვარდა. ხაროუს სკოლაში ყოფნისას მან გაიცნო ულამაზესი ქალიშვილი – მერი ჩავორტი, რომელმაც არ მიიღო ბაირონის სიყვარული. პოეტის სიტყვით, მერის სიყვარულს შეეძლო მისთვის სხვა მიმართულება მიეცა. ბაირონის მკვლევარების აზრით, ისინი ხვდებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ მათი ურთიერთობა ოჯახის შექმნამდე არ მისულა.

1809 წელს ბაირონი გაემგზავრა საზღვარგარეთ. ის იმყოფებოდა – ესპანეთში, პორტუგალიაში, ხმელთაშუა ზღვის კუნძულებზე, ალბანეთში, საბერძნეთში, თურქეთში. მისი სახელი შორს გასცდა სამშობლოს საზღვრებს. საზღვარგარეთ მან დაჰყო 2 წელი. სამშობლოში მისი დაბრუნება დააჩქარა დედის გარდაცვალებამ და უსახსრობამ.

პოეტი ამაყობდა იმით, რომ შთამომავლობით მიიღო ლორდის ტიტული. ლორდთა პალატაში გამოსვლისას თავი იჩინა მისმა ორატორულმა ნიჭმა, გამოდიოდა ლუდისტების დასაცავად.

მოგვიანებით, პოეტმა ცოლად შეირთო ანაბელა მილბენკი, რომელმაც ვერ თანაუგრძნო ბაირონის მისწრაფებას. შვილის, ადას შეძენის შემდეგ განშორდა მას და დაბრუნდა მშობლების სახლში.

1816 წლის აპრილში ბაირონი დაემშვიდობა თავის საყვარელ დას – ავგუსტას, და დატოვა ინგლისი, როგორც შემდგომში აღმოჩნდა, – სამუდამოდ. იტალიაში პოეტი ჩაება ხალხთა განმათავისუფლებელ მოძრაობაში. ამავე დროს, მან განაახლა მუშაობა „ჩაილდ –ჰაროლდის მოგზაურობაზე.“ აქვე დაამთავრა დრამატული პოემა „მანფრედი“. ახალი ძალით შეუდგა „დონ-ჟუანის“ წერას.

იტალიაში გაიცნო ტერეზა გვიჩიოლი და მასთან გააბა სასიყვარულო რომანი. მალე საბერძნეთში იფეთქა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ, რამაც განაპირობა პოეტის შემდგომი ბედი. ის სამხედრო აღჭურვილობით ჩავიდა ქ. მისოლუნგში, სადაც მოთავსებული იყო შტაბ-ბინა. მან გამოამჟღავნა სამხედრო საქმის საუკეთესო ცოდნა. ის სათავეში ჩაუდგა აჯანყებულებს.

ბაირონის სახელი ცნობილი გახდა დიდი გერმანელი პოეტის იოჰან ვოლფგანგ გოეთესათვის, რომელმაც შეუდარებელი სტრიქონები მიუძღვნა მას: „ის ღმერთების სწორია და ქუხილის ნაქადი, მას შერჩება გლორია, ჩვენ კი ცრემლის ნაკადი“.

მძიმე მუშაობამ შტაბსა და ბანაკებში ერთიანად მოქანცა პოეტი. ამავე დროს, მას დაემართა ციებ-ცხელება. 1824 წლის 19 აპრილს მან განაცხადა: „მე ყველაფერი მივეცი საბერძნეთს – ჩემი დრო, ეკონომიური საშუალება, ჯანმრთელობა. მეტი რა შემეძლო გამეკეთებინა? – ახლა ვაძლევ სი-

ცოცხლესაც.“ ამავე დროს მან დაწერა ლექსი „დღეს შემისრულდა 36 წელი“. ამ ლექსში არის ასეთი სტრიქონი: „ვით სპარტანელი ფარსდაყრდნობილი ამაყად ვდგავარ!“, რაც მისი ამ მოკლე ბიოგრაფიის სათაურად გამოვიტანეთ. აქვე მინდა მოვიტანო სონეტი, რომელიც პოეტის უკვდავებას მივუძღვენი:

შენს დიდ გენიას ვერ იტევდა ბებერი მიწა,
სულით-ხორცამდე პოეზიის ცეცხლში იწვოდი!
პლანეტის მკერდზე მხოლოდ შავი ვეშაპი იწვა,
უკან დახევა თუ რა იყო, აღარ იცოდი!

კაცი სამშობლოს აუჯანყდი ყალბს, ხავსმოდებულს
და ყრუ კედლების შენ ერთბაშად სცადე განგრევა!
ებრძოდი მედგრად ამ სამყაროს გაბოროტებულს,
რომ ის გექცია კართაგენის პირქუშ ნანგრევად!..

გადაიქროლე შენ სიმღერით ჩაილდ-ჰაროლდის,
ზღვა და ხმელეთი... შემართება გასცდა მოლოდინს!..
თავისუფლებას მხოლოდ შენკენ მოუხაროდა,
და მისთვის ბრძოლას შეეწირე კიდეც ბოლომდის!

იდექ და ალპებს ახეთქებდი მსოფლიო სევდას
და რას დაგაკლებს ჟამი ურჩი კოსმოსურ მხედარს!

## ელეგიები თირზას

ბაირონის ცხოვრების მკვლევარებმა დღემდე ვერ დაადგინეს, ვინ იყო ის ქალიშვილი, რომელმაც ულამაზესი ვაჟკაცი, ინგლისის პირველი პოეტი და მსოფლიო მნიშვნელობის გენია, სიყვარულის ამგვარ ცეცხლში გახვია და, მოულოდნელად, სრულიად ახალგაზრდა მიიცვალა!

ბაირონს არაერთხელ უთქვამს მის შესახებ და, ამავე დროს, ახლო მეგობრებს მისი თმის კულულებს უჩვენებდა, რომელსაც გულის ჯიბით ატარებდა; ხოლო, საბერძნეთში ყოფნისას ციებ-ცხელებით მოთენთილმა და სიკვდილის პირას მისულმა ითხოვა, რომ მისთვის კუბოში ჩაეტანებიათ ეს ძვირფასი განძი, რაც დიდ პოეტს მეგობრებმა კიდევაც შეუსრულეს.

***

1

არც ერთი სიტყვა მე არ მინდა, რომ ითქვას მწარე,
არც ერთი სიტყვა, რომ შეარხევს
ალერსით სმენას!..
უკვე გავრბივარ, ეს ნაპირიც დავტოვო ბარემ,
რომელსაც აწი იმ ხმის ტემბრი
ვერ გადასერავს!
აქ იშვა მხოლოდ, ამ ნაპირზე, ო, ის ხმა წრფელი,
რომლის აღდგენის არ არსებობს
რაიმე ძალა!
მსურს დავივიწყო ის სინაზე და იმ ხმის ფერი,
რადგან უმისოდ აქ ყველაფრის

შეხედვა მზარავს!..

2

აქ ირხეოდა, ამ ნაპირზე, ის ხმა გრძნეული,
მაგრამ სიცოცხლის რა უდროოდ
ჩაუწყდა ფესვი?!
უკვე მერღვევა ტკივილებით მე ეს სხეული,
ო, როცა მწუხრში განშორების
მუსიკა კვნესის!..
მე მასში ვხედავ შენს ხატებას, ო, თირზავ ჩემო!
მაგრამ დემონმა რა უდროოდ
ჩაგავლო ხელი!...
ნუთუ ყოველი საიდუმლოდ გადაწყდა ზემოთ
და ყველა ჩვენი თანაგრძნობის
დალუქა ხვრელი?!

3

დადუმდა! მაგრამ სიშორიდან ატანს გულამდე,
ო, იმ ხმის ექო, უკვდავების, –
იმ ლამაზ დღეთა!..
არ მინდა უკვე, რომ მას ისევ მივაყურადო,
ის მოკვდა, მოკვდა საუკუნოდ,
ო, მასთან ერთად!..
მაგრამ, თუ ისევ დამესიზმრა, რომ ფეთქავს კვლავაც
და, ისევ, ვისმენ მის საუბარს
ესოდენ ლამაზს!..
გამეღვიძება და უეცრად გაქრება, წავა,
და ზედ ვაწყდები მკვდრულ სიჩუმის

შემზარავ სამანს!..

4

შენ ცხადი იყავ თუ სიზმარი, ო, თირზავ ჩემო!
რად გახდი ჩემთვის საუკუნოდ
                                                ოცნება დიდი?
შორს წასულს უკვე სამუდამოდ, ჰორიზონტს ზემოთ,
ო, როგორც ვარსკვლავს მის სიღრმეში,
ცა არხევს მშვიდი...
და იმას, ვინც კი დააბიჯებს ამ გრიგალ-ქარში,
უბედობასა და შემზარავ
                                ღრმა წუხილს შორის!..
მოაგონდება ის ლამაზი ვარსკვლავი მაშინ,
რომ აელვარდა ღამის ცაზე,
სადღაც, მის ზემოთ...

* * *

გათავდა, მორჩა! ჩემი რწმენის დაიმსხვრა კოშკი!..
არ მაქვს სურვილი და არც მინდა
ჟამთან მინდობა!
ამდენი ღელვით და წამებით,
ო, ამ გულს მოშლილს,
რა ვერაგულად
დაეუფლა უამინდობა!..
აწი შორს ჩემგან უთავბოლო სურვილთა წყება,
არ ვითხოვ უკვე სიყვარულით
ამ სულის თრობას!..
და ჩემი გულის მხურვალებას, მოქანცულს წლებით,
ო, ხსოვნის გარდა საუკუნოდ
ვერავინ მოჰბანს!..

* * *

ანესლის მთაო, შენს ლურჯ კალთებს, ვიცი, ვახსოვარ!..
გემშვიდობები უნაყოფოს,
ზამთრის ქარიანს!..
ამ ჩემს გულისთქმას შენ გიტოვებ მხოლოდ სახსოვრად,
თუმც, განშორება, მეგობარო,
მიჭირს ძალიან!
მივდივარ, უკვე მომავლისგან არაფერს ველი,
ყველა ჩემი გზა გახდა ერთობ
ცივი და მკრთალი!
შენი ღიმილი ამ ხეივნებს, ძვირფასო მერი,
ველარ შემოსავს აწი ჩემთვის
სინაზით მთვარის!

# თომას მურს

1

ო, როგორ ცხოვრობ, შენ, – თომას მურ?
ო, როგორ ცხოვრობ, შენ, – თომას მურ?
მაგ გული, ისევ, საიდუმლოს ინახავს რამდენს,
ლექსების წერით, ალბათ, ახლაც
ღამეებს ათევ,
თვალების ცეცხლით სილამაზეს თუ ეფერები,
ო, ის ხმაური კარნავალის
თუ გესმის, მურ!
თავბრუდამხვევი ის ხმა თუ კვლავ
გიახლოვდება, მურ!.
ხმები სიმღერის, ფლეიტების, ცეკვა-თამაშის
და მომხიბვლელი საუბრების, მურ!
ისევ თუ მისდევს მზერა ნიღბებს ფერადზოლიანს
და გასროლილი კოცნის
თეთრი ტრაექტორია,
აი, ისინი, მურ!

2

ჩემი ხომალდი ისევ გაშლის მრისხანე აფრებს,
მეზღვაურები მიმოდიან
და ღელავს გული!..
ო, სანამ ზღვაზე გავიდოდე, ამ სევდას დავფლეთ,
მინდა, რომ შევსვა სადღეგრძელო
ძვირფასი მურის!
ღრმა ამოსუნთქვით კვლავ ვიხსენებ
იმ დღეებს ნანატრს
და თან ღიმილით მაგონდება
სიბეცე მტრების!..
ჩემთვის არასდროს უმღერია ცხოვრებას ნანა
და მივარღვევდი საუკუნის
ტკივილებს მხრებით!..
დე, ჩემს გარშემო იბობოქროს ზღვამ ულმობელმა,
მე შემართება ამ ზვირთებთან
სულაც არ მიჭირს!..
დავტოვებ სივრცეს უკაცრიელს და დაუნდობელს,
ამისთვის ნაღდად მე მეყოფა
ძალაც და ნიჭიც!..
და ჩემში სანამ მცირე წვეთი დარჩება სისხლის,
გადააჭარბებს ჩემი რწმენა
ყველა მოლოდინს!..
მე ამ მიწაზე ბოროტებას შევხედავ ზიზღით,
შენს სადღეგრძელოს, მეგობარო,
შევსვამ ბოლომდის!

## უძინართა მზეო!

მზე უძინართა! და მწუხარე ვარსკვლავი ცაზე,
ციმციმებს სხივი ცრემლიანი
მუდამჟამ შენი!
და, როგორც ღამე უიმედო, სიბნელით სავსე,
შორს მიქანაობს ტკივილებით,
ოხვრით და ქშენით!..
კვლავ ანათებენ ის დღეები კოშმარულ ღამეს,
მაგრამ ვერ გვათბობს ის უღონო,
ფერმკრთალი სხივი.
ო, ის ვარსკვლავი გარდასული ქვითინებს მწარედ
და შორით მოჩანს ის სინათლე,
ო, მაგრამ ცივი!...

## ის ჯადოქრობა გაქრა

ამოიწურა ზღაპარი, ბედნიერება გაქრა...
გაფრინდა ის ნეტარება,
ტკივილმა მწარედ გამკრა!
ჩვენ სულელურად ვიცინით, ცრემლს უნდა
ვღვრიდეთ როცა,
გული გაცივდა მხურვალე
და ვიტანჯებით ცოცხლად!..
ო, ის ნათელი დღეები ებრძვის მკაცრ შემოტევას
და თან გვახსენებს მუდამ,
რომ მწუხარების ტყვე ვართ!..
ვინც ცხოვრობს, როგორც ბრძენკაცი, მას ბევრი
რამე სტკივა,
და თვალებიდან ჩამოსდის
ცრემლები, როგორც წვიმა!..

* * *

როგორ გვიყვარდა ხეტიალი მე და შენ ღამით,
როცა გვათოვდა მთვარე ლურჯი
შუქისმოდებით...
თუმც, სურვილი გვაქვს, მაგრამ
უკვე გაფრინდა ჟამი
და ხელმეორედ კვლავ
არასდროს განმეორდება!
მახვილი მჭრელი უკვე თავის ბუნებას იცვლის
და სულის ღელვა სათნოებას
სცილდება მკერდის!
გულიც მოითხოვს დასვენებას, საოცრად ფიცხი,
მხოლოდ გრძნობა წუხს უჩვეულოდ,
რომ არ ხარ გვერდით!
მე კარგად მახსოვს ღამეები მშფოთვარე, მოკლე,
რომელიც იყო ტრფობისათვის
საოცრად მცირე!
მე იმ ყვავილებს მთვარის შუქზე კვლავ
ვეღარ მოვკრეფ
და გთხოვ, არ მიხმო,
და ვერც მოგცემ შეხვედრის იმედს!

* * *

მესაიდუმლეს მშფოთვარე გულის
                შენ სათაყვანო „სიცოცხლეს“ არქმევ!
ო, რა კარგია ეს სიყმაწვილე,
არ ნებდებოდეს
ქარსა და ნამქერს !
მიქრის ყოველი სისწრაფით ისრის
                სასაფლაოსკენ, – შენ მეფერები!
ო, მიხმე „სულით“, რომლის ხმა ისმის,
რა რჩება ჩემში? –
სიყვარული დაუბერები!

## ჩემი დაბადების ოცდამეცამეტე წელი

ცხოვრებავ ჩემო, მარად მღვრიევ, გაუმჭვირვალევ,
ოცდაცამეტი გავიარე
კაცმა მჭმუნვარედ!
ო, როგორ მინდა დავამშვიდო სული რამეთი,
მაგრამ რა შემრჩა? – მხოლოდ
ციფრი ოცდაცამეტი.

## კითხვა სიყვარულზე

„თუ სად იწყება სიყვარული?“ – ამას ნუ მკითხავთ,
მძიმეა ჩემთვის გიპასუხოთ
ამგვარ კითხვაზე!
თვალის გახელით ის ინთება, ეს უნდა გითხრათ,
და მის სინაზეს უჩვეულო
გრძნობით ითავსებს!
„სად არის ტრფობის დასასრული?“ – ამას ვერ ვხედავ,
ვპასუხობ, რომ ეს საიდუმლო
არავინ იცის!
ის ჩემთან არის, სანამ გული ძალუმად ფეთქავს
და თუ გაქრება, ჩემთან ერთად
გაქრება ისიც!..

## ექსპრომტი პასუხად მეგობარს

ავადმყოფური ჩემი სული სიმშვიდეს კარგავს,
ტანჯულ რაინდის სამზეოზე
დავიდგამ გვირგვინს!
ჩემო ძვირფასო ანგელოზო, გამიგე კარგად,
ნუ მკითხავ იმას, თუ საიდან
მოირღვა იგი?!
ჩემს მძიმე ნაღველს გააჩნია თავშესაფარი,
ჩვეულებრივი საცხოვრისი,
ნაგები მტკიცედ!
მის მღელარებას დააშვიდებს მიწის საბანი,
როცა ამ სოფლის სამუდამოდ
დავტოვებ სივრცეს...

**პენელოპას**

(2 იანვარი 1821წ.)

უიღბლო დღეთა, ო, ეს წყება რა დუნედ მიდის,
მას ჩემს ნახვაზე ახლა უკვე
გული არც უთრთის.
ექვსი წლის წინათ ერთმანეთით
ვცოცხლობდით თითქმის,
ვიყავით ერთად, ცალ-ცალკე კი, –
ო, ზუსტად ხუთი!

* * *

ო, თუკი სული შორს, მიღმა ცათა
კვლავ ინარჩუნებს თავის მეობას!
ერთურთს ერწყმიან გულები ნათლად
და ტრფობის
გრძნობენ მოუთმენლობას!..
მაშინ ღირს სწრაფვა შორეულ ცისკენ,
დაემსგავსება სიკვდილი სიზმარს!..
და მწუხარებას დავტოვებთ ცისქვეშ,
ჟამის მორევი
ვერაფერს გვიზამს!
რატომ ვცახცახებთ, ან ფრთებს ვინ გვაჭრის,
ან ეს ქარები ასე რად ქრიან?
რად ვუფრთხილდებით, ო, იმ რგოლს ჯაჭვის,
რომელსაც ჩვენი
ცხოვრება ჰქვია?!
თუ ჩვენს სიყვარულს ვერავინ წაშლის
და მარადიულ ტრფიალით ვთვრებით!..
თუ უკვდავების იალქნებს გავშლით
და შორს ვიქროლებთ
ფერადი ფრთებით...

## სტანსი

სადავოდ არავინ მიიჩნევს მაგ ზღაპრულ სილამაზეს,
ტკბილია შენი ხმის სიმები,
ო, როგორც მუსიკა ზღვაზე!..
მდუმარებს ზღვა, ხმაურს ჩვეული, ის ერთობ
მონუსხეს ბგერებმა
და წყალში ირხევა სხეული,
ქარს სძინავს ლურჯ საქანელაზე...
ცახცახებს სხივების მორევი,
მთვარე რომ იალქნებს გაშლის
და მკერდი ირხევა ზმორებით, ო,
როგორც სიზმარში ბავშვი.
კვლავ სმენას მოგაპყრობს ფარულად ეს სული
სიამით მთვრალი,
მე შენი ხატება მაოცებს, რომ
ადგას ნათელი მთვარის!..

## რომანსი

იმედს არასდროს არ უწოდო ბედნიერება,
არ დაივიწყო სიყვარული
არასდროს ძველი!
დე, იყოს წრფელი მოგონება – ტრფობის ტაძარი,
კვლავ გაიღვიძებს ის სიზმარი,
ცრემლებით სველი!..
რაც ხსოვნამ დღემდე სიყვარულით შემოინახა,
ო, იგი შენში, რომ იცოდე,
არასდროს ქრება!
იმედის სხივი გადამქრალი ბევრი მინახავს
და სამუდამოდ მიეცემა
ის დავიწყებას!..
ვერ დავიბრუნებთ, რაც კი ერთხელ გაქრა, წავიდა,
დრომ ის მოგვტაცა...
დაბრუნებას აღარ აპირებს.
ვერ დავიწყებით, მეგობარო, ისევ თავიდან,
თუ ერთხელ ძველი სიყვარულის
გავცდით ნაპირებს!..



# პერსი ბიში
# შელი

## დავით გაზუნია

# ... „და ფერადებში მიცურავს შელი“

პოეტური ვნებათაღელვით, საოცარი ცხოვრებისეული რაციონალური აზროვნებით, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მსოფლმხედველობაზე ღრმა ჩაფიქრებით, სწორი, ნათელი გონიერებით, მართლაც, გამორჩეულია ინგლისის უნიჭიერეს პოეტთა შორის, ამ ქვეყნიდან ჭაბუკად წასული, მაგრამ ბრძნული ნააზრევით, გამართული ძლიერი ლოგიკით, მტკიცე ადამიანური პრინციპებით დაჯილდოვებული შემოქმედი პერსი ბიში შელი, რომელიც არავის ჰგავს. ასე მგონია, არავისგან იღებს წყაროს – თავად საკუთარი სულიდან ამოხეთქილი ჩანჩქერით იკვებება და გაკვირვებას იწვევს ადამიანებში, რომელთაც პატივი ერგოთ ეზიარონ მის შემოქმედებას.

ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებიდან, როცა აწ განსვენებული ლექტორების, ბატონების: შ. რევიშვილის და გრ. ხავთასის საზღვარგარეთის ლიტერატურის ლექციებს ვისმენდი უნივერსიტეტში, ჩემში შთაგონებად დარჩა ამ უდიდესი პოეტის მომნუსხველი შემოქმედება, მისი მრავალმხრივი, განუმეორებელი პოეტური აზროვნების მოზაიკა.

პოეტს, რამდენადაც ის აღსავსე იყო მაღალი მოქალაქეობრივი თვისებებით, ჰქონდა მდიდარი ცხოვრებისეული ხედვა, თითქმის წინასწარმეტყველური ალღო და არ უჭირდა საკუთარი აზრი თამამად გამოეთქვა, – შეეძლო ერჩია, ესწავლებინა სხვებისთვის, თუ როგორ ვცადოთ, ვეძებოთ და მივაღწიოთ უკეთეს ცხოვრებას, ნამდვილ სიყვარულს, ვთესოთ სიკეთე.

ინგლისის გენია, როგორც მოსალოდნელი იყო, შეუმჩნეველი არ დარჩენიათ თანამედროვეებს და, არც შემდგომ თაობებს.

დიდი ბაირონი მას მარადიული სწრაფვის პოეტად აღიქვამდა, რომელსაც მიუღწეველიც კი მიაჩნდა რეალობად და მუდმივად მიილტვოდა წინ.

დიდი პოლიტიკოს-ფილოსოფოსები, საზოგადოებრივ-სოციალური წყობის უფრო სამართლიანობისთვის მებრძოლები: მარქსი და ენგელსი, მასში ხედავდნენ სტრატეგიულად მოაზროვნე შემოქმედს; წინასწარმეტყველის დონის პიროვნებად წარმოისახავდნენ მას, რომელსაც ესმოდა, რომ განახლების, წინსვლისთვის რევოლუციური წიაღსვლებიც დასაშვებია.

შელის „რომანტიკოს რევოლუციონერსაც“ კი უწოდებდნენ.

შელი ჰუმანისტი, უნიკალური ადამიანი იყო და ამ თვისებებშიც არ ჰყავდა ტოლი. მას კარგად ესმოდა პოეტის მისია. მისი ღრმა რწმენით, პოეზია ყველაზე ერთგული თანამებრძოლი და მეგზურია; ხაზს უსვამდა, რომ ხალხი, როცა გამოიღვიძებს, რათა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ცვლილებები მოახდინოს, უკეთესი მომავლის, თავსიუფლების მოსაპოვებლად, სწორედ პოეტური სიტყვა აძლევს მას იმპულსს, ძალას. ეს პოეტის ერთგვარი კონცეფცია იყო, რაც, ვფიქრობ, ეჭვს არ იწვევს. დიახ, ამაში პოეტს, მართლაც, უყოყმანოდ უნდა დავეთანხმოთ.

გამოჩენილმა რუსმა პოეტმა და მთარგმნელმა კ. ბალმონტმა, ინგლისელი გენიის შელის რუსულ ენაზე ამეტყველებით გაითქვა სახელი. ის მოხიბლული იყო მისი შემოქმედებით და სიამაყით ამბობდა – შელი პოეტთა შორის ის პოეტია, რომელიც ცხოვრობს პოეზიით. მისი სული აღსავსეა კეთილშობილე-

ბით. ის მზად არის უარი უთხრას ყოველივეს, რაც უარყოფითია. შელი დიდი სიკეთის მატარებელია და, ამასვე შთააგონებდა ხალხს, საზოგადოებას.

უსაზღვროდ შეიძლება წერო და ისაუბრო ამ დიდ შემოქმედზე, რამდენადაც უკიდეგანოა მისი მდიდარი, პოეტური სამყარო. მაგრამ, ეს ამ ფორმატში შეუძლებელია, ამიტომაც იძულებით, სინანულით ვსვამ წერტილს, და ბოლოს, მხოლოდ ვიტყვი – უიღბლათ ინგლისელებს, რომ დიდი შელი მათი ხორცისა და სულის ნაწილია.

სწორედ ბრიტანეთის მიწაზე, მისი შთამაგონებელი ღრუბლიან ცის ქვეშ 1792 წელს იშვა გენიალური შელი, რომელსაც 1822 წელს ტრაგიკული სიკვდილი ხვდა წილად. მაშინ ის სულ რაღაც ოცდაათი წლის ჭაბუკი იყო, მაგრამ საკმაოდ ბრძენი – რაციონალური პოეტური და ცხოვრებისეული აზროვნებით, რაც ასე იშვიათია. სწორედ ამითაც არის ის განუმეორებელი და უკვდავი.

გალაკტიონი – ქართული პოეზიის ქურუმი ბრძანებდა: „...და ფერადებში მიცურავს შელი“, და ამით, ის პერსი ბიში შელის მრავალფეროვან, მაღალმხატვრულ პოეტურ შემოქმედებაზე მიუთითებდა.



## მერი გოლდვინს

არ მომაშორო სათაყვანო ეგ შენი მზერა!
იგრძენი ცეცხლი ამ თვალების
ტრფიალით მთვრალის!
სხივები მისგან არეკლილი, რომ იწვის, მჯერა,
შენი თვალების დაუძლეველ
სხივების ძალით!
ო, ისაუბრე! მაგ შენმა ხმამ და ამოსუნთქვამ
გადაუაროს ჩემი სულის
მხურვალე ბექობს!..
შენც კარგად ხედავ, რომ ეს მზერა დაგეძებს მუდამ,
პასუხად ჩემში კვლავ ირხევა
შენი ხმის ექო!..
რომ შენც გიყვარვარ, ეს ცხადია, არა ზმანება
და ვგრძნობ მაგ სულის აღტაცებით
ნანახს და განცდილს!
ახლოს ხარ ჩემთან, ვით ღამესთან დღის ელვარება,
როგორც სამშობლო
გაძევების მომენტში კაცის.

## სიმღერა პროზერპინაზე

შენ, პროზერპინავ, ქალღმერთო მიწის,
            რომელმაც შესძელ გარღვევა ბნელის!
შენგან შექმნილის ტრფიალით ვიწვით,
რომ აგვიყვავე
პლანეტა ვრცელი...
ძალავ კეთილო! ღამე დასრულდა,
            რომ მოგვევლინა შენი ასული!
შენ გამოკვებე წვეთებით თაფლის,
ო, ყველა ბავშვი
მიწიერ ჟამის.
და კიდით-კიდე გაშალე აფრა,
            დაამხე ქვეყნად ულრანი შავი!
ძალავ კეთილო! ღამე დასრულდა,
რომ მოგვევლინა შენი ასული!

## სამყაროს თანამგზავრები

მითხარი, ვარსკვლავო ნათელო,
შენი გზა საითკენ მიდის?
ღამეებს როდისღა გათელავ,
შუქმფენი თვალებით დიდით?
მითხარი, შენ, მთვარევ ფერმკრთალო,
რომ ცურავ ღამეში ოდით...
გიცქერით უზომოდ შემკრთალნი, –
იპოვი სიმშვიდეს როდის?
ო, ქარო, რომ გავხარ პილიგრიმს!
ღელავ და კვამლივით მიიწევ...
შენ გავხარ სევდაში ჩაძირულს
და ოხვრა
ვერ გადაივიწყე.

## ვორდსვორთს

ღვთაებრივ ჩანგის მეუფეო, შენ იწვი ისევ,
რომ იმ დღეების სიშორეში გაფრინდა გუნდი...
ბავშვობამ, ყრმობამ, სიყვარულმა მოისხა ნისლი,
რაც მიილია, ის არასდროს არ დაბრუნდება.

მე კარგად მესმის ო, ეს ოხვრა და სიმძიმილი,
თუმცა არასდროს აღარ გითქვამს ამაზე ჩემთან...
შენ ერთადერთი ვარსკვლავური ძალით ციმციმებ
და იალქნები ქარიშხალში ო, ისევ ფეთქავს.

შენ, მიუწვდომელ სალ კლდესავით იდექი მედგრად,
მოსაპოვებლად ამ ბეჩავი ხალხის უფლების!
შენც, მეგობარო, მათი მძიმე უღელი გედგა
და ისწრაფოდი მხოლოდ გზაზე თავისუფლების...

ასეთი იყავ, მაგრამ ერთობ იცვალე სახე,
მძიმეა ჩემთვის, მეგობარო, რაც უკვე ვნახე!

## კეთილი ღამე

„კეთილი ღამე?“ – სევდას ვერ მიქრობს,
ჩემთან არ რჩები დილამდე რადგან,
ო, ანგელოზო, ნუთუ შენ ფიქრობ,
დრო განშორების
რომ უკვე დადგა?
„კეთილი ღამე?“ – ახლაა ფუჭი,
მე მარტოობის სურვილი არ მაქვს.
ამ მაცდურ სიტყვით გულს როგორ უჭირს,
რომ განშორების
დაჰქროლა ქარმა!
რომ ჩვენში გრძნობის ღვარები იშვას,
ამაში ის რომ ხელს არ გვიშლიდეს!
„კეთილი ღამე?“ – არაფერს ნიშნავს,
როცა ორივე
ვკარგავთ სიმშვიდეს!

## მცირე კუნძული

პატარა კუნძულს გასცქერი ზღვიდან
და ეფერები მოხატულს ფუნჯით.
ეს სილამაზე ვინ ამოზიდა
იაიებით – თეთრით
და ლურჯით.
არის შრიალი ფოთლების ხშირი,
ირგვლივ ცეკვავენ ტალღები ჩუმი.
და ნაღვლიანი ხეების ჩრდილი,
თითქოს იდუმალ
გაურბის დუმილს.
აქ, ოდნავ სუნთქვა ისმის ქარების
და ვეღარ აღწევს წვიმები ურჩი.
და, სავსე მთვარის მინანქარებით,
იძინებს მშვიდად
კუნძული ლურჯი.

## დრო

შენ ხარ უსაზღვრო ოკეანე მიწიერ სევდის,
ო, დროო, დროო, ვინმეს ძალუძს
ეგ შენი მოღლა?
შენს გულცივობას მიაწერენ განაჩენს ბედის,
მოეზიდები დასაბამით
ცრემლსა და ოხვრას!..

ხშირად მოიწყენ უმნიშვნელო მონაპოვარით,
იწყებ შეტევას დაუნდობელს,
სადაც გსურს, ყველგან!..
მხოლოდ ერთადერთს მიგაჩნია თავი მოვალედ,
ოღონდ შესრულდეს, ო, ეს შენი
ველური გეგმა!

თუ მოისურვებ, მწუხარების საზღვრებს გადასწევ,
გავცქერთ სივრცეებს
უბოლოო სევდით ნაოსებს!..
ქვეყნად ვერავინ გაექცევა მაგ შენს განაწესს,
თუ მოისურვებ,
სამყაროებს მოაქაოსებ!..

## იტალიას

როგორც ღამეში უცაბედად შემოჭრა ელვის
და როგორც ქარი ჩრდილოეთის –
                    სისქეში ღრუბლის,
როგორც გაქცევა მიწისძვრისგან დაღმართზე
                                        ღელვით
და შიშისაგან მოცახცახეს
რომ უხურს შუბლი, –
ო, შენც ასე ხარ, იტალიავ, ღმერთის უფლებით,
იცხოვრე მშვიდად –
მოყვარულმა თავისუფლების.

## ხვალ

ხვალინდელი დღის, სასურველო, სადა ხარ, დილავ!
ჭაღარა კაცო და ჭაბუკო,
                    მორევო ტრფობის!
სული ინახავს აღტაცებას, ნაღველსაც ხშირად, –
ყველა მოელის შენგან ღიმილს
კეთილი გრძნობით!..
მაგრამ ვერაფრით ვერ ვიშორებთ, როგორც
                                        ჩრდილს მძიმეს
და ასე ვხვდებით ჩვენ ყოველ დღეს,
არ ვკარგავთ იმედს!

**ქ...ს**

მე ძლიერ ვღელავ, ბაგეები მატყვევებს როცა,
ნუ გეშინია, საყვარელო,
                    გამიგო უნდა!
არ შემიძლია, რომ შორიდან გიცქირო მორცხვად,
შენ გაიარე, როგორც გინდა,
მსუბუქად თუნდაც.
ო, როგორ მაკრთობს მოძრაობა შენი თვალების,
იქნებ, გაშინებს დროის უქმად
                    დაკარგვის გრძნობა?
სიყვარულს ვითხოვ, შენ კი სულაც არ გებრალები,
როცა ორივეს ღვთაებრივი
გვეძახის ტრფობა!..

## ჯონ ქიტსი
(ნაწყვეტი)

**პოეტმა სიკვდილის წინ მეგობრებს სთხოვა,**
**რომ მის საფლავზე წაეწერათ: „აქ განისვენებს**
**იგი, ვისი სახელი წყალზე წერია“.**

მან უკანასკნელ ამოსუნთქვამდე
სიკვდილის ერთობ დაფხრიწა აფრა!
მოვიდა ტალღების ნაკადი ფერადი
და მოუტანა
დიდების დაფნა!
დატოვა ელვარე, ღრმა შემოქმედება,
რომელსაც ვერასდროს დაჩრდილავს დაისი.
ამგვარი ლექსები არასდროს ბერდება,
სად ცოცხლობს მარადის
ხმა ადონაისის!..

# ინდური მელოდია

ვცახცახებდი, როცა გამეღვიძა,
        შენ სიზმარში მომევლინე ისევ!
ცის სიღრმიდან ვიწროდ შემოჭრილმა
შუქმა ღამე
გაანათა მყისვე...
ვცახცახებდი, როცა გამეღვიძა
        და არ ვიცი, საყვარელო, რატომ?
ძლივს მსუნთქავი, ნელი ქარი ქროდა,
შენს ფანჯრებთან როგორ
გავჩნდი მარტო?!
კვლავ ტალღებზე თბილი ქარი იწვა
        და რა ნაზად ირწეოდა იგი...
ო, ის ღამე მე რამ დამავიწყოს,
მხოლოდ შუქი
ირხეოდა ირგვლივ...
შეწყდა ბაღში სტვენა ბულბულების
        არ ისმოდა ხმები აბრეშუმის!
მე, ძვირფასო, შენთან ახლოს ვნებით
მივეცემი ღელვით
სავსე დუმილს!
მე გულს მიწვავს, ისევ, მძიმე სევდა,
        ბალახებში მოთენთილი ვწევარ!
მიცივდება ეს ლოყები მკვეთრად
მარტოობის ფიქრით
დაღლილ მძევალს.

## საით მიცურავ, მზეო?!

გელოდები.. და გეძახი ტრფობით,
        ვიყოთ ერთად, გათენდება ვიდრე,
შენს ლამაზ მკერდს მივეყრდნობი გრძნობით
და ღელვისგან, იქნებ,
მოვკვდე კიდეც!

## სიმღერა

ნაძვისა და არყის ხეთა ტევრში
ზის ჩიტუნა, სევდას შეუპყრია;
ირგვლივ, სითაც აღარ გაიხედავ,
წააწყდები
ფანტელების რიალს...
და რტოებზე ფოთლებიც არ ჩანან,
კვლავ უბერავს შიშველ რტოებს ქარი,
მხოლოდ ზამთრის მდუმარება დარჩა
და ფერები
უკვე მომაკვდავი.
კვნესის ჩიტი! ხეებს აღარ უკვირთ,
დღე ცივია და საოცრად მკრთალი!
ყრუდ გაისმის შორით რაკარუკი
და წისქვილის,
ისევ ბრუნავს თვალი...

* * *

მაშინებს შენი მოფერება და ძლიერ მტანჯავს,
ვხედავ, არ გაკრთობს ჩემი მზერა,
ნაზო ასულო!
ო, ამ ღრმა სულის სევდა მძიმე სულაც არა ჩანს,
და შენი ღელვა მაკრთობს ისე,
ვით დასასრული!
შენი ყოველი ამოოხვრა, ყოველი ბგერა,
ო, წამებაა ჩემი სულის,
ნაზო ასულო!
არვის უნახავს ჩემი კოცნით დამხრჩვალი ჯერაც,
შენ ხარ სიზმარი,
ოცნებასთან გადანასკვული!

## ნეტარება

როცა სიცოცხლე მოეფინა ამ ჩვენს პლანეტას,
ო, სიხარულმა უჩვეულოდ
იძალა მაშინ!
ფერთა რიალში ენთო თითქმის ყველა განედი,
და ირხეოდა საოცარი,
მუსიკის რკალში...
პირველ თოვლისფრად მოქათქათე ნისლებში ჟამის
ფართოფოთლება მათრობელა
ფერები ენთო...
და ფიჭვებს შორის მოლაჟვარდე ტალღების ჩქამი
ათრობდა ღელვით მინდორ-ველებს,
მთებსა და ფერდობს.
ჰარმონიული სილამაზით ფეთქავდა სივრცე,
და ელვრებოდა ელვარება
მზისა და მთვარის....
მე იმ დღეების საოცრება, ო, ახლაც მიწვევს,
რომ ეძლეოდა აღტაცებას
ის დრო და სივრცე.

## დევნილები
(ნაწყვეტი)

1

ქარიშხალი შლის მრისხანე ფაფარს,
ელვა ფეთქავს, გული მედგრად გვიცემს!
ზღვა ბობოქრობს და ედება ქაფი
და მე და შენ კვლავ
მივარღვევთ სივრცეს!..
კლდეს ქუხილი ეხეთქება მძლავრად
და თან ბნელში იძირება იგი...
ჩვენ გავრბივართ, გვემატება ძალა
და რა მქისე ხმაური
დგას ირგვლივ!
თითქოს მიწაც ზღვა გამხდარა ურჩი,
იგი იძვრის, ზვირთს მრისხანეს მოჰგავს!
მეხთატეხას უკვე გადავურჩით,
მაგრამ სივრცე ჯერაც
ისევ ბორგავს!..

2

უსაფრთხოება შორს არის ჯერაც,
თუმც გული მკერდქვეშ კვლავ მედგრდ გვიცემს!
ვერ მოგვეწევა ვერავინ, გვჯერა,
და ბიჭის ხმისგან
ცახცახებს სივრცე!
ეძახის გოგო: იჩქარე, მალე,
არ შეგეშინდეს სიძნელის, არა!
ეკვეთე ზვირთებს ბოლომდე ბარემ,

ჩვენ ფრთებს გვაფარებს
ფარული ძალა!
შავი აჩრდილი შემოდგა კლდეზე
და ჭურვის ცეცხლი მოედო ფერდობს,
სროლა-ქუხილი გაისმა უცებ
და ხრამი მრუმე
მოირღვა ერთობ.

3

„მე და შენ ვისწრაფით, გავრბივართ მარტონი
და ვებრძვით გზადაგზა
სიურჩეს ქარების!
გვსურს, მაგრამ სიმშვიდეს ამაოდ დავეძებთ,
ორივე – მე და შენ,
შორს მივექანებით“...
ისინი მიქრიან... არ ახსოვთ სამყარო,
და ირგვლივ ზვირთები
ზვირთებზე გადადის...
შორს მოჩანს ზღვასავით მღელვარე ხმელეთი,
ირხევა წყლის სივრცე,
ელვებით ნაქარგი!
ო, ისევ გარბიან, ეწევა ვერავინ
და კვლავაც ოცნებით
სივრცეებს სერავენ...
ეძახით ცა ლურჯი, საოცრად მაღალი,
იქიდან იმედის
თვალები ელავენ.

## ეპიტაფია

ო, ამგვარ დუმილს რა უნდა ერქვას,
მათ არ ჰქონიათ სისხლი საერთო, –
დე, განისვენონ საფლავშიც ერთად,
რადგან ვერ ძლებდნენ
უერთმანეთოდ.

## რომაელის ოთახი

ფოთლებით დაფარულ იდუმალ მღვიმეში
შეყვარებულებს ელოდე უნდა!
აქ ფერმკრთალ მთვარის ქვეშ საგანი ყოველი
ხანმოკლე სიჩუმით
სუნთქავს.
შეხედე, ღრუბლების არ მოჩანს ნასახიც,
აქ რომაელი ცხოვრობდა ოდესღაც...
და იყო ღრეობა,
უზომოდ თვრებოდნენ;
იქ, სადაც ირხევა რტოების სილურჯე,
მსახვრალი ხელები
მსხვერპლს ელოდებოდნენ!



ჯონ ქითსი

## ვისი სახელი წყალზე წერია...

ინგლისში ჯონ ქითსს კითხულობდნენ ისინიც კი, რომლებიც საერთოდ პოეზიისაგან შორს იყვნენ, და, ეს იყო მისი აღიარება, რაც დღემდე გრძელდება... ბევრს ნიშნავდა ავტორისთვის, რომ მისი შემოქმედებით ინტერესდებოდნენ ხელისუფლების წარმომადგენლები; ისინი ციტირებდნენ მას. ქითსის გარეშე ინგლისის პოეტური სამყაროს წარმოდგენა ძნელია. მის კალამს ეკუთვნის ლექსები, პოემები.

სამწუხაროდ, ქითსი ადრეული ასაკიდან შეიპყრო სნეულებამ. ის ტუბერკულოზით იყო ავად. მიუხედავად ამისა, პოეტს კალამი ხელიდან არ გაუგდია. მძიმე ვითარებაშიც კი ახერხებდა უიმედობას და სევდას არ მისცემოდა და თავისი მისია საინტერესოდ შეესრულებინა.

საუბედუროდ, ნიჭიერ პოეტს მცირე დრო მისცა ბუნებამ შემოქმედებისთვის; სულ ოცდაექვსი წლის ასაკამდე შეძლო შეექმნა მეტად ემოციური, სიღრმისეული პოეზია, რითაც ის უკვდავებას შეერწყა.

ჯონ ქითსი არ იყო ფართო მასების, ხალხის, დაბალი ფენის, ჩაგრულთა პოეტი. ის დიდი პატივით სარგებლობდა ბურჟუაზიულ წრეებში. პოეტი სიღარიბეში არ გაზრდილა. მამა ტომასი კარგად უძღვებოდა ოჯახს. მისი ეკონომიკური მდგომარეობა სრულიად საკმარისი იყო შვილებისთვის კარგი აღზრდა-განათლება მიეცა.

მართალია, მამის დაღუპვისა და დედის გარდაცვალების შემდეგ მეტი საზრუნავი გაუჩნდა პოეტს; ისიც ყურადღებასა და მზრუნველობას არ აკლებდა ძმებს.

ქითსის საწყისი პოეზიაც კი, მიუხედავად პოეტის სიყმაწვილისა, შემოქმედებითად მიმზიდველი და მრავალფეროვანია.

მან ადამიანური გრძნობით სავსე სტრიქონები მიუძღვნა დიდ შემოქმედს ჯორჯ გორდონ ბაირონს და ნიჭიერ პოეტს ტომას ჩატერტონს.

1817 წელს გამოვიდა მისი პირველი კრებული „ლექსები". ბოლო პოეტური სტრიქონები 1819 წლით თარიღდება. მართალია, ქითსმა ცოტა ხანი იცხოვრა და ილვაწა, მაგრამ საკმარისად მოასწრო სათქმელი ეთქვა შემდეგ ნაწარმოებებში: „იზაბელა", „ექვსი დიდი ოდა", „ჰიპერიონ" და სხვ.

თავისებური ხედვისა და გააზრების ნაყოფია მისი ქმნილება ფსიქიკურად დაავადებულ ადამიანზე. პოეტი ხატავს პიროვნებას, რომელსაც შეჰყვარებია პარკში ამურის ქანდაკება. ლირიკული გმირი საოცარი სულიერი განცდის მონაცვლეობით შეჰყურებს მას.

ქითსი ხატავს ადამიანის სულის პეიზაჟს და შინაგან სამყაროს წარმოსახავს ფართო სივრცეში. რომანტიკოსისთვის დამახასიათებელი გრძნობით, ორიგინალური თვალსაწიერით გვხიბლავს, ჩაგვაფიქრებს, შთაგვაგონებს.

ქითსის შემოქმედებაში ერთ-ერთი საუკეთესოა პოემა „ენდიმიონი", რომლის სიუჟეტი ვითარდება ანტიკური მითის მიხედვით. ენდიმიონს შეუყვარდება მთვარის ქალღმერთი. აქ პოეტი ხატავს ბუნების სილამაზეს, სიყვარულით გამოწვეულ გრძნობებს, განცდებს.

ქითსს ძალიან იტაცებდა მედიცინა, მაგრამ ეს სურვილი მან ვერ შეისრულა. ის ყოველთვის მხატვრულ ლიტერატურას უბრუნდებოდა. სწორედ აქ, ელოდა მას ღირსეული ადგილი და დაისაკუთრა კიდეც.

ქითსი ბევრს მუშაობდა. მას ჰქონდა თემის ღრმა, მასშტაბური და თავისებურად გააზრების უნარი და მისეული მსოფლგა-

გებით ხედავდა ყოველივეს; რამდენიმე წელიწადში, მიუხედავად ავადმყოფობისა, შეძლო დაეტოვებინა ისეთი შემოქმედებითი მემკვიდრეობა, რომ ინგლისის სახელოვან რომანტიკოსთა შორის საპატიო ადგილი დაიკავა. ის იყო ბაირონისა და შელის თანამედროვე; ყოველთვის მიელტვოდა მათთან დაახლოვებას.

სამწუხაროდ, როგორც მისი ოჯახის სხვა წევრები – დედა, ძმები, ქითსიც ტუბერკულოზით მოკვდა.

ექიმები პოეტს ურჩევდნენ იტალიაში ემკურნალა. ქითსმა შეასრულა ეს რჩევა, მაგრამ ავადმყოფობამ იძალა. მალე დაეწყო ხანგრძლივი და მწვალებლური აგონია. ქითსი მიიცვალა 1821 წლის 23 თებერვალს. მისი ნეშტი რომის მიწას მიაბარეს.

ქითსის გარდაცვალებიდან მოკლე ხანში ინგლისმა ტრაგიკულად დაკარგა ორი პოეტური გენია – ჯორჯ გორდონ ბაირონი და პერსი ბიში შელი.

ჯონ ქითსს ნაადრევი და ტანჯული სიკვდილი არგუნა ბედმა, მაგრამ მარადიული ელვარება – მსოფლიო პოეტურ სამყაროში.

ამბობენ, რომ სიკვდილის წინ ჯონ ქითსმა მეგობრებს სთხოვა მის საფლავის ქვაზე წაეწერათ: „აქ განისვენებს იგი, ვისი სახელი წყალზე წერია“.

პოეტის თხოვნა-გამონათქვამი იმდენად ღრმა, თავისებური გააზრების ნაყოფია, რომ ძნელია მასში სრულყოფილად წვდომა. ამიტომაც ნებისმიერ მკითხველში აღძრავს კითხვას – რა უნდოდა ამით ჯონ ქითსს ეთქვა?

იქნებ, პოეტის სიტყვები რაღაც იდუმალი ძაფით დაკავშირებულია სიბრძნესთან – „ამაოება ამაოებათა“.

- იქნებ!...

## ლექსი დაწერილი შოტლანდიაში, ბერნსის სახლში

შენ აქ იცხოვრე და მცირედი სიმშვიდე ჰპოვე,
მე მოვიპოვე აქ ცოტა ხნით ყოფნის უფლება,
ო, იმ კუთხეში, სად დიდება გიცდიდა პოეტს
და გამზადებდა ჟამი – შენ მის დასაუფლებლად.

ჩემს სისხლში ღელავს სითხე უხვად ხასხასა ჭვავის,
თავბრუ მეხვევა აქ რტოების რხევებით ხშირით...
ბედნიერი ვარ, რომ მაგონებ იმ დღეებს ჩავლილს
და მადგას თავზე მხოლოდ შენი მაღალი ჩრდილი.

ვხედავ, უბრალოდ მე საჩუქრად მეძლევა უკვე
რიტმული სვლებით გადავზომო ეს სახლი მშვიდი.
და ვდგავარ ჩუმად, შენს დიდებას საკმეველს ვუკმევ,
მოჩანს ფანჯრიდან გორაკები, ხავერდი მინდვრის.

ო, გაიღიმე! უკვდავება გარგუნეს წლებმა
და მიწიერი სიდიადე, – არდავიწყება!

## დავით ტაბუნია

* * *

ვშიშობ, სიკვდილმა რომ უეცრად მომწყვიტოს შრომას,
გამაგდებინოს დაუნდობლად კალამი სველი.
ვერ დაამძიმებს თაროს ჩემი ლექსების ტომი
და პურეულის მარცვალივით დასცვივაველზე.

როცა მე ვხედავ სიშორეში ვარსკვლავთა ციმციმს,
მამუნჯებს იგი და მახარებს იდუმალ გრძნობით.
ამ სიმბოლოებს ვინ განაგებს, არავინ იცის,
ანდა საითკენ ეზიდება ძალები მწყობრი.

ასე მგონია, ვართ შექმნილი ერთიან მითით
და მიმაქანებს უჩვეულო ღელვა მდინარის...
თუ სიყვარულმა ვეღარ შეგვძრა, მოგვედო ფითრი,
დავრჩებით სადმე გარიყული და უჩინარი.

ვდგავარ, მე ვდგავარ დამუხტული ღელვით ფარულით,
უბრალოდ ქრება სათნოება და სიყვარული.

* * *

მე მიყვარს შენი თვალების სითბო
            და ხმა, საოცრად ნაზი და ტკბილი.
დრომ ის წამართვა, სხვას რაღას ითხოვს,
და მოგონება
ტკივილად მივლის!..
ო, კოცნა შენი მექცა ოცნებად,
            რომ ვეხებოდით ერთურთს ხელებით...
მე ქვეყნად არ მსურს სხვა საოცრება
და ვრჩები შენგან განახელები!..

* * *

თეთრო ფერიავ, იძინე მშვიდად,
მე მუხლმოყრილი ვლოცულობ შენზე,
და ზეცას შევთხოვ შენთვის სიკეთეს,
მახარებს შენი
ბედინერება,
რომ გახვევია ფერადი ფრთებით.
ვარ შეპყრობილი შენი სინაზით,
ჩემო ოცნებავ
და სიყვარულო!

## სიკვდილზე

1

ეს მართალია? – ვინც კი კვდება, ის ძილში შედის,
როცა სიცოცხლე უჩვეულო
არის ზმანება!
ბედნიერებით წუთიერით ინთება მკერდი
და განშორება, ო, რა
მწარედ დაგენანება!

2

ადამიანი, რომ მიწიერს შეწყვეტს ხეტიალს,
ყოფნა-არყოფნა ნუთუ ღმერთის
არის წყალობა?
ო, არ იფიქროთ, ნაღველს სივრცე ჩაუკეტია
და მაინც არ გსურს, რომ
დანებდე გარდუვალობას!

## ბერნსის საფლავის მონახულებისას

ჩამავალი მზე და ნაპირზე რხევა ტირიფის,
ირგვლივ ბორცვები, გორაკები და დასახლება,
მაგრამ გული კი სიცივისგან რა მწარედ ტირის
და თითქოს ისევ მეორდება სიზმრების წყება...

მაშინებს ზამთრის მოთენთილი დღეები მკაცრი,
მკრთალი ზაფხულის უსიცოცხლო მცირედი ვადა,
აქ ზეცა ცივი სიცოცხლისგან ყველაფერს დაცლის
და შუქი მღვრიე ვარსკვლავების გაჰფანტავს ნადავლს!

ვის, მხოლოდ მინოსს შეუძლია, რომ შეაფასოს,
ო, ღვთაებრივი სილამაზის უკვდავი სახე,
და გაარჩიოს ყოველივე მან ასო-ასო.
შენზე სიმღერით გავაოცებ უთუოდ მნახველს.

შენი ხატება ილანდება ღრუბლების იქით!..
ჩემთვის მწარეა, მეგობარო, ამაზე ფიქრი.

## როცა წავიკითხე „მეფე ლირი“

ტკბილი რომანი! საოცარი ხმა ინსტრუმენტის,
სუფთა ბგერები და მუსიკით შექმნილი ზონა!
ზამთრის დღესავით ნუ გაჭიმავ, მოკლე თქმას ენდე,
ძველი ფურცლები შეაერთე, შეჰკარი ტომად.

მშვიდობით! ჩემ წინ რომ არასდროს არ განმეორდეს,
ის წყევლა-კრულვა, ოჯახური ბინძური ლანძღვა,
ეს შექსპირული ბაღი, უსმენ? – ო, როგორ გოდებს,
განვშორდე მინდა, რადგან მინთებს შემზარავ ხანძარს!

სიმღერა ბარდის! ალბიონის ხშირი ღრუბლები,
შემქმნელი რთული სიუჟეტის, უზომოდ მკაცრის!
უდაბურ ტყეში გზის გაგნება ძნელია მეტად.

ამაოდ ეძებ, ფიქრებისგან, რომ გიხურს შუბლი!
და ეს გზა ურჩი სიკეთისგან ბოლომდე დაგცლის,
თუ არ მოისხი ფრთა ფენიქსის, რომ რწმენით ფეთქავს!

* * *

წელიწადს ოთხი სხვადასხვა დრო აქვს,
ოთხივე ჩვენში ფეთქავს სიამით,
გაზაფხულს მუდამ სიცოცხლე მოაქვს,
ვცლით აზარფეშებს, სავსეს პირამდის!

ზაფხულის მოსვლით ვივსებით გრძნობით,
სული დაფრინავს ლამაზი ფრთებით...
შემოდგომა კი ქარებით მწყობრით,
მოდის და სივრცეს მოარღვევს მხრებით.

ის კმაყოფილი ყოველთვის რჩება,
თუმცა ავდარი და ნისლი მეფობს.
სიცოცხლე მიდის, ის აღარ ქრება,
ვით წყარო მჩქეფი და სანაქებო!

მერე – ზამთარი უსიცოცხლოდ მოიმდორება,
რას იზამ, როცა ასეთია ჩვენი ცხოვრება!

## სიმღერა

იცოცხლა დიდხანს ჩემმა მტრედმა და – მერე ჩაქრა,
მე ასე ვფიქრობ, დაიღალა,
გადაჰყვა სევდას.
რომელი სევდა? – აბრეშუმის ისხამდა მაქმანს,
ნიშანი ფეხზე ჩემგან ჰქონდა
და ყველგან სდევდა...
ჰქონდა ფეხები ძოწისფერი! ვეღარ გავიგე,
შენი სიცოცხლე რატომ ჩაქრა,
მტრედო, ამგვარად?
იცხოვრე ერთმა – ო, ამ ყრუ და უდაბურ ტყეში,
გიყვარდა მწვანე ბალახები,
წყარო ანკარა.
გეფერებოდი, ყველაფერი მომქონდა შენთან,
რა იქნებოდა, რომ ბოლომდის
გვეცხოვრა ერთად?

## ვარსკვლავს

ო, თუ ვიქნები მეც შენსავით ჩუმი და მშვიდი,
რომელიც უკვე აღარ იცვლის ფორმას და სახეს.
უდაბურ ღამით მხოლოდ სხივთა ნიაღვარს არხევ
და დასცქერ მიწას მოლივლივე თვალებით დიდით.

დაამთავრებენ წყლები თავის ღვთაებრივ რხევას
ნაპირზე, სადაც ხალხს ჩუქნიან კამკამა ჩქერებს,
აცმევენ ტანზე თეთრ სამოსელს ზამთრის ხელები
მთებსა და მინდვრებს, რომ ბრუნავენ შეუჩერებლად.

მეც მინდა ვიყო იდუმალი, უცვლელი მარად,
რათა დავიპყრო სიყვარულით ბაგეთა თრთოლვა!
გულზე მივიკრავ სასოებით, რასაც ის მალავს
და უჩვეულო აღტაცების დღეები მოვა!..

მსურს სიჩუმეში დავივიწყო სიმშვიდე სულის,
უსაზღვროდ ყოფნა სამყაროში – ან ძილი სრული.

* * *

ჩამოიფერთხა მტვერი ფრთებიდან
და ცის ნათელი გადაიფინა...
აცურდა მტრედი ხეობებიდან
და სილაჟვარდე გადაიფრინა...

ვერცხლისფერ ფრთებში იგრძნო სილაღე,
სულმა სხეული, სადღაც დატოვა,
ერთობ დაიპყრო ყველა სიმაღლე
და სივრცე ვრცელი გაიმარტოვა.

გადაივიწყა გლოვა და შიში,
ბედნიერების იგრძნო ნათება...
შორს დარჩა, სადღაც, უდაბნო ქვიშის
და უბედობის შავი ხატება.

შენ დევნილი ხარ – მაცნე სიამის
და მაინც რატომ ვართ სევდიანი?

## მარგარიტას სიმღერა

I

მე ვხედავ მინდვრის საოცნებო პატარა ყვავილს,
ვიდრე მზე ხედავს ოქროსფერი
თვალებით დიდით.
მთვარესაც ვხედავ სიშორეში, რომ მიირხევა
და თეთრ ღრუბლებში ის
ამაყი ქალივით მიდის...

II

კვლავ გაზაფხული ფერთა ღელვით მოარღვევს სივრცეს!
მე მეუფე ვარ, რომ იცოდეთ,
და ყოვლისშემძლე!
ამ ბალახების სურნელებას ყველაფერს მივცემ
და გოგონების სინაზეში
სიყვარულს ვეძებ.

III

მე ერთი ვხედავ უჩვეულო სანახებს ფერადს,
რომელსაც ნისლი ახვევია
სხვებისთვის ირგვლივ,
მე მეძინება და პატარა ყვავილი ღელავს
და სიყვარულით იავნანას
მიმღერის იგი!

* * *

წავიდა ის დრო, თან წაიღო, ვით საკუთრება:
ხელები თეთრი, კოცნა-ხვევნა და თმის მორევი,
მზერა ლამაზი, ბაგეები რომ თრთოლვით თვრება,
სინაზე სულის, სიყვარული, — გაქრა ყოველი!

ეცვალა ფერი აქ ყველაფერს, — არ ვიცი რა ვქნა!
ჭეშმარიტებამ თვალებისთვის დაჰკარგა აზრი,
გამექცა ტრფობა და ტკივილმა –რა მწარედ გამკრა,
ბედნიერების ერთობ ყველა წაშალა ხაზი!

გაქრა ყოველი – ჩემი სული მოიცვა ნისლმა,
დღის ელვარება დაიმონა ღამის ნათებამ.
სული მღელვარე უჩვეულო ტკივილებს ისხამს
საით გამექცა საოცნებო შენი ხატება ?

მე სიყვარულის საგალობლებს  ვკითხულობ დღისით
და კვლავ ვლოცულობ, რომ სიზმარმა გაჰფანტოს ნისლი!..

# ბაირონს

ო, შენ, ბაირონ! სიმღერებით მაგ ნაღვლიანით,
ყველაფერს უცვლი შენს გარშემო ფორმას და სახეს!..
თითქოსდა არფას მოწყვეტილი განცდის სიალით
და უჩვეულო თანაგრძნობით აოცებ მნახველს!

რომ აღარ გაქრეს საუკუნოდ ის ხმები მძაფრი,
ო, რა სიფრთხილით აღადგინე ყოველი ბგერა!
ისინი ერთურთს გადააბი გრძნეული ძაფით
და მიანიჭე სულის ტანჯვით სხვა აღმაფრენა!..

ასე მუქ ღრუბლებს სიელვარეს ანიჭებს მთვარე,
როცა ღამეულ ბილიკებზე გამოდის იგი...
და ძვირფას ქვებით ამკობს მუდამ ის ფერმკრთალ გვირგვინს,
ო, ასე შავი მარმარილო ატყვევებს თვალებს!..

ამაყო გედო! ო, იმღერე, იმღერე ძლიერ
და მიწიერი სივერაგე სიმღერით სძლიე!

## ჩატერტონს

ო, შენ, ჩატერტონ! მსხვერპლო დევნის, შურისძიების!
ბავშვებს სჭირდება დაფასება, დროზე განგაში!
ამგვარ ფენომენს, აქ არავინ უწევს ანგარიშს
და არც გენიას პოეტური პოვნის, ძიების!..

ო, ასე ადრე მაგ ამაყ ხმის მშვენიერებას,
როგორ შეეხო ბოროტების ხელები მქისე!
მოკვდა ყვავილი, ვერ დასძლია ყინულის სისქე,
შენ ჩაესვენე და შენი მზე სივრცეს შეება...

მორჩა, გათავდა! სხვა ორბიტზე იქროლებ აწი,
შენ ხარ ვარსკლავი მოელვარე, შუქჩაუმქრალი,
ამიერიდან უკვდავების მიიწევ გასწვრივ...
შენ უკუაგდე მძლავრი ფრთებით ყველა მუქარა,

ცრემლს ვერ მალავდი, თუმც, უტევდი ჩაკეტილ კედლებს,
შენ პოეტი ხარ! რადგან ჩანგით მომავალს ენდე!..

* * *

ნეტავი, რაზე ვიცინოდი სიზმარში ახლა?
ვერც ზეცა და ვერც ჯოჯოხეთი ენას ვერ სძრავენ!
არვინ მეძახდა, არვის სურდა ეს ჩემი ნახვა,
მაშინ გულს ვკითხე, ამ კაცურ გულს: მითხარი რამე.

იქნებ, გაშინებს ჩემი კითხვა, ენაც დაგება, –
მითხარი, რაზე ვიცინოდი სიზმარში ღამით?
ირგვლივ სიბნელე იზმორება ტანჯვა-წამების,
დუმს ღმერთიც, შენაც, ჯოჯოხეთიც მდუმარებს შავი!...

ნეტავი, რაზე ვიცინოდი? და მივხვდი რისთვის,
რომ ამ ხანმოკლე სიცოცხლისთვის მადლობა მეთქვა?
დიდი ხნით ადრე მე მზად ვიყავ დამეთმო ისიც,
რომ დაწეწილმა ამ სხეულმა შეწყვიტოს ფეთქვა!

სიყვარული და სინაზეა გულთამპყრობელი,
მაგრამ სიკვდილი მათ ამარცხებს დაუნდობელი.



უოლტ უიტმენი

## „ვინ არის ის?“

Დროის ქრონიკების მრავალმხრივი გამოხატულება-გამოძახილია უოლტ უიტმენის პოეზია. მისი სამყარო უკიდეგანოა. სათქმელი – ამოუწურავი. ის ქმნის სოციალურ, ზნეობრივ კონტრასტებს. პოეტი დიდი რეფორმატორი და ნოვატორია, რომელსაც შეიძლება მიჰბაძო, რადგან მისი შემოქმედება მეტად საინტერესო, ღრმა და შთამაგონებელია, მაგრამ ადვილად ვერ შესწვდები მის მიერ შექმნილ პოეტურ სამყაროს. ძნელია, ისე წარმოისახო, აღიქვა და გააანალიზო, გააშუქო ადამიანური, ცხოვრებისეული პრობლემები.

უიტმენს ძალუძს აღმოაჩინოს და თავისებურად დაინახოს მიმდინარე თუ მარადიული თემები, დაუმორჩილოს ის თავის გამჭრიახ გონებას, გრძნობების, ემოციების მორევში გახვიოს თითოეული სტრიქონი და მიმზიდველად,გასაგებად მიაწოდოს მკითხველს.

პოეტთან პირველი შეხებისთანავე გაოცებული რჩები. ინტერესს იწვევს მისი ოსტატობა, სიახლე. ის ხედავს ყველას და ყველაფერს ისე, რომ თავის თანამედროვე, არაერთი საკმაოდ დიდი შემოქმედისთვის მიუწვდომელია. ამიტომაც, გამოხატავდნენ ისინი გაკირვებას და, პოეტის სიდიადით აფორიაქებულნი, სვამდნენ კითხვას: „ვინ არის ის?“

უიტმენმა თავისი მცირეტანიანი, მაგრამ დიდებული კრებული „ბალახის ფოთლები“ თავად ააწყო და დაბეჭდა ერთ პატარა სტამბაში. (ეს მოხდა 1855 წლის 4 ივლისს).

პირველ გამოცემაში ლექსები სახელწოდების გარეშეა.

უიტმენმა თავისი საინტერესო კრებული შეავსო და არაერთხელ გამოსცა. ის ყოველთვის ანახლებდა მას. „ბალა-

ხის ფოთლები“ გახდა მისი პოეზიის ერთგვარი ოქროს ყულაბა, რომელსაც ამდიდრებდა ახალ-ახალი პოეტური შედევრებით – ლექსებით, პოემებით.

მინდა აღვნიშნო, რომ უიტმენის ნოვატორული პოეზია უჩვეულოდ თავისუფალი, შეგრძნებადი და განუმეორებელია. სამყაროში მოარული, ყველა ხალხისთვის აქტუალური თემების ორიგინალურად ხილვამ, მიგნებამ და გადაწყვეტამ თვითმყოფად პოეტად აქცია იგი.

უიტმენი გამოჩენილი ჟურნალისტი იყო, რამაც, არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ ხელი შეუწყო მის შემოქმედებაში პუბლიცისტიკის ელემენტების შეჭრას, რაც პოეტის სათქმელს მეტ გამჭირვალობასა და სიმძაფრეს მატებს.

პოეტს, როგორც ჟურნალისტს, ჰქონდა დიდი რესურსი მეტი ენახა და ანალიტიკოსის ალღოთი გაეტარებინა საკუთარ გონების პრიზმაში ცხოვრების, საზოგადოებრივი ყოფის შავ-თეთრი მაღაროდან ამოღებული მწვავე საკითხები, რაც მის შემოქმედებაში ასე გამოკვეთილად წარმოჩნდა.

უიტმენისებური მიდგომა საჭირბოროტო პრობლემებისადმი, მათი მთელი სიმწვავით ამეტყველება, ჩვეულებრივი პოეტის ხმა კი არა, ღირსეული პოეტი – მოქალაქის პროტესტი იყო უსამართლობის წინააღმდეგ.

უიტმენმა თავისი გამოჩენით ამერიკის პოეტური სამყარო ააფორიაქა. გააკვირვა და არაერთში შურიც აღძრა. რასაკვირველია, კეთილშობილებს კმაყოფილება და სიამაყე მოჰგვარა.

პოეტმა კითხვის ნიშნები გაუჩინა არაერთ თავის თანამედროვეს: ჯონ უიტერს, სიდნი ლანირს, ემილ დიკინსონს და სხვ.

ფილოსოფოსს და პოეტს რალფ უოლდო ემერსონს ეამაყებოდა და აღაფრთოვანებდა უიტმენის გამოჩენა. ის ამბობდა: „მე ბედნიერი ვარ, რომ ვკითხულობ ამ წიგნს, დიდი ძალა ხომ ყოველთვის დიდ ბედნიერებას მგვრის“.

დიახ, „ბალახის ფოთლები“ საოცარი, უჩვეულო უნარის მქონე შემოქმედის ნიჭის აგორება იყო, მანამდე, ამერიკის ცნობილ ამბიციურ ლიტერატურაში.

თავისუფალი ლექსის თავისებურად გააზრებითა და შექმნით, არც მაშინ, და, არც შემდგომ, ვერავინ შეძლო გვერდით დადგომოდა უოლტ უიტმენს. მან მალე მსოფლიო აღიარება ჰპოვა.

ცნობილმა ამერიკელმა შემოქმედმა დიდი ხანია მიიპყრო ქართველი მწერლებისა და მთარგმნელების ყურადღება. მათი დიდი წვლილია იმაში, რომ ჩვენი მკითხველები გარკვეულწილად იცნობენ უიტმენის პოეზიას.

მინდა ხაზი გავუსვა, რომ თავის დროზე დიდი რუსი მწერლები დაინტერესდნენ უიტმენის პოეტური ფენომენით.

რუსული პროზის გენია ლევ ტოლსტოი, უოლტ უიტმენს მეტად საინტერესო ფილოსოფიურ პოეტად მიიჩნევდა.

ასევე, განსაკუთრებულ აღტაცებას გამოთქვამდნენ პოეტის მიმართ: ბალმონტი, ტურგენევი, ბლოკი, გუმილიოვი, მანდელშტამი, მაიაკოვსკი.

უიტმენი მსოფლიო ხალხების უამრავ ენაზე ითარგმნა. პოეტი ყველგან დიდი სიყვარულით მიიღეს მკითხველებმა, როგორც პოეზიის უნიჭიერესი წარმომადგენელი – ახლებური გააზრებისა და მეტად თვითმყოფადი.

დრომ, ყველას და ყველაფრის მკაცრმა შემფასებელმა, საკმაოდ განვლო. ამერიკელმა თავისუფალი ლექსის დიდოს-

ტატმა კარგა ხანია უკვდავების გამოცდა ბრწყინვალედ ჩააბარა. კვლავ მიუწვდომელია მისი პოეტური ნიშა, რომელიც გვაოცებს თავისი სიმაღლითა და სიღიადით. სწორედ ეს აკვირვებდა რიგ მის თანამედროვეთ, რომლებიც სვამდნენ კითხვას - „ვინ არის ის?“

დღეს გავკადნიერდები და თავს უფლებას მივცემ, კვლავ გავაცოცხლო ეს კითხვა – „ვინ არის ის?“ – და თავადვე ვუპასუხო – „უიტმენია, ჩემო ბატონო, სხვა – არავინ!“

დიახ, უოლტ უიტმენი! რომელიც ოცნებობდა „მსოფლიო დემოკრატიაზე“, ხალხთა მეგობრობასა და თანასწორობაზე.

●

უოლტ უიტმენი (1819-1892 წ.წ.)



# მრავალთა შორის

მამაკაცთა და ქალთა შორის, ამ სიმრავლეში,
ვიღაცას ვამჩნევ,
ვინაც ღვთაებრივ ნიშნით, იდუმალებით
მირჩევს მე მუდამ.
მისთვის მე უფრო ახლოსა ვარ, ვიდრე
მშობლები, ძმა და ბავშვები,
ცოლი და ქმარი;
ვინც არასოდეს არ ცდება ჩემში.
ო, მეგობარო, ხარ თანასწორი ყველაფრით ჩემი,
მე ვიცი კარგად, რომ შენ შემიცნობ
ყველაზე უფრო ფარული ნიშნით,
ო, ვიდრე სხვები, როცა შეგხვდები მე შენ,
უთუოდ, იმავე ნიშნით გამოგარჩევ
და შეგიყვარებ.

## ო, კაპიტანო! ჩემო კაპიტანო!

ო, კაპიტანო, ჩემო კაპიტანო! ხომალდი
მოადგა ნაპირს,
მან მოიტოვა შტორმი, ზვირთთა მრისხანე შეხლა,
და ყველაფერი დამთავრდა, მორჩა!
ის დგას რეიდზე შემართული
ამჟამად პორტში.
სანაპიროზე სიჭრელეა და ხალხმრავლობა.
ასობით თვალი მოგვჩერებია ჩვენ და
შეტევით გადაღლილ ხომალდს!
მაგრამ, ღმერთო ჩემო, ო, ღმერთო ჩემო!
აღბეჭდილია შემზარავი
ლაქები სისხლის!
წევს კაპიტანი უმოძრაოდ და უსიცოცხლოდ,
ამ ტრაგედიის ის გახდა მსხვერპლი.
ო, კაპიტანო, ჩემო კაპიტანო, ადექი და მიმოიხედე,
ეს შენ გხვდებიან სიყვარულით,
გამარჯვების არხევენ დროშას!
და საყვირის ხმა ედება სივრცეს...
ეს ყველაფერი შენ გეძღვნება: ო, ეს ლენტები,
ყვავილები, გირლიანდები...
და ხალხი სიმწრით ელოდება
შენს ნახვას, მამავ!
გამოიღვიძე, გამიწოდე ამაყად ხელი.
რასაც ჩვენ ვხედავთ,
ეს სიზმარი მგონია მხოლოდ,
რომ შენ გემზე წევხარ უკვე –

ცივი, მკრთალი და უგრძნობელი!
პასუხს არ მაძლევს კაპიტანი, ჩემი არ ესმის
ო, რა ულმობლად დაჰკარგვია
მის მკლავებს ძალა!
ხომალდი კვლავ დგას აღმართული
და საცაა აუშვებს ღუზას, რომ შეებას
ახალ შტორმს და ტალღების გრაგნილს.
იხარეთ ხალხნო! მან დიდ ბრძოლაში გაიმარჯვა,
იგანგაშეთ, საყვირებო, რომ
ხომალდი დაუბრუნდა ისევ თავის პორტს.
კაპიტანი წევს უმოძრაოდ, მაგრამ
ხომალდი გადაარჩინა
საკუთარი სიცოცხლის ფასად.

## ო, ჰიმენეი! ჰიმენეი!

ო, ჰიმენეი! ჰიმენეი! რატომ მცდი ასე?
და რატომ იქცევ ჩემს ყურადღებას
მაგ წამიერი აღელვებით?
დასასრულს რატომ აჩქარებ?
ან რატომ იხევ ასე უკან მოურიდებლად?
იქნებ იმიტომ, რომ წამიერ გაელვებას თუ
უსასრულოდ გააგრძელებდი,
მაშინ, მე ადრე გავხდებოდი
სიკვდილის მსხვერპლი.

# ჩირაღდანი

აქ, გვიან ღამით სანაპიროზე მეთევზეები დგანან,
მათ შორის მეც ვარ.
გადაშლილია, ამას იქით, ტბა ლურჯი ფერის,
სად უმოწყალოდ ხოცავენ თევზებს,
ამ დროს ნავი კი თავის ჩრდილით
მისრიალებს წყლის ზედაპირზე...
და მის თავთან მოკაშკაშე ჩირაღდანი
მიარღვევს ღამეს...

## ლამაზი ქალები

ქალები სხედან, ან სეირნობენ, –
ახალგაზრდები და მოხუცები,
ახალგაზრდები – ლამაზები და მიმზიდველნი,
მოხუცები კი უფრო მეტად –
სრულყოფილნი და მშვენიერნი.

## სრულყოფილება

მხოლოდ, მათ ესმით საკუთარი თავის
და იმათი, ვინც მათ ჰგავანან ყოველმხრივ.
მხოლოდ, ასე უგებს და ერწყმის სული სულს
მთელი სიღრმით,
მთელი არსებით.

## სიბერისას

გიყურებ მე შენ, მდინარის დასასრულო,
როცა ზღვისკენ ეშვები,
რა დიდებულად განტოტდები, ფართოვდები
და მოულოდნელად
უჩინარდები...

# დრო და ადგილი

დრო და ადგილი, რაც ჩემშია, ის თქვენც გეხებათ.
გვავსებს შეგრძნებით სახლში თუ ყველგან,
სად და, როცა გვსურს.
შეგეფერებათ ყოველივე ის, რაც ჩემშია:
სახის ხატება, სურნელება
და კოლორიტი.

## თუ ვინმე მიყვარს

თუ ვინმე მიყვარს, ხშირად ვიწყებ შფოთვას
და განგაშს,
ვგიჟდები კიდეც და შეშლილივით
ვხეტიალობ ქუჩაში ღამით.
ასე მგონია, ტყუილად მიყვარს,
მაგრამ კარგად ვგრძნობ,
რომ სიყვარული არ არსებობს
უბრალო და არაფრის მთქმელი.
რაზედაც ვიხდი კიდეც ნაღდად, ანდა სხვაგვარად.
(მე ერთი კაცი შემიყვარდა,
მას არ ვუყვარდი,
აი, რატომ დავწერე მე ეს სიმღერა).

## ეს ლანდი ჩემი მსგავსია

ეს ლანდი ჩემი მსგავსია და ის ირხევა,
წრიალებს მუდამ
და დღენიადაგ ის რაღაცას ეძებს, მიელტვის,
სურს მიაღწიოს სრულყოფილებას,
ის ლაყბობს, ვაჭრობს და ვიღაცას ეკამათება.
გაოცებული ვაკვირდები მის მოქმედებას
და ვეკითხები ჩემს თავს:
ნუთუ ეს მე ვარ?
მეგობრებს შორის, რომლებმაც კი მიაღწიეს
დიდების მწვერვალს...
ო, ეს სიმღერაც მიილტვის იქით,
და მე არასდროს
გამიხდია საეჭვოდ მიუღწევლობა
ჩემი სურვილის.

## ზარები ტირიან

ზარები ტირიან ხმამაღლა, მოულოდნელი ხმებით,
სიკვდილი განგაშით მოვიდა,
მოედო ყველას და ყველაფერს!
რომ მიიძინა უვადოდ, ო, ხალხის დიდმა შვილმა
და ღამეული გზავნილის
სივრცეს მოედო ექო –
ერთფეროვანი და სევდიანი!..
და ქალაქიდან ქალაქზე გადადიოდა მეწყერივით
ტკივილი მძიმე
და გულშემძვრელი!..

## შეხედე, მთვარევ ჯადოსნურო!

შეხედე, მთვარევ ჯადოსნურო, და მოციმციმე
შენი შუქით დატბორე მთელი
ხმელეთი ვრცელი...
შუაღამის თეთრო ნინფებო, სისხლით გაჟღენთილ,
გასივებულ ამ სახეებში ჩაღვარეთ
თქვენი სინათლე დიდი,
მიცვალებულებს, ფართოდ ხელგაშლილთ
და დაღლილებს ლოდინით ცაში,
გადმოაღვარე შენი შუქის თეთრი მდინარე,
გრძნულო მთვარევ!

# მშვიდობით, ჩემო შთაგონებავ!

მშვიდობით, ჩემო შთაგონებავ!
მშვიდობით, ჩემო სანუკვარო მეგობარო,
ჩემო უსაზღვრო სიყვარულო!
მივდივარ უკვე, მაგრამ საით? – არ ვიცი თვითონ!
ვინ უწყის, თუ რა მელოდება!–
შევხვდებით, ისევ ჩვენ ერთმანეთს ოდესმე კიდევ?
მაშ, ასე – მშვიდობით,
ჩემო შთაგონებავ!
ო, ერთხელ კიდევ მომეცი ნება,
მიმოვიხედო სევდიანი თვალებით ირგვლივ:
მიდის ისარი, ამ ჩემს მკერდქვეშ
სუსტი ჩხაკუნით...
დრო ახლოვდება დამშვიდობების! ღამე მოიწევს
და, საცაა, შეჩერდება ამ
გულის ფეთქვაც!
დიდხანს ვცხოვრობდით სიყვარულით და
ერთგულებით,
ჩვენს აღტაცებას უზენაესს
არ ჰქონდა ბოლო!
დგება მომენტი გამოთხოვების!
მშვიდობით, ჩემო შთაგონებავ!
მე კიდევ მინდა დიდხანს ვიყო
შენთან, ძვირფასო!
და არსაით არ მეჩქარება.
ჩვენ ერთმანეთით ვსულდგმულობდით,
ვავსებდით ერთურთს,

ერთ არსებად გადაქცეულნი!
და თუ სიკვდილი გვიწერია, მოვკვდებით ერთად,
ჩვენს დაშორებას ვეღარ შესძლებს
თვითონ სიკვდილიც!
თუ განვშორდებით ამ პლანეტას, ერთად, ძვირფასო!
ო, შესაძლოა შენ მიგყავარ ყველაზე მაღლა,
უცნობი გზებით, ჭეშმარიტი
სიმღერის ძალით! (ვინ იცის?!)
იქნებ, მხოლოდ შენ ერთადერთი არ იძლევი
კარის გასაღებს, უჩვეულოდ საბედნიეროს?!
უკანასკნელად – მშვიდობით,
მოგესალმები, მხურვალე გულით,
ჩემო შთაგონებავ!

## ᲦᲐᲛᲘᲗ ᲛᲐᲠᲢᲝ ᲡᲐᲜᲐᲞᲘᲠᲝᲖᲔ

დავდივარ ღამით მარტოდმარტო სანაპიროზე
და ისე, როგორც დედაბერს სურს,
რომ იმღეროს ხმით ხრინწიანით,
მეც, ვარსკვლავებს მიჩერებული, მომავლისა და
მთელი სამყაროს გასაღების
მონახვას ვცდილობ...
აქ ყველაფერი რა საოცრად მოჰგავს ერთმანეთს,
ო, ყველა სფერო, მცირე თუ დიდი,
ეს მზე და მთვარე და მანძილები
უკიდეგანო, ყველა დრო თითქმის სწრაფმავალი და
ყველა ფორმა არაცოცხალი,
ყველა სული, ყველა სიცოცხლით სავსე არსება,
რითაც არ უნდა განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან.
ყველაფერი, რაც ორთქლებადია: წყლები,
თევზები, მინერალები, ტყის მხეცები,
ფრინველები, ყველა ერი, ყველა ენა, ფერთა სიმრავლე.
ყველა ისინი, ვინც იცხოვრა,
ამ და ნებისმიერ სხვა პლანეტაზე,
ყველა სიცოცხლე, ყველაფერი, რაც იყო წინათ,
ახლაც არის და მომავალში იქნება ასე.
მათ აკავშირებთ მსგავსება
და მონაცვლეობა
დრო და სივრცეში.

## თქვენ ხართ ის არსება?

თქვენ ხართ ახალი, ის არსება, გატაცებით ჩემზე
რომ ფიქრობთ,
გახსოვდეთ კარგად, რომ სულაც არ ვარ
მე ისეთი, რომ გეჩვენებათ.
თქვენ მართლა ფიქრობთ, იდეალი
იპოვოთ ჩემში?
და მე მიწოდოთ სულ
უბრალოდ შეყვარებული.
თქვენ ეძებთ ჩემში რწმენას, სიმართლეს
და მეგობრობის ნათელ სიხარულს.
ვერ ხედავთ კარგად, რა იმალება
ამ ჩემს სანდო გარეგნობაში,
და, სულ უბრალოდ, ჩემს ჩუმსა და
წყნარ ზნეობაში?
რამ დაგარწმუნათ, რომ ამ ქვეყნად
ჰპოვეთ გმირი მიწიერი და სრულყოფილი?
რად არ ფიქრობთ, რომ იქნებ ცდებით და,
რასაც ხედავთ,
ო, ეს მე არ ვარ, არამედ
ჩემი მირაჟია – არაფრის მთქმელი?

# როცა წიგნს ვკითხულობ

ბიოგრაფიულ წიგნს ვკითხულობ პიროვნებაზე,
ვისაც დროულად სიცოცხლეში
                                        დიდება ერგო,
რაც აძლევს ავტორს საკაცობრიო მნიშვნელობას,
                                        აღიარებას.
როცა მოვკვდები, უთუოდ მჯერა,
რომ ვინმე აღწერს ჩემს განვლილ გზას.
(რომ ჩემზე, თითქოს, რამე იცოდეს, ო, მან კი არა,
მეც მიჭირს ძალზე, რეალური
                    რამე რომ ვთქვა საკუთარ თავზე.
ვცდილობ, მცირედი, გაფანტული მინიშნებები
და შტრიხები, არეული და უმნიშვნელო,
ყურადღებით რომ მოვიძიო,
რომ გამოვკვეთო ჩემი სახე ჭეშმარიტი და
                                        ღირებული).

# როცა მაწვება დრო

როცა დრო მაწვება მღვრიე ღრუბელივით,
მე ვიცი, ეს შიში არ არის, მაგრამ,
ო, ის მამძიმებს მეტად.
მე შეუპოვრად წინ მივიწევ და ამ შტატებს
გადავჭრი ყველას,
მაგრამ არ ვიცი, საით და როგორ,
რა დამჭირდება ამისთვის ნეტავ?
ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება ჩემი ხმა გაწყდეს,
ო, წიგნებო და სიმღერებო,
უთქვენოდ ყოფნას სამყაროში აზრი აქვს განა?
ნუთუ ჩვენ ისევ მოგვიწევს საწყისისკენ
შემობრუნება?
ჩვენ ისიც გვყოფნის,
რომ მოვედით ამ ქვეყანაზე.

## თანხმობა

ეს სიტყვა მეტად ლამაზია, როგორც ცა ლურჯი.
უნდა გვესმოდეს ყველას
მისი აზრი მაღალი.
მას ხომ ომების შეწყვეტა ძალუძს
და დამყარება საყმაროში
მხოლოდ მშვიდობის!
ერთი შეხებით შეუძლია აჩუქოს მიწას,
ო, ღვთაებრივი და ნეტარი
სიცოცხლის ძალა!
მტერთან უეცრად შეგარიგებს მისი სიკეთე
და განეწყობი უჩვეულო
რწმენით, იმედით;
და მიაცილებ, მიაცილებ კუბოს კარამდე –
ჩურჩულით, ლოცვით და
ყვავილთა თაიგულებით.

## როცა ყვაოდა იასამანი
### (ნაწყვეტი)

როცა სახლის წინ ყვაოდა იასამანი
დასავლეთით ნაადრევად ბინდში
გაეხვია დიდი ვარსკვლავი.
მე ვგლოვობ მას და ვიგლოვებ
ყოველ გაზაფხულს.
ო, გაზაფხულო მარადიულად მოდიხარ!
და მახსენებ იასამნის ყვავილობას,
ვარსკვლავს, დასავლეთით რომ ჩაესვენა;
თან მდევს და სიყვარულით
ვფიქრობ მასზე.
ო, ჩამოვარდნილო დასავლეთის დიდო ვარსკვლავო!
დატვირთულია ცრემლის წვიმით
ეს მღვრიე ღამე
და შემზარავი წყვდიადი ვრცელი...
ო, დიდო ჩამქრალო ვარსკვლავო!
ბურუსმა როგორ შესძლო მოეშალა
სიელვარე შენი სხივების!
ო, უმკაცრესო ხელებო, რად აკავებთ
მე და ამ ჩემ სასოწარკვეთილ,
დაუცველ სულს,
რომელიც ტყვეა მოჯარული პირქუში ღრუბლების!..



ფედერიკო
გარსია ლორკა

დავით ტაბუნია

## სანტიაგოში კვლავ ცეკვავს მთვარე...

სერვანტესისა და ლოპე დე ვეგას სამშობლო მუდამ გამოირჩეოდა ღვთაებრივი ნიჭით დაჯილდოებულ შემოქმედთა სიმრავლით და სიდიადით.

ფუენტე – ვაკეროსს, მწყემსებისა და მიწათმოქმედთა სოფელს, მისი გულუხვობისა და სიკეთისთვის, უზენაესმა ძალამ მადლი სცხო და მოუვლინა XX საუკუნის გენიალური პოეტი და დრამატურგი ფედერიკო გარსია ლორკა.

არიან პოეტები, რომლებიც თავიანთი სიტყვით და საქმით არამარტო მშობლიურ ხალხს, არამედ კაცობრიობას ეკუთვნიან. „მე ვუმღერი ესპანეთს და ვგრძნობ მას უკანასკნელ სიღრმემდე. მაგრამ პირველ რიგში – მე მსოფლიო მოქალაქე ვარ და ძმა ყველა ხალხის“ - ამბობს „ბოშათა რომანსეროს“ და „სისხლიანი ქორწილის“ ავტორი.

საუკუნეზე მეტი გავიდა დიდი ესპანელი პოეტისა და დრამატურგის, სიტყვის შეუდარებელი ოსტატის ფედერიკო გარსია ლორკას დაბადებიდან. გარკვეული დუმილის შემდეგ, XIX საუკუნის მიწურულს და XX საუკუნის გარიჟრაჟზე ესპანური პოეზიის ასპარეზზე, თითქმის ერთდროულად, გამოვიდნენ გამოჩენილი პოეტები: ანტონიო მაჩადო და ხუან რამონ ხიმენესი, რომლებმაც ანდალუსიურ სასიმღერო კულტურაზე - „კანტე ხონდოზე“ დაყრდნობით, თვისობრივად ახალი სიტყვა თქვეს ესპანურ პოეზიაში.

მოგვიანებით, მათ პოეტურ ნაკვალევზე გამოჩნდა მანამდე არნახული, განსაცვიფრებელი ნიჭის პოეტი ფედერიკო გარსია ლორკა, რომელმაც პოეტური ექსპერიმენტებით დაიწყო მოღვაწეობა და მოვლენების თავისებური ხილვით, ახ-

ლებური პოეტური სინტაქსით, აზრის ალეგორიულ-მეტაფორული გამოთქმით, ისეთ სიმაღლეზე აზიდა პოეტური კულტურა, რომ უმოკლეს დროში თვითონ იქცა ესპანური მწერლობის კლასიკოსად და პოეზიის მეტრად.

ლორკა დაიბადა სოფელ ფუენტე-ვაკეროსში, გრანადის მახლობლად. 1909 წელს, როცა ფედერიკო 11 წლის გახდა, მისი ოჯახი საცხოვრებლად გრანადაში გადავიდა, მაგრამ შთაგონებულ ჭაბუკს თან გაჰყვა მშობლიური სოფლის ყვავილოვანი მინდვრების, ლურჯი ხავერდოვანი ცის, მწყემსებისა და ღარიბებისადმი უსაზღვრო პატივისცემის საოცარი გრძნობა.

ანდალუსია იყო სამი დედაქალაქის – კორდოვოს, სევილიას და გრანადის ქვეყანა, რომელიც რელიეფურად ჩაექსოვა ლორკას პოეტურ სამყაროს და აქედან, ამ უჩვეულო რომანტიკული სილამაზიდან, შეუდარებელი ძალით უმღერა მთელ ესპანეთს!

ესპანეთში ფრანკოს ფაშისტური რეჟიმის მოსვლის შემდეგ ლორკა კარგად ხედავდა, რომ გარდაუვალი იყო სახალხო ტრაგედია! ყოველ დღე კატასტროფულად მიემართებოდა ქვეყანა უფსკრულისკენ. სულ ცოტა იყო დარჩენილი დიდ სახალხო აფეთქებამდე.

ფაშისტური რეჟიმი ყოველმხრივ ცდილობდა ჩაეკლა ესპანელ ხალხში თავისუფლების წყურვილი. ამ საქმის ხელშემშლელად ინტელიგენცია მიაჩნდა. ამიტომ გაავრცელეს ლოზუნგი – „სიკვდილი ინტელიგენციას!“. ცხადია, ასეთ ჟამს ლორკა გულზე ხელდაკრეფილი ვერ იქნებოდა. ის იქ უნდა ყოფილიყო, სადაც თავისი მრავალტანჯული ხალხი გოლგოთაზე ადიოდა!.. აჯანყება, ცხადია, დიდ მსხვერპლს მოითხოვდა. თავისი სათაყ-

ვანო ხალხის საშველად პირველად მას უნდა გადაედგა ეს გაბედული ნაბიჯი და უყოყმანოდ, თამამად გადადგა კიდევაც!..

1936 წლის 17 ივლისის ღამეს ლორკა გავიდა ქალაქში. ეს იყო დიდი სახალხო აფეთქების წინა ღამე. გამთენიისას ის დააპატიმრეს. 19 აგვისტოს რამდენიმე უდანაშაულო მოქალაქესთან ერთად გაიყვანეს გრანადიდან და 8 კილომეტრის დაშორებით, სოფელ ვისნარში, „ცრემლის წყაროსთან“ ახლოს (ო, რა სიმბოლურია ეს!), გაუსამართლებლად დახვრიტეს. მაშინ ლორკა იყო 38 წლის და შემოქმედებითი მოღვაწეობის ზენიტში იმყოფებოდა.

თავისი სათაყვანებელი პოეტის დახვრეტა დიდხანს არ დაიჯერა ხალხმა. ის არც ერთ პარტიას არ ეკუთვნოდა. მისი ერთადერთი „დანაშაული“ იყო კაცობრიობისა და სამშობლოს უსაზღვრო სიყვარული! ამ „დანაშაულისთვის“ პოეტის გასამართლება მსოფლიოს თვალში ჭეშმარიტად აბსურდული იყო და, ამიტომაც, გაუსამართლებლად დახვრიტეს!

შემდგომში, ფაშისტური რეჟიმი იძულებული გახდა, გენიალური პოეტის მკვლელობის გამო თავი ემართლებინა და ჩადენილი დანაშაული ფალანგისტების შეცდომისთვის მიეწერა. ხოლო ესპანელ ხალხს თვალთმაქცურად ბოდიში მოუხადეს. ასე ვერაგულად დაიღუპა გენიალური პოეტი და დრამატურგი ფედერიკო გარსია ლორკა!

ეცნობით მის დიდ შემოქმედებით ცხოვრებას და გახსენდებათ სახელგანთქმული რომაელი ფილოსოფოსისა და მწერლის სენეკას სიტყვები: „ბედისწერა ყოვლისშემძლე არარაობაა, მას მის წინაშე დაჩოქილები მიჰყავს, ხოლო ქედმოუხრელთ და დაუჩოქველებს მიათრევს“!

# საით მიცურავ, მწვანე?!

გარსია ლორკას თავისუფლად შეეძლო გაემეორებინა დიდი ილია ჭავჭავაძის შემდეგი სტრიქონები, მცირედი ცვლილებით: „მარად და ყველგან, ესპანეთო, მე ვარ შენთანა, მე ვარო შენი თანამდევი უკვდავი სული!“

ამჟამად, როგორც ამბობენ, – ანდალუსიაში თქმულება დადის, რომ პოეტის აჩრდილი მთვარიან ღამეებში, თითქოს, ამოდის მდინარის ქვიშიდან გიტარით ხელში, დადის ნარინჯის ბაღებში და სიყვარულით უმღერის ესპანელი ხალხის ხვალინდელ დღეს!..

ლორკა ამბობს: „ყველაზე ნაღვლიანი ბედნიერებაა – იყო პოეტი. დანარჩენი ყველაფერი მხედველობაში არაა მისაღები, თუნდაც სიკვდილი.“

ჩვენ დიდი სიყვარულით ვთარგმნეთ გარსია ლორკას განუმეორებელი ლირიკული შედევრები და გვეჩვენება: მისი სახლის ღიად დარჩენილი აივნის კარიდან სიცოცხლეზე უსაზღვროდ შეყვარებული პოეტის აჩრდილი აღტაცებით უცქერის – „თუ როგორ სწყვეტენ ბაღში ბავშვები ფორთოხლებს და როგორ წვება ნამგლის ტრიალში მინდვრად თავთუხი“.

●

გარსია ლორკა (1898-1936 წ.წ.)

20.08.13

თბილისი

# ნარცისი

ნარცის, შენი სურნელება და
მდინარის კამკამა ფსკერი,
მე მინდა შენთან
ყოფნა მარადის!
ო, სიყვარულის ყვავილო, ნარცის!
შენი თვალების სიანკარეში კრთის
ათინათი თევზებისა და
ტალღების ჩქამის!
ჩემი თვალები დაღალულია იაპონური პეპლებისა
და ფრინველების
ფერთა თამაშით...
შენ პატარა ხარ, მე კი დიდი,
სიყვარულის
ყვავილო, ნარცის!
ჩვენ შეგვამჩნიეს ბაყაყებმა
და ეშმაკური ჩახტომით წყალში
დაგვიმსხვრიეს ოცნების სარკე!
ახლა სადა ვართ, რას ვუცქიროთ
მე და შენ, ნარცის?
ო, ის ხატება მშვენიერი, ნეტავ, სად გაქრა?
ჩავცქერი წყაროს და სულიერ სიმშვიდეს მაცლის!
ჩემი ტკივილი ისევ დარჩა
ტკივილად, ნარცის!

## სერენადა

შუაღამე უხვად იწოვს სინესტეს
მდინარის პირად,
მთვარიან ღამით,
და მოქათქათე ლოლიტას მკერდზე
სიყვარულისგან
უთვალავი კვდება ყვავილი!
გალობს საოცრად შიშველი ღამე
მდინარის წყალზე,
ხიდებზე და მოედნებზე,
სადაც მარტის თვის უჩვეულო
იგრძნობა სუნთქვა!..
ისევ და ისევ გადაიღვრის ლოლიტა ფერებს
აბრეშუმივით შრიალა და ხასხასა ტანზე...
სიყვარულისგან უთვალავი კვდება ყვავილი!
და ვერცხლისფერი ღამე
ვაშლის ფერადი ზოლებით
სახურავიდან სახურავზე
გადადის რხევით...
ლოლიტას თეთრ და ხავერდოვან თეძოებზე,
როგორც სარკეში,
იმსხვრევა უხმოდ ჩანჩქერების თეთრი ჩქერები,
სიყვარულისგან
უთვალავი კვდება ყვავილი.

## სევილიური იავნანა

ამ პაწაწინას არა ჰყავს დედა!
ის დაიბადა ბოშათა კარავში
და გადააგდეს ორმოში ჩუმად.
ო, ამ პატარას არა ჰყავს დედა!
მასთან არასდროს
არ არის დედა,
ის გადააგდეს ორმოში ღამით.
პატარას არასდროს უნახავს აკვანი,
თუმცა, მამა არის განთქმული ხურო
და ათასობით აკეთებს აკვანს!

# ყვითელი ბალადა

მთაზე, იმ მაღალ მთაზე, ამწვანებული ხე დგას.
მწყემსი გაივლის
თავის გზით...
და ზეთისხილის ხეები ხელებს უშვერენ ყანას...
მწყემსი გაივლის
თავის გზით...
მასთან არ არის ფარა, არც საყვარელი ძაღლი,
არც მეგობარი – ვინმე
და არც კომბალი ხელში.
მწყემსი გაივლის...
გაქრა ის ოქროს ჩრდილი, შორეულ ველზე გაქრა, —
თავის გზით...

## ირენა გარსიას

მდინარის პირას ჩინარები ცეკვავენ ერთად,
ერთ მათგანს თუმცა,
შერჩენია სამი ფოთოლი,
მიილტვის წინ და კვლავ
თავბრუდამხვევად ცეკვავს.
ეჰეი, გამოდი, ირენა!
იცეკვე, სულო, ბალში!
აჰყევი სიმთა ჟღერას წვიმის წვეთების დარად,
იცეკვე, სულო, ბალში!
კვლავ მიიჩქარის ღელე...
შენ კი არ ჩანხარ მაინც!
მდინარის პირას ჩინარები ცეკვავენ ერთად,
ერთ მათგანს თუმცა
შერჩენია სამი ფოთოლი,
მიილტვის წინ და კვლავ
თავბრუდამხვევად ცეკვავს!

## ვერლენი

სიმღერას, რომელსაც მე ვეღარ ვიმღერებ,
ჩემს ბაგეებზე
სძინავს უცოდველს!..
ო, იმ სიმღერას, რომელსაც მე ვეღარ ვიმღერებ!
მთვარის სხივები
კვლავ კენკავენ
წვეთებს ნამისას
და იფერფლება ო, ეს სიბნელე ღამის მწერების
ცეცხლოვან ფრთებზე...
მე ჩამეძინა... და სიჩუმეში
გავიგონე სიმღერა ჩემი,
რომელსაც მე ვეღარ ვიმღერებ!
მასში იგრძნობა თრთოლვა ბაგეთა და შრიალი
მდინარის წყლების,
ვარსკვლავების
მთრთოლვარე შუქზე.

# MEMENTO

როცა მოვკვდები, მიმაბარეთ მდინარის ქვიშას,
თან ჩამატანეთ
გიტარა ჩემი!
როცა მოვკვდები, მიმაბარეთ მე იმ ძველ ჭალას,
სად ფორთოხლების ყვავილობის
იგრძნობა ძალა!..
როცა მოვკვდები, სახურავზე დავრჩები მარად,
ქარში – ფლუგერი...
ჩუმად, მოვკვდები როცა!..

## სოლეა

ძაძებში ქალი!
ქვეყანას მიიჩნევს არარად,
გული აქვს უსაზღვროდ დიდი!
მწუხარე სულის კვნესას და ოხვრას
ულმობელ სუნთქვის
ნიაღვარში ჩაძირავს ქარი...
და უპასუხოდ რჩება ისევ ძაძებში ქალი!
ცის აივნიდან განთიადზე
რიკულებს შორის
ჩამოიღვრება ცისკარი მკრთალი...
ვაი, აი, აი, აი, აი...
მოთქვამს ნიადაგ ძაძებში ქალი!..

# ტყვე ქალი

ქალიშვილი – სიცოცხლე მიდიოდა
შემკრთალ ტოტზე ბედისწერის...
მიდიოდა თამამად და უშფოთველად –
შემკრთალ ტოტზე ბედისწერის...
ის ცხოვრების თეთრ სარკეში ნებივრობდა
შემკრთალ ტოტზე ბედისწერის...
სიბნელეში გზა დაებნა
ჟამის ტყვე ქალს და ატირდა –
შემკრთალ ტოტზე ბედისწერის.

* * *

მშრალია მიწა, ჩუმია მიწა,
ო, მიწა უძირო ღამეთა...
(ზეთისხილების და მთების ქარი.)
ო, ეს ბებერი მიწა!
შუქით და სევდით სავსე.
მიწა, ნასეტყვი შურდულით,
და დასერილი მძიმე ისრებით.
(ქარი – ჩინართა გუგუნი,
ქარი – გზა უსაზღვროების...)

## მონადირე

მაღალი ტყე!
ოთხი მტრედი შორს გაფრინდა აღმოსავლეთით...
იფრინეს, დაბრუნდნენ.
ოთხი ჩრდილი ძირს დაეცა და გაიტრუნა.
მაღალი ტყე!
და ოთხი მტრედი გაწვა ქვიშაზე...

## ზანგების სიმღერა კუბაზე

როცა მთვარე წამოდგება სავსე,
მე კუბაზე წავალ სანტიაგოს.
წავალ სანტიაგოს!
ჩემი ეტლით შავ წყლებს გადვიქროლებ,
წავალ სანტიაგოს.
და პალმების ხეივნების გავლით
წავალ სანტიაგოს.
როცა ნაზად ფრთებს შეარხევს პალმა,
წავალ სანტიაგოს.
დაიწყება ბანანების ცვენა,
წავალ სანტიაგოს.
გზას გავყვები სიგარეტის წევით,
წავალ სანტიაგოს.
და თამბაქოს კვამლში გახვეული
წავალ სანტიაგოს.
ოი, კუბა! ღარიბების ცეკვა,
წავალ სანტიაგოს.
ხეზე ცხელი წებოვანი ფისი,
წავალ სანტიაგოს.
მომღერალი ხის ფოთლები მწვანე,
წავალ სანტიაგოს.
მე ყოველთვის ვამბობ ჩემთვის,
წავალ სანტიაგოს!
გადვიქროლებ, წყლებს გავცურავ ეტლით,
წავალ სანტიაგოს.
დე, ბორბლებში იხარხაროს ქარმა,

წავალ სანტიაგოს.
მყუდრო ღამით, ამ მარჯნისფერ ღამით,
წავალ სანტიაგოს.
სველ ქვიშაზე ზღვის ტალღების ჩქამით,
წავალ სანტიაგოს.
გახვეული ყვავილების მტვერში,
წავალ სანტიაგოს.
ო, საყვარელი სავანე სულის,
ო, კუბა! მიწის მხურვალე სუნთქვა!
წავალ სანტიაგოს!

## აფსუს!

კიპარისის ჩრდილი კვნესის
და ირხევა ქარში ღამით...
(დამტოვეთ მე მინდვრად მარტო).

ყველაფერი ირღვევა და
მდუმარებით ხდება სავსე...
(მე ტირილი მინდა მარტო).

დაჭრილი ბნელს შემაფარეთ,
ქვეყნის შუქი არის ბასრი!

(ო, დამტოვეთ, დამტოვეთ მე
მინდვრად მარტო,
მხოლოდ ერთი...)

## გზაჯვარედინი

აღმოსავლეთის ქარი. წვიმა. ფანარი თანაც,
და გულში–პირდაპირ დანა!
როგორც მავთული დაჭიმული, ცახცახებს ქუჩა,
ღამეს ვამპირის სისხლიანი
თვალები უჩანს!..
იღვრება სისხლი დაუნდობლად ცხოვრების ხნულში...
წახვალ საითმე?
პირდაპირ დანა–გულში.

## გამოთხოვება

დატოვეთ ღიად აივნის კარი, მოვკვდები როცა!
მე აივნიდან ვხედავდე მინდა,
ბავშვები ბაღში როგორ
წყვეტენ ხეზე ფორთოხლებს.
მე აივნიდან ვუცქირო მინდა, ნამგლის ტრიალში
როგორ წვება ველზე თავთუხი...
დატოვეთ ღიად აივნის კარი,
მოვკვდები როცა!

## კორდოვის კვარტალში

ღამე ეშვება მძიმე. სარკმელს დარაბა ფარავს.
სხივი ვერ შედის ბაღში.
ოთახში გოგოს სძინავს...
სძინავს თოვლისფერ კაბით...
თმაში ინახავს ყვავილს,
თავის ბაფთიან თმაში!
ფანჯრის რიკულზე ჩუმად სამი
ბულბული კვნესის...
ხალხი მიმოდის ოხვრით,
გიტარა ტირის ქარში!

* * *

საით გარბიხარ, ბინულო, საით?
— თრთოლვით დავეძებ წყალუხვ მდინარეს,
რომ გამიტაცოს
უძირო ზღვისკენ...

ზღვაო მღელვარევ, შენ კი საითკენ?
— შორს, იმ ნისლიან ნაპირისაკენ,
სადაც მარადის
სიჩუმე სუფევს...

შენ კი, ჩინარო, რას მეტყვი, ნეტავ?
— მე კი ვერაფერს,
რადგან ვკრთი მარად!..

## მცირე ბალადა სამ მდინარეზე

მიედინება გვადალკვივირი... მიარხევს ტალღებს
ნარინჯისფერ ბაღების ჩრდილში.
გრანადა, შენი მდინარე ორი
თოვლიან მთიდან
ბარისკენ გარბის...
ო, სიყვარულო! წახვედი სადღაც,
არასოდეს არ დაბრუნდები!..
შენს ნაპირებზე, გვადალკვივირ,
ბროწეულების ძოწისფერი
ანთია ალი...
მიედინება მდინარე ორი: ერთი – ცრემლი,
მეორე – სისხლი!
ჩემო გრანადა!
ო, სიყვარულო! შენ გაფრინდი, სადღაც ქარივით!..
დასერილია სევილია თეთრი აფრებით...
გრანადა, მაგ შენს მდინარეებში
ფეთქავს ნიადაგ ამოოხვრა მხურვალე სულის!...
ო, სიყვარულო! წახვედი სადღაც,
არასოდეს არ დაბრუნდები!
გვადალკვივირი და სამრეკლო,
ქარები ლიმონის ბაღში.
დარო,ხენილი, სალოცავთა იდუმალება
ჩაძირულა ზღვა სიჩუმეში...
ო, სიყვარულო! შენ გაფრინდი,
სადღაც ქარივით...
მდინარეები წაიღებენ მაღალი მთის

ცეცხლოვან ლავას...
ო, სიყვარულო! წახვედი სადღაც,
არასოდეს არ დაბრუნდები.
ანდალუსიის მღელვარე ზღვისკენ
მათ მიაქვთ მუდამ
ფორთოხლისა და მირტის ყვავილი.
ო, სიყვარულო! შენ გაფრინდი,
სადღაც, ქარივით...

## სამი ხე

აქ, ამ წყაროსთან იდგა სამი ხე,
დღე კი მოვიდა ნაჯახით მჭრელით
და გახდა ორი.
მოვიდა მეორედ,
და დარჩა ერთი.
მერე – არც ერთი.
და წყაროსთვალი დარჩა შიშველი!

## ახალი მთვარე

მთვარე ბანაობს წყალში და უქაროა ღამე.
ცა ვარსკვლავებით სავსე
სიმებს შორეულს არხევს.
ტოტი ქანაობს ნორჩი მდინარის ფერად ტანზე
და წყლის სარკეში უცქერს
თავის საკუთარ სახეს.

## გაზაფხულის სიმღერა

I.

ბავშვები, ისევ, გამოდიან ეზოდან სკოლის
და ედებიან ჟრიამულით
მიდამოს გაშლილს...
ივსება სივრცე აღტაცებით, ხმაურით,
თრთოლვით,
აქსოვენ სიცილს ხავერდოვან
აპრილის ქარში...
რა სილამაზით ფეთქავს ახლა ეს დღე აპრილის
და ის ყვავილთა სურნელებით
გულისპირს ივსებს...
ვერცხლისფერ სიცილს პატარების, ამ უნაპიროს,
მშვიდი ქუჩები უჩვეულო
ხალისით ისმენს...

II

საღამოს ბაღში ყვავილების სურნელით მთვრალი
მივდივარ და ვგრძნობ,
მოვიტოვე ნაღველი დიდი.
სასაფლაოზე დროით დამსკდარ თავის ქალებზე
მხურვალე მიწა კვლავ აღვიძებს
ყვავილებს მინდვრის.
კიპარისები დაფენილი მსუბუქი მტვერით
მისჩერებიან შორს ცარიელ
ორბიტებს ისევ...
კენწეროები ირხევიან ზურმუხტისფერი
და მათი მზერა ეფინება
შორეულ სივრცეს...

## საით მიცურავ, მზეო?!

აპრილო, შენ კი ვარსკვლავებით,
                    ცოცხალი წყლებით
მოდიხარ, აფრებს ალტაცების
ო, ისევ გაშლი...
და ოქროსფერი ბუდეები აანთე ისევ
ბუნების თვალში!...

## ბედისწერა

იქით, გულო ჩემო, იქით!..
სად სიყვარულის გაუვალ ტევრში
არ მოჩანს კვალი.
სად ლურჯ ყვავილებს ესხურება ცოცხალი
წყალი...
და ჩემს ჭრილობას მოურჩენელს
ვერ კურნავს სიტყვა – „სიყვარული“.
იქით, გულო ჩემო, იქით!..

# ბაღი

წყალზე წევს ნისლი და ტირიფის
ტოტები ხშირი.
კიპარისების ლურჯ შადრევნებს
არხევს ნიავი...
რეკავს დიდმარხვის ზარების წყება.
ამ ბაღში მუდამ
მოდიან გვიან,
ძალიან გვიან,
წარბშეკრულნი, ტუჩების კვნეტით!
და გზა შორს მიდის, მდინარის გავლით,
გზა სისხლიანი!..

## რხევის ამპლიტუდა

ლურჯი ზღვა მღერის.
(სად არის წყაროს წყალი!)
ცაში სიმაღლე მღერის.
(როგორც ვარსკვლავი ობოლი.)
სხვაა გალობა ღმერთის.
(საწყალი ზღვა!
და საცოდავი წყარო!)

## მზე ჰორიზონტზე დაეშვა

მოიპარება ავდარი დასალიერით ცის,
იბურდებიან ღრუბლები
და ავი ქარი ქრის...
მზე ჰორიზონტზე დაეშვა,
ირგვლივ მწუხრი შლის ფრთებს
და სივრცეს აუდაბურებს,
ღამეს მოუხმობს ბნელს.
ღელვას მოუცავს მთა-ბარი,
დღე უკვე აფრებს ხრის,
მთის გრეხილებზე სიბნელე
სევდის ნაპირებს ზრდის...
მღვრიე მორევში, შორს იქით,
თეთრი მწვერვალი დუმს,
არც გზა ჩანს, არც მეგობარი,
დგება შუაღამე ყრუ.

* * *

აგვისტო. ცისკარზე ატამი თამთამებს
თაფლისფრად,
უსხლტებათ კრაზანებს
ნაყოფი პირიდან.
მზე ჩადის... დგება ქარვისფერი საღამო ისევ.
ოქროკბილიან ტაროების
ფეთქავს სიცილი,
როგორც ივლისში ფორთოხლისფერ
მზის მხურვალება.
ისევ აგვისტო. ბავშვებს ო, როგორ ეტკბილებათ
ეს შავი პური,
შუქით დატბორილ
მთვარესთან ერთად.

## სოფელი

ჩვენ სუნთქვაშეკრული,
ნაღვლიანი ხალხი ვართ.

ბნელსა და შიშველ მთაზე – დგას სალოცავი.
სად ზეთისხილთა
რტოები მწვანე
ეხლებიან წყლებს მარგალიტის...
აქ ლაბადებში მიმოდის ხალხი.
ხოლო ზედ მაღალ კოშკზე
ბრუნავს ფლუგერი დღითა და ღამით.
ის ბრუნავს მძიმედ,
ის ბრუნავს მუდამ...
ო, შენ სადა ხარ, ჩაკარგულო სოფელო,
ჩემი მღელვარე,
ცრემლიანი ანდალუსიის!..

## ჰორიზონტი

მზე უჩვეულოდ მკრთალი, სოფელი მწვანე
ნისლში...
კვლავ დატვირთულებს სიზმრით
სძინავთ ნავსა და ყურეს,
და ნაღვლიანი ხმები აღვიძებს ცხვრების ფარას.
ის ჭაბუკური ჩემი გული
სად არის ნეტავ,
ბურთულა ვერცხლის?!

* * *

ჩემი თვალების უმისოდ შენ საბრალო ხარ, სულო!
ვერ იგრძნობ, როგორ
ინთება მთვარე.
ო, ამ ბაგეთა გარეშე, სულო,
ვერც კოცნას იგრძნობ,
ვერც დანაშაულს!
შენ საბრალო ხარ ო, ამ ჩემი გულის გარეშე.
რას მეტყვის შენი თვალების სიღრმე,
როცა უეცრად
მოკვდება სიტყვა?

## პირველი ოცნების სიმღერა

გულს შეყვარებულს ძალუძს,
რომ იყოს დილით მწვანე.
საღამოს ხდება მწიფე, როგორც
ბულბულის სტვენა.
შენ გამირბიხარ
ფორთოხლისფერი სიყვარულით,
ო, სულო ჩემო!
შეყვარებული გული რჩება
ადრიან დილით
საკუთარ თავთან.
შეღამებისას – მოგალობე ჩიტის ყელში
წკრიალებს ისე,
როგორც ბულბული.
შენ გამირბიხარ ფორთოხლისფერი სიყვარულით
ო, სულო ჩემო!

## უსიმღერო მიწა

ლურჯი ცა... და ფერადი ყანები ვრცელი...
ო, ლურჯი მთები...
                    და ფერადი ყანები ვრცელი...
დგას წარმტაც ველზე ერთადერთი
ხე ზეთისხილის
და ობლად კვნესის!..

## წასვლის საათი

კვლავ მიდიან სხივჩამქრალი ვარსკვლავები,
მიცურავენ უკანასკნელ გზაზე...
უბედურება აი, ეს არის,
რა  უნდა იყოს მწუხარება ამაზე მეტი?
საით მიდიან
ისინი, საით?
ადრე თუ გვიან სილაჟვარდე ჩაძირავს სადმე...
უბედურება აი, ეს არის!
რა უნდა იყოს მწუხარება ამაზე მეტი?
საით მიდიან
ისინი, საით?

## ხოლო შემდეგ...

შემოტევებით დროის ლაბირინთები – გაქრა.
სიცარიელე დარჩა.
დაუცხრომელი გული – ეს სურვილების წყარო –
დაშრა.
სიცარიელე დარჩა.
ჩამავალი მზის მირაჟი — ბაგეთა კოცნით
ტკბობა — გაქრა.
გაჩუმდა, დაყრუვდა, გაცივდა
და საბოლოოდ გაქრა...
სიცარიელე დარჩა!..

## სადღესასწაულო გასეირნება

მიდის მდიდრული სამკაულებით, მიდის ამაყად –
მადონა სოლედადი.
შენ თეთრი ნავით შემოცურდი ქალაქის ზღვაზე,
როგორც ყაყაჩოს ყვავილი –
სინათლის ვიმპელით ხელში.
გადაუარე შენ მსუბუქად გუბეებს წვიმის,
კოლორატური ტემბრით
მიუყვებოდი ქუჩას...
და დაგნათოდნენ ვარსკვლავები
სხივებით ქარვის...
მადონა – წყარო უზომო სევდის,
მადონა – სოლედადი.
ო, შენ დაცურავ ზღვიდან ზღვაზე
შორეულ მხარის.

## ცის კუთხე

ბებერ ვარსკვლავებს – თვალს უცრემლებს
                    შუქი ელვარე.
ზაფხულის ბინდში
მხოლოდ ნორჩი
ვარსკვლავნი კრთიან...
(და მთა-გორებზე, სად ფიჭვების
ირხევა რიგი,
ციცინათელას ათასობით
ანთია ცეცხლი).

## ჩრდილოეთი

გზებზე მაღლა ვარსკვლავები ცივი.
        დადის ხალხი და დაძრწიან მხეცნი
ტყის კვამლიან
ბილიკების გასწვრივ...
და სუნთქავენ ქოხმახები ჩუმად
        განთიადის მოვერცხლისფრო შუქზე.
ხუტორებში, ტყეებსა და მთებში
ისმის ექო ნაჯახების დარტყმის,
თითქოს სკდება
ცისტერნები ირგვლივ!

## სამი მოთხრობა ქარზე

I

შორს განთიადმა აანთო ქარი წითელი ფერის,
და შემდეგ ქროდა მდინარის გასწვრივ-
ის მწვანე ფერის.
შემდეგ ის გახდა მეტად ლურჯი, მერე ყვითელი...
და, შემდგომ, იგი მინდვრებს იქით
ცისარტყელად ამოიზიდა...

II

დახვეულია ქარი ისე, როგორც მთის წყარო,
იხუტებს წყლიდან ამოზიდულ ჩინარებს იგი,
ვით გული ჩემი.
მზე დგას ზენიტზე და ის თითქოს
მიჰკვრია ზეცას...
გავიდა ხუთი ნაშუადღევი,
ქარს სძინავს უკვე...
და ფრინველებიც არიან ჩუმად.

III

კულულებივით ირხევა ქარი,
როგორც ხავერდი
შესაშური სპირალის მსგავსად.
მოიწყევლება ტყის სიღრმეში,
როგორც წყარო
ლოდქვეშმავალი...

და ის ხეობას ათრობს ბოლომდე
თეთრი ბალზამით.
ისევ შეუტევს კედლებს გრანიტის –
ქანცმილეული.

## ᲡᲐᲡᲬᲝᲠᲘ

დღემ ჩაიქროლა უკვე,
        ღამე არ იხევს უკან.
დღე ნაადრევად კვდება,
ღამე კი – მის ფრთებს იქით.
დღე ქარიშხალში ქანაობს
და დგას სარკის წინ ღამე.

## ნიშნობა

დატოვე ბეჭედი მდინარის ყურესთან.
(მთვლემარე ღამემ ხელისგული
დამადო მხარზე.)
ასი წელია, რაც მე ვცხოვრობ ამ სამზეოზე.
ფუჭი სიტყვები არარად მარგებს,
არაფრის მთქმელი!
დამტოვეთ მარტო, ანგარებით
ნუ მკითხავთ რამეს.
მოიშორე ბეჭედი თითზე
და მოისროლე მდინარის წყალში.

## ჩქარი დინება

როცა ცის იმღვრევა სიღრმე,
        ქრებიან ვარსკვლავნი გუნდებად...
და რასაც გზა გადაგავიწყებს,
ის მხოლოდ
სიზმრებში ბრუნდება.

## ეს სიმართლეა

მძიმეა, ო, როგორ მძიმე, რომ
შენ მიყვარდე და არ ვიტირო!
ჩემში ყრუ ტკივილს იწვევს ჰაერი,
მგზნებარე გული და ეს ქუდი
თავზე რომ მხურავს!
ვისზე გავყიდო მე ეს ლენტი და სავარცხელი
და სევდის თეთრი ძაფი?
რომ მომიქსოვონ ცხვირსახოცი
ღირსსახსოვარი!
მძიმეა, ო, როგორ მძიმე,
რომ შენ მიყვარდე
და არ ვიტირო!

## მოსახვევს იქით

ჩემს ბავშვობაში დავბრუნდე მინდა,
კვლავ დავიბრუნო წლები ნანატრი.
დაგემშვიდობო, ბულბულო?
მერე რა მოხდა, – ნახვამდის!..
შემდგომ, სიბნელე და ყვავილები ქოთნის.
გამოვეთხოვოთ სურნელით თრობას?
და იჩქარე, ღამის ყვავილო,
სიღრმეში სულის...
მშვიდობით, სიყვარულო, მშვიდობით.
(მკვდარია გული ჩემი).

## გულუბრყვილო სიმღერა

– დედა, მაჩუქე მოლაპლაპე ყინულის ტანი!
– შენ მაშინ, შვილო, გახდები ცივი
და ყინული დაგეუფლება!
– დედა, გამხადე გამჭვირვალე, ვით მინერალი.
– მაშინ შენ ვეღარ გათბები, შვილო!
– დედა, ამწიე ბალიშს ზემოთ,
ო, ცოტა მაღლა...
– ეს შეიძლება, ახლავე, შვილო!

## ცეკვა

ბაღში ირწევა ღამე, და ექვსი ბოშა ქალი
თეთრ სამოსელში ცეკვავს
თავბრუდამხვევი ძალით!

ბაღში ირწევა ღამე, და გვირგვინები ვერცხლის
იწვის ფერადი ალით
ვარდ-ყვავილების ცეცხლის...

ბაღში ირწევა ღამე, და სივრცეს ერთვის ღელვით...
და იფერფლება ბნელი
მათი კბილების ელვით...

ბაღში ირწევა ღამე, და ექვსი თეთრი ლანდი
კვლავ თავაწყვეტით ცეკვავს
და არხევს ზეცის მანდილს!

## ბაღი მარტში

ვაშლის ხე! მაგ შენს რტოებზე – ფრინველების
და ჩრდილების არის თამაში...
ჩემი ოცნება მიქრის
უკვე მთვარიდან ქარში...
ვაშლის ხე! შენს ხელებს ჩაუცვამს სიმწვანე.
და მარტის თვეში კვლავ
იანვრის ჭაღარა მოჩანს.
ვაშლის ხე... (ჩამქრალი ქარი)
ვაშლის ხე... (ვეება ცა).

## საწყისი

აჰყვნენ ცდუნებას ადამ და ევა.
გველმა გატეხა
                    სამოთხის სარკე.
ქვად იქცა მისი ნამსხვრევები
და ედემის
წითელი ვაშლი.

## ხმა შორეული

აინთო, ისევ, სათოვლია დილაადრიან.
(შემოღამება გახსოვს და
შუა ზაფხულის გვიანი ღამე?)
და ჩამოასხა მთვარემ თავის ცივი ნექტარი.
(გახსოვს აგვისტო და
ის მზერა უკანასკნელი?)

## გრანადა და 1850

მესმის ო, წყაროს მოციმციმე სიმების რხევა.
ყურძნის თითებზე –
სხივები მჭრელი,
ის ლამის არის, რომ გულში ჩამწვდეს!
მე შევყურებდი ცის სიღრმეში
არეულ ღრუბლებს,
მეჩვენებოდა ჩემი თავი,
ვით წყაროს ჭავლი.

## დანა

დანა, შენ ცოცხალ გულში იჭრები,
როგორც სახნისი წიაღში მიწის.
არა, ო, არა, მაგ ბასრი წვერით
ნუ შეეხები მის სიმღერას
და სილამაზეს!
დანა, შენ ვიწრო სისხლიანი ნაკვალევით
შედიხარ მასში და კუბოს გარეთ
ყველაფერი რჩება ამაოდ!
არა, ო, არა, მაგ ბასრი წვერით
ნუ გაარღვევ მის სიმღერას
და სილამაზეს!

## კვალდაკვალ

უცქერენ ბავშვები, ბავშვები ხედავენ შორს.
ქრებიან თანდათან სანთლები...
                    და ბრმა გოგონა ორი
მისჩერებია მთვარეს...
ქარს მიაქვს ვარსკვლავებისკენ
ცრემლის სპირალი წვრილი...
იხედებიან მთები,
მთები ხედავენ შორს.

## დედა

ცაზე გულაღმა გაწოლილა დიდი
ვარსკვლავი დათვის.
ძუძუს აწოვებს ნარინჯისფერ
თანავარსკვლავებს,
ტუქსავს, არიგებს, ეუბნება
თავის პატარებს: – ჭამეთ,
სვით, გათბით, ანათეთ!

## პატარა ტყე

სანტიაგოში გზა მიდიოდა...
(მეც მივდიოდი იქით – შეყვარებული ბიჭი,
მღეროდა ღამე მთვარის თეთრი სიშიშვლით სავსე.
ფრინველი– დაიკო,
ფრინველი – მოგალობე
ირხეოდა აყვავებულ ლიმონის რტოზე).

## შემთხვევა

იწვა ქუჩაში ნეკნებს შორის გაჩრილი დანით.
აქ, ის ყველასთვის
იყო უცნობი.
და ცახცახებდა ფარანი შიშით.
დედა, ო, როგორ ცახცახებდა
ფარანი სახლის!
მას გახელილი ჰქონდა თვალები –
გაქვავებული, თეთრი.
და იწვა მარტო და ღრმა ჭრილობას
უსიცოცხლო ხელებით აწვა!
ის აქ ყველასთვის
იყო უცხო, მიუსაფარი.

## მარტოობა

ო, ეს ვარსკვლავი – მეოცნებე რომანტიკოსი.
(ვარდებისა და მაგნოლიის არის ტრფიალი.)
ის მუდამ შუქს ჰფენს თავისთავს
და იდუმალი რჩება.
ტა-რა-რი,
ტა-რა-რა.
ქოხში სიბნელე მეფობს,
გუბეებში კი ბაყაყების
სიმღერა ისმის.

## სანტიაგოში კვლავ ცეკვავს მთვარე

შეყვარებული, ფერმკრთალი ბიჭი
დახეტიალობს ღრუბელთა შორის?

არა, აქ მთვარე, მთვარე კვლავ ცეკვავს
ცივ სხეულებზე მდუმარე ღამით...

ცაზე ჩრდილების ირხევა წყება,
დაძუნძულებენ ამ ჩრდილში მგლები?

ხოლო მთვარე კი , ო, როგორც ადრე
ცივ სხეულებზე ცეკვავს და ცეკვავს...

იქნებ, ცხენები ურტყამენ ტორებს
ო, დასამსხვრევად ჭიშკარზე ისევ?

ო, არა! მთვარე, მთვარე კვლავ ცეკვავს
ცივ სხეულებზე მდუმარე ღამით...

გვიცქერის ვიღაც სარკმლიდან ღრუბლის
მღვრიე თვალებით ისევ და ისევ?

ო, მთვარე, მთვარე და მხოლოდ მთვარე
ცივ სხეულებზე ცეკვავს და ცეკვავს...

სიკვდილი ისევ მიზიდავს ძლიერ,
ო, ყვავილების სიმრავლით ცისკენ?

# საით მიცურავ, მზეო?!

არა, მთვარე კი, მთვარე კვლავ ცეკვავს
ცივ სხეულებზე ისევ და ისევ!

ო, ეს ბავშვები, ღამეულ ქარში
რომ გაუფითრდათ ლოყები ერთობ!

და არა ქარი, — სინათლე მთვარის
ცივ სხეულებზე ო, ისევ ცეკვავს.

ისევ ბლავიან ხარები ღამით
ო, აქ გაბმულად და გულსაკლავად!

და მთვარე, მთვარე და მხოლოდ მთვარე
ცივ სხეულებზე ცეკვავს და ცეკვავს.

ის მთავრე, მთვარე გვირგვინით ეკლის,
ო, კვლავ მიმოდის, როგორც თქმულება.

და ისევ ცეკვავს სანტიაგოში
ცივ სხეულებზე დაუსრულებლად!

## არიან მთები

ესრა ღიად გაწოლილან მთები,
        წყლის ნაკადებს დასცქერიან შურით!
და როგორც ცის თეთრი ათინათი,
მოიფიქრეს ვარსკვლავების თოვლი...
და არიან კიდევ იქით მთები,
        იგივეა მათი სატკივარიც!
და ამ მთებმა ნაღვლიანი ფრთებით
მოიგონეს ღრუბლის ქარავანი...

* * *

არ დასცდენია არც ერთი სიტყვა,
და ყოველივე საოცრად ვიგრძენ!
როგორ ცეკვავდა მის ცისფერ ტბაში
ორი ნორჩი ხე...
ოქრო, სიცილი და მწვანე ქარი
და ნაფეხური
მოჩანდა მთვარის...

## დიდი მოწყენილობა

შორს, ზღვის სივრცეში სიბნელე მხოლოდ,
სადაც არეკვლა არ ხდება შუქის.
და შენი მზერის სუსტია ღერო...
ეს არის მიწაზე ღამე.

## ადელინა სეირნობაზე

აქ ლიმონები არ არის ზღვაზე,
სევილიაში არ არის ტრფობა!
იღვრება მთვარე მზის სხივით სავსე,
სიგრილე ვიგრძნო,
მომეცი ქოლგა.
მწვანე ქოლგის ქვეშ, უთუოდ, ვჩანვარ,
ო, ისე, როგორც ლიმონი.
ჩემს უკან წყალში დგაფუნებენ
მხოლოდ თევზები.
აქ ლიმონები არ არის ზღვაზე,
იღვრება შუქი ზომაზე მეტად,
სევილიაში არ არის ტრფობა.

## დაბრუნების სუიტა

ო, დამიბრუნეთ ფრთები! ჩემი სიკვდილის დროა!
მე მინდა მოვკვდე ისე,
როგორც ის მოკვდა გუშინ,
გათენებამდე დიდი ხნით ადრე.
ავიზიდები მძლავრი ფრთებით
მდინარის ზემოთ,
მოვკვდე, სადღაც, შორს ზღვიდან,
მივიწყებულ წყაროსთან ახლოს...

# შავი მთვარეები

ნაპირებს ზემოთ მოჩანს შავი მთვარეთა რიგი,
ფეთქავს ზღვის სივრცე გიშრის.
მეძახიან და მომსდევენ უკან გაუჩენელი
ჩემი ბავშვები.
ნუ წახვალ, მამა,
ნუ მიგვატოვებ,
აქ დარჩი ჩვენთან!
უმცროსს ხელები აქვს დაკრეფილი.
მე თვალებიდან ცრემლები დამდის...
ირგვლივ ყვიან მამლები ისევ.
შორს ზღვა ქვავდება...
და ნიღბების ქვეშ, კვლავ, ტალღების
სიცილი ისმის.
ნუ მიგვატოვებ, მამა!
და ვარდისფერი
იღვრება ექო...

## უიმედო სიმღერა

იღვრება სილურჯე ბალახის, მდინარე
　　　　　　　　　　　　　მდინარეს ერთვის.
მე ქარით ნარხევი ვდგავარ...
დღესასწაული შემოდის სახლში ნიშნობის
　　　　　　　　　　　　　　　　　　　　ბეჭდით.
ქალიშვილები დგებიან ადრე
და აბრეშუმის მწვანე ძაფით
　　　　　　　　　　　　　იმკობენ გულმკერდს.
მე ქარით ნარხევი ვდგავარ.

## ის მოკვდა დილით ადრე

შორს ოთხი მთვარე ღამის
                    და ხე დგას – მხოლოდ ერთი.
მას ერთი ჩრდილი ახლავს
და ზის ფოთლებში ჩიტი.
მე ჩემს სხეულზე ვეძებ ნაკვალევს
                    შენი მხურვალე კოცნის.
ქარების ჩქამში მიირხევა მდინარე ჩქარი.
შენს „არას“ ისე ვატარებ,
როგორც ლიმონის სანთელს
ქვასავით ცივს და მძიმეს.
შორს ოთხი მთვარე ღამის
                    და ხე დგას – მხოლოდ ერთი.
ეს ყველაფერი მიკრულია ჩემს ხსოვნაში,
როგორც ნემსით
გულზე პეპელა.

## შვიდი ასულის სიმღერა
**(ცისარტყელას მოტივზე)**

შვიდი ასული შვიდ ხმაზე მღერის.
(ცაზე კი რკალი ჩამავალი მზის
ნაკვალევს მოჰგავს).
შვიდ ხმაზე სული მოგალობე – შვიდი ასულის.
და თეთრ სივრცეში შორს გაიჭრა
შვიდი ფრინველი...
ჰა, უკვე შვიდი ასული კვდება!
(რად არ არიან ისინი ცხრა,
ან ოცდაერთი?)
დინების ტალღებს შვიდივე მიაქვს,
ცის ფსკერზე რჩება სიცარიელე.

## მალაგენია

სიკვდილი შედის და გამოდის ტავერნებიდან.
და გიტარების ხეივნებში ხეტიალობენ
ცხენები შავი
და უჩვეულოდ ბნელი სულები.
მარილი ოფლის და ქალის
სისხლის მძიმე სუნი
არეულია ყვავილების ფერთა თამაშში.
ხოლო სიკვდილი გამოდის და, ისევ შედის...
და ყველაფერი ძველებურად
უცვლელი რჩება...

## ცეკვა

სევილიაში ცეკვავს კარმენი
		ცარცით შეღებილ ცისფერ კედელთან.
და მას თვალები სავსე აქვს გზნებით,
უელავს თმები
თოვლივით თეთრი.
ქალიშვილებო, დარაბები მიხურეთ ჩქარა!
		თმებში გველები ყვითლდება უკვე,
და სიშორიდან ცეკვის მორევში
დგება წარსული მოხეტიალე,
და უჩვეულო ვნებებით სავსე!..
ქალიშვილებო, დარაბები დახურეთ ჩქარა!
		სევილიური ეზოების სიცარიელე
და მის სიღრმეში
ღამე უძირო...
ანდალუსიელთ ეჩვენებათ მივიწყებული,
ეკლიანი ცხოვრების კვალი!..

## მუნჯი ბიჭი

ეძებდა ბიჭი თავის ხმას,
რომელიც კალიამ დამალა,
ეძებდა ბიჭი თავის ხმას
დაცვარულ გვირგვინში ყვავილის...
შევქმნიდი ამ ხმისგან ბეჭედს
უბრალოს კი არა – გრძნეულს.
და ჩემს სიჩუმეს მშვიდად შევინახავდი მასში...
ბიჭი ეძებდა თავის ხმას
დაცვარულ გვირგვინში ყვავილის...
(შორიდან რეკავდა ო, ის ხმა
კალიას ხასხასა სამოსში...)

## პრელუდია

ისევ მიდიან ჩინარები– მათ ნაკვალევზე
რჩება ტბა შუქის...
ისევ მიდიან ჩინარები – და გვიტოვებენ
ჩვენ მხოლოდ ქარებს...
დამშვიდდა ღამე, და ჩადგა ქარი
მორთული მძიმე და შავი კრეპით...
მაგრამ ქარმა კი დატოვა ექო,
გადაიქროლა მდინარის იქით...
სივრცე ივსება ციცინათელით
და იძირება წარსული მასში...
და ხელისგულზე გადაიშლება
გული პატარა – გრძნეული რიტმი!..

## ზარი
**(მისამღერი)**

იმ ყვითელ კოშკზე კვლავ რეკავს ზარი
და აღწევს ზენიტს
ის ყვითელ ქარში.
ყვითელ კოშკს ზემოთ საიდუმლოდ
ხმა ქრება ზარის.
ოსტატობს ბრიზი და მტვერს აყრის
ის ხომალდის
ვერცხლისფერ ძელზე.

## მიდიოდა ხალხი

ზაფხულს, ისევ მიჰყვებოდა ხალხი,
თან მისდევდა
შემოდგომის კვალი.
მწვანე ველზე მიდიოდა ხალხი –
გიტარებით და
მამლებით ხელში...
იყო თქეში და სხივების ღვარიც.
გული სცემდა
უსაშველოდ ცხელი!
მწვანე ველზე მიდიოდა ხალხი...
შემოდგომა მოდიოდა უკვე
ვარსკვლავების
ლიმონისფერ რხევით.
მოცახცახე წყაროების ფონზე
ჩიტუნების ცრემლიანი თვალით!..
და ცდუნებებს
დავეკიდე თავით,
გული ჩუმად სანთელივით იქცა!
ზაფხულს, ისევ მიჰყვებოდა ხალხი,
და თან სდევდა
შემოდგომის კვალი...

## შემოღამების ორი მთვარე

### I

ახლა მკვდარია, მკვდარია მთვარე,
მას გაზაფხული აღადგენს მხოლოდ.
და ჩინარების მაღალ კორომებს
ისევ შელმუის
სამხრეთის ქარი.
და გულის სკივრი ივსება ერთობ
ხშირი და მძიმე
ამოსუნთქვის ფარული ოხვრით!..
სახურავები წითელ კრამიტის
დაიფარება ბალახების
სქელი ქუდებით.
ახლა მკვდარია, მკვდარია მთვარე,
მას გაზაფხული
აღადგენს მხოლოდ.

## II

ლურჯი საღამო კვლავ უგალობს ფორთოხლებს
ნანას,
ჩემი პატარა დაიკო მღერის.
და იხლიჩება ყვითელი მთვარე,
თითქოს ფორთოხლად ქცეულა მიწა.
მეც სურვილი მაქვს, რომ
ოქროსფერ ფოთროხლად ვიქცე.
შენ შეგიძლია გულმოდგინედ იელვო დიდხანს
და შეგიძლია ერთიანად
დაიმსხვრე კიდეც!
ვერ გადიქცევი თუნდაც ლიმონად,
აი, ეს არის უცოდველი საცოდაობა.

## კარუსელი

მხიარულების თეთრ თვლებზე
დღე მიქრის დღესასწაულის,
წაღმა-უკუღმა კარუსელზე
ბრუნავს ნიადაგ
ლურჯი აღდგომა, შობის თეთრი საგალობელი.
და გველებივით იცვლიან პერანგს
შრომით დაღლილი დღეები ისევ.
ხოლო დღეები დღესასწაულის
ვეღარ ასწრებენ ფერიცვალებას.
კვლავ მიჰყვებიან დროის დინებას
და უყვართ მუდამ
აბრეშუმის მოსასხამები.
ლურჯი აღდგომა, შობის თეთრი საგალობელი.
ჩვენ ვარსკვლავებზე გამოვაბამთ
კარუსელს ისევ,
ვიტყვით – ეს არის შორეული ქვეყნის ყაყაჩო.
ფორეჯიანი ჩვენი ცხენები,
რომ ლეოპარდებს ჰგვანან სიჭრელით,
ვით ფორთოხალი –
ოქროსფერ მთვარეს.
გშურს მარკო პოლო?
რომ ბავშვები მიქრიან ისევ
უცხო მიწაზე, შორეულ მხარეს...
ლურჯი აღდგომა,
შობის თეთრი საგალობელი.

## სიმღერის ხე

*ანა მარია დალის*

ისევ ცახცახებს ის ხმა, ამ მარტოხელა ტოტის,
გადათელილი ბევრჯერ ვაებით
და გუშინდელი ქარით!
ღამით გოგონა მინდვრად წუხდა,
რომ ვერ მოასწრო მოწვდენა
ტოტის, რომელიც სურდა!
დაბინდულ შუქზე, ეჰ, მთვარევ!
საწადელს ის ვერ მისწვდა.
ასობით მკრთალმა ყვავილმა დაფარა მისი ტანი...
და, თითქოს, თვითონ გახდა,
ო, ვით რტო მომღერალი!
გადათელილი ბევრჯერ ვაებით
და გუშინდელი ქარით!

## ყვავილი

ტირიფის წვიმა გადახლართულ
რტოებში ჩაწვა.
და მთვარის შუქი უჩვეულოდ
იღვრება ისევ...

# კლოუნი

მკერდი კი თითქოს მზეა წითელი
მკერდი – ცისფერი
მთვარე.
და ცეცხლი წითელ-ყვითელი —
თმაში ვერცხლისფერ
ჩრდილის.

## ზღვის ნიჟარა

როცა ის მომცეს მასში მღეროდა
ზღვის სფერო – ლურჯი.
ამევსო გული შხეფით და ქაფით,
საღამოს ბინდით,
თევზებით ჭრელით,
რომ რიალებდნენ სინათლის შუქზე
ჩრდილებთან ერთად...
ის მომცეს როცა.

## ამოდის მთვარე

როცა ამოდის მთვარე, ზარებს სიჩუმე იპყრობს.
და მე ბილიკებს ვხედავ
ერთობ დაბურულ ტყეში.
როცა ამოდის მთვარე, ზღვა ეუფლება მიწას,
და შორს, კუნძულზე ფეთქავს
მივიწყებული გული!..
იქ, ხომ მთვარიან ღამით ფორთოხალს
არ ჭამს არვინ,
შეექცევიან ცივს და მხოლოდ უმწიფარ ნაყოფს.
როცა ამოდის მთვარე ერთფეროვანი სახით,
მაშინ ფულები ვერცხლის
საფულეებში ტირის...

* * *

ერთგულ მეგობრებს უთხარით – მოკვდა.
ტყის წყარო ისევ
ცივ ჩრდილში მღერის...
(და ტყე მოიცვა მგლოვიარე
გალობის ხმებმა).
თქვით სულ უბრალოდ: ის არ ამდგარა,
რომ სიკვდილის წინ
გახელილი დარჩა თვალები!..
გადაეფარა სამუდამოდ ლურჯი ზეწარი...
და ჩემი სული გაფრინდება
ვარსკვლავზე დილის...

## სქემატური ნოქტიურნი

მიწა, ქარი და სულით ობლობა,
სურნელი,
შრიალი,
ჩრდილი.
ბალახი, გველი, ნაშუაღამევი
(სამი საფეხური მთვარის).

## ქვემოთ

ვარსკვლავების მოციმციმე ჩრდილი,
ჩაქსოვილა ღამის
ფარულ ჩქამში...
და სიმებში ჩახლართვია არფას –
მცენარეთა მოარული აჩრდილები...

* * *

ფორთოხლებსა და ლიმონებს შორის
დაიმსხვრა ნორჩი სიყვარული.
ლიმონებსა და ფორთოხლებს შორის,
ქალიშვილები, ო,
ლამაზი ქალიშვილები!
                                        ლიმონები.
(მზე თამაშობდა მწვანე ბალახში.)
                                        ფორთოხლები.
(და თამაშობდა ლურჯ ტალღებში –
მზე ოქროსფერი.)

## მაცდური სარკე

ფრინველთ სიმრავლით არ ღელავენ ნორჩი რტოები.
ექო კი ჩივის, თუმც ის
არ წუხს და ცრემლებს არ ღვრის.
ადამიანი, დაბურული ტყეების წყება.
მე ლაპალუპით მსდის ცრემლები,
უზომოდ მწარე...
და თვალებში კი
ორი ზღვა მღერის...

## სევილიური პატარა სიმღერა

ფორთოხლების ბაღს ელვრება ო, ნათელი განთიადის,
მიიჩქარიან ფუტკრები
შესაგროვებლად თაფლის.
სად ინახება შარბათი, ასე რომ უყვართ ფუტკრებს?
ის ჩალექილა უხვად მხოლოდ
ყვავილთა ზღვაში...
თუმც ის ფიალა ღრმაა, მაგრამ სწვდებიან მასში.
(და სავარძელი დაფნის
კუთვნილებაა მთვარის.)
რტოები ფორთოხლების
სავსეა ცისკრის შუქით.

## კივილი

ზედ ყვითელ კოშკზე კვლავ რეკავს ზარი
და ყვითელ ქარში
ზენიტისკენ მიცურავს ხმები...
აქ ცრემლი, ისევ, უსაშველოდ იღვრება ირგვლივ
და მოაბიჯებს ულმობელი
სიკვდილი მძიმედ,
ო, ჩაბჯირული გვირგვინით ხელში.
ის მოდის აღტაცებით
და სიხარულით სავსე...
მღერის ეშმაკის ხმაზე.
ზედ ყვითელ კოშკზე ქრება ზარის მზარავი ხმები.
ბრიზი ქრის... მტვრისგან ძერწავს
ვერცხლის ძელების წყებას.

## გოგონა

რად მაგონდები წვიმაში მარტის
შენ სკოლის ზღურბლთან, გოგო?
გახსოვს, რომ თოვლის გეძახდნენ ფრინველს!
ლაწვზე სიწითლე
                    დაგიბრუნა თანაკლასელმა.
ფრთის ერთი ღერი დაკარგე თეთრი
და ეს მცირედი დანაკარგი
ვერ იგრძენ მაშინ!
მე კი ამ კალმით, საყვარელო,
დღესაც ვწერ ლექსებს.

# გიტარა

იწყებს გიტარა ტირილს, ცისკრის იმსხვრევა კოშკი.
იწყებს გიტარა ტირილს...
მისგან სიჩუმეს ნუ ითხოვ,
მისგან სიჩუმეს ნუ ელი!
ის განუწყვეტლივ ტირის, როგორც ჩანჩქერი არხში,
როგორც ქარები თოვლში...
მისგან სიჩუმეს ნუ ითხოვ,
მისგან სიჩუმეს ნუ ელი!
ო, ასე ტირის მზე ჩამავალი, ო, ასე ტირის ისარი,
როცა აცდება მიზანს!
ო, ასე ტირის მხურვალე ქვიშა
და კამელიის სილამაზე
მოვარდნილ სუსხზე!
ასე შორდება სიცოცხლეს გედი, დაგესლილი
დრაკონის შხამით!
გიტარა, ო, ეს საწყალი მსხვერპლი,
ხუთი დანის ქვეშ მოცახცახე
და საცოდავი!

# მადრიგალი ქალაქ სანტიაგოზე

სანტიაგოში ჩამოდის წვიმა, გულია ტრფობით სავსე!
თეთრ კამელიის დარად
ფეთქავს მზის მკრთალი ლაქა.

სანტიაგოში ჩამოდის წვიმა... ისე ბნელია ღამე,
რომ ელვარებას მთვარის
ფარავს ღრუბელი ხშირი.

და ქვაფენილზე ქუჩის აღარ იღვრება ბროლი.
გიგზავნის ზეცა ქროლვით
რამდენ ბურუსს და სევდას!..

შენი ზღვა შენში ღელავს, მზემ დაგივიწყა თითქოს;
მხოლოდ ჩემს გულში წვიმის
წკრიალებს სიმთა სითბო...

* * *

შორს, ცის სიღრმეში ჩუმად ლურჯი
ვარსკვლავნი კრთიან...
გადავარჩინო ტრფობა,
როგორ მოვიქცე ნეტავ?
კოშკებს ჩამოსხმულთ ნისლით – ცივი
დუმილი ფარავთ
და როგორ ვნახავთ ერთურთს,
ჩვენი ფანჯარა ღამე
როცა არ არის ღია?
ასი ვარსკვლავი ლურჯი ლაქვარდ
სივრცეში ცურავს...
თოვლით დაფარულ კოშკებს
ვეღარ ხედავენ სულაც.
ეს ჩემი ვნება მძაფრი, გრძნობა
ცით გადმოსული,
შევალამაზო უნდა
თბილი ღიმილით სულის!

# სანთელი

მწუხარე ფერების ფონზე სანთლების
ყვითელი ალი...
ის გიცქერს, როგორც მეუდაბნოე
ოქროსფერი სამოსელით.
აღავლენს ლოცვას და უცებ ქრება.
თეთრი ყარყატი ცეცხლოვანი თვალებით კენკავს
თავის ბუდიდან ღამის
იდუმალ წებოვან ჩრდილებს...
და იწყებს ცახცახს მიცვალებული ბოშა ქალის
მრგვლად გახელილ
თვალების ფსკერზე.

## პასაჟი

ხალხი არ ჩანს, არსაიდან არ ჩანს ხალხი!
ჭრიჭინობელას აქ ობოლი
ჭრიჭინი ისმის...
ბნელში ბურთულა ზარები კი
ხედავენ სიზმარს...
სიზმარი...

# ღამე

ციცინათელა უთვალავი და ფარანები,
ლამპიონები და სანთლები...
ბაღში ირხევა ოქროსფერი
ფანჯრების წყება –
ჯვარედინი სილუეტებად...
ციცინათელა უთვალავი და ფარანები,
ლამპიონები და სანთლები...
სევილიური საიეტის
ვარსკვლავთა ქორო...

## ნებისმიერი სიმღერა

ნებისმიერი სიმღერა – ეს არის ქარხანა ტრფობის!
და ვარსკვლავი კი –
მოცისფერო ქარხანა დროის,
გამოფსკვნილი
ეპოქის სულზე...
ჰგავს ამოოხვრას ტრფობის –
ამოძახილი ქარხნის.

# მცირე მადრიგალი

ბაღში, აივნის ახლოს დგას ბროწეული ოთხი.
(და მწვანე გული
მოწყვიტე ჩემი.)
ფოთლებში სძინავს ოთხ ლიმონს ჩუმად.
(და ჩემი გული– სანთელი თაფლის).
როცა გაივლის ეს სიცივე
და სიმხურვალეც.
რა რჩება ბოლოს? –
არც ეს ბაღი
და არც ეს გული!

## პროცესია

მარტორქები მიდიან...
მოსახვევთან ჯადოსნური ტყეა.
მომიახლოვდნენ და თვითეული
თითქოს ვარსკვლავთმრიცხველად იქცა.
მიდიან მწყობრად,
თეთრი ქაღალდის
ვერცხლისფერი მიტრებით თავზე.
მიდიან დინჯად და გაბედულად,
კუდიანები, გრანდები და მაგიები —
კაცობრიობის მშფოთვარე შვილის —
როლანდის ნაკვალევზე...

## სიზმარი

გული თვლემდა ნაკდულის პირას.
(მიივიწყეს ობობა
აბლაბუდას ქსელში).
გალობდა თავის სიმღერას წყალი.
(მიივიწყეს ობობა
აბლაბუდას ქსელში.)
გამოიღვიძა გულმა ტრფიალით.
(და დუმს ობობა...
ქსელი სავსეა იდუმალებით).
აჩუხჩუხდა და აიმღვრა ჭავლი
(და დუმს ობობა,
ქსელი სავსეა იდუმალებით).
და ჩაიძირა გული  წყაროს სიღრმეში თითქოს.
(თეთრი ხელებით დამშვიდდება
მღელვარე წყალი.)
ჩქარი დინება მიისწრაფის უკვე სხვა მხარეს.
(ქათქათა ხელებით
დამცხრალი ტალღები.)

## სიჩუმე

მიაყურადე, შვილო, სიჩუმეს,
მის იდუმალ და უცნაურ თვლემას.
სადაც სიღრმისკენ ილტვიან ხმები.
სიჩუმეს, სადაც
მდუმარებს გული.
სადაც არ ძალუძთ თავის აწევა.

## ციფერბლატი

დროის სანთლებით შემოსაზღვრული –
                    მდუმარედ ვდგავარ!
ღრმად ჩაძირულა ციფერბლატის
                    მთვლემარე დისკო თეთრ სიჩუმეში...
ვხედავ: უსაზღვრო, სრულ მოძრაობას,
სად ციფრები და ვარსკვლავები
ერთიმეორის შესახვედრად
გარშემო ქრიან...

## კაქტუსი ჩუმბერა

გარეული ლაოკოონ!
რა წარმტაცი ხარ
ახალ მთვარის ქვეშ,
როცა ირხევი ტანეკლიანი.
რა წარმტაცი ხარ,
როცა ქარი
განგაშით მოდის!..
ადონისმა და ნიმფამ იციან
შენი ტანჯვა
გამოუთქმელი.

## ვარიაცია

ნამის ქვეშ —
ყურე სიჩუმის.

ვარსკვლავთცვენის ქვეშ —
სილურჯის ყურე.

ყურე მაგ შენი ბაგეების,
რომ იკოცნება ცრემლის წვეთებში.

## საით მიეშურავ, მზეო?!

* * *

ღამე ახალი მთვარის –
გადაეფინა მაღლობს.

დღე მიისწრაფვის აღმა,
რომ მწვერვალები ნახოს.

ღამე – მდუმარე ველი.
დღე – ზიგზაგებით ხშირით.

ღამე ცრემლებით სველი,
დღე რწმენით გადაშლილი.

## წასვლის საათი

შუქჩამქრალი ვარსკვლავები
მიცურავენ უკანასკნელ გზაზე...
რა უნდა იყოს
მწუხარება ამაზე მეტი!
საით მიდიან, ისინი საით?
ადრე თუ გვიან –
იძირებიან სილაჟვარდის ოკეანეში...
საით მიდიან, ისინი საით?
რა უნდა იყოს
მწუხარება ამაზე მეტი!
საით მიდიან,
ისინი საით?



ალექსანდრ
პუშკინი

დავით გაზუნია

## ალექსანდრ პუშკინი

„წერო პუშკინზე – ნიშნავს წერო მთლიანად რუსულ ლიტერატურაზე“ – აღნიშნავდა ბელინსკი. ავტორმა „ევგენი ონეგინსა“ და „კაპიტანის ქალიშვილის“ შექმნით, მაშინათვე აჩვენა განსაკუთრებული, გამორჩეული მწერლის სახე; გამოიკვეთა, რომგორც მწერალი რეალისტი, თავად ავტორი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ „სადაც ცხოვრებაა, იქ არის პოეზია“.

ალექსანდრ პუშკინი დაიბადა 1799 წლის 26 მაისს მოსკოვში. 1811 წლის შემოდგომაზე დაიწყო სწავლა ლიცეუმში, რომელიც 1817 წელს დიდი წარმატებით დაამთავრა და გაამწესეს პეტერბურგის საგარეო საქმეთა კოლეგიაში.

პოეტის ფართო მასშტაბის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ლირიკას. აღნიშვნის ღირსია, რომ შედევრად ითვლება, თითქმის მისი ყველა ლექსი, რომლებშიც პოეტი ახდენს მუსიკისა და ფილოსოფიური აზროვნების ბუნებრივ შერწყმას, და ამით თაობათა დიდ ინტერესს იწვევს. ამიტომაც გადავწყვიტეთ გვეთარგმნა რამდენიმე მათგანი.

ა. პუშკინი ძალიან ბევრს მუშაობდა, ის ფაქტიურად წუთს არ კარგავდა, ამიტომაც შესძლო შეუდარებელი, მრავალმხრივი, მეტად მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობის დატოვება თავისი ხალხისთვის, რომლებმაც მას პასუხად ძეგლი აუგეს ხელთუქმნელი, უნეტარესი.

როგორც ცნობილია პუშკინი თავის მეუღლესთან ერთად სამეფო კართან დაახლოვებული პიროვნება იყო, რაც საბედისწერო აღმოჩნდა პოეტისათვის. სწორედ სამეფო კარის ბინძურ, თვალთმაქცურ ინტერესებს ემსხვერპლა ის.

# საით მიეშურავ, მზეო?!

პოეტი იძულებული გახდა დუელში გამოეწვია დანტესი, რასაც მუხანათურად შეეწირა რუსული პოეზიის გენია. დატრიალებულმა უბედურებამ სულით ხორცამდე შეძრა პროგრესული საზოგადოება. გაუგონარი უსამართლობის წინააღმდეგ მთელი სიძლიერით ხმა აიმაღლა რუსული ლიტერატურის უნიჭიერესმა წარმომამდგენელმა მიხეილ ლერმონტოვმა. მან ლექსში – „პოეტის სიკვდილი“ მიწასთან გაასწორა სამეფო კარი და მისი გარემოცვა. იქ გამეფებული უსამართლობა და კაცთმოძულეობა, რასაც ფაქტიურად მოჰყვა რუსული ლიტერატურის შეუდარებელი შემოქმედის სასიკვდილო განაჩენი. პოეტს არ აპატიეს შემდეგი სტრიქონები: „ჯალათნო, ფეხით გაქვთ გათელილი, ნიჭი, დიდება, თავისუფლება!..“ „თქვენს წინაშეა ხმაგაკმენდილი სამართალი და ჭეშმარიტება!“

საუკუნეებს მიღმა დარჩა დიდი რუსი კლასიკოსის ალექსანდრ პუშკინის ტრაგიკული ცხოვრება, მის თავზე დატრიალებული უბედურება, რომელშიც ბევრი რამ არის საეჭვო და საიდუმლო! რამაც დამაწერია შემდეგი სტრიქონები (დ. გ.):

სეკუნდანტების სინდისზე იყოს,
თუ კი გააჩნდათ სინდისი ოდნავ,
სეკუნდანტების სინდისზე იყოს,
რაც ტრაგედია
რუსეთში მოხდა!
სეკუნდანტების სინდისზე იყოს,
რომ მოეცარა გენიოსს ხელი!
სეკუნდანტების სინდისზე იყოს,
ო, ეს დუელი
მოცული ბნელით!

## დავით გაზუნია

ალექსანდრ პუშკინს უკვდავების შარავანდედი მოსავს, დღითიდღე იზრდება ინტერესი მისი მრავალფეროვანი ლიტერატურული მემკვიდრეობისადმი. ის ამაყად უმშვენებს გვერდს მსოფლიო მასშტაბის კალსიკოსებს.

***

ვფიქრობდი, გულმა გადაივიწყა
      მსუბუქი ღელვის ნიჭი დ განცდა,
მე მასზე ვამბობ, რაც უკვე იყო,
იგი ერთბაშად
წავიდა, დაცხრა!
აუხდენელი ოცნების მიღმა
      დრო აღტაცებით მე ისევ მავსებს,
მოვიდა ჟამი და კვლავ ავთრთოლდი
უზადო გრძნობით
და სილამაზით!

## ელეგია

გიჟური წლები სიჭაბუკის დამთავრდა უკვე,
იმ დღეთა სევდა ჩემში მთელი
ძალით ხმიანებს.
მოწყენილობას, მწუხარებას სანთელს არ ვუკმევ,
დრო მიდის, მაგრამ იგი,
მაინც მიჩენს იარებს!
სიკვდილს არ ვუხმობ, თუმცა იგი მოიწევს მედგრად,
მინდა, სიცოცხლე ბობოქრობდეს
და ვიაზროვნო.
გულო, იღელვე, შეუტიე, ეს გერგო ბედად,
რომ სამოქმედო ასპარეზი
გრძნობებით ვზომოთ!
მე მსურს სიცოცხლე, არ გავურბი ტანჯვას, წამებას
და მინდა, სული ჰარმონიას,
რომ ეზიაროს!
მიახლოვდება მთელი ძალით შემოღამება,
არ მინდა სევდამ რომ
ეს გული დამიზიანოს!
მინდა, წასვლის წინ ერთხელ კიდევ მოვუხმო ეროსს,
ჭაბუკურ გრძნობით
გავუღიმო და მოვეფერო!

***

ჩემ წინ, ნუ მღერი, ლამაზო ქალო,
        ქართულ სიმღერას სევდამორეულს!
მე ის მახსენებს უკვე სხვა რამეს,
სულ სხვა ცხოვრებას,
ნაპირს შორეულს...
ვნანობ, რომ შენი სიმღერა წრფელი
        და მისამღერი სტეპს რომ მახსენებს,
და მთვარის შუქზე საწყალი ქალის
მკრთალი ხატება
აღარ მასვენებს!
შენი ლამაზი სიმღერის ფონზე,
        ჩემს წარმოსახვას როგორ არ ვენდო!
როცა მე ვხედავ საყვარელ აჩრდილს
მოხეტიალეს
და უიმედოს!
ჩემ წინ ნუ მღერი, ლამაზო ქალო,
        ქართულ სიმღერას სევდა მორეულს!
მე ის მახსენებს უკვე სხვა რამეს,
სულ სხვა ცხოვრებას,
ნაპირს შორეულს...

***

მე თქვენ მიყვარდით და ეს გრძნობა ჯერ კიდევ შემრჩა
და ის ჩემს სულში არ ჩამქრალა
                                        მთლიანად, კარგო,
სულაც არ მინდა დაემსგავსო მოთენთილს, ბეჩავს,
უიმედობამ და ნაღველმა,
რა უნდა გარგოს?
მე თქვენ მიყვარდით, სულში ტრფობის ხანძარი მენთო,
არ მინდა შიშმა და ნაღველმა
                                        შეგაკრთოს, ერთობ!
მე თქვენ მიყვარდით, მოგონებით გული, კვლავ ხარობს,
ღმერთმა ქნას, ასე, რომ ჩემსავით
სხვამ შეგიყვაროს!

## ღრუბელი

ქარიშხლით მიმოფანტულო, სივრცეში დახეტიალებ,
მიათრევ ჩრდილებს მოსაწყენს,
წაღმა-უკუღმა ტრიალებ.
ცას შემოუვლი ხმაურით, ელვებით სივრცეს დასერავ
და მიწის იდუმალებას მხოლოდ
წვიმებით ასველებ...
მოუხმობ სეტყვას, ქუხილებს, მათთან საერთოს მონახავ,
ბალახებს წვიმით განბან და, მაინც
მზის შუქის მონახარ.
შენ ყველგან დახეტიალებ და შლი ქარებში იალქნებს,
ხან კიდევ აბობოქრდები,
სივრცეს სიურჩით მიარღვევ...
უკვე გეყოფა ხმაური და ელვის სროლით გართობა,
მიწა განახლდა წვიმაში და
სივრცე გაიფართოვა...
ლურჯ ფოთლებს გაეთამაშე, იგრძენი მათი სიამე,
ცას უყვარს მხოლოდ სილურჯე,
არ გაპატიებს სიავეს!

# ბოშები

ტყის ნაპირას ლურჯ კარვებში ღამით
        თქვენი ლაღი სიმღერები ისმის!
ცეცხლის ალთან თქვენი სული ყვავის,
ეფერებით ვარსვლავების
ციმციმს...
გამარჯობა, ბედნიერო ტომო!
        კარგად ვიცი ისტორია თქვენი!
სურვილი მაქვს, აღარ მიგატოვოთ,
ასეთია მოწოდება
ჩემი!
დილით ადრე მზის ოქროსფერ სხივზე,
        ქრება თქვენი ნაკვალევი თბილი!
ვიცი, წახვალთ, რჩება მიწა ცივი
და პოეტი მომღერალი
დილის.
თქვენს ძებნაში წუთისოფლის გზებზე,
        რომ არასდროს დავიღლები, ვიცი!
ჩემი სული ბევრის მომიზეზე,
ო, იმ ლაღი
სიმღერებით იწვის!

## ჩიტი

უცხოობაშიც არ ვღალატობ მშობლიურ ჩვევას,
ამაზე მეტი, რა იქნება
                    სხვა სასწაული!
ვათავისუფლებ მე ჩიტუნას განგების რჩევით,
ამ გაზაფხულის
საოცნებო დღესასწაულზე!
მერე ვეძლევი ნეტარებას, სიმშვიდეს სულის,
ვის შეუძლია, ამიკრძალოს
                    მე ეს უფლება?
როცა ბუნების ამ ქმნილებას ვაჩუქე სრული
ო, ღვთაებრივი
აღმაფრენა, თავისუფლება!

***

ღამის ბინდები საქართველოს გორებზე წვება,
არაგვი ჩემ წინ სიშორეში
ხმაურით მიდის...
თუმც მწუხარე ვარ, მაგრამ სევდა ერთბაშად ცხრება
და მე მშორდება უჩვეულო
ტკივილი დიდი!
მე არაფერი არ მაღელვებს, დარდები ქრება,
გულს ძველებური სიყვარულის
ცეცხლი ედება!..
როგორ იქნება, რომ სიტყვებით არ ვუთხრა ქება
ამ სილამაზეს, ბუნების
ამ შემოქმედებას!

***

თუ მოგატყუოს ცხოვრებამ მწარედ,
        ნუღარ შეგიპყრობს ბრაზი და კრთომა!
შენ შეურიგდი დღეს აუტანელს
და სიხარული,
გჯეროდეს, მოვა!
გული მომავლის იმედით ანთე
        და მწუხარება იპოვის სავალს,
მოწყენილობა გაქრება სადმე,
კარგია იმით, რაც
ადრე წავა!..

***

არ მომწყენია ცხოვრება ჯერაც,
მიყვარს სიცოცხლე, და მას
                    გრძნობით ვეთაყვანები!
სულს მხურვალება შემორჩა, მჯერა,
თუმც ჭაბუკობის სილაჟვარდის
გაქრა ზღაპარი!
ვინახავ ღელვით სურვილებს რამდენს,
დასაბამიდან ვესწრაფოდი
                    ყოფნას აზრიანს!
მას არაერთხელ ავუნთებ სანთელს,
ეს არის ჩემი მისწრაფება
და ფანტაზია!

## პორტრეტი

თავის მხურვალე სულით და ქარიშხლიან ვნებით,
ინთება ღელვით სრულით...
ეს ჩრდილოელი ქალი,
იგი ჩვენს შორის ირხევა, ესხმება მძლავრი ფრთები,
და ფეთქავს უჩვეულოდ
გრძნობებით დაუმცხრალი!
ყველა პირობით ცდილობს, როგორც კომეტა ღამის,
სიმშვიდე აიცილოს,
არხევს სინათლის ყვავილს.

## ყვავილი

მე ვხედავ წიგნში ყვავილს დამჭკნარს, უკვე უსუნოს,
დროის დინებით ყველაფერი
კარგავს თვისებას!
იცვალა ჟამი, იგი გახდა უკვე უსულო
და ჩემი მზერა უჩვეულო
სევდით ივსება!..
აქ, სად ჰყვაოდა? როდის? რომელ თვეს გაზაფხულის?
დიდხანს ხარობდა? თუ ერთბაშად
შეწყვიტა ფეთქვა?
ნუთუ, ის წიგნში ჩუმად იყო გადანახული,
რატომ და რისთვის? ან შემნახველს,
რა უნდა ეთქვა?
იქნებ ლამაზი ხსოვნისათვის შეხვედრის ნიშნად,
ან მტკივნეული განშორების
საბედისწეროდ?
ის ამ შეხვედრის, სიყვარულის სიმბოლოდ იშვა,
დაემორჩილნენ სამუდამოდ
ტრფობას მიწიერს?
იქნებ, დაწყვილდნენ ერთმანეთის ტრფიალით დღემდე
ან იქნებ, დაჭკნენ, ო, ამ წიგნში
ყვავილის დარად!
და სამუდამოდ გრძნობებისგან ბოლომდე დაცლილთ
სადმე კუთხეში შავი ლოდი
საფლავის ფარავთ?

## გალია

უმკაცრეს დღეთა სათნოებავ ჩემი ცხოვრების,
ქანცგაწყვეტილი დგახარ მარტო
და მელოდები!
რა დამავიწყებს, დიდხანს, დიდხანს მემახსოვრება
ნაძვების ტყისპირს რომ
ლოდინის დარდით დნებოდი!
შენ სადარბაზოს ფანჯარასთან დგახარ ეულად,
წუხხარ, განიცდი და გიხდება
დროსთან დავობა!
მუდამ ცახცახებს უცნაურად შენი სხეული,
დანაოჭებულ ხელში
უჭირს ჩხირს მოძრაობა.
გაჰყურებ ჭიშკარს მივიწყებულს და გზას შორეულს,
ისევ მიდიან სიშორეში
დღეები მწყობრად....
როცა არა ვარ, ეფერები შენ ჩემს ორეულს
და სუნთქვას მიკრავს
ღელვა, დარდი და წინათგრძნობა!

* * *

ჩვენ შორის უკვე ყოველგვარი კავშირი გაწყდა,
შენს ლამაზ მუხლებს
                    ვეამბორე უკანასკნელად,
ჩვენს სულთა შორის, ერთობ თეთრი დინება დაცხრა,
შენმა პასუხმა ჩემი გული
სევდით დასერა!
უკვე ოცნების სამუდამოდ დაიმსხვრა კოშკი,
მაგრამ სევდას არ მივეცემი,
გათავდა, მორჩა!
ვერვინ აღადგენს საიდუმლო კავშირებს მოშლილს,
რომელთა შორის მხოლოდ
შავი ნაპრალი მოჩანს...
არ შემძლებია, როგორც ვხედავ, შენი ალერსი,
სხვა შეგიყვარებს სიყვარულით უმხურვალესით.

## TO DAWE, ESQr*

ეგ ჯადოსნური, ყოვლისშემძლე ფანქარი შენი
რად ხატავს ასე გულმოდგინედ,
ამ ჩემს შავ პროფილს?
გსურს, საუკუნოდ სამახსოვროდ გადასცე მერმისს,
რომ გააშუქოს და
განავრცოს მეფისტოფელმა...
დახატე იგი, მხოლოდ ირმის ნიშან-თვისებით,
და მოეკიდე, მეგობარო,
სიმშვიდით სრულით,
რომ სიყმაწვილის, სილამაზის ყველა ღირსება
ფეთქავდეს, როგორც
უჩვეულო გენია სულის!

09.04.19

თბილისი

---

* **TO DAWE, ESQr** – ბატონო, დაუ.

# დონი

ვრცელ ველებს შორის, დონო, შენ ერთი
მიედინები ნელი რხევებით...
ხშირად გაწვება ნისლები თეთრი,
ტანზე გადნება
მზის მხურვალება...
მიგაქვს სხივებით სავსე სხეული,
შენ ხარ წყალუხვი და მეტად მშვიდი,
წყლების წიაღში გამორჩეული
შენი ტალღები შორს,
სადღაც მიდის...
და ახალისებ ველებს დუდუნით,
მიდის დღეები ოქროცურვილი,
ბევრჯერ მოუკლავს ცხენების რემას
შენი ტალღებით
მძაფრი წყურვილი!
შორიდან მომაქვს თაყვანისცემა
ევფრატისა და არაქსის ძმური!
დასასრულამდე პლანეტის ივლი,
სავსე ხარ ღელვით
და სიყვარულით!



სერგეი ესენინი

დავით გაზუნია

## „მოგზავლა სევდა დიდ ტრამალების“...

მრავალფეროვანი, სიღრმისეული, მასშტაბური რუსული პოეზია, მხოლოდ ნიჭიერ ავტორებს თუ გაუღებს კარს, გაუხსნის გზას და შეითავსებს; მიუჩენს ღირსეულ ადგილს თავის რიგებში. რთულია შეაღწიო და გაბრწყინდე იქ, სადაც თითქმის ყველა კაშკაშებს, მით უფრო, როცა ძალიან ახალგაზრდა ხარ, და მეტად მრავალწახნაგოვანი გარდაქმნების დროის მონაკვეთში მოღვაწეობ. ასეთ პერიოდში, ცალკეულ ინდივიდებს, მთელს საზოგადოებას ცხოვრება ათასგვარ სასიამოვნო, უფრო ხშირად კი - მეტად ძნელ გასავლელ ლაბირინთებს სთავაზობს.

მიუხედავად ამისა, სერგეი ესენინმა, გამოჩენისთანავე გაბედულად შეაბიჯა რუს პოეტთა ელიტაში. თავისებური ხმით და ქლერადობით გამოიკვეთა, გამოირჩა. ამიტომაც დიდი რუსი პოეტი ა. ბლოკი აღფრთოვანებით ლაპარაკობდა მის ტალანტზე.

აღსანიშნავია, რომ ესენინის პოეზია მშობლიურ, რუსულ ხალხურ სასიმღერო ტრადიციებთან ახლოს დგას და საოცრად მიმზიდველია. განსაკუთრებულია, მისი სიყვარული სამშობლოსადმი. პოეტი ელოლიავება ბუნებას, – თავის მამულის მშვენიერებას და რუსული პეიზაჟების აღქმა ფსიქოლოიგურ შეგრძნებამდე დაჰყავს.

პოეტი, ლიტერატურაში შემოჭრის პირველი დღიდან, ყოველი სტროფით მიგვანიშნებბდა, რომ ავტორი თავის ქვეყნის ლიტერატურულ წრეებში მარტო კი არა, მსოფლიო პოეზიაშიც დაიმკვიდრებდა მაღალ ნიშას, რაც ძალიან მალე მოხ-

და. მისი შემოქმედება ხომ რუსულ და მსოფლიო პოეზიის ფონდს ამდიდრებს.

ესენინი ბუნების წიაღში – სოფლად გაიზარდა ბებიას და ბაბუას მზრუნველობით; მათივე ალერსით გამთბარი, მეგობრობის უნარითა და კეთილმოსურნე ხასიათით თანატოლებს იზიდავდა. როგორც თავად აღნიშნავს, სოფლის ონავარ ბიჭებთან ერთდ ყვავილებით მოჩითულ რუსულ ველ-მინდვრებში დარბოდა, ტბებში თევზებს იჭერდა. მისი რომანტიკული ბუნება მეტად შთამაგონებლად აღიქვამდა გარემოს. ერთგან, თავის ავტობიოგრაფიაში ამბობს, რომ ის მოსიყვარულე ბიძასთან ერთად, ხშირად, დადიოდა ცხენების დასარწყულებლად. განსაკუთრებით აოცებდა მშვიდ ღამეში მთვარე, რომელიც მდინარის ზედაპირზე მიირხეოდა. პოეტს ეჩვენებოდა, რომ დედამიწის ფორთოხლისფერი თანამგზავრი მალე გამოცურდებოდა სანაპიროზე და ხელით შეეხებოდა მას. ესენინი ყველაფერს, რასაც ხედავდა, აღიქვამდა უსაზღვრო ემოციითა და გრძნობით, რაც მისი პოეტური ქმნილებების ყოველ სტრიქონში ჩანს.

დიახ, პოეტის თითოეული ლექსი მისი ლირიკული სულის ნაწილია, ლაღი და ხატოვანი. მათ რუსული მიწის სურნელი ასდით.

ესენინი განსაკუთრებული ლირიზმით გამოირჩევა. ამასთან, ის დრამატული მუხტის მატარებელია, იმპულსური, უსამართლობის წინააღმდეგ შეურიგებელი, აქტიური მებრძოლი, რაც მას ხშირად უხერხულობას უქმნიდა.

ესენინი ის პოეტია, ვისი შეყვარებაც ყველა ერის შვილს შეუძლია.

ქართველები დიდად ვაფასებთ მას. მით  უფრო, თავად მოისწრაფოდა ჩვენკენ. ის კარგად იცნობდა და მეგობრობდა ტიციან ტაბიძესთან, პაოლო იაშვილთან და, საერთოდ, „ცისფერყანწელებთან“. გასახარი იყო მისი ყოველი გამოჩენა ქართული პოეზიის ნიჭიერ წარმომადგენლებთან.

ესენინს რუსი ხალხის სულის ტკივილი გულამდე ატანს და მის სათქმელს ამბობს. მას აწუხებს ქვეყნისა და ხალხის წინაშე ჯერ კიდევ გადაუწყვეტელი მწვავე სოციალური და პოლიტიკური პრობლემები. პოეტს მოსვენება არ უწერია; ის შფოთავს, განიცდის, რომ ახალი დროც სავსეა წინააღმდეგობებით.

ესენინი ფართო დიაპაზონის პოეტია. ბუნებრივ ნიჭთან ერთად, ის ცდილობდა, ყოველმხრივ, გაეღრმავებინა თავისი თვალთახედვა. ძალიან ბევრს კითხულობდა და მოგზაურობდა; მოიარა: ამერიკა, ევროპა, შუა აზია, კავკასია. მაგრამ საყვარელ სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებულს, ყველგან თვალწინ ედგა თავისი ქვეყანა.

ო, რამხელა ტკივილი იყო ესენინის ტრაგიკული ბედი!

მისი გარდაცვალება დიდად განიცადეს ქართველმა პოეტებმა, მთელმა საზოგადოებამ.

„ცისფერყანწელმა“ ქართველმა ნიჭიერმა პოეტმა ტიციან ტაბიძემ, რომელიც, შემდგომ, თავად გახდა საშინელი ტრაგიკული ბედისწერის მსხვერპლი, მეგობარ პოეტს სულისშემძვრელი სტრიქონები მიუძღვნა: „მოგსდევდა სევდა დიდ ტრამალების და მოატანე დარიალამდე, სული სულს როგორ დაემალება, ჩვენი თვალები ცრემლით დალამდნენ“.

ესენინი დაიბადა 1895 წლის 21 სექტემბერს. 1925 წელი მისი დაღუპვის თარიღია. ის სულ 30 წლის წავიდა ამ ქვეყნი-

დან. და, არაერთი ჭაბუკად წასული სხვა შემოქმედის მსგავსად, შეძლო და დატოვა უკვდავი, მასშტაბური პოეზია, რითაც ამაყობს რუსეთი და მისი საყვარელი პატარა მამული კონსტანტინოვო (რიაზანის გუბერნია), სადაც თავის სოფლის ონავარ ბიჭებთან ერთად დარბოდა მომავალი დიდი შთაგონების პოეტი და მოქალაქე.

* * *

შენ სიჩუმეში ღამის იცრემლებოდი ცხარედ,
და იღვრებოდა ეს ცრემლები მიწაზე ისევ...
მე ეს მიმძიმდა და გულს მტკენდა ო, როგორ მწარედ,
რომ ჩვენ ერთმანეთს ვერ გავუგეთ,
ვერ შევეთვისეთ.
გაუჩინარდი შენ შორეულ მხარეში სადღაც,
და ოცნებები ჩემი გაუფერულდა ერთობ.
მე დავრჩი უიმედოდ, მოხეტიალე მარტოდ,
ვიტანჯებოდი ძლიერ,
სულში ტკივილი მენთო!..
საღამოობით შეხვედრის იმ ადგილებში დავალ,
რომელიც დარჩა ჩემთვის
ო, მეტად უწმინდესი.
შენი ტრფიალი დღესაც მე, ისევ, გულით დამაქვს
და სიჩუმეში ახლაც, შენი ქვითინი მესმის.

## შორეული მხიარული სიმღერა

ვიღაც, შორეთში, ჩემგან რა მხიარულად მღერის,
მეც მინდა ისე ვიმღერო,
სულის იმ აღმაფრენით.
ვდაგვარ ტკივილით სავსე და დუმილი
დგას ირგვლივ,
მაგრამ დამსხვრეულ გულით
უკვე არ ძალმიძს იგი.
სული მიილტვის იქით, მკერდში მსგავს
ჰანგებს ეძებს,
მაგრამ ვერაფერს პოულობს,
უკვე ძალა არ შესწევს.
მე ფრენა ადრე დავიწყე, იდეალებზე ვწუხდი,
განვლილ დღეებზე ფიქრში
დავხარჯე ყველა მუხტი.
ადრე, მე თვითონ ვეძებდი დროს მღვრიეს,
უარყოფილს,
მაგრამ ამისთვის ამჟამად
უკვე ძალა არ მყოფნის.

# ღამე

დღე მოიქანცა და ღამისკენ გადაიხარა,
ტალღის ხმაური შეღამების
შუქზე მინელდა.
მზე ჩაქრა ცაზე, ის მგზავრობით გადაიღალა,
და ფიქრიანი მთვარე
ღამის ზმანებებს მინებდა...
აყურადებენ ნაკადულთა რხევას მინდვრები,
დაბურული ტყე
ემზადება დასასვენებლად.
შეხედე, როგორ მოირხევა თალხი ბინდები
და უგალობენ ბულბულები
ღამის მშვენებას.
შემოღამება ეფერება ჰანგებს მგოსნების,
ხმები გადააქვს მთვარის შუქზე
ალერსით ნიავს.
მდინარე მიდის, მიდუდუნებს და ხმას უხამებს
ნაპირთან ახლოს იდუმალი
ლერწმების შრიალს.

* * *

არა მაქვს ძალა არც ქვითინის და არც სიმღერის,
სიმწრის წუთები შეუპოვრად
კვლავ ჩემკენ მორბის...
მსურს დავიცალო გრძნობებისგან, ერთობ ვიმღვრევი,
ჩამესმის ხმები იდუმალი
და შეუცნობი.

## დავით ტაბუნია

* * *

შენ წახველ, ჩემთან არასოდეს არ დაბრუნდები,
გადაივიწყე სამუდამოდ
ამ კუთხის მადლი,
ო, ახლა უკვე სხვას ულიმი, გრძნობა ხუნდება,
გირხევს ნიავი სიყვარულის
ქათქათა მანდილს.
სული განგაშებს, მეუფლება დუმილი ურჩი,
ბჟუტავს ბუხარი უხეიროდ
და ტკივილს მისევს!
ო, მაგრამ წიგნში შენახული ყვავილი ლურჯი
ბედნიერების იმ დღეებზე
საუბრობს ისევ!..

## ბრიუსოვის ხსოვნას

ჩვენ ვკვდებით, გული დაიფშვნება მიწაში ცხელი,
მაგრამ ვერასდროს დაგვივიწყებს
რუსეთი ვრცელი.
ვეტრფოდით ლამაზ ქალიშვილებს და ქალებს გულით
და ვჭამდით მშრალ პურს, მეგობარო,
მათხოვრულ ფულით.
მაგრამ არასდროს გვყვარებია სიყალბის მქმნელი,
მიდი, პლანეტა გაიარე
სიმღერით წრფელით.
ჩვენ ვართ რითმები, შექმნილები ძლიერი კალმით
და შეგვიძლია გამოვუშვათ
ცეცხლიც და კვამლიც!..
მაგრამ ყოველთვის ჩვენ ვიყავით, ძვირფასო, ერთად.
და გავხდით ფიცით შეკრულები
იმ მაღალ ღმერთთან!
შენ მოკვდი უკვე, ხვალ თუ ზეგ კი მოვკვდებით ჩვენაც,
მათხოვრულ ფულით უცხოვრია
არავის ჯერაც!
ვხოჭნიდით ფრჩხილით ჩვენ კაპიკებს,
ძვირფასო, მწარედ,
მთელი რუსეთი ახლა შენს ნეშტს
დასტირის ცხარედ!

## პუშკინს

ტვერის ბულვარზე მე შენს ძეგლთან ვდგავარ ეულად,
ვოცნებობ შენზე და ვსაუბრობ
                    საკუთარ თავთან.
ო, შენ, ალექსანდრ! შემართულო მთელი სხეულით,
იქეც ლეგენდად საუკუნის,
ძვირფასო, მართლაც!
როგორ მოგ შხამეს დაუნდობლად, შურით, სიავით,
ულირს საქციელს ჩადიოდნენ,
                    იქ ზევით, მაღლა!
ზურუსში გხვევდნენ, გულიც ბევრჯერ დაგიზიანეს,
არც მე დამინდეს და ხულიგნის
დამასვეს დამღა.
იმ სიყვარულის თამაშებმა ვერ დააბნელეს
შენი კაცობა, სიამაყე
                    და ნიჭის ზვავი!..
და ეს ბრინჯაოს ქანდაკება ანათებს ბნელეთს,
რომ დგახარ მტკიცედ შეუვალი –
ამაყი თავით!
მე კი აქ ვდგავარ მონაწილე მაგ სიდიადის
და გაძლევ პასუხს საიდუმლოდ,
                    ურყევს, ვით მხედარს:
მე გავქრებოდი, გაქრებოდა ეს ჩემი ლანდიც,
რომ მომენიჭოს, მეგობარო,
ამგვარი ხვედრი!

მაგრამ ვერაფერს ვერ დამაკლებს მუქარა, წყევლა,
ვიმღერებ დიდხანს უჩვეულო,
ჩემებურ ტემპით...
რომ ჩემი სტეპის სიმღერამ წრფელმა –
გამოსცეს ო, ამ ბრინჯაოს ქვით
უკვდავი ტემბრი!..

* * *

მთვლემარე ზარმა გააღვიძა მინდორი ვრცელი,
მიწა უღიმის დილის მზეს,
მშვიდად რომ გადმოსცქერის.
ლურჯ ციდან იყო დარტყმა მძლავრი და უეცარი
და ტყის სიღრმეში ხმაურის
მიმოიფანტა ქარი...
მდინარის იქით მთვარე იმალებოდა თეთრი,
ტალღებად გაირბინა
წყლის მოშრიალე კალთამ...
ჭალამ მხრებიდან ღამის სიზმარი გადიფერთხა
და, სადღაც, გზაზე უეცრად
ზარის ხმა მიჩუმათდა.

## მოშორდი ფანჯარას

ჩემს ფანჯარასთან ნუ მოხვალ,
ნუ ტირი ო, ასე მწარედ.
მომშორდი, არ მინდა გნახო,
ნუ თელავ
ბალახებს მწვანეს.
გისურვებ მე მთელი გულით,
რომ იყავ, ისეთი დარჩე.
მე მინდა სიმშვიდე სრული
და ახლა
სიჩუმეს ვარჩევ.
მე შენი არა ვარ, იცოდე,
არავინ არ მიყვარს ახლა.
რაც გინდა, ო, იგი მიწოდე,
მე შენი არ
მინდა ნახვა!
იყო დრო, მიყვარდი ძალიან,
ჩვენს ტრფობას არ ჰქონდა კიდე.
დღეს შენთვის მე აღარ მცალია,
მომშორდი, ნუ
მტანჯავ კიდევ!

* * *

ო, ქარიშხალო, შენ თუ რა ხარ, ეშმაკმა უწყის!
აჭედებ ლურსმნებს სახურავზე
შენ, ფრთებგაშლილი.
დღეს არ ხარ ისე საშინელი, რომ იყავ უწინ,
და ბედი ჩემი მინდა
შენთან დავაკავშირო.

* * *

ო, გულო, შეჩერდი, მისმინე,
შენ მუდამ ძალღურად ხვნეში!
მე ჩემთვის ქურდულად ვსისინებ
და ბებუთს
კვლავ ვმალავ ხელში.
გავირჭობ ადრე თუ გვიან
                ნეკნებში ელვარე დანას!
დავტოვებ საწუთროს რიალს
და ლპობად
სიშორეს თანაც.
ილაყბონ, დე, იყოს შეხლაც
                ამ შუქზე მზისა და მთვარის,
თუ რჩება რაიმე ქვეყნად,
ო, სიცარიელე
მკრთალი.

## არყის ხე

ფეთქავს არყის ხე თეთრი ჩემს ფანჯარასთან ახლოს,
ო, ის დგას ერთადერთი,
უხმოდ გასცქერის მაღლობს.
თითქოს სიზმარში ელავს ის ვერცხლისფერი ალით,
მარტო დგას ღამის მთევარი,
ფიფქების რხევით მთვრალი.
მოვიდა დილა, გარშემო უვლის ფაქიზი კრთომით.
და მის რტოებზე იღვრება
თეთრი ფანტელი თოვლის.

* * *

თოვლიან სივრცეში ჭაბუკურ ძახილით,
კვლავ მიქრის მინდორზე
ვიღაცის მარხილი...
მასზე ზის სხვა ვინმე და ცრემლი მერევა,
სად გაქრა ის ღელვა,
და ბედნიერება?
დამთავრდა ის ჟამი გიჟური ჭენების,
ოცნებით მივქრივარ
მეც შეუჩერებლივ!..

## გაზაფხულის საღამო

მოვერცხლილი მდინარე, ისევ მიირხევა
და საღამო მეფობს გაზაფხულის მწვანე...
ტყიან მთების იქით მზის მკრთალდება სახე,
მთვარე ოქროსრქება
გამოცურდა გარეთ...
ჩამავალ მზის მხარეს ფარავს ვარდისფერი,
და შინ მოქანცული ყანის მუშა მოდის.
ბულბულებმა, ისევ, მოიღერეს ყელი
და სინაზით სავსეს
აჟღერებენ მოტივს.
და ალერსით უსმენს ამ სიმღერებს იგი,
სიშორიდან, ისევ, აინთება დილა.
და შორიდან დასცქერს ვარსკვლავების რიგი
და უღიმის ზეცა
მიწის ხავერდს თბილად.

## ᲡᲘᲧᲛᲐᲬᲕᲘᲚᲔ

ცრემლსა და ოცნებას,
ყვავილთა სიმრავლეს
შენ გჩუქნი ყველას.
ალერსით ფარულით,
ზღაპრებით ღვარულით
მე ისევ ვღელავ!
წამება რამდენი,
ხმა შუქის დამდენი,
კვლავ მოაქვთ ერთად...
მაგრამ მათ ერთბაშად
ჯანდაბას მოვისვრი,
შენ მოდი ჩემთან!

* * *

ტირის ბორიო, ვიოლინო ვით ბოშა ქალის,
ო, საყვარელო, მოიშორე
ღიმილი ავი.
მე ეს მრისხანე გამოხედვა სულაც არ მაკრთობს,
ბევრი მსურს, მაგრამ
ცოტა რამე მეყოფა მარტოს.
ვართ შორეული, და ერთურთის ცოტა რამ გვესმის,
შენა ხარ ნორჩი, — მე ცხოვრების
სავსე ვარ გესლით.
ბედნიერება სიყმაწვილეს, მე — ხსოვნა მხოლოდ
და თოვლიანი ღამეების
ვარსკვლავთა ქორო...
შენს ღიმილს ვუცქერ, ემატება გულს სიმძიმილი,
ვიოლინოა ჩემი სულის
ქარის კივილი!

* * *

მოწყენილობა... ულმობელი წამებით გული,
ისევ ბობოქრობს უსაშველოდ
და მეგლიჯება!
მწუხარე ხმები არ მასვენებს, განგაშებს სული,
წამოვწვები და ტკივილი,
ისევ, ტკივილად რჩება.
თავბრუ მეხვევა ხმაურისგან, რომელიც მოდის,
არ მაქვს სიმშვიდე, ყოველივე
მე ტანჯვად მექცა!
არ ვიცი, გული დაიბრუნებს სიმშვიდეს როდის,
და მღვრიე დღეებს, ვცდილობ,
მაგრამ, ამაოდ ვკეცავ.
ამგვარი ბედი, მე არ ვიცი, რად მერგო წილად!
დავდივარ, მაგრამ უკვე
თავის დაქნევაც მიჭირს!
ამ მწარე ხვედრთან, მე არ ვიცი, რამ დამაწყვილა,
ბედნიერებით იზომება
ცხოვრების ნიჭი.

* * *

არა ღიმილი ირიბი, არა ხელებით შეხება,
მე უკვე მიყვარს სხვა ვინმე,
რაც შენ სულაც არ გეხება.
ხომ კარგად იცი, შეხვედრის შენთან არა ვარ მოსურნე,
მე შენ ვერ გხედავ, იცოდე,
მე შენთან აღარ მოვსულვარ.
გამოვიარე უბრალოდ, რაც მე არაფერს მომიტანს,
გულის კარნახით სარკმელში
მხოლოდ შეხედვა მომინდა.

* * *

შენი ტრფიალით ვიყავი მე უჩვეულოდ მთვრალი.
მახსოვს, ბილიკი ვიწრო
და თმების სიელვარე!
შემოდგომური ღამით რხევა ლანდების მკრთალის,
დღე იყო ძალზე მოკლე
და გრძლად ნათება მთვარის...
მეუბნებოდი, მახსოვს: „დრო ამდენს აღარ გვაცლის!
ის სევდას შემოგვაქსოვს
და სხვა ვინმეზე გამცვლი“.
არყის ხემ მოშრიალემ ის ჟამი მომაგონა,
როცა ვფანტავდით ყვავილს
და ვარდებს კონა-კონად!..
ჟამმა ტკივილით დამმეწყრა, სხვასთან
შეხვედრა მიმძიმს,
თუმც სხვა ქალებში დავეძებ
შენი თვალების ციმციმს!

* * *

ღამეები მთვარიანი, ღამეები ლურჯი,
მე ლამაზი ბიჭი ვიყავ,
თან ზედმეტად ურჩი.
მეტად შეუკავებელი, ძალზე ფიცხი თანაც,
ყველაფერი შორს გაფრინდა,
დარჩა ხსოვნის ხანა...
დაცხრა გული და თვალებმაც შეიცვალა ფერი,
მთვარიანი ღამეები,
ლურჯი აღმაფრენით!..

* * *

თოვლის დაბლობი ვრცელი, ცაზე  ფერმკრთალი მთვარე,
თეთრმა ზეწარმა, ერთობ,
დაფარა ჩვენი მხარე.
თეთრი ცრემლებით ტირიან ტყეში ხეები არყის,
ვინ მოკვდა? იქნებ მე მოვკვდი?
და ტყე თეთრ ცრემლებს მაღვრის?

* * *

გემშვიდობები, მეგობარო, ღელვას ვერ ვმალავ.
ისევ აწყდება ო, ეს გული
ნაპირებს მძიმედ!..
და სიყვარულის ყოვლისშემძლე ფარული ძალა
გვიტოვებს, ისევ, საიდუმლოდ
შეხვედრის იმედს!..
მშვიდობით, ჩემო, ხელს არ გართმევ,
უსიტყვოდ მხოლოდ,
არ დაიმჩნიო ნაკვალევი უამინდობის!
ვინც ცხოვრობს ქვეყნად, ხომ სიკვდილი
ეწვევა ბოლოს,
არაფერია აქ ახალი,
მივალ, მშვიდობით!

## ბიოგრაფიული ქრონიკები

• • •



დავით გიორგის ძე გაბუნია დავიბადე 1931 წლის 17 მაისს სოფ. ბანძაში (მარტვილის რ-ნი).

მამა – გიორგი კონსტანტინეს ძე გაბუნია ყოფილი მემამულე, აზნაური.

დედა – მინადორა ბექანის ასული კოტია იყო შეძლებული გლეხის ქალიშვილი. ისინი დაქორწინებულან 1921 წლის შემოდგომაზე. შეძენიათ სამი შვილი: მინდა, გიორგი და დავითი.

დედა იყო ოჯახის დიდად მოყვარული, გულთბილი, შეუდარებელი დიასახლისი. პატარობისას ხშირად გვიკითხავდა: „დედაენას“, „ბუნების კარს“, მოგვითხრობდა თქმულებებსა და ზღაპრებს.

მამა გახლდათ პირველი მსოფლიო ომის მონაწილე ხშირად გვიყვებოდა ბავშვებს ყარსისა და არდაგანის ბრძოლების პერიპეტიებს. შესანიშნავად იცოდა საქართველოს ისტორია. ის იყო 1924 წლის ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი სამეგრელოში.

1938 წელს შემიყვანეს ნაჩილაჩაოს არასრულ საშ. სკოლაში, რომელიც წარმატებით დავამთავრე. სწავლა განვაგრძე ბანძის საშუალო სკოლაში. ლექსების წერა დავიწყე 10-12 წლის ასაკში, რომლებიც უფრო იყო სახუმარო ხასიათის („ამხანაგთა სათრეველად“).

უმაღლესი განათლება მივიღე სოხუმში, ა. მ. გორკის სახელობის პედინსტიტუტში ფიზიკის სპეციალობით. 1957 წლიდან მუშაობა დავიწყე სოხუმის შოთა რუსთაველის სახელობის პირველ საშუალო სკოლაში, რომელიც შემდგომში გადაკეთდა საშუალო სკოლა-გიმნაზიად. 1978 წელს დამაწინაურეს

დირექტორის მოადგილედ სასწავლო-აღმზრდელობით დარგში.

1957 წელს შემოდგომაზე სოხუმში გავეცანი ახალგაზრდა მწერლებს. დავუახლოვდით ერთმანეთს. ჩამოვაყალიბეთ ახალგაზრდა მწერალთა წრე, რომლის ხელმძღვანელად მე ამირჩიეს. წრის წევრები იყვნენ: გენო კალანდია, მურმან ხურცილავა, ოთარ მიქაძე, ჯანო ჯანელიძე, ავთანდილ ხარეიშვილი, ბორის მეტრეველი, ამირან მიქაუტაძე. წრის წევრად მიღება ხდებოდა ჩვენ მიერ წინასწარ შემუშავებული წესდების მიხედვით. სხდომებზე ვაწყობდით წრის წევრთა ლექსების განხილვას, ცნობილ ქართველ მწერლებთან შეხვედრებს, საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში მომუშავე ახალგაზრდა მწერალთა შეკრებას. ღონისძიებებზე მსმენელთა დასწრება ყოველთვის მრავალრიცხოვანი იყო.

ამ პერიოდში საქართველოში ძლიერდებოდა ეროვნული მოძრაობა, რომელსაც სათავეში ედგნენ: ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა. აფხაზეთის ზემდგომ ხელმძღვანელ პარტიულ მუშაკებს, ასევე მწერალთა ორგანიზაციის წარმომადგენლებს არ აწყობდათ მათი გავლენისაგან თავისუფალი ლიტერატურული წრის არსებობა. დაიწყო დასმენები, ხშირად ჩარევებიც. ამ საკითხის ღრმად და მიმდევრობით გადმოცემას შევეცდები მემუარულ წიგნში – „ჩემი ცხოვრების ოთხი დრო“. მდგომარეობა დღითიდღე მწვავდებოდა. ასეთ ვითარებაში, იძულებული გავხდით შეგვეწყვიტა მუშაობა.

1965 წელს მწერალთა წრე დაშლილად გამოცხადდა. მაგრამ მან, ცხადია, გარკვეული როლი ითამაშა წრის წევრთა ინტელექტის ამაღლებისა და მაღალი ლიტერატურული გემოვნების გამომუშავების საქმეში. ამავე დროს, დაუფასებელი სამსახური გაუწია მომდევნო თაობების ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდის საქმეს!

მომდევნო წელს წრის წევრთა ნაწილი მიიღეს საქართველოს რესპუბლიკის მწერალთა კავშირის წევრად. პირადად მე მწვავე დამოკიდებულებაში აღმოვჩნდი აფხაზეთის მწერალთა კავშირის ქართული ორგანიზაციის ხელმძღვანე-

ლობასთან. ამიტომაც ყოველმხრივ ხელს მიშლიდნენ წიგნების გამოცემის საქმეში. მახსოვს, ჩემი სარეცენზიო წიგნის შესახებ უჩინმაჩინის ქუდიანი ერთი რეცენზენტი წერდა: „ავტორს ავიწყდება, რომ სოციალისტურ ქვეყანაში ცხოვრობს. მან არ იცის დაზგებთან და საკოლმეურნეო ყანებში მომუშავე ხელების ფასი“ და სხვა.

ჩემი პრინციპული მოთხოვნის საფუძველზე გამომცემლობის დირექტორი იძულებული გახდა ხელნაწერი წიგნი – „მთვარის ხეივანი“ საქართველოს მწერალთა კავშირში გადაეგზავნა სარეცენზიოდ. საიდანაც დადებითი შეფასება მოვიდა მწერლების: მორის ფოცხიშვილის და ოტია პაჭკორიას ხელმოწერით. გამომცემლობის გეგმიდან ამოღებული წიგნი იძულებული გახდნენ გამოეცათ.

1967-1992 წლებში გამოვიდა ჩემი ლექსების 8 კრებული 15 საგამომცემლო თაბახის ოდენობით. გამოცემულ წიგნებზე დაიწერა დადებითი რეცენზიები.

1992 წელს, 61 წლის ასაკში, როგორც იქნა ინებეს და მიმიღეს საქართველოს მწერალთა კავშირის წევრად.

ამავე წლის ზაფხულში აფხაზეთში დაიწყო შეიარაღებული კონფლიქტი ქართველებსა და აფხაზებს შორის რუსების ხელმძღვანელობით. ამ ომში ნათლად გამოიკვეთა რუსეთის რეაქციული ძალების ვერაგული ბუნება. 1993 წლის სექტემბერში სოხუმი დაეცა! აყვავებული ქალაქები და სოფლები კართაგენის ნანგრევებს დაემსგავსა!!!

ბოროტება, ერთხელ კიდევ, აღზევდა ქართულ მიწაზე და გამარჯვება იზეიმა! ამასთან დაკავშირებით დავწერე ლირიკულ-დრამატული პოემა: „ო, თუ გინახავთ ამგვარი რამე?!“

იძულებული გავხდი ოჯახით გადავსულიყავი ქუთაისში შემდეგ გადასვლა მომიხდა ბათუმში. როგორც ქუთაისში, ასევე ბათუმში ყოფნისას ხშირად იბეჭდებოდა ჩემი ლექსები პრესაში, აქვე მინდა ალვნიშნო, რომ ჩემმა ვაჟიშვილმა მეგობრების დახმარებით, შესძლო ცეცხლმოდებული სოხუმიდან ჩემი და ჩემი მეუღლის არქივის ერთ ნაწილის გადმოტანა, ხოლო ჩემი მდიდარი ბიბლიოთეკის გადარჩენა ვერ მოხერხდა.

# დავით ტაბუნია

1996 წელს საცხოვრებლად გადავედი თბილისში. ხშირად ვესწრებოდი საქართველოს მწრალთა კავშირში ჩატარებულ ღონისძიებებს. ამავე წლის შემოდგომაზე გავემგზავრე შვილებთან მოსკოვში, მათი დაჟინებული მოთხოვნით. 1999 წელს გამოსაცემად მოვამზადე ლექსების ორი წიგნი. 2000-2001 წლებში გამომცემლობა ООО „Ларти люкс“-მა გამოსცა ჩემი ლექსების ორტომეული: „ზარები ნიჟარებში“ და „ფოთოლცვენის ლანდები“ (მთავარი რედაქტორი რ. კონჯარია, რედაქტორი დ. ნარმანია).

2002 წელს თბილისში აფხაზეთის მწერალთა ქართულმა ორგანიზაციამ მოაწყო ამ წიგნების პრეზენტაცია. მათზე დაიწერა და დაიბეჭდა არა ერთი დადებითი რეცენზია.

მოსკოვში ცხოვრების პერიოდში აქტიურად ვთანამშრომლობდი ქართულ სათვისტომოსთან, ვმონაწილეობდი მათ მიერ ორგანიზებულ ლიტერატურულ და სხვა ხასიათის ღონისძიებებში.

2007 წლის მარტში ქართულმა ახალგაზრდულმა მოძრაობა „ლაზარემ“ (თავმჯდომარე ჯ. კვარაცხელია) გადამიხადეს 75 წლის იუბილე და ამირჩიეს ზემოაღნიშნული მოძრაობის საპატიო წევრად.

საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ განვაგრძე მწერლური მოღვაწეობა. გამოსაცემად მოვამზადე ოთხტომეული: „ვარდფურცლობის დღესასწაული“, „კივიან სამრეკლოს ზარები“, „ფერიცვალების ველი“ და „სიშორის ფერები“ საერთო სახელწოდებით „ცისა და მიწის ოთხი ხეივანი“. ამ გამოცემაზე საქართველოს მწერალთა კავშირმა მომანიჭა ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის პრემია.

მიმდინარე, 2019 წელს გამომცემლობა „უნივერსალი“ გამოუშვებს ჩემი პოეტური შემოქმედების ორტომეულს – „მზერა მავედრებელი“ და „საით მიცურავ მზეო?!“ საერთო სახელწოდებით – „ჩამავალი მზის მელოდიები“.

ამჟამად ვმუშაობ მემუარულ წიგნზე – „ჩემი ცხოვრების ოთხი დრო“.

• • •



მშობლებისგან გავიგე, რომ დოდო ვარლამის ასული ნარმანია, დავიბადე 1939 წლის 17 მაისს სოფელ კახათში (ზუგდიდის რაიონი). აქვე წარჩინებით დავამთავრე საშუალო სკოლა. 1961 წელს სწავლა განვაგრძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

უმაღლესი განათლება მივიღე ჟურნალისტის სპეციალობით. განაწილებით მოვხვდი აფხაზეთში. თავიდან, ძალიან მცირე დროით, ვმუშაობდი გალის რაიონულ გაზეთში, მალე, ოჯახის შექმნასთან დაკავშირებით, საცხოვრებლად გადავედი ქ. სოხუმში. მთელი ჩემი ცხოვრება ვიმუშავე ქართულ რესპუბლიკურ გაზეთში სხვადასხვა თანამდებობებზე: ბოლო წლებში – იდეოლოგიის განყოფილების გამგედ. მაქვს რადიომაუწყებლობაში მუშაობის გამოცდილება.

წლების განმავლობაში ლექციებს ვკითხულობდი აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ჟურნალისტიკის განხრით.

1992-1993 წლების რუსეთ-საქართველო-აფხაზეთის ომის შემდეგ, მთელი ჩემი ოჯახით გავხდი დევნილი.

წლების განმავლობაში ვიცხოვრე საქართველოს სხვადასხვა კუთხეში (სამეგრელო, აჭარა, იმერეთი). შემდეგ, მეტად მძიმე ცხოვრების პირობების გამო, იძულებული გავხდი გადავსულიყავი ქ. მოსკოვში, სადაც საცხოვრებლად მიგვიწვიეს შვილებმა; მოგვიანებით მეუღლესაც მოუწია დროებით საქართველოს დატოვება.

წლების განმავლობაში გაგრძელდა დევნილობის მძიმე წლები. ქ. მოსკოვში მჭიდრო კავშირი დავამყარეთ ქართულ ეკლესიასთან, სათვისტომოსთან. ქართული კულტურის სახ-

ლში (ცენტრთან) ჩავებით კულტურულ-საზოგადოებრივ საქმიანობაში. აქტიურად ვმონაწილეობდით სხვადასხვა ღონისძიებებში, რამაც განაპირობა ის, რომ ორივე მიგვიღეს სრულიად რუსეთის ქართველთა კავშირში.

დავინტერესდი საგამომცემლო საქმიანობით. ვურედაქტორე დავით გაბუნიას ორ პოეტურ კრებულს, რომელიც გამოსცა ООО „Ларти люкс"-მა (მოსკოვი).

მოსკოვში ჩვენი ყურადღება მიიპყრო განადგურების პირამდე მისულმა, ემიგრანტი წინაპრების მიერ შექმნილმა კულტურლმა მემკვიდრეობამ.

სამწუხაროდ, ქართველთა დიდი მცდელობით ნაგებ-ნაამაგარი სხვადასხვა დანიშნულების არქიტექტურული ძეგლები, თუ დროზე არ იქნა მიღებული საჭირო ზომები, შეიძლება მოიშალოს. მათ სასწრაფოდ სჭირდებათ აღდგენა-რესტავრაცია. აგრეთვე, არასაიმედოდ ინახება ძვირფასი საგანძურები. ამიტომაც მე და ცნობილმა მწერალმა და მთარგმნელმა დავით გაბუნიამ დავაყენეთ საკითხი სრულიად რუსეთის ქართველთა კავშირის ადმინისტრაციისა და ქართული ეკლესიის წინაშე, რომლებიც თავიდან დაინტერესდნენ, მაგრამ მალე შეწყვიტეს ამ მიმართულებით აუცილებელი ღონისძიებების გატარება. როცა ჩვენ შევძელით სამშობლოში დაბრუნება ეს, მეტად მტკივნეული საკითხი 2013 წელს წერილობით არაერთხელ დავაყენეთ საქართველოს საპატრიარქოს წინაშე, მაგრამ ამ მნიშვნელოვანი პრობლემით არავინ დაინტერესებულა.

ვფიქრობთ, გარკვეული ძალისხმევით შეუძლებელი არ იქნება ამ საშვილიშვილო საქმის მოგვარება. მით უფრო, მოსკოვსა და საქართველოში არიან პატრიოტულად განწყობილი, ფინანსურად უზრუნველყოფილი პირები, და, როგორც ასეთ დროს სჩვევიათ ჩვენი ერის სახელოვან შვილებს, უკან არ დაიხევენ; მთავარია, ამ მიმართულებით იაქტიურონ იმათ, ვინც წლების განმავლობაში საქმის კურსში არიან.

* * *

მინდა დავუბრუნდე ჩემთვის მეტად მტკივნეულ საკითხს. ომის ქარცეცხლში გახვეულ ქ. სოხუმში, გაუგებარ ვითარებაში, განადგურდა დასასტამბად გამზადებული ჩემი ორი წიგნი: „მთებში ჩაძირული ბილიკები“ და „თეთრი ხეივნის გავლით, ანუ აკაციის ყვავილობის ჟამს“ და სხვა პუბლიცისტური თუ ლიტერატურული ხელნაწერები, რომლებზედაც მთელი ცხოვრება ვიმუშავე. ასეთივე ბედი ეწია პოეტისა და მთარგმნელის დავით გაბუნიას ნამუშევრებს. დავკარგეთ, აგრეთვე, ჩვენი საერთო იშვიათი ბიბლიოგრაფიული წიგნებით მდიდარი ბიბლიოთეკა.

დევნილობის პერიოდში ჟურნალისტური და ლიტერატურული საქმიანობა გავააქტიურე. შევძელი დამეწერა და, საქართველოში დაბრუნების შემდეგ, გამომცემლობა „უნივერსალში“ გამომეცა წიგნი, რომელიც შედგება სამი ნაწილისაგან: „საბედისწერო ფერიცვალება“ (პუბლიცისტიკა), „ჟამთა რიალი“ (პროზა), თარგმანები მსოფლიო კლასიკური პოეზიიდან.

* * *

2017 წელს პოეტი და მთარგმნელი დავით გაბუნიასთან ერთად ცალკე წიგნად გამოვეცით თარგმანების კრებული: „კლასიკური პოეზია“ (რედაქტორი: მ. ხურცილავა). მასში შევიდა მსოფლიო მნიშვნელობის დიდ შემოქმედთა – გოეთეს, ბაირონის, შელის, ქითსის, უიტმენის, ლორკას, ესენინის ლირიკული შედევრები.

ამჟამად ვმუშაობთ ფრანგი პოეტის შარლ ბოდლერის და რუსი კლასიკოსების – ალექსანდრ პუშკინის და ფეოდორ ტიუტჩევის ნაწარმოებების გადმოქართულებაზე. აქ არ ვწყვეტთ მუშაობას; ხვალ, ზეგ... ვაგრძელებ მთარგმნელობით საქმიანობას. ბუნებრივია, პუბლიცისტიკა მომავალშიც იქნება ჩემი მთავარი საზრუნავი.

დიდი რუდუნებით ვცდილობ ომის დროს ქ. სოხუმში დაკარგულ ორივე წიგნში შესული ნაწარმოებების აღდგენას. ასევე, ვქმნი ახალ მცირეტანიან პროზას – ნოველებს, მოთხრობებს, პოეტურ თხრობით ნიმუშებს.

* * *

სხვათა შორის, მინდა აღვნიშნო, რომ ვარ საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის, საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირისა და საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის წევრი. მინიჭებული მაქვს საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტისა და აფხაზეთის დამსახურებული ჟურნალისტის წოდებები.

მოსკოვში, დევნილის სტატუსით ხანგრძლივი ცხოვრებისას, გავწევრიანდი რუსეთის ფედერაციის ჟურნალისტთა კავშირში; აგრეთვე, ვირიცხები ქ. მოსკოვის ჟურნალისტთა კავშირში. მაქვს ჟურნალისტის საერთაშორისო წიგნაკი.

თავის დროზე ვიყავი სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის წევრი.

ჩემი ლიტერატურული ფსევდონიმია დონა კოლხი.

ვარ ლეო ქიაჩელისა და სერგეი მესხის სახელობის პრემიების ლაურეატი.

სულ ეს არის მოკლედ, რისი თქმაც შევძელი საკუთარ თავზე.

# სარჩევი

წინათქმა...5
დასრულდა გზები!...9
მიძინების თვე...10
ყვავების ორკესტრი...11
ჰამლეტი...12
სიკვდილი...14
ციცერონი...15
ქალაქის სიკვდილი...17
სადაკო სასაკი...19
გრანადის მახლობლად...21
არ მიეკარო!...22
ჟამი მიდის, ლაურა!...23
რაა მიზანი?!...24
დაწყვიტე სიმები მხურვალე!...26
ბალადა მამა-შვილზე...27
მივდივარ...29
ახლა, რა ვარ მე?...30
სოფლის შარაზე...31
სოხუმი. კურჩენკოს ბაღში...32
მზე ჩადის მშვიდად...33
რადგან ვართ უიარაღო...34
ზღვის ლურჯი რხევა მეძახის...35
ჩემი მდინარე...36
გაშალეთ ფრთები!...37
გულს!...38
ბუნება ფერს იცვლის...39
საიდან მოდის?...40
ნამოსახლარი...41
რა იქნა? – მარქვი!...42
დილით...43
მაისის ღამით...44
იმ დღეთა გამო...45
მე შენ გეტრფოდი!...46
სულო, რას უცდი?!...47
სხვა რაღა დარჩა?!...48
მეგობარს...49

რა რჩება უკან?.....50
პეპლების ტირილი.....51
მოგონება.....52
აპრილის მზე.....53
შევედი ბაღში.....54
შენ მაგონდები, დედა!.....55
მომეფერე, შემოდგომის მზეო!.....56
ჩემო ლიანა!.....57
არ წყდება!.....58
დრო.....59
ვდგავარ ბაღის კართან.....60
გული ისევ ხვნეშის!.....61
იდგა ფოთლების მეწყერი!.....62
კვლავ ვიხსენებ!.....63
სოხუმი.....64
სიო გირხევდა დალალებს.....65
რა გემართება?!.....66
ზღვას.....67
მზე მიირხევა ფერმკრთალი.....68
მცხეთის ზარები.....69
მეგობრობის სამკუთხედი.....70
წუთისოფელი.....71
რა შემზარავად კივიან!.....72
სარკმელს ცისკარი მოაწვა.....73
წუთისოფლის კარუსელი.....74
ისევ იძახის – „ტიას!“.....75
სასაფლაოზე.....76
თქვენ მომძახოდით.....77
ბევრი ვეომე.....78
მერცხლებს.....79
ზღვასთან.....80
უგალობე ფერიების მოსვლას!.....81
ვარდების წვიმაში.....82
მაიკო ორბელიანს.....83
საუბარი ყვავილებთან.....85
მშვიდობით, მერი!.....86
იმ დღეთა გამო.....87

მოცეკვავე გედი..........88
არ გაიკარო ნაღველი..........89
შემოვრჩი მწუხრის ტრამალს..........90
*** კვლავ ვღელავ მე შენს წინაშე... ..........91
ტოტებდახრილი..........92
ქამი მიდის..........93
დედა..........94
მოზღვავდა ფერი ყვითელი..........95
ისევ მოზღვავდნენ ღრუბლები..........96
ზეიმობს ჩემი მამული!..........97
გაძარცულ რტოზე..........98
გაზაფხულის მოლოდინში..........99
რა მოგაგონდა?..........100
მარი..........101
მთვარე..........102
ქამი უკუღმა ტრიალებს..........103
მოვიდა ჩემი ბავშვობის ნატვრა!..........104
იმ ბაღში არც კი შევდივარ!..........105
ფერიცვალების ველი..........106
ჩამავალი მზის მელოდიები..........107
ზამთარი..........108
გარბის წყარო..........109
ბავშვობის ზღაპარს დავშორდი!..........110
საით გამიფრინდა?..........111
მზე კი აღმართზე მოიწევს...........112
ისევ, ქარი ქრის..........113
* * * მივდივარ გზაზე, გული ღონდება... ..........114
მომეახლე დღეო!..........115
მომაგონე!..........116
ძველი ქუჩა..........117
გულს!..........118
მზე გაზაფხულის!..........119
რატომ შეწყვიტეს?..........120
იმღერე, გოგო!..........121
პარალელი..........122
დიდ ამერიკელ პოლიტიკოსს..........123
რატომ დადუმდა?!..........125

ვინ იცის?!....................126
ირხევა სივრცე....................127
შორს, სადღაც იქით... ....................128
დამთავრდა უკვე....................129
დროო, ამას გთხოვ!....................130
ორი ძმა ....................131
საით წავიდე?....................132
შეჩერდა გული!....................133
რას იზამ?!....................134
ბრუნავს ღრუბელი....................135
მიდის თავის გზით....................136
არ წამიშალოთ!....................137
ო, მზეო შემოდგომის!....................138
რამ შეაჩერა?!....................139
მიედინება ისევ ....................140
რა შორს გამიფრინდა? ....................141
მიიწურა საუკუნე ....................143
გაუფრთხილდი სამოთხეს მიწის!....................144
როგორ გამძარცვეს წლებმა?!....................145
გავცილდი ოთხმოცს....................146
ო, როგორ მინდა!....................147
სამი ბულბული....................148
დრომ გაიტაცა....................149
მზეჩამავალი მიღიმის....................150
მიდის ყოველი....................151
ჩემს აივანთან ახლოს....................152
ბებერ ჭადართან....................153
მიდის დღეები აპრილის ....................154
პირველი სიყვარული ....................155
იმზირებიან სველი თვალებით....................157
არ ვიცი, საით... ....................158
უკვე ზამთარი მოდის ....................159
ამ ხეივანში....................160
მე და ანა....................161
თბილისში....................162
ზღვა და სიყვარული....................163
გამოჩნდა გზები მომავლის!....................164

მოსპო და გაანიავა.........165
შეღამება.........166
მას არ აშინებს... .........167
ივლისი.........168
დიალოგი სიკვდილთან.........169
ახალი წელი.........171
ისევ უკრავს.........172
როდის უნდა დასრულდეს?!.........173
საით წავიდეთ?.........174
თბილისი.........175
მზე ღრუბლებში მიცურავს.........176
მოსკოვი – 2010 .........177
ვერ მოვიშორე.........178
ზამთარი.........179
ზარებო, დარეკეთ, დარეკეთ!.........180
მიდიან წლები.........181
სიზმრებში.........182
* * * მე ჩემს მთაწმინდას გავცქერი... .........183
მიდის საწუთრო რიალით!.........184
ღმერთმა შეგინდოს!.........185
როდისღა გადაცისკრავს?.........186
საქართველოს.........187
მე აიეტის ქვეყნის შვილი ვარ!.........188
მზე ჩადის.........189
მოსკოვის ცა.........190
მზე ეშვებოდა ზღვაზე.........191
კვლავ ფრთების გაშლა ინებე.........192
რა შორს გაცურდა?!.........193
ლურჯი ზღაპარი.........194
სანამდის?!.........195
მთვარით შენაფერი.........196
არ დამიღონდე!.........197
ვიხსენებ წარსულს.........198
სხვა არაფერი.........199
მზეჩამავალი.........200
მოვღალეთ გზები ბრძოლებით.........201
შემოვრჩი მინდვრებს.........202

მოდის საღამო....203
მიედინება მდინარე....204
დაველოდები....205
შემომეშველე, ბერდედავ!....206
ასე, რად დუმან?....207
ო, როგორ მინდა!....208
მოგონება....209
სიცოცხლე....210
ჩამორბის წყარო....211
რად გაიტრუნე, ბუნებავ?....212
ცას გავცქერ ლოცვით....213
იციმციმეთ....214
მგლოვიარე ფერები....215
მზის ხანძარი....216
მე არაფერი არ მავიწყდება!....217
მიდის და მიდის....218
ჭკნება იმედი....219
რატომ გაჩუმდი?....220
ნატოს....221
პოეტი....222
რად გაგვიმეტე ასე?....224
შინდისის გმირებს....225
ენძელა....226
რატომ გაფრინდით?....227
სად გაქრა?!....228
სიკვდილს!....229
მთაწმინდა....230
ზაფხულის ცა....231
რატომ შეჩერდა გზაზე?!....232
ცვივა ფანტელი....233
ფერადი სიზმრები....234
მსხვერპლი ვარ ამ საუკუნის!....235
სოფელი....236
ოღონდ შენი გზა გადარჩეს!....237
თებერვლის ქარი....238
სად მიხვალ?....239
ფიფქების მეწყერი....240

ობოლი ვაზი.....241
ეპიტაფია.....242
ისევ დაბერდა ბაღი!.....243
იმსხვრევა ტანი ლერწამის!.....244
მოვიდა გვიან.....245
უკვე დროა!.....246
გაზაფხულის მაცნე.....247
შეხედე, როგორ მოთენთა!.....248
მიცურავს ნისლი.....249
არ შედრკე, გულო!.....250
ცეკვავდა სიკვდილი.....251
რეკავს ზარი.....252
ბილიკზე მივალ მარტო.....253
დამთავრდა ზამთრის ქაოსი.....254
ჩემი ეზო.....255
მოლოდინი.....256
დარეკავს ზარი!.....257
ვერაფერი გამიგია სოფლის!.....258
ზღვის სიყვარული.....259
შენ მოგავლინა განგებამ!.....260
პირიმზე.....261
ვეჩვევი ბინდებს.....262
რად მემუქრები?.....263
სიყვარულის რაფსოდია.....264
*** თბილისის ცა მერცხლებისგან გაიკრიფა... .....268
რას გვათამაშებ?.....269
ჩემს რუსთაველზე გავივლი.....270
დავცქერი მიწას!.....271
ხმა იდუმალი.....272
მოვედი შენთან!.....273
იდგა გარშემო რხევა ნაძვების.....274
დრო.....275
არ მინდა!.....276
ზღვის ტკივილი.....277
უკანასკნელი ოხვრა!.....278
საითკენ მივექანებით?!.....279
კვლავ მომინდა ნახვა.....280

სხვა თვალებით ვუმზერ ........ 281
დედამიწას ........ 282
მოგონება შენკენ მიმაქანებს ........ 283
ვერ ვიშორებ წუხილს! ........ 284
ჩემი ბებერი ქოხი! ........ 285
ისევ მოვდივარ! ........ 286
მზე კვლავ იცინის ........ 287
ქარს ფანტელები დააქვს ........ 288
ფოთლებს ........ 289
ხსოვნა წარსულის არ ცხრება ........ 290
გავცქერი სივრცეს ........ 291
მოდის მაისი ........ 292
ირწევა სივრცის ზღაპარი ........ 293
ის დრო წავიდა ........ 294
ზიზის ........ 295
დონა და ჩიტები ........ 296
დგება საღამო ჩუმი ........ 297
უკვე დაიძრა ვაგონი! ........ 298
მამული გამიტიალეს! ........ 299
მოლოდინი ........ 300
რა შემომრჩა? ........ 301
ფერიცვალება მოვიდა ........ 302
მე გავჩუმდები ........ 303
დრო იცვლის პერანგს ........ 304
იცრემლება ჩემი ზეცა ........ 305
კვლავ შენი ხმა მესმის!.. ........ 306
ცას გავცქეროდი ........ 307
თეთრი მუსიკა ........ 308
არაფერს ველი! ........ 309
მეიმედება! ........ 310
ვიწყებ შეტევას ........ 311
წავიდნენ საით? ........ 312
გაფრინდნენ მერცხლები ........ 313
მესმის ქვითინი! ........ 314
სატანა ........ 315
შემოდგომა ........ 316
მზეს ........ 317

იბრძოლე მედგრად! ...... 318
აპრილი ...... 319
არც შენ დამინდე! ...... 320
კვლავ მენატრება! ...... 321
ზედ ათიანში მოარტყა ...... 322
დუმილით მიცქერს ...... 323
როგორ მაშინებს! ...... 324
დროის წინაშე ...... 325
გაზაფხულმა იძალა ...... 326
ჩემი ბაღი ...... 327
ხსოვნა ...... 328
და მეც ავტირდი! ...... 329
მე ბევრი ვფურცლე ...... 330
თოვლის ცხედარი ...... 331
* * * აქეთ მახათა, იქით თაბორი... ...... 332
მე კარგად ვიცი ...... 333
გვალვა ...... 334
საით გაფრინდნენ, ნეტავ? ...... 335
დანაღმულ ველზე მივიწევ! ...... 336
წავიდა შენი თაობა! ...... 337
ისევ გამოჩნდა! ...... 338
დრო და სივრცე ...... 339
ტყვე საფლავი ...... 340
რად მემალები? ...... 341
მეძახის, მიხმობს! ...... 342
როდესაც საზღვარს გადავკვეთ ...... 343
შენ პირველი ხარ მათ შორის! ...... 344
უშენოდ ვერ ვძლებ! ...... 345
მივიწყებულთა შორის ...... 346
პაიკების სევდა ...... 347
ლოდების ქალაქი ...... 348
გავცქერი სივრცეს ...... 349
გულო, არ დამიბერდე! ...... 350
ვერასდროს მოვალ! ...... 351
ცოდნის ტაძარი ...... 352
კვლავ რეკავს ზარი! ...... 353
სიყვარულით გავცქერი ...... 354

ვინ გადურჩება?....................355
რბიან დღეები...................356
გაგვიხსენებს....................357
არ მსურს სიმშვიდე!.. ....................358
ჩვენ მივდიოდით....................359
არ მინდა ვნახო!....................360
ვერ მივაგენი....................361
ნუ დაივიწყებ!....................362
წავიდა ის დრო!......................363
რა უნდა მეთქვა?!....................364
* * * იხუტებ შვილებს უსულგულოდ, დედაო – მიწავ!....................365
*** გავაღე ფანჯარა ღამით... ....................366
დაობდა დრო და სივრცესთან....................367
რა სილამაზე მახსოვს!....................368
საითკენ მიხვალ?!....................369
ისევ აყვავდა!....................370
გაფრინდა ჟამის აჩრდილი....................371
* * * ჩემი ეზო თოვლით დაბურულა... ....................372
რატომ იხსენებ?!....................373
ნეტავ, რაზე ბობოქრობს?....................374
ვინ დამიბრუნებს?....................375
ციდან ფანტელი ილვრება....................376
ვიხსენებ დღეებს გარდასულს!.. ....................377
თბილისში თოვლი მოვიდა....................378
* * * გზაჯვარედინზე, ჩემო ნატო, ვიდექით უხმოდ... ....................379
ინახავს იგი ბედნიერ დღეებს!....................380
მარტო მოველ... ....................381
ვიცრემლები....................382
ისევ დუმს!....................383
მე მიყვარს ღამე....................384
ველოდები ისევ....................385
და რას მიშველის?....................386
პარალელი....................387
ლევილი....................388
წავიდა ის დრო!.. ....................389
ოცნების ფერები ქრება....................390
ხსოვნის სანთელი!....................391

ოკეანე სევდის.....392
დრომ თან წაიღო... 393
მახსოვს!.....394
დღეები სიყრმის გამექცა... 395
უკვე, შეღამება მოდის... 396
მეძახის ისევ.....397
მიკლებს კივილი ზარების!.....398
სიზმარი.....399
ამაოების ჩრდილი.....401
ვინ გაგიმეტა?!.....402
ზღვა ირხეოდა.....404
რა ლამაზად ამოდის!.. 405
ისევ მიხმობ!.....406
აქ წვანან... 407
* * * ვშორდები მიწას ღმერთის გაჩენილს... 408
მოდის ზამთარი.....409
ჩამოდის თოვლი.....410
მძიმედ დასრულდა... 411
მეგობრის ხსოვნას!.....412
წუთისოფელი.....413
დედამიწას.....414
ხომ არ გახსენებს რამეს?!.....415
რა დაამშვიდებს?!.....416
* * * მე შენი იდუმალების, დიდი ხანია ტყვე ვარ... 417
მიდიან დღენი.....418
სად მდუმარება მეფობს... 419
კრწანისის ველზე.....421
მე ხსოვნა შემრჩა ნუგეშად.....422
ტყე.....423
ვერაფერს გავხდით!.....424
ზამთარი მოდის!.....425
შეჯიბრი.....426
ო, რა შორს დარჩა!.. 427
ჩიტი.....428
მაისის წვიმა.....429
ბებერი ლომი.....430
ფოთლებს.....431

ჩემი მერცხლები....................................................................................432
არაფერს ნიშნავს ....................................................................................433
არ ვიცი, საით ვისწრაფვი.......................................................................434
ამ საუკუნის ბოლოს...............................................................................435
ზამთარი მოემართება.............................................................................436
მზე ჩადის...............................................................................................437
დედამიწა ...............................................................................................438
მზეწვია...................................................................................................439
ჩიტუნებს................................................................................................440
ფერიცვალების ველი .............................................................................441
*** ეს დღეები ასე, ნეტავ, საით ილტვის?!. ...........................................442
გენრიკა!...................................................................................................443
ფერების ღვარი.......................................................................................444
ველარ ვშორდები ღამეს.........................................................................445
ჩამოწვა ღამე...........................................................................................446
ისევ მოვიდა...........................................................................................447
მაგონდება ის წლები..............................................................................448
სიზმარი..................................................................................................449
დატოვე ხსოვნა.......................................................................................450
საუბარი ბუნებასთან ..............................................................................451
ცხოვრებას ვეთამაშები............................................................................452
ადგილის დედა .......................................................................................453
დაფარავს ხსოვნას...................................................................................454
მანონს.....................................................................................................455
გაზაფხულის საგალობელი.....................................................................456
კრემლისკენ მიდის.................................................................................457
ისევ ქართულად.....................................................................................458
*** მზერას მივაპყრობ ხავსიან ლოდებს... ...........................................460
სამლოცველო..........................................................................................461
დარეკეთ ზარებო!...................................................................................462
შენ გეძახი!..............................................................................................463
იქნებ, შენ მითხრა, ცაო?!.......................................................................464
ნანას და გოჩას .......................................................................................465
ხეივნები გამიხუნდა...............................................................................466
დილის ცას მივაყურადებ.......................................................................467
მშვიდობით დღეთა ნეტარებავ!.............................................................468
რა დრო გავიდა!......................................................................................469

რა შეგვრჩა?!....................................................................................................470
თქვენ მოევლინეთ!.........................................................................................471
ბილიკზე მთვარის... ........................................................................................472

# ს ო ნ ე ტ ე ბ ი

*** სიკვდილს ათასჯერ გავაშიშვლებ, სანამდის იგი... ....................477
*** ტყემ მიიძინა... დგას ტალღების ლურჯი შრიალი... ....................478
*** რა სწრაფად იცვლის ზომებს შენი ტყავი შაგრენის?.. .............479
*** შორს, ცის ხავერდზე დაცურავდნენ ღრუბლის გედები... .........480
*** იდგა ჟამი, მაშინ მთვარის მოვანების... ..............................................481
*** შენს სასთუმალთან მთელი ღამე ენთო სანთელი... ...................482
*** ლექსების წიგნში ვნახე მკრთალი ფურცელი ვარდის... ...........483
*** მე დავბრუნდები, საყვარელო, ასი წლის შემდეგ... ....................484
*** გადააყვითლა შემოდგომამ ირგვლივ ყოველი... .........................485
*** შენს ნაფეხურებს უკვე ჟამი შლის გულმოდგინედ... ..................486
*** ისევ შეაღო გაზაფხულმა კარები ბაღის... .........................................487
*** ჩვენ მოვიტოვეთ ორი ჟამი საწუთროს გზაზე... ............................488
*** შენ, ჯერაც ჭაბუკს  უმძიმესი გვირგვინი გედგა... .......................489
*** შენ ბასიანიც გეყოფოდა, სხვა რომ არ იყოს... ..............................490
*** საიდან მოდის ო, ამდენი ბოღმა და ზიზღი?!. .................................491
*** შენ ხომ სიცოცხლის სილამაზედ ამ ქვეყნად იშვი... ..................492
*** შენთვის მუსიკა იყო ღვთაება... ...............................................................493
*** მოსკოვის ცაზე მერცხლებს, თითქმის, ვერასდროს  ნახავ... .....494
*** დგახარ მწვერვალზე უმაღლესზე, პოეტო, ქნარით... .................495
*** უნდა შებმოდი მეფის კარზე დაგეშილ ბოკვერს... .......................496
*** შენს დიდ გენიას ვერ იტევდა ბებერი მიწა... ..................................497
*** შენ პოეზიის დიდ მეუფეს ხელთ გეპყრა ქნარი... ........................498
*** შეუძლებელი რად ამკიდე, ცხოვრებავ, ტვირთი?.. .....................499
*** შემომეცალნენ მეგობრები, და რა ვარ ახლა?.. ..........................500
*** ცეკვავენ წყალზე უჩვეულოდ წვეთები წვიმის... ..........................501
*** თუ როგორ გაჩნდა ეს სამყარო, არავინ იცის... ..........................502
*** შენგან შორსმყოფი, როგორ ვწუხვარ, ჩემო აბაშავ!.. .............503
*** როგორ ხარობენ ჩიტუნები აპრილის მოსვლით... .......................504
*** არ გამახსენო ის თვალები გრძნობით ნათრობი!.. .....................505
*** მოვედი, ისევ ჩემი სოფლის ვნახე წყლის პირი... .........................506
*** ჩვენ ქუდს  გიხდიდით  ბრძოლის ველზე დაცემულ მხედრებს... ....507
*** გაზაფხულს, ისევ ველოდები ამ ბაღის კართან... .........................508

*** ის ლამაზი დღეები, ვიცი, კვლავ რომ არ მოვა... ........................509
*** დააზრო ჟამმა ყვავილნარი შენ რომ დატოვე... ..........................510
*** ხსოვნის ლანდებთან ხეტიალობ უდასასრულოდ... ......................511
*** გაგყვა რამდენი საიდუმლო მიმავალს იქით... .............................512
*** დავდივარ ზღვის პირს მოგონებით, ისევ ვინთები... .................513
*** ო, ეს შენი გზა, სულო, ცისკენ მიემართება... ................................514
*** მე შენს სიყვარულს ქვეყნად, განა ვინმე მაძალებს?.. .............515
*** თავთუხის ზღვაში მივდიოდით თუ მივცურავდით.. ....................516
*** სული გაურბის შემოდგომის დღეებს მთვლემარეს... .................517
*** ჩემო ძვირფასო! შენს საფლავთან მოვედი ისევ... ......................518
*** ეს განშორება იყო, ერთობ, მოულოდნელი... ..............................519
*** ო, მაგ ბაგეებს, ნუთუ, კვლავ ვერ ვეამბორები?.. .......................520
*** ვიხსენებ იმ დროს, და მე გრძნობას ველარ ვერევი... ..............521
*** ჩამოდიოდა სიშორიდან თოვლი შრიალით... ..............................522
*** ვდგავარ ნაპირზე და ზღვა არხევს ტალღებს უჩუმრად... .......523
*** თრთოდი „ბელურა“ იადონის უკვდავი ყელით... .........................524
*** არავინ იცის, საიდან და როგორ მოვედით... ...............................525
*** ჩემი ცხოვრება უჩვეულო დინებით მიდის... ...............................526
*** საით გამექცა მეწამული ფერის მანტიით... ....................................527
*** ზღვას დაეფინა ძოწისფერი სინაზე ისევ... ......................................528
*** ეს საუკუნე გულზე მიშენს მოწამლულ ისრებს... .........................529
*** რამ დამავიწყოს ის დღეები სავსე ღირსებით... ..........................530
*** მე ვხედავ ჩემს თავს, მეგობარო, ოცი წლის მერე... .................531
*** რად დაივიწყე ბედნიერი დღეების წყება?.. ....................................532
*** შენ ხელმეორედ ამ მიწაზე ვერასდროს მოხვალ... ....................533
*** შორს, ცის სიღრმეში მიირხევა შუქი ულევი... ..............................534
*** მსგავსი ქალობა აღარ ახსოვს ამ ბებერ მიწას ............................535
*** ო, როგორ სწრაფად ჩაიქროლეს წლებმა ბავშვობის... ..........536
*** ვერ უძლებს სული ფარულ ოხვრას შემოღამების... ..................537
*** ის დღე ძვირფასო, შენთვის გახდა უკანასკნელი... ....................538
*** ვნახე ქარიშხალს რომ შეება მუხა ბებერი... ...............................539
*** მახსოვს, მსოფლიო უჩვეულოდ განახელები... ...........................540
*** ვდგავარ ზღვის პირას, გავცქერ ღელვას ლურჯი მორევის... ......541
*** ორმა ვეშაპმა საქართველო ველარ გაიყო... ..................................542
*** ო, ის ნაბიჯი გახდა შენთვის საბედისწერო!.. ...............................543
*** გამოვეთხოვე გაზაფხულის დღეებს საოცარს... ...........................544
*** დროის დინება, ნუთუ, ქვეყნად ყველაფერს აქრობს... ..............545

*** როგორ იქნება მოგონებამ არ აგაცრემლოს!. ..............................546
*** შენ ატირებდი დაწყვეტამდე სიმებს გიტარის!.. ...........................547
*** ჩემს სარკმელს ფრთებით ეხლებიან თეთრი მტრედები... ......548
*** ხედავდი მამულს ფრთებდალეწილს და გულში დაჭრილს... .549
*** მოვა ჟამი და დავშორდებით ერთმანეთს ხორცით... ................550
*** გაზკამერისკენ მიმავალთა იდექი რიგში... ...................................551
*** აწი, სად ვპოვო, ის ღიმილი საოცრად თბილი?.. .........................552
*** ხმით სევდიანით, ისევ არხევ სივრცეს შორეულს... ...................553
*** რად გახდა ასე პროზაული ჩემი ცხოვრება?.. ...............................554
*** აჰა, ვშორდები ჩემს ეზოს და სანუკვარ მინდვრებს... ...............555
*** მოვიდა სხვა დრო სხვა ფიქრებით, სხვა გატაცებით... ............556
*** ლამანჩელივით მეც დავრახტე ჩემი თეთრონი... .........................557
*** ვერ შემიცვნია წუთისოფლის გზები ტიალი... ................................558
*** როცა შენ წახველ თხუთმეტი წლის ვიყავი მაშინ... ..................559
*** შავი ბერეტი ბოროტების თავზე გახურავს... ...............................560
*** ერთხანს იდექი, კეისარო, წინაშე სფინქსის... ...............................561
*** ყველა შემოქმედს სდევდა გრძნობა უკმარისობის... .................562
*** სადღაც, გაფრინდა მომღერალი ჩიტების გუნდი... ......................563
*** მე მთაწმინდიდან გავცქერ ახლა მთვარის ნახევარს... ............564
*** სული ვერ უძლებს მოსკოვური ყვავების ჩხავილს... .................565
*** შენ წახველ უკვე!.. ხელმეორედ ვერასდროს მოხვალ!.............566
*** ლექსი მთლიანად ვერ გადმოსცემს ჩემს ნაოცნებარს... .........567
*** არ დაგენანოს, რომ შენ მიხვალ და სხვა რომ მოდის... .........568
*** შენ ბედისწერამ რა ულმობლად გაგაპარტახა... .........................569
*** შენ ქედს იხრიდი მხოლოდ ღვთის და ერის წინაშე... ..............570
*** შენ განშორების სევდა უკვე ველარ დამალე... .............................571
*** ცახცახებს მიწა მოლოდინში კოშმარულ ჟამის... ........................572
*** ეს მერამდენედ ჩამოვკარი სიმები ჩანგის... ...................................573
*** შენზე, ძვირფასო, ლამის არის, გადავყვე ფიქრებს... ................574
*** მოვედი მაშინ, მეგობარო, როდესაც მიხმე... .................................575
*** აწი გაზაფხულს ერთად ველარ შევეგებებით... ............................576
*** ეს მერამდენედ პაემანზე მოვდივარ შენთან... .............................577
*** მოდის კივილით ქარიშხალი, ისევ ტრამალის... ..........................578
*** შენ არ გივლია გათელილი გზებით მიწაზე... ..............................579
*** ვდგავარ კბოდეზე და გარშემო არავის ვხედავ... ........................580
*** როცა ჩემს კუბოს სახურავი დაეხურება... .........................................581
*** მე შენი ტემბრის ჯადოსნური რხევების ტყვე ვარ... .................582

*** აპრილის ჩიტი ყვავილნარში ო, ისევ გალობს... ..........................583
*** მიირხეოდი ჩამავალ მზის სხივების ჩქერში... ................................584
*** მე ვერ გიწოდებ ყოფილს, თუმც გული მტკივა ძლიერ... .........585
*** ის ღვთაებრივი სილამაზე აქ განისვენებს... ....................................586
*** ოცნებასავით იყავ მუდამ მიუწვდომელი... .......................................587
*** ღირსების დარად ვერ შევამკე შენი სახელი... ..............................588
*** ამ განშორებამ ჩემი გული დაფლითა მწარედ... ..........................589
*** ეს ნავი ო, რა გაბედულად მიარღვევს ტალღებს... ....................590
*** ირეკლავს სივრცე გარდასულის იდუმალ ხსოვნას... ..................591
*** ნუთუ, სხვა ფორმა ვერ მონახე, ძალავ ბუნების... .......................592
*** ისევ რეკავენ გამუდმებით და სევდას ღვრიან..............................593
*** ცისფერ ბილიკით მარტოდმარტო მოდიხარ ზღვასთან... ........594
*** მე თქვენი, ისევ მომინდა ნახვა... ...........................................................595
*** საით წახველით, ღირსეულო ქალიშვილებო... ...............................596
*** მიყვარდა შენში ხმა მუდამჟამს თავისუფლების... .......................597
*** საით მივდივარ უიმედოდ ხელმოცარული... ...................................598
*** დღეებს სანატრელს სამუდამოდ დავემშვიდობე... .......................599
*** დამთავრდა ამით ისტორია ჩემი ცხოვრების... ............................600
*** თქვენ მიმაჩნიხართ ჩემი სულის მესაიდუმლედ... .....................601
*** შენ ღვთაებრივი სილამაზის სანატრელ გოგოს... .......................602
*** ქალთა სამოთხეს ულამაზესს ოხვრით გავცილდი... ................603
*** მე არ მახსოვხარ შენ დაღლილი და, ასე ჩუმი... .........................604
*** საით გაფრინდა საოცნებო დღე სიყმაწვილის?.. ..........................605
*** რატომ მიზიდავს ეს მინდვრები, ან ეს ბუჩქები?...........................606
*** რაც ხდება ქვეყნად, მას მივაწერ ძალას განგების... ..................607
*** რატომ გაურბის სული ფერებს შემოღამების... ..............................608
*** დამშვიდობება საწუთროსთან ო, როგორ მიჭირს....................609
*** სული და ხორცი ერთ სივრცეში როგორ თავსდება... ...............610
*** მე ვერის ბაღის ხეივანში დავდივარ მარტო... .............................611
*** მაშინებს სევდა დაგუბული, გაუდინარი... .........................................612
*** შენ წახველ უკვე, გაიყოლე ზღვა სიყვარული... ..........................613
*** მომენატრება ბავშვობის ხანა... ..............................................................614
*** მივცურავ დილით მთაწმინდისკენ მორევში თოვლის... ..........615
*** მიყვარდი გრძნობით, გულით ვამბობ მე ყოველ სიტყვას... ....616
*** წინ მიუძღოდი ბასიანში მიმავალ ლაშქარს... ..............................617
*** მშობლიურ ენას იცავდით დიდი რუსთველის ბაღნარის... ..........618

# თარგმანები

● ● ● ჩვენი თვალსაზრისით... ....623

## იოჰან ვოლფგანგ გოეთე

შეჩერდი, დროო!!! ....626
დედას ....629
ულამაზესი ღამე ....630
მარტი ....631
დამშვიდობება ....632
მაისის სიმღერა ....633
ველური ვარდი ....634
წარწერა წიგნზე ....635
უთავშესაფროს ღამეული სიმღერა ....636
წლები ....637
იოჰან დანიელ ვაგნერს ....638
ვიპოვე ....639
უქარო ზღვა ....640
ემილია ფონ შილერს ....641
ღამეული აზრები ....642
ყვირილი (იტალიურიდან) ....643
თითოეულს და ყველას ....644
* * * ძირს ჩამოდიან მუქი ბინდები... ....645
თვითდაჯერებული ....646
ანეტას ....647
* * * შენ, როცა წახველ, მე თვალები ვერ გაგაყოლე... ....648

## ჯორჯ გორდონ ბაირონი

„ვით სპარტანელი ფარსდაყრდნობილი ამაყად ვდგავარ!“ ....650
ელეგიები თირზას ....653
* * * გათავდა, მორჩა! ჩემი რწმენის დაიმსხვრა კოშკი!.. ....656
* * * ანესლის მთაო, შენს ლურჯ კალთებს, ვიცი, ვახსოვარ!.. ....657
თომას მურს ....658
უძინართა მზეო! ....660
ის ჯადოქრობა გაქრა ....661
* * * როგორ გვიყვარდა ხეტიალი მე და შენ ღამით.... ....662
* * * მესაიდუმლეს მშფოთვარე გულის... ....663
ჩემი დაბადების ოცდამეცამეტე წელი ....664

კითხვა სიყვარულზე ....................................................................665
ექსპრომტი პასუხად მეგობარს ....................................................................666
პენელოპას (2 იანვარი 1821წ.) ....................................................................667
* * * ო, თუკი სული შორს, მიღმა ცათა... ....................................................................668
სტანსი ....................................................................669
რომანსი....................................................................670

## პერსი ბიში შელი

... „და ფერადებში მიცურავს შელი“ ....................................................................672
მერი გოდვინს....................................................................675
სიმღერა პროზერპინაზე....................................................................676
სამყაროს თანამგზავრები....................................................................677
ვორდსვორთს ....................................................................678
კეთილი ღამე ....................................................................679
მცირე კუნძული ....................................................................680
დრო....................................................................681
იტალიას....................................................................682
ხვალ ....................................................................683
კ...ს ....................................................................684
ჯონ ქითსს (ნაწყვეტი)....................................................................685
ინდური მელოდია ....................................................................686
სიმღერა ....................................................................688
* * * მაშინებს შენი მოფერება და ძლიერ მტანჯავს... ....................................................................689
ნეტარება....................................................................690
დევნილები (ნაწყვეტი)....................................................................691
ეპიტაფია....................................................................693
რომაელის ოთახი....................................................................694

## ჯონ ქითსი

ვისი სახელი წყალზე წერია....................................................................696
ლექსი დაწერილი შოტლანდიაში, ბერნსის სახლში....................................................................699
* * * ვშიშობ, სიკვდილმა რომ უეცრად მომწყვიტოს შრომას... ....................................................................700
* * * მე მიყვარს შენი თვალების სითბო... ....................................................................701
* * * თეთრო ფერიავ, იძინე მშვიდად... ....................................................................702
სიკვდილზე ....................................................................703
ბერნსის საფლავის მონახულებისას....................................................................704
როცა წავიკითხე „მეფე ლირი“ ....................................................................705
* * * წელიწადს ოთხი სხვადასხვა დრო აქვს... ....................................................................706

სიმღერა .......... 707
ვარსკვლავს .......... 708
* * * ჩამოიფერთხა მტვერი ფრთებიდან... .......... 709
მარგარიტას სიმღერა .......... 710
* * * წავიდა ის დრო, თან წაიღო, ვით საკუთრება... .......... 711
ბაირონს .......... 712
ჩატერტონს .......... 713
* * * ნეტავი, რაზე ვიცინოდი სიზმარში ახლა?... .......... 714

## უოლტ უიტმენი

„ვინ არის ის?“ .......... 716
მრავალთა შორის .......... 720
ო, კაპიტანო! ჩემო კაპიტანო! .......... 721
ო, ჰიმენეი! ჰიმენეი! .......... 723
ჩირაღდანი .......... 724
ლამაზი ქალები .......... 725
სრულყოფილება .......... 726
სიბერისას .......... 727
დრო და ადგილი .......... 728
თუ ვინმე მიყვარს .......... 729
ეს ლანდი ჩემი მსგავსია .......... 730
ზარები ტირიან .......... 731
შეხედე, მთვარევ ჯადოსნურო! .......... 732
მშვიდობით, ჩემო შთაგონებავ! .......... 733
ღამით მარტო სანაპიროზე .......... 735
თქვენ ხართ ის არსება? .......... 736
როცა წიგნს ვკითხულობ .......... 737
როცა მაწვება დრო .......... 738
თანხმობა .......... 739
როცა ყვაოდა იასამანი (ნაწყვეტი) .......... 740

## ფედერიკო გარსია ლორკა

სანტიაგოში კვლავ ცეკვავს მთვარე... .......... 742
ნარცისი .......... 746
სერენადა .......... 747
სევილიური იავნანა .......... 748
ყვითელი ბალადა .......... 749

ირენა გარსიას ....................................................................................................750
ვერლენი ..............................................................................................................751
MEMENTO ...........................................................................................................752
სოლეა .................................................................................................................753
ტყვე ქალი ...........................................................................................................754
* * * მშრალია მიწა, ჩუმია მიწა... ...................................................................755
მონადირე ............................................................................................................756
ზანგების სიმღერა კუბაზე ...................................................................................757
აფსუს! ..................................................................................................................759
გზაჯვარედინი ....................................................................................................760
გამოთხოვება ......................................................................................................761
კორდოვის კვარტალში .......................................................................................762
* * * * საით გარბიხარ, ბინულო, საით?.. .........................................................763
მცირე ბალადა სამ მდინარეზე ............................................................................764
სამი ხე ..................................................................................................................766
ახალი მთვარე .....................................................................................................767
გაზაფხულის სიმღერა ........................................................................................768
ბედისწერა ...........................................................................................................770
ბაღი .....................................................................................................................771
რხევის ამპლიტუდა ............................................................................................772
მზე ჰორიზონტზე დაეშვა ....................................................................................773
* * * აგვისტო. ცისკარზე ატამი თამთამებს... ....................................................774
სოფელი ...............................................................................................................775
ჰორიზონტი .........................................................................................................776
* * * ჩემი თვალების უმისოდ შენ საბრალო ხარ, სულო! ................................777
პირველი ოცნების სიმღერა .................................................................................778
უსიმღერო მიწა ....................................................................................................779
წასვლის საათი ....................................................................................................780
ხოლო შემდეგ .......................................................................................................781
სადღესასწაულო გასეირნება .............................................................................782
ცის კუთხე ............................................................................................................783
ჩრდილოეთი ........................................................................................................784
სამი მოთხრობა ქარზე .........................................................................................785
სასწორი ...............................................................................................................787
ნიშნობა ................................................................................................................788
ჩქარი დინება ........................................................................................................789
ეს სიმართლეა ......................................................................................................790

მოსახვევს იქით ....791
გულუბრყვილო სიმღერა ....792
ცეკვა ....793
ბალი მარტში ....794
საწყისი ....795
ხმა შორეული ....796
გრანადა და 1850 ....797
დანა ....798
კვალდაკვალ ....799
დედა ....800
პატარა ტყე ....801
შემთხვევა ....802
მარტოობა ....803
სანტიაგოში კვლავ ცეკვავს მთვარე ....804
არიან მთები ....806
* * * არ დასცდენია არც ერთი სიტყვა... ....807
დიდი მოწყენილობა ....808
ადელინა სეირნობაზე ....809
დაბრუნების სუიტა ....810
შავი მთვარეები ....811
უიმედო სიმღერა ....812
ის მოკვდა დილით ადრე ....813
შვიდი ასულის სიმღერა (ცისარტყელას მოტივზე) ....814
მალაგენია ....815
ცეკვა ....816
მუნჯი ბიჭი ....817
პრელუდია ....818
ზარი (მისამღერი) ....819
მიდიოდა ხალხი ....820
შემოღამების ორი მთვარე ....821
კარუსელი ....823
სიმღერის ხე ....824
ყვავილი ....825
კლოუნი ....826
ზღვის ნიჟარა ....827
ამოდის მთვარე ....828
* * * ერთგულ მეგობრებს უთხარით – მოკვდა... ....829

სქემატური ნოქტიურნი ........ 830
ქვემოთ ........ 831
* * * ფორთოხლებსა და ლიმონებს შორის... ........ 832
მაცდური სარკე ........ 833
სევილიური პატარა სიმღერა ........ 834
კივილი ........ 835
გოგონა ........ 836
გიტარა ........ 837
მადრიგალი ქალაქ სანტიაგოზე ........ 838
* * * შორს, ცის სიღრმეში... ........ 839
სანთელი ........ 840
პასაჟი ........ 841
ღამე ........ 842
ნებისმიერი სიმღერა ........ 843
მცირე მადრიგალი ........ 844
პროცესია ........ 845
სიზმარი ........ 846
სიჩუმე ........ 847
ციფერბლატი ........ 848
კაქტუსი ჩუმბერა ........ 849
ვარიაცია ........ 850
* * * ღამე ახალი მთვარის... ........ 851
წასვლის საათი ........ 852

## ალექსანდრ პუშკინი

ალექსანდრ პუშკინი ........ 854
*** ვფიქრობდი, გულმა გადაივიწყა... ........ 857
ელეგია ........ 858
*** ჩემ წინ, ნუ მღერი, ლამაზო ქალო... ........ 859
*** მე თქვენ მიყვარდით... ........ 860
ღრუბელი ........ 861
ბოშები ........ 862
ჩიტი ........ 863
*** ღამის ბინდები საქართველოს გორებზე წვება... ........ 864
*** თუ მოგატყუოს ცხოვრებამ... ........ 865
*** არ მომწყენია ცხოვრება ჯერაც... ........ 866
პორტრეტი ........ 867

ყვავილი ........ 868
გადია ........ 869
* * * ჩვენ შორის უკვე ყოველგვარი კავშირი გაწყდა... ........ 870
**To Dawe, ESQ$_r$** ........ 871
დონი........ 872

## სერგეი ესენინი

„მოგსდევდა სევდა დიდ ტრამალების“... ........ 874
* * * შენ სიჩუმეში ღამის იცრემლებოდი ცხარედ... ........ 878
შორეული მხიარული სიმღერა ........ 879
ღამე........ 880
* * * არა მაქვს ძალა არც ქვითინის და არც სიმღერის... ........ 881
* * * შენ წახველ, ჩემთან არასოდეს არ დაბრუნდები... ........ 882
ბრიუსოვის ხსოვნას ........ 883
პუშკინს........ 884
* * * მთვლემარე ზარმა გააღვიძა მინდორი ვრცელი... ........ 886
მოშორდი ფანჯარას ........ 887
* * * ო, ქარიშხალო, შენ თუ რა ხარ, ეშმაკმა უწყის! ........ 888
* * * ო, გულო, შეჩერდი, მისმინე... ........ 889
არყის ხე ........ 890
* * * თოვლიან სივრცეში ჭაბუკურ ძახილით ........ 891
გაზაფხულის საღამო ........ 892
სიყმაწვილე ........ 893
* * * ტირის ბორიო, ვიოლინო ვით ბოშა ქალის... ........ 894
* * * მოწყენილობა... ........ 895
* * * არა ღიმილი ირიბი, არა ხელებით შეხება... ........ 896
* * * შენი ტრფიალით ვიყავი მე უჩვეულოდ მთვრალი... ........ 897
* * * ღამეები მთვარიანი, ღამეები ლურჯი... ........ 898
* * * თოვლის დაბლობი ვრცელი, ცაზე ფერმკრთალი მთვარე... ........ 899
* * *გემშვიდობები, მეგობარო, ღელვას ვერ ვმალავ... ........ 900

## ბიოგრაფიული ქრონიკები

• • • დავით გიორგის ძე გაბუნია ........ 901
• • • დოდო ვარლამის ასული ნარმანია (დონა კოლხი)........ 905

რედაქტორი: **დონა კოლხი – დოდო ნარმანია**

კომპიუტერული უზრუნველყოფა:
**ნანა ყანდაშვილი**

ყდის დიზაინი
**ირაკლი უშვერიძე**


გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4. ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com